იზოლდა ბელთაძე

ნარკვევი ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან

(XV-XVI სს)

ს. ს. „გამომცემლობა აჭარა"
ბათუმი – 2002

იზოლდა ბელთაძის წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ერცელ მონოგრაფიულ მონახაზს ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან. კერძოდ, ნაშრომში განხილულია საეაჭრო კომპანიების მნიშვნელობა კაპიტალის, ე. წ. „თავდაპირველი დაგროვების“ ეპოქაში, ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმები, კაპიტალის დაგროვების მეთოდები, ინგლისის სამეფო ხელისუფლების საეაჭრო პოლიტიკა, საზღვაო ფლოტის განვითარების პირობები, საეაჭრო ურთიერთობანი და ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობა.

ინგლისელ ვაჭართა შეგნებაში მომხდარი ღრმა სოციალური და ფსიქოლოგიური ცვლილებების გამოხატვა იყო მათი ქველმოქმედებანი. ლონდონის ვაჭართა დიდძალი შეწირულობა სმარდებოდა ქალაქის კეთილმოწყობას, სკოლების დაარსებას, უპატრონო, დავრდომილ და მოხუც ადამიანებზე მზრუნველობას.

აღნიშნული საკითხების შესწავლა აქტუალურ თემად რჩება დღესაც, ვინაიდან შეიძლება ბევრი რამ ავითვისოთ ინგლისის ისტორიული წარსულიდან.

ნაშრომში სხვა მასალებთან ერთად გამოყენებულია მეტად მნიშვნელოვანი წყარო ლონდონის ქსოვილით მოვაჭრეთა კომპანიის „საბჭოს აქტები“, ე. წ. „ნიუბოლდის წიგნი“.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფესორი გივი ქორდანია

რეცენზენტები: დოცენტი ნინო გომართელი
დოცენტი ეთერ ჯაჭვაძე.

© ს.ს. „გამომცემლობა ახალარა“ - 2002

შესავალი

XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორია საინტერესოა იმით, რომ მან მოამზადა ნიადაგი სამრეწველო კაპიტალიზმისათვის.

ეს იყო კაპიტალის ე. წ. „თავდაპირველი დაგროვების“ ეპოქის საწყისი პერიოდი, როცა ინგლისში ადგილი ჰქონდა ღრმა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. განხორციელდა სამონასტრო მიწების სეკულარიზაცია, რასაც მოჰყვა უშუალო მწარმოებელთა მასობრივი ექსპროპრიაცია და სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევა. გაძლიერდა ბურჟუაზიული კლასი, ადგილი ჰქონდა ბრძოლას სოფლის შინაკაპიტალისტურ მრეწველობასა და ქალაქის ხელოსნობას შორის. ინგლისის ვაჭრობა ვითარდებოდა უფრო სწრაფად და ღრმად, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საგარეო ბაზრის განვითარებას პარალელურად მიყვებოდა საშინაო ბაზრის გაღრმავება.

ავტორის მიზანია, გაარკვიოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულეს ინგლისის ეკონომიკურ განვითარებაში სავაჭრო კომპანიებმა კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე, როგორი იყო ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმები, კაპიტალის დაგროვების მეთოდები, სავაჭრო გაერთიანებების ეკონომიკური ფუნქციები და პოლიტიკური როლი, ინგლისის სავაჭრო ურთიერთობანი სხვა ქვეყნებთან, რას წარმოადგენდა ინგლისის სამეფოს სავაჭრო პოლიტიკა და რა დამოკიდებულება იყო უცხოელი ვაჭრების მიმართ, რატომ მიმართავდნენ ბოიკოტს მათ წინააღმდეგ, როგორი იყო საზღვაო ფლოტის განვითარების პირობები, რაში გამოიხატებოდა ინგლისელ ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობა, როგორ ზრუნავდნენ ისინი შრომის უუნარო და მოხუც ადამიანებზე. ყველა ამ საკითხების გარკვევაში დაგვეხმარება ინგლისის პარლამენტის და სამეფო კანცელარიის დოკუმენტები, ქრონიკები, ლონდონის სასამართლოს ოქმები, სტატუტები, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა მეტად მნიშვნელოვანი წყარო ლონდონის მერსერთა (ქსოვილით მოვაჭრეთა გილდიის) „საბჭოს აქტების“ შესწავლა, რომელიც შეიცავს მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს.

„ნიუბოლდის წიგნი“ (ასე შევარქვით ჩვენ მას პირობით) გვაწვდის საყურადღებო ცნობებს სტაპლერთა (მესაწყობეთა), მერსერთა (ქსოვილით მოვაჭრეთა) და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიების შესახებ.

სტაპლერთა კომპანია წარმოიშვა XIV საუკუნეში ქალაქ კალეში, სადაც ინგლისიდან გადიოდა ძირითადად მატყლი, ხოლო შემდეგ, მაუდი, მაგრამ ამ უკანასკნელის გატანას სისტემატური ხასიათი არ მიუღია. ინტერესს მოკლებული არ იქნება სტაპლერთა, მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიების ურთიერთობის შესწავლა.

მაუდის მრეწველობის და მისი ექსპორტის ზრდასთან ერთად საჭირო შეიქნა საწყობის გარეთ ვაჭრობის ორგანიზება, რასაც ახდენდა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია (XV ს.), რომელიც არ იყო დაკავშირებული არც განსაზღვრულ პუნქტთან და არც განსაზღვრულ გზებთან. აღნიშნული კომპანია შედგებოდა მდიდარი ვაჭრებისაგან, რომლებიც თავმოყრილნი იყვნენ ლონდონის თორმეტამდე კორპორაციაში. ამასთანავე, მერსერთა კორპორაცია იყო წამყვანი ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში. ავანტიურისტები მოქმედებდნენ სხვა ქალაქებშიც: იორკში, ნიუკასლში, ნორიჯში, ჰალეში, მიდლენდში, ეკზეტერში და სოლსბერიში. საინტერესოა რა ადგილი ეკავა მერსერთა კორპორაციას მთელს ინგლისის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში?

ისმის კითხვა: ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია უბრალო ვაჭართა გაერთიანებას წარმოადგენდა, თუ მნიშვნელოვანი სავაჭრო კაპიტალი იყო, რომელიც გავლენას მოახდენდა მეფის საგადასახადო პოლიტიკაზე, ინგლისის საზღვაო ფლოტისა და საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე?

„ნიუბოლდის წიგნი" საიმედო დადასტურებაა იმისა, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია უბრალო ვაჭართა გაერთიანება კი არ იყო, არამედ იგი წარმოადგენდა მდიდარ, გავლენიან და მნიშვნელოვან სავაჭრო კომპანიას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ინგლისური კაპიტალის განმტკიცებაში ქვეყნის საშინაო ვაჭრობაში, უცხოელთა გაძევებაში საგარეო ბაზრებიდან და, საერთოდ, ინგლისის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში დასავლეთ ევროპასთან. ასევე ამ კომპანიას უნდა უმადლოდეს ინგლისი საზღვაო ფლოტის მშენებლობას.

არანაკლებ საინტერესოა ქალაქ ლონდონის მაგალითზე ინგლისის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიის შესწავლა საფრანგეთთან, ჰანზასთან, ესპანეთთან, ნიდერლანდებთან, იტალიასთან და ნიუ-ფაუნდლენდთან, ჰქონდა თუ არა რეგულარული ხასიათი ვაჭრობას ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან და რა ფაქტორები განსაზღვრავდნენ მათ სავაჭრო ურთიერთობებს.

ამრიგად, აღნიშნული პრობლემების შესწავლა ნათელს მოჰფენს ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიის არაერთ უცნობ საკითხს XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე.

ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია

ვიდრე უშუალოდ საკითხის გაშუქებას დავიწყებდეთ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნულ საკითხზე არსებული წყაროები და ისტორიული ლიტერატურა.

ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესწავლისას გამოვიყენეთ პარლამენტის და სამეფო კანცელარიის დოკუმენტები, ქრონიკები, ლონდონის სასამართლოს ოქმები, რომელთა გამოცემა მიყვანილია 1482 წლამდე (2, 3, 4, 5). მრავალრიცხოვანი სტატუტები, რომელშიც არის ცნობები ვაჭრობისა და კრედიტის შესახებ, გამოქვეყნებულნი მრავალტომიან გამოცემაში (6,7), მაგრამ ეს ცნობები ნაწყვეტ-ნაწყვეტია და არ იძლევა საშუალებას სრულყოფილად გამოვიკვლიოთ მერსერთა (ქსოვილით მოვაჭრეთა), სტაპლერთა (მესაწყობეთა), ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიებისა და სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია. ფრიად საყურადღებოა და თანაც თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არაა შესწავლილი ერთი წყარო, რომელიც გამოქვეყნდა მერსერთა „საბჭოს აქტების“ სახით (1), აქტების წიგნი შედგენილია XVI საუკუნის 20-იან წლებში მერსერთა გილდიის კლერკის უილიამ ნიუბოლდის მიერ. მან თავი მოუყარა ერთად მასალებს, რომლებიც ინახებოდა გილდიის არქივში „ძველი წიგნების“ (olde books) სახელით. იგი ჩვენს მიერ, პირობით იხსენიება როგორც „ნიუბოლდის წიგნი“.

დასახელებული პირველწყარო შეიცავს მერსერთა სავაჭრო გილდიის საერთო კრების (General Court of the Mercers Company), ლივრეების კორპორაციის სრულუფლებიანი წევრების „ასამბლეის“ (Assemblies of Assistants) ჩანაწერებს (ოქმებს). მასში მოცემულია „ორ დონანსებიც“, რომლებსაც ღებულობდნენ გილდიის საერთო კრებებზე, კორპორაციის საერთო დადგენილებანი, მეფისა და სახელმწიფო მოხელეების შემდეგი წერილები:

1. წერილი ზღვის იქით გაგზავნილი მაუდით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

2. ბრაბანტის გენერალური პროკურორის საჩივარი ინგლისელ ვაჭრებზე, რომელიც გაიგზავნა ბურგუნდიის ჰერცოგის სახელზე.

3. ინგლისელ ვაჭართა პეტიცია ჰერცოგის სახელზე ბრაბანტის გენერალური პროკურორის საჩივართან დაკავშირებით.

4. ინგლისელ ვაჭართა საჩივარი ანტვერპენის საბაჟო გადასახადის ამკრეფთა მიმართ ხსენებულ ჰერცოგის სახელზე და სხვა პეტიცია ბაჟებთან დაკავშირებით.

5. ლ.რდი ბივერის მიერ მეფისადმი მიწერილი წერილების ასლი.

6. საჩივარი, რომელიც წარადგინა ბურგუნდიის ჰერცოგის მხარემ ინგლისელ ვაჭართა მიმართ, რომელთაც არ გადაიხადეს საბაჟოს გადასახადი – ე. წ. „გულდენი".

7. ლორდი ბივერის მიერ ლორდი დობენის მიმართ მიწერილი წერილების ასლები.

8. პეტიცია და ბილი, რომელიც გაიგზავნა ზღვისიქით ბაჟის ამკრეფთა მიმართ.

9. წერილი, რომელიც გაიგზავნა ზღვისიქითა მმართველის პიკერინგის სახელზე ლორდ-კანცლერის მიერ და სხვა.

„ნიუბოლდის წიგნი" ასახავს (1453-1528) წლებში მერსერთა საბჭოს საქმიანობას. XV საუკუნის 50-60-იან წლებზე უფრო ადრეული პერიოდის ჩანაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია, ხოლო ამ გვიანდელი პერიოდისა თითქმის ყველა შემორჩა.

ხელნაწერების სახით დაცული აქტების პირველი ტომი ასეა დასათაურებული: „მერსერთა კომპანიის საბჭოს აქტები". იგი ინახება ქალაქ ლონდონში, სადაც იგი შედგენილია. პირველი ტომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი შეიცავს არა მარტო მერსერთა გილდიის ოქმებს, არამედ ვაჭარ-ავანტიურისტთა საერთო კრების (General court of merchant adventurers) 119 ოქმს.

446 ხელნაწერი ფურცლისაგან შემდგარი მანუსკრიპტი კარგად შემოინახა. ყველა ჩანაწერი განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მაგრამ მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის საბჭოს ოქმები შეიცავენ ამ თანმიმდევრობის ორ ქრონოლოგიურ დარღვევას: პირველი, როცა კლერკი გადმოგვცემს 1506 წლის ამბებს, იგი გადადის „ძველ წიგნზე" – 1465, 1446, 1486, 1487 წლების აქტებზე", რომლებიც მანამდე არავისთვის არ იყო ცნობილი. ამ პერიოდის მოვლენებს იგი ათავსებს 1506-1507 წლებს შორის. მეორე დარღვევა გვხვდება 1523 წლის ამბების გადმოცემისას, როცა ავტორი გადადის 1493, 1495, 1496, 1497, 1498, 1499 წლების ამბებზე და ათავსებს ამ ოქმებს 1523 და 1524 წლებს შორის.

XV საუკუნის 60-იანი წლებიდან შემორჩა ორი არცთუ ისე დიდი ოქმი, ასევე ორი – 70-იანი წლებიდან; 1481-1490 წლებიდან შემორჩა 31 ოქმი, 90-იანი წლებიდან – 27, 1498-1507 წლებზე მოდის შედარებით ნაკლები ოქმები. 1501 წელს შემორჩა მხოლოდ ერთი ჩანაწერი, სამაგიეროდ 1508 წლიდან 1520 წლამდე საოქმო ჩანაწერები საკმაოდ რეგულარულია და ჩვენს ხელთაა ამ პერიოდის 56 ოქმის ჩანაწერი. „ნიუბოლდის წიგნი"

საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ლონდონის სავაჭრო გაერთიანებების ადრეულ ისტორიას, ინგლისელების სტაპლერთა კომპანიას და მის ურთიერთობას სხვა კომპანიებთან, ინგლისის სავაჭრო ურთიერთობას ნიდერლანდებთან, ჰანზასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, ესპანეთთან და ნიუფაუნდლენდთან, ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობას. „ნიუბოლდის წიგნი" შეიცავს მეტად საინტერესო მასალას, რის შესწავლაც ნათელს მოჰფენს დღემდე არაერთ უცნობ საკითხს. იგი დაწერილია შუა საუკუნეების ინგლისურ ენაზე, ხოლო ზოგიერთი ტექსტი (კერძოდ, წერილები) დაწერილია ფრანგულად და ლათინურად.

მერსერთა საბჭოს აქტების ეს წიგნი უნიკალურია, ვინაიდან მაუდით მოვაჭრეთა კომპანიის საბჭოს ოქმები იწერებოდა მხოლოდ 1525 წლიდან, ხოლო „გროსერების" (ბითუმად მოვაჭრეთა), მეგალანტერეების (Haberdashers) და უფრო საკლებმნიშვნელოვანი გილდიების [illegible] ნიუბოლდში, საერთოდ, არ არსებობდა (116, 200).

„ნიუბოლდის წიგნის" შესწავლისას გაირკვევა მისი დათარიღების თავისებურება. დოკუმენტები დათარიღებულია შემდეგნაირად: XiijC XXijO, XiiijC iiijXX, XVC ijO და ა. შ. ისმის კითხვა რატომ არ იყენებდნენ რომაულ მაღალ ციფრებს M(1000), D(500), C(100) დათარიღების დროს. და როგორ უნდა იქნას წაკითხული „ნიუბოლდის წიგნში" თარიღები – XVC vijO, XVCiiijXXVO და ა. შ.

თუ დავუშვებთ, რომ ციფრი C აღნიშნავს საუკუნეს (C-100 წელს), ხოლო ციფრი O აღნიშნავს წელიწადს, ციფრი I აღნიშნავს ერთს, ციფრი IJ-ორს, ციფრი IIJ-სამს, ხოლო ციფრი IIIJ-ოთხს, მაშინ ხერხდება თარიღის სწორად წაკითხვა. ამასთანავე, უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბოლო ერთიანს ჰქონდა განსხვავებული ფორმა (J). ხოლო ციფრი IIIJXX უნდა აღნიშნავდეს 80 წელს. ამდენად აღნიშნულ წყაროში მოცემული ციფრი XIVC უნდა აღნიშნავდეს მე-14 საუკუნეს.

ჩვენი აზრით, შუა საუკუნეების ეპოქაში დათარიღების დროს გამოყენებული იყო რომაული ციფრები ათეულის ფარგლებში, ვინაიდან ადამიანის მეხსიერებისათვის უფრო მარტივი იყო მათი წაკითხვა, ხოლო დიდ ციფრებს არ იყენებდნენ.

საბოლოო ჯამში წყაროზე დაყრდნობით შეიძლება წარმოვადგინოთ დათარიღების შემდეგი სქემა (იხ. ცხრილი №1).

დათარიღება

თანამედროვე	რომაული	შუა საუკუნეების
1427	MCDXXVII	XIIJ^{C} XXVIJ^{O}
1433	MCDXXXIII	XIIIJ^{C} XXXIIJ^{O}
1499	MCDLXXXXIX	
	ან MXCDXCIX	XIIJ^{C} IIJ^{XX} XIX^{O}
1507	MDVII	XV^{C} VIJ^{O}
1521	MDXXI	XV^{C} XXJ^{O}
1528	MDXXVIII	XV^{C} XXVIIJ^{O}

ამ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროს შესწავლა პირველმა სცადა უ. ბლედისმა. მანვე მიუთითა ვაჭარ-ავანტიურისტების შესახებ არსებული ცნობების შესახებ „MERCER' S BOOK"-ში. მისი თხზულება „უილიამ კექსტონის ცხოვრება და სტამბა (LIFE AND TYPOGRAPHY OF WILLIAM CAXTON) გამოქვეყნდა 1861 წელს, მაგრამ ამ წიგნში დაცულმა მისმა ცნობამ მერსერთა შესახებ შეუმჩნეველად ჩაიარა, ვინაიდან ისტორიკოსებს შორის გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ავანტიურისტთა არქივი 1666 წელს „ლონდონის დიდი ხანძრის დროს" განადგურდა.

70 წლის შემდეგ ელეონორ კარუს-უილსონი შეუდგა „ნიუბოლდის წიგნის" ვულმოდგინედ შესწავლას. მან დაამუშავა ამ წყაროს ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა ვაჭარ-ავანტიურისტებს (14).

მერსერთა აქტების გამოცემისთვის, შესავალი სტატია დაწერილი ლ. ლეიელის მიერ, ნაკლებ ორიგინალურია და, ამავე დროს იგი, არ იძლევა ასეთი მდიდარი შინაარსის მქონე წყაროს სრულ მეცნიერულ ანალიზს. ჩვენს ხელთ არაა სხვა რომელიმე ნაშრომი, რომელიც „ნიუბოლდის წიგნის" სრულ მეცნიერულ ანალიზს გადმოგვცემს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ე. კ. კუზნეცოვის სტატიას (116). და ჩვენს მიერ გამოცემულ შრომებს (198, 199).

ისმის კითხვა, მოგვცემს თუ არა ქსოვილით მოვაჭრეთა საბჭოს „აქტების" გაცნობა საშუალებას შევიტანოთ რაიმე სიახლე ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესწავლაში? ვფიქრობთ, უდავოდ მოგვცემს, მაგრამ სანამ გადავიდოდეთ ზემოთაღნიშნული პრობლემების შე-

სწავლაზე გვინდა გავაკეთოთ მოცემულ საკითხზე არსებული ისტორიული ლიტერატურის მიმოხილვა.

პირველი, ვინც შეეხო ლონდონის ვაჭართა გასელას საერთაშორისო ბაზარზე, იყო უ. კენინგემი (77). იგი ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ამტკიცებდა, რომ ლონდონის ლივრეის კომპანიები მონაწილეობას იღებდნენ საგარეო ვაჭრობაში. მისი აზრით, ინგლისს XV საუკუნის დასაწყისში სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა კასტილიასთან, პოლანდიასთან, ზელანდიასთან, ფლანდრიასთან, სკანდინავიის ქვეყნებთან, პრუსიასთან, ჰანზასთან, ვენეციასთან და ფლორენციასთან. კენინგემის თანახმად, ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია იყო შტო ძვირფასი საქონლით მოვაჭრეთა კომპანიისა.

პირველი ისტორიკოსი, რომელმაც თავისი გამოკვლევა მიუძღვნა ლონდონის ურთიერთობას უცხოელ ვაჭრებთან ინგლისის მეფის ჰენრი VI-ის მმართველობის დროს, იყო რ. ფლენლი (29; 650-651).

ინგლისის ეკონომიკურ ისტორიას მიეძღვნა ე. ლიპსონის ნაშრომები (38, 39, 40), იგი დაინტერესებული იყო მაუდის წარმოების ისტორიის შესწავლით (40). აღწერს რა ინგლისის სამეურნეო განვითარების ეტაპებს: აგრარულს, სამრეწველოსა და სავაჭროს, აკეთებს დასკვნას, რომ ინგლისში კაპიტალიზმი განვითარდა XIV საუკუნის დასაწყისში. „კაპიტალიზმი არსებობდა შალის მრეწველობაში ოთხი საუკუნით ადრე მანქანების გაჩენამდე". აქედან გამომდინარე, მას მიაჩნდა, რომ ლივრეის კომპანიებში მოხდა დაყოფა ერთი მხრივ, სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალისტებად, ხოლო, მეორე მხრივ, ხელოსნებად. მაგრამ როგორ ხდებოდა ეს პროცესი, სად იღებდა იგი სათავეს, ეს ავტორს რჩება ყურადღების გარეშე. ე. ლიპსონი მიზნად ისახავს ხაზი გაუსვას საზოგადოების განვითარების დინამიკურ კანონებს ბურჟუაზიული კლასის სასარგებლოდ. ცდილობს დაასაბუთოს ჰარმონიულობა შუა საუკუნეების სახელოსნოში, გააიდეალოს შუა საუკუნეთა ინგლისის საქალაქო ცხოვრება.

მ. პოსტანი სწავლობდა ინგლისის ეკონომიკურ ისტორიას. მას აქვს რამდენიმე ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე (49, 50, 51, 52, 53). მისი დამსახურება ისაა, რომ მან ინგლისურ ისტორიოგრაფიაში პირველმა სერიოზულად დასვა საკითხი შუა საუკუნეების ინგლისში კრედიტის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. პოსტანი ამტკიცებს, რომ XIV საუკუნის დასაწყისში შეიძლება ვიმსჯელოთ კრედიტის წარმოშობის ადრეულ ფორმებზე. იგი ცდილობს შეადაროს ერთმანეთს იტალიისა და ინგლისის ეკონომიკური განვითარება. XIV საუკუნეში მოწინავე იტალიური ქალაქების მძლავრმა განვითარებამ გადააქცია იტალია ადრეული კაპი-

ტალიზმის განვითარების კერად. ხოლო XIV საუკუნის ინგლისში კი კაპიტალიზმი ჩასახვის სტადიაში იყო. ამიტომაც მისი ეკონომიკური განვითარება სხვაგვარად წარიმართა. კრედიტის შეფასებისას ინგლისის სინამდვილეში მ. პოსტანი ვერ ხედავდა სოციალურ დაპირისპირებულობას, იგი იკვლევდა ლონდონელი ვაჭრების კავშირს მიწათმფლობელებთან. მასვე მოყვანილი აქვს ცალკეული შემთხვევები, როცა მდიდარი ვაჭრები ახერხებდნენ თავადაზნაურობის წოდებაში გადასვლას (49: 91-155). მ. პოსტანი სწავლობს აგრეთვე პანზის სავაჭრო ურთიერთობას ინგლისთან XV საუკუნეში (52).

ეკონომიკური ისტორიის სპეციალისტი ა. ბრაიდბერი მიიჩნევს, რომ კალის წარმოება დაეცა შავი სიკვდილის (1348 წ.) შემდეგ. ხოლო შალის ქსოვილების წარმოება კი, შედარებით, მაღალი იყო. „უმეტესად, მისი ღირებულება უტოლდებოდა მასზე დახარჯული შრომის ღირებულებას“ (11:30).

ბრაიდბერი უარყოფს თეორიას ქალაქების დაცემის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ „ქალაქები წარმოადგენდნენ ეკონომიკური სისტემის შეუცვლელ კომპონენტს“ (11:40). ამ დროისათვის მთავარ სამრეწველო პროდუქტებს წარმოადგენდა კალა და მაუდი. ავტორი უმთავრესად ეყრდნობა XV საუკუნის მასალებს და მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობები ინგლისის პროვინციული ქალაქების, განსაკუთრებით კი ქალაქ იორკის შესახებ, რომელიც ჩრდილოეთ ინგლისში წარმოადგენდა მაუდის წარმოების ცენტრს. მართალია, ბრაიდბერი აღნიშნავს ინგლისის ეკონომიკურ აყვავებას, რაც გამოიხატა მაუდის წარმოების განვითარებაში, ახალი ქალაქების გაფურჩქვნაში, მაგრამ განვითარება მას განხილული აქვს ცალმხრივად. მას მიაჩნია, რომ „საშუალო ფენა“ და გლეხობა გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში შევიდნენ საოჯახო კომფორტის საოცარ პერიოდში (11:103). ამაღლდა მათი ცხოვრების დონე და ა. შ. მაგრამ იგი არ მიუთითებს არავითარ სოციალურ დიფერენციაციაზე.

ეკონომიკურ საკითხებს იკვლევდა აილინ პაუერი (54, 55, 56), რომელსაც აინტერესებდა შალის ვაჭრობის საკითხები. ამიტომ მან დიდი ყურადღება დაუთმო ვაჭარ-მესაწყობეების კომპანიას კალეში. საგარეო ვაჭრობა პაუერის მიხედვით პირველ რიგში წარმოადგენდა განმსაზღვრელს ინგლისის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

თანამედროვე ისტორიკოსი და ეკონომისტი შარტერი (19) ცდილობს დაასაბუთოს, რომ ქვეყნის ეკონომიკურ აყვავებას და განვითარებას განაპი-

რობებს საშინაო და არა საგარეო ვაჭრობა. იგი ერთმანეთს აშორებს ვაჭრობას და მრეწველობას, ამდენად, მისი მიდგომა ჩვენთვის მიუღებელია, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფუძველი არ შეიძლება იყოს მხოლოდ საშინაო ვაჭრობის განვითარება.

ინგლისის საგარეო ვაჭრობის ისტორიას შეეხო ელეონორ კარუს-უილსონი (14). ძირითადი პრობლემა, რომელსაც შეისწავლის კარუს-უილსონი, ინგლისის საგარეო ვაჭრობა, მისი ხასიათი და ორგანიზაციაა. განსაკუთრებით დაინტერესდა იგი ინგლისის საგარეო ვაჭრობაში ბრისტოლის ვაჭრობის როლით (16, 17). მან, ოლიეია კოულმენთან ერთად, გამოსცა ფართო სტატისტიკური მასალა მატყლის გატანის შესახებ ინგლისის ნავსადგურებიდან 1257 წლიდან 1547 წლამდე (18). ავტორის აზრით, ეს პერიოდი იყო „რადიკალური ტრანსფორმაციის" პერიოდი, როცა „ზღვისიქითა ქვეყნებისადმი ნედლეულისა და საკვები პროდუქტების მიმწოდებელი ქვეყნიდან მაუდის ექსპორტიორ ქვეყნად გადაიქცა, რასაც ავტორი ხსნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით (18:1).

კარუს-უილსონი შუა საუკუნეების აღებ-მიცემობას „XIII საუკუნის ინდუსტრიულ რევოლუციას" უწოდებს. მან შეისწავლა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წარმოშობა და განვითარება, ინგლისელ ვაჭართა მოგზაურობა ისლანდიაში, ქალაქ ბრისტოლის ვაჭრობის განვითარება და სხვა საკითხები. ის ყურადღებას ამახვილებს ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის კავშირს, ლონდონის ლივრეის კომპანიებთან, აღიარებს ფუფუნების საგნებით მოვაჭრე კომპანიის, ესე იგი (მერსერების) ნათესაობას ვაჭარ-ავანტურისტთა კომპანიასთან.

აღრინდელი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით კარუს-უილსონი, ამტკიცებს, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ტყვიით, გალანტერიით, საბაყალო საქონლით, მაუდით მოვაჭრეთა და სხვა კორპორაციების ვაჭრები. ასევე ყურადღებას ამახვილებს პროვინციელი ვაჭრების ურთიერთობაზე ლონდონის კომპანიებთან, თუმცა შედარებით გადაჭარბებით აქვს შეფასებული ინგლისის ვაჭრობის მნიშვნელობა ისლანდიასთან XV საუკუნეში, მაგრამ მის მიერ მოტანილი მასალა არის ახალი და იმსახურებს დიდ ინტერესს. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კარუს-უილსონი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობას ინგლისის ეკონომიკაში და ინგლისის ქალაქების ცხოვრებაში.

ევროპის დიპლომატიისა და ინგლისის საგარეო ვაჭრობის ისტორიას XVI საუკუნეში იკვლევდნენ ინგლისელი მეცნიერები გ. ბატინგლი (42) და

რ. უერნჰემი (72). ისინი ინგლისის საგარეო ვაჭრობას განიხილავდნენ ცალმხრივად, არ უკავშირებდნენ მას ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. რ. უერნჰემი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საფრანგეთისა და ჰაბსბურგების წინააღმდეგობა ხელს უშლიდა ინგლისს გაეტარებინა აქტიური საგარეო პოლიტიკა. ისტორიკოსი სამართლიანად აღიარებს, რომ ცალკეული მონარქიებისა და დინასტიების ინტერესები დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გატარებაში.

პ. კროუსონი, სწავლობდა რა ტიუდორების საგარეო პოლიტიკას, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ინგლისისათვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა ტერიტორიული ექსპანსია საფრანგეთისა და რომთან კავშირის გაწყვეტა, რამაც შექმნა პერსპექტივა ინგლისის წინააღმდეგ კოალიციის შექმნისა ესპანეთის, საფრანგეთისა და შოტლანდიის მიერ (35: 4-5).

გერმანელი მეცნიერი ლეოპოლდ ფონ რანკე სწავლობს ინგლისის საგარეო ურთიერთობის საკითხებს XVI საუკუნეში. იგი განიხილავს ძალთა თანაფარდობას, მონარქთა და პოლიტიკოსთა პირად ინტერესებს (60). მაგრამ იგი არ აანალიზებს ინგლისის ურთიერთობას ცალკეულ სახელმწიფოებთან. საერთო ჯამში, ინგლისის საგარეო ურთიერთობათა შესწავლისას იგი იყენებს დიდძალ ფაქტობრივ მასალას.

ინგლისის გვიანდელი შუა საუკუნეების ეკონომიკური განვითარების და საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შესწავლა მოგვცა ჯ. რამზეიმ (58). ქალაქ ლონდონის მნიშვნელობის ზრდას იგი ხსნის იმ გარემოებით, რომ მას ჰქონდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და წარმოადგენდა მაუდის წარმოების ცენტრს. გარდა ამისა, ინგლისური მაუდის ექსპორტის მთავარი ცენტრი იმყოფებოდა ცენტრალურ ევროპაში, რაინის ნაპირებზე, ამიტომ ასეთ ვითარებაში ვაჭრობისათვის ქალაქ ლონდონის მდებარეობა იყო უფრო ხელსაყრელი, ვიდრე სხვა რომელიმე ქალაქისა (58:7).

მნიშვნელოვანია მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორის ვილანის შრომები (69, 70). მისი შესწავლის საგანს წარმოადგენს მოსკოვისა და მაროკოს კომპანიები. მოაქვს რა სტატისტიკური მასალა, იგი ცდილობს ახსნას ვაჭრობის ორგანიზება, სავაჭრო კომპანიების შინაგანი სტრუქტურა, მოსკოვის კომპანიის წევრების ქონებრივი, სოციალური და პროფესიონალური სტატუსი XVI საუკუნის 50-იან წლებში. ვილანი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ მაროკოს კომპანიაში მოქმედებდნენ წვრილი გაერთიანებანი. მსხვილი ვაჭრები ამჯობინებდნენ ვაჭრობას ინდივიდუალურად. მისი აზრით, შესაძლებელია აქ იმალებოდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საპაიო კომპანიები გადაიქცნენ მარეგულირებელ კომპანიებად, როგორც ეს მოხდა ლევანტის კომპანიაში. პირველ ხანებში, როცა ვაჭრობა და ნაო-

სნობა ახლად იწყებოდა და ნაოსნობა თანაც საშიში და სარისკო იყო, მსხვილ ვაჭრებს აწყობდათ საპაიო პრინციპი, მაგრამ როცა მათ კაპიტალი დააგროვეს, ისინი დარწმუნდნენ, რომ ვაჭრობა მოგებიანი იყო და დაიწყო საპაიო პრინციპისათვის ხელის შეშლა. მსხვილი ვაჭარი დარწმუნდა, რომ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან საპაიო კომპანიაზე კონკურენციის გზით, შეუძლია მოიპოვოს გამარჯვება და მიიღოს მეტი მოგება, ამიტომ იწყებს საპაიო კომპანიების მიმართ კონკურენციის გაწევას.

ვილანი ზოგიერთი სხვა ისტორიკოსების მსგავსად, საგარეო ვაჭრობას აშორებს საშინაო ვაჭრობას და გადაჭარბებულად აფასებს საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ინგლისელი ისტორიკოსი პიტერ რამზეი (59) უმთავრესად შეისწავლის ტიუდორების პერიოდს, XV-XVI საუკუნეების ინგლისის ისტორიას. რამზეი ასაბუთებს, რომ ინგლისის სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკურ საკითხებს. იგი ერთის მხრივ, ამჩნევდა წინააღმდეგობას სავაჭრო გილდიებს შორის და მეორე მხრივ მწარმოებლებსა და ვაჭრებს შორის ერთსა და იმავე კომპანიის შიგნით. რამზეის მიხედვით, ასეთი წინააღმდეგობის მიზეზი იყო „ქალაქის გილდიების მისწრაფება კონტროლი გაეწიათ ხელოსნებისათვის ქალაქის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ“ (59:99).

ასევე ყურადღებას იმსახურებს ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის მისებური შეფასება, დაკვირვება ლონდონის ბურჟუაზიის წარმოშობაზე, ჯენტრისა და ვაჭართა შემოსაელის განსაზღვრაზე.

1967 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი ისტორიკოსის რების ნაშრომი (61), რომელშიც იგი სხვა საკითხებთან ერთად, ლონდონის სავაჭრო კომპანიების საკითხსაც ეხება. იგი უარყოფს ლივრეის კომპანიების მონაწილეობას საგარეო ვაჭრობაში. მისი აზრით, ერთადერთი ლივრეის კომპანია, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ზღვისპირა ექსპედიციაში, იყო ვირჯინიის კომპანია (61:113). რები საერთოდ, უარყოფს საგარეო ვაჭრობაში და კოლონიურ საქმეებში ლონდონის ლივრეის კომპანიებისა და, საერთოდ, მდიდარ ვაჭართა ფენის მონაწილეობას.

ინგლისის დედაქალაქის სავაჭრო გაერთიანების ისტორიას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, მაგრამ მისი ისტორიის მრავალი საკითხი გვიან ფეოდალურ ეპოქაში ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შესწავლილი. ხანგრძლივი დროის მანძილზე, დაწყებული XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ისტორიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ სავაჭრო კორპორაციების სოციალურ, რელიგიურ და იურიდიულ მხარეებზე, ხოლო მათ ეკონომიკურ ფუნქციებს სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. ჩ. გროსის (30) ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო ინგლისის ქალაქების საკანონმდებლო-

კონსტიტუციური ისტორია. იგი შეისწავლიდა ქალაქების პოლიტიკურ ისტორიას მათ ეკონომიკურ განვითარებასთან კავშირის გარეშე. ეს ცალმხრიობა აშკარად გამოაელინა ჯ. ანვინმა თაეის ფართოდ ცნობილ წიგნში (68), რომელიც ითვლება ლონდონის ხელოსანთა ისტორიის საუკეთესო გამოკელეეად, ანეინი ხოტბას ასხამს კაპიტალისტურ ურთიერთობას და უგულებელყოფს ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესწავლას, XIV საუკუნის მდიდარ ქალაქელებს უწოდებს კაპიტალისტებს.

ჯ. ეშლი იმ ხანის შემსწავლელი ცნობილი ისტორიკოსია, იგი შეეცადა გადაელახა ინგლისის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიებს შორის არსებული ურთიერთობისაგან მოწყეტა. თაეის ნაშრომში (80) იგი დიდ ყურადღებას უთმობდა შუა საუკუნეების ინგლისის ქალაქების განვითარებას. ნათლად ხედავდა სოციალურ დიფერენციაციას არა მარტო ქალაქის შიგნით, არამედ თვით ხელოსნური და სავაჭრო გილდიების შიგნითაც.

ინგლისელ მკვლევრებამდე ლონდონის სავაჭრო გილდიის ეკონომიკური საქმიანობით დაინტერესება გამოამჟღავნეს გერმანელმა მეცნიერებმა. გ. შანცის წიგნი (62), რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თაეისი მეცნიერული მნიშვნელობა, იყო არა მარტო პირველი ტიუდორების სავაჭრო პოლიტიკის შესწავლის ცდა, არამედ იგი ამავე დროს წარმოადგენდა XV საუკუნის დამლეეისა და XVI საუკუნის დამდეგის საეაჭრო კაპიტალის ისტორიის შესწავლის ცდას. გ. შანცი დაინტერესებული იყო უმთავრესად ინგლისელი ეაჭრების საქმიანობით ნიდერლანდების და გერმანიის ბაზრებზე.

ვაჭარ-ავანტიურისტების ისტორიის შესწავლას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ამერიკელი ისტორიკოსი უ. ლინგელბახი (41), თუმცა მისი კელეეის სფერო ეხება უფრო მოგეიანო პერიოდს.

1933 წელს ს. ტრაპმა საესებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ლონდონის სავაჭრო კორპორაციის ფუნქციები იმ დროს ცხოველმყოფელ სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენდა და ნაკლებ ყურადღებას იპყრობდა. ამ სიტყვით იწყებს ს. ტრაპი თაეის სტატიას (66) გროერთა კომპანიის შესახებ, რომელშიც იგი, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, XV საუკუნეში, კორპორაციის მოღეაწეობის მეცნიერულ ანალიზს იძლევა. 1948 წელს გამოქვეყნდა ს. ტრაპის ახალი ნაშრომი (67), რომელშიც იგი იკელევს ლონდონელი ვაჭრების კავშირს მიწათმფლობელებთან.

ისტორიკოსების–მ. პ. დეილის (20), ე. ლ. გრეის (31), გ. გრინის (32), ჰ. ფიშერის (26) შრომები აგრეთვე უხვად იძლევა საინტერესო მასალას ინგლისის დედაქალაქის ვაჭრობის ისტორიის შესწავლისათვის XV და XVI საუკუნეებში.

ინგლისელი ისტორიკოსები დ. ფროუდი (28), პოლარდი (45, 46) და ჯ. ფიშერი (27) გადაჭარბებით აფასებდნენ ინგლისის როლს XVI საუკუნის ევროპის პოლიტიკაში, ისინი მიიჩნეულნენ, რომ ინგლისის გაბატონებას ატლანტიის ოკეანეში და ევროპაში პოზიციების დაკავებას ხელს უშლიდა ესპანეთი, რომელიც XVI საუკუნეში ინგლისის დაუძინებელი მტერი იყო. მათი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ისინი XV საუკუნის ინგლისის საგარეო პოლიტიკას არ უკავშირებდნენ ამ ქვეყნის მიმდინარე ადრეკაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესებს. გადაჭარბებით აფასებდნენ ინგლისის როლს ევროპის საერთაშორისო ურთიერთობაში, აზვიადებდნენ ტიუდორების ძალაუფლების მნიშვნელობას.

XX საუკუნის 60-იან წლებში ინგლისში გამოცემულ ახალ შრომებს შორის დიდ ინტერესს იწვევს ინგლისელი ისტორიკოსის ე. ჯეკობის ნაშრომი XV საუკუნის ინგლისის შესახებ (36). მეტად მოსაწონია ის, რომ ჯეკობი ამჩნევს სოციალურ დიფერენციაციას და XV საუკუნის ინგლისის ქალაქების მოსახლეობის დაყოფას მდიდარ, საშუალო და ღარიბ ფენებად. მისი გამოკვლევიდან ჩანს, რომ მდიდარი ვაჭრები მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა სავაჭრო გილდიებს. ე. ჯეკობი აღნიშნავს, რომ მრავალ ქალაქში სავაჭრო გილდიების წევრები იყვნენ ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები — მერები და ოლდერმენები, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება გავიზიაროთ მისი აზრი იმის შესახებ, რომ, ერთი მხრივ, ხელოსნებსა და, მეორე მხრივ, მერსა და გილდიის ოლდერმენებს შორის ყოველთვის იყო თანხმობა და ჰარმონიული ურთიერთობა.

რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიაში არ შეთხზულა სპეციალური მეცნიერული გამოკვლევები ინგლისის სავაჭრო კომპანიებისა და სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ, ხოლო მ. მ. კოვალევსკის (108, 109, 110), დ. მ. პერტუშევსკის (135, 136) და ა. კ. ჯივილეგოვის (90, 91) ზოგადი ხასიათის შრომებში მხოლოდ ნაწილობრივადაა გაშუქებული ინგლისის ვაჭრობა და საქალაქო ცხოვრება.

რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, მეცნიერებმა განსაკუთრებით მაშინ დაიწყეს ინგლისელ ვაჭართა საქმიანობის კვლევა, როცა დაისახეს მიზნად ინგლისის კოლონიური სისტემის ისტორიის შესწავლა.

მ. მეშერიაკოვი (127, 128) იკვლევდა ინგლისის ისტორიის რევოლუციამდელ პერიოდს. მას აინტერესებდა მრეწველობის განვითარება და ინგლისში შეისწავლა კაპიტალისტური წარმოების განვითარების სხვადასხვა ფორმა, ვაჭარ-შემსყიდველთა როლი მრეწველობის ორგანიზაციაში, დაქირავებული შრომის ფართო გამოყენება მრეწველობაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ავტორი არ შემოიფარგლება ერთი

ქალაქის, ან შაირის ჰასალების შესწავლით, ხოლო ქალაქ ლონდონს იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს.

ვ. ვ. შტოკმარმა თავის შრომებში (181, 182, 183, 184, 185) შეისწავლა ინგლისის ქალაქების ისტორია XV-XVI საუკუნეებში. მისი აზრით, ინგლისის ქალაქების ეკონომიკაში მთავარ როლს ასრულებდნენ ვაჭრული ლივრეის კომპანიები. ისინი იმორჩილებდნენ ქალაქის ხელოსნებს, განსაკუთრებით ეს შეინიშნებოდა ლონდონში, სადაც თორმეტმა ე. წ. „დიდმა კომპანიამ" მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა, როგორც ეკონომიკაში, ისე ქალაქების მმართველობაში. XVI საუკუნის ინგლისში, ასკვნის იგი, ფართოდ მიმდინარეობს ე. წ. ამალგამაციის პროცესი. ხდება საგარეო საბითუმო ვაჭრობის გამოყოფა საშინაო საცალო ვაჭრობისაგან.

ლონდონის ლივრეის კომპანიების ან გილდიების შესახებ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა მ. მ. იაბროვამ (191). მისი აზრით, ლონდონში ბურჟუაზია წარმოიშვა უფრო ადრე, ვიდრე ინგლისის რომელსამე სხვა პუნქტებში. მისი ფორმირების ერთ-ერთი წყარო იყო ე. წ. ლივრეის კომპანიები. იგი ლივრეის კომპანიების წარმოშობას უკავშირებს ამალგამაციის პროცესს და ხსნის თუ რა გზით ხდებოდა ეს ამალგამაცია, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე კაპიტალის კონცენტრაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა.

მ. მ. იაბროვა თავის მეორე ნაშრომში (192) იკვლევს ლონდონის ლივრეის კომპანიების მონაწილეობას საგარეო ვაჭრობაში. იგი ავითარებს იმ აზრს, რომ ვაჭარ-ავანტიურისტები და ფუფუნების საგნებით მოვაჭრეთა კომპანია, ე. ი. მერსერთა გილდია მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. თუმცა, ამავე დროს ასკვნის, რომ ეს არ გამორიცხავდა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის ვაჭრობაში ლონდონის სხვა ლივრეის მონაწილეობას. იგი სამართლიანად ასაბუთებს, რომ ლივრეის კომპანიები არ შეიძლება ქონებრივად ყოფილიყვნენ ერთნაირნი. ამასთანავე, ლივრეის უმრავლესობას არ შეადგენდნენ მდიდრები.

საინტერესოა, აგრეთვე, მისი შრომები კომერციული კრედიტის (193, 194), ინგლისში ადრეკაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა (195) და კოლონიური ექსპანსიის შესახებ კაპიტალის ე. წ. „თავდაპირველი დაგროვების" ეპოქაში (190).

საბჭოთა მედიევისტიკაში ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის ისტორიას მიეძღვნა ვ. ვ. სტოკლიცკაია-ტერეშკოვიჩის ნაშრომი (165). ავტორი კრიტიკულად აანალიზებს პირველწყაროებს და ინგლისელ ისტორიკოსთაგან განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს. XVII საუკუნის დამლევს ინგლისის ვაჭრობის ისტორიის შესახებ ეს მკვლევარი საუსებით სწორად აღნიშნავს,

რომ ვაჭარ-ავანტიურისტების მთავარი მიზანი იყო მაუდის გატანა უცხოეთში. მათი საქმიანობის წყალობით ეს საქონელი აღწევდა ისეთ სავაჭრო ცენტრს, როგორიცაა ანტვერპენი და იქიდან ვრცელდებოდა მთელ ევროპაში. ვაჭარ-ავანტიურისტები გადაიქცნენ მთავარ ბირთვად ამ პერიოდის ინგლისის საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში.

ვ. ვ. სტოკლიცკაია-ტერეშკოვიჩს აქვს ასევე გამოკვლევები შუა საუკუნეების ხელოსანთა გილდიებისა და ქალაქების შესახებ X-XI საუკუნეებში (166, 167).

1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ს. პ. პეტროვა-მარკოვამ იორკის მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტების შესახებ XIV საუკუნიდან XVII საუკუნის დამდეგამდე (138). ამ კომპანიის ისტორიას იგი სწავლობს კომპანიის შესახებ მ. სელერსის მიერ შეკრებილი დოკუმენტების საფუძველზე. იგი ასაბუთებს, რომ იორკის მერსერთა კორპორაცია უფრო ფართო იყო თავისი მოღვაწეობისა და შემადგენლობის თვალსაზრისით, ვიდრე დედაქალაქისა. იმავე სახელწოდების კომპანიის წევრები, მისი აზრით, იყვნენ უნივერსალური ვაჭრები, რომლებიც არ იყვნენ შეზღუდულნი განსაზღვრული საქონლის ვაჭრობით. ს. პ. პეტროვა-მარკოვამ თავის შრომებში (139, 140, 141, 142) წამოაყენა საინტერესო საკითხები იორკის მერსერთა კომპანიის წარმოშობის, მისი სტრუქტურისა და შემადგენლობის, სავაჭრო საქმიანობის, ქალაქის მმართველობაში მისი როლისა და სხვათა შესახებ. იგი შეეხო იორკის კომპანიის ურთიერთობას ლონდონის მერსერთა კომპანიასთან. ს. პ. პეტროვა-მარკოვა ადარებს ერთმანეთს ამ ორ კომპანიას და ყურადღებას ამახვილებს მათ შორის არსებულ განსხვავებაზე. მისი აზრით, ლონდონის მერსერები ეწეოდნენ საბითუმო ვაჭრობას და ვაჭრობდნენ სპეციალურად განსაზღვრული საქონლით, კერძოდ, მაუდით. მართლაც, „ნიუბოლდის წიგნი“ იძლევა იმის საიმედო დადასტურებას, რომ ლონდონელი მერსერები ეწეოდნენ საბითუმო ვაჭრობას, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა მათ მიერ საცალო ვაჭრობასაც. მერსერები მაუდის გარდა ვაჭრობდნენ სხვა საქონლითაც. ამიტომ, ამ მხრივ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ს. პ. პეტროვა-მარკოვას.

ნიუკასლის ვაჭარ-ავანტიურისტთა შესახებ საინტერესო შრომები ვ. ა.ევსეევამ (94, 95), გამოსცა. მან გაარკვია კომპანიის წარმოშობა, მის., სავაჭრო საქმიანობა და სოციალური შემადგენლობა. მისი აზრით, ნიუკასლის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია ვაჭრობდა იმავე საქონლით, რითაც ლონდონელი ვაჭარ-ავანტიურისტები და, ამიტომ, საშინაო და საგარეო

ბაზარზე მას არ შეეძლო მისთვის კონკურენციის გაწევა. XVI საუკუნის შუა ხანებამდე ნიუკასლის სავაჭრო კომპანია, არსებითად, ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიისათვის ადგილობრივ განყოფილებას წარმოადგენდა, ლონდონელები კი ავრთიანებდნენ დედაქალაქის ვაჭრებს.

ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ლევანტთან შეისწავლა გ. ი. ციპურინამ (188, 189). მისი აზრით, XVI საუკუნის მეორე ნახევარი იყო ინგლისის საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი განვითარების პერიოდი. ინგლისის სავაჭრო ფლოტის გაძლიერებამ და ინგლისელ ვაჭართა საქმიანობის გაფართოებამ დააკარგვინა ვაჭარ-შუამავლობის როლი პანზელ, ვენეციელ, ესპანელ ვაჭრებს. დასავლეთი ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობაში განიმტკიცა თავისი პოზიციები ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ, რომელსაც გაჰქონდა ამ ქვეყნებში ინგლისური მაუდი. 1581 წელს ინგლისში შეიქმნა ლევანტის კომპანია, რომელმაც მიიღო მონოპოლია ვაჭრობაზე ოსმალეთის სულთნის სამფლობელოებში. საბოლოო ჯამში, ინგლისელი ვაჭრების საქმიანობამ ლევანტში ხელი შეუწყო ინგლისის სავაჭრო კაპიტალის შეჭრას ოსმალეთში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. იქიდან ნედლეულის შემოტანამ კი ბიძგი მისცა ბამბისა და აბრეშუმის მრეწველობის განვითარებას ინგლისში (188:44).

ლევანტთან სავაჭრო ურთიერთობას შეისწავლიდა, ასევე, მ. გ. ოსოკინი (134). მისი აზრით, ლევანტი წარმოადგენდა იდეალურ ბაზარს ინგლისის მაუდისათვის, ვინაიდან ინგლისური მაუდი ფართოდ იხმარებოდა ოსმალეთის საზოგადოებისა და არმიის მიერ. ამასთანავე, ინგლისური ქსოვილი კონკურენციას უწევდა ვენეციურ და ფრანგულ მაუდს, რადგან იგი იყო შედარებით უფრო იაფი. ქსოვილების გარდა, ინგლისელებს იქ გაჰქონდათ ლითონები: ტყვია, ვერცხლისწყალი (სინდიყი), კალა, თუჯი და ფოლადი. ხოლო ლევანტიდან ინგლისში აბრეშუმისა და ბამბის ნედლეულის შემოტანამ ხელი შეუწყო ინგლისში შესაბამისი მრეწველობის განვითარებას, რომელთაც ოსოკინის აზრით, თავიდანვე ჰქონდა კაპიტალისტური ხასიათი.

ჯ. ბოლტონი (87) იკვლევს ინგლის-ბალტიისპირეთის ვაჭრობას XVI საუკუნეში. იგი აღნიშნავს, რომ ინგლისი XVI საუკუნის შუა ხანებიდან იწყებს აქტიურ შეღწევას ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც ადრე წამყვანი პოზიციები გააჩნდა ჰანზას. ბოლტონი აანალიზებს ლონდონის საზღვაო ჟურნალს (1567-1578 წწ.), რომელიც ადასტურებს, რომ ინგლის-ბალტიისპირეთის ვაჭრობა გაფართოვდა 1579 წლის შემდეგ, როცა დაარსდა ინგლისელთა ისტლენდიის კომპანია. იგი ადგენს ინგლისური

ხომალდების ოდენობას და 1586-1600 წლებში ინგლისის ბალტიისპირეთთან ვაჭრობას.

ინგლისის საავაჭრო კომპანიების – ვაჭარ-ავანტიურისტების, მოსკოვის, ოსტ-ინდოეთის, ვირჯინიის კომპანიების შესახებ ცნობებს გვაწვდის პ. პ. შჩოგოლევი (186). მისი აზრით, ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია საავაჭრო ოპერაციებში ვაჭართა მონაწილეობას მათი სტაჟით არეგულირებდა: „15 წლის სტაჟი აძლევდა უფლებას კომპანიის წევრს გაეზარდა თავისი წილხვედრი საქონლის გატანაში 1000 თოფ მაუდამდე (186; 11).

ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის ისტორია შეისწავლა ე. პ. ოლტარჟევსკიმ (130).

ე. ვ. კუზნეცოვი თავის სტატიაში „ლონდონის ქსოვილით მოვაჭრეთა გილდია XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დამდეგს“ (116) შეეხო კაპიტალის დაგროვების მეთოდებს, ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმებს, გილდიის სტრუქტურას, საავაჭრო გაერთიანების პოლიტიკურ ფუნქციას, კომპანიის საქმიანობას და ა. შ. მან მოგვცა აღნიშნული გილდიის მრავალმხრივი საქმიანობის სრული ანალიზი. მისი მეორე ნაშრომი (114) მიეძღვნა ინგლისის სამეფო ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას. მისი აზრით, იორკთა დინასტიის მეფეთა – ედუარდ IV-ისა და რიჩარდ III-ის დროს გამოცემული სტატუტების ნახევარზე მეტი ეხებოდა მრეწველობისა და ვაჭრობის საკითხებს. იგი ასევე გვაძლევს ცნობებს კალეს სტაპლერთა კომპანიის შესახებ, ბურგუნდიის საჰერცოგოსთან ინგლისის საავაჭრო ურთიერთობის შესახებ, აანალიზებს იმ სტატუტებს, რომლებიც არეგულირებდა უცხოელების ვაჭრობას ინგლისის ტერიტორიაზე.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის საკითხებს იკვლევდნენ ი. ნ. ფრიშინა (169), ი. ე. იუნინი (97, 98), ო. ბ. დიომინი (92, 93) და მ. ვ. ზაიალოვი (76). ე. იუნინმა შეისწავლა ინგლისისა და რომის სალმრთო იმპერიის პოლიტიკური ურთიერთობა XV-XVII საუკუნის პირველ ნახევარში, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიისა და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შესწავლაში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე.

ო. დიომინი იკვლევდა ინგლისის საგარეო პოლიტიკის საკითხებს, კერძოდ, ინგლის-ნიდერლანდების ურთიერთობას XVI საუკუნესა და XVII

საუკუნის დასაწყისში. ავტორმა მოგვცა ნათელი სურათი ინგლისის აბსოლუტიზმის დამპყრობლური პოლიტიკისა ნიდერლანდებში. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ღრმა ცვლილებები განაპირობებს გაჩენას ახალი სოციალური ფენის – ჯენტრისას, ვისი ინტერესებიც ახლოს იყო ახლად ჩამოყალიბებული ბურჟუაზიის ინტერესებთან. კაპიტალიზმის ჩასახვა და განვითარება მანუფაქტურულ წარმოებაში, სამთო და მეტალურგიის საქმეში ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

საგარეო ვაჭრობის საკითხებს შეეხო, აგრეთვე, ს. დ. სკაზკინი (160, 161). იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ აბსოლუტური მონარქიის ხანგრძლივობა პირდაპირ დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად იყო ერთმანეთთან ახლოს ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ინტერესები. ამ მხრივ ყველაზე ადრეულ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ინგლისი, სადაც თავადაზნაურობა ადრევე ამყარებს კავშირს ბურჟუაზიასთან, ვიდრე ბურჟუაზია გახდებოდა გაბატონებული კლასი (161:142). ს. დ. სკაზინის აზრით, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი პერიოდი ხასიათდებოდა ნაციონალური სახელმწიფოების და აბსოლუტური მონარქიის ფორმირებით. ადრეკლასობრივი ურთიერთობის განვითარება მიმდინარეობდა საზოგადოებრივ ურთიერთობასთან მწვავე ბრძოლაში. წარმოებდა ლოკალური ბაზრების გარდაქმნა ნაციონალურად, იწყებდა განვითარებას საერთაშორისო ბაზარი. შუასაუკუნეობრივი მევახშეობა ადგილს უთმობდა საბანკო კრედიტს. იწყებოდა კოლონიების დაპყრობა და ათვისება (59).

ი. პეტროვი შეისწავლიდა ინგლისის კაპიტალიზმის ისტორიას მისი განვითარების გარიჟრაჟზე (143), ხოლო ნ. ჩისტოზვონოვი იკვლევდა კაპიტალიზმის გენეზისის საკითხებს ევროპაში, კერძოდ, ინგლისში და ნიდერლანდებში (171, 172, 173, 174, 175, 176).

საბჭოთა ისტორიკოსების – ი. ა. ლევიცკის (120, 121, 122, 123) ა. ა. კირილოვას (103, 104, 105, 106), ე. ვ. გუნტოვას (88, 89), ა. ა. სვანიძის (159), ლ. ს. რაფიენკოს (147), ლ. ს. რეპინას (148, 149), ა. ვ. ისაენკოს (99), ვ. მ. ლავროვსკის (118), ი. მ. ოსინოვსკის (131, 132, 133), ფ. ი. პოლიანსკის (144, 145, 146), ი. მ. საპრიკინის (153, 154, 155), ვ. ვ. სემიონოვის (156, 157, 158), ს. ა. სლივკოს (162, 163), ა. ნ. სავინის (150, 151, 152), ე. ა. კოსმინსკის (111, 112, 113), პ. პ. შჩოგოლევის (186), მ. ა. ბარგის (84), კ. დ. ავდეევას (81), ე. ჯაჭვაძის (203, 204), ს. კარპოვის (101), მ. მ. კოვალევსკის (108, 109), ნ. გომართელის (200,

201, 202), პ. ნ. შჩერბანის (187), ვ. ი. იაკოვენკოს (196) მიერ არის დაწერილი გამოკვლევები დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემებზე ინგლისის სოციალურ ისტორიაზე, სოციალური და რეფორმაციული მოძრაობის შესახებ, რომელთაც დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ.

განსაკუთრებით საინტერესოა ი. ა. ლევიცკის ნაშრომი (119), რომელშიც მან ახლებური განმარტება მისცა ტერმინს „Gilda mercatoria" ანუ „Gild mercatorum", რასაც ინგლისელი ისტორიკოსები (Ch. Gross და სხვანი) განმარტავენ როგორც „Gild merchant" ანუ „Merchant Gild", ხოლო, შესაბამისად რუსულ ლიტერატურაში დამტკიცდა ამ ტერმინის იგივე ინტერპრეტაცია „ვაჭართა გილდია". ი. ა. ლევიცკის აზრით, უფრო სწორი იქნება, თუ ამ ტერმინს გადავთარგმნით, როგორც „სავაჭრო გილდიას" და არა „ვაჭართა გილდიას", რადგანაც „mercator" XI-XII საუკუნეების ინგლისში ეწოდებოდა ვაჭარსაც, ხელოსანსაც და სოფლად მცხოვრებსაც. ზოგჯერ მათში შედიოდნენ ფეოდალებიც, რომელიც დაკავშირებულნი იყვნენ ქალაქის ვაჭრობასთან.

ქართველი ისტორიკოსის გრ. ჩხარტიშვილის (178, 179, 180) მიხედვით, ჰენრი I-ის დროს (XII საუკ.) სავაჭრო გილდიის შექმნის უფლება მიიღეს ქალაქებმა ბრისტოლმა, დარემმა, საუტჰემპონტმა, ლინკოლნმა, ოქსფორდმა და სხვებმა. ამასთანავე, მისი აზრით, ქ. ლონდონი, რომელიც ვაჭრობის და ხელოსნობის განვითარების მიხედვით, მაღალ საფეხურზე იდგა, არ შედიოდა იმ ქალაქების რიცხვში, რომელთაც ამ პერიოდში გააჩნდათ სავაჭრო გილდია. ცხადია, ვერ დავეთანხმებით გრ. ჩხარტიშვილს ამ საკითხში, ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული წყარო – („მერსერთა საბჭოს აქტები") („ნიუბოლდის წიგნი") შეიცავს ცნობას იმ პერიოდში სავაჭრო გილდიის არსებობის შესახებ ქ. ლონდონშიც. მეორე ქართველი ისტორიკოსი ი. მენთეშაშვილი (129) სწავლობს ინგლისელთა ოსტ-ინდური კომპანიის მოღვაწეობას XVI-XIX საუკუნეებში. იგი ერთმანეთს ადარებს აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციას და ასკვნის, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. მეტად საყურადღებოა ამ ავტორის ცნობები ინგლისის საზღვაო ფლოტის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ XVI საუკუნის ინგლისისათვის დამახასიათებელი ნიშანი იყო ზღვაოსნობის განვითარება. ინგლისელ ზღვაოსანთა ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა ახალი გზების ძიება ოსტ-ინდოეთში. XVIII საუკუნეში ინგლისელთა ოსტ-ინდოეთის კომპანია წარმოადგენდა ინგლისის ვაჭრულ-ფინანსური ცხოვ-

რების მთავარ წარმმართველ ძალას. მისი აზრით, ბრიტანეთის ბატონობის დამყარება ინდოეთში წარმოადგენდა ინგლისის და ინდოეთის ისტორიული განვითარების კანონზომიერ შედეგს XVIII-XIX საუკუნეებში. ეს იყო გარდაუვალი გზა ორი ცივილიზაციისა: აღმოსავლეთისა და დასავლეთის – ერთმანეთთან დაკავშირებისა (129:226-229).

მიუხედავად ასეთი ინტენსიური კვლევისა, სამწუხაროდ, მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ ჯერ არაა შეთხზული ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელშიც მოცემული უნდა ყოფილიყო „მერსერთა საბჭოს აქტების" („ნიუბოლდის წიგნის") მრავალმხრივი ცნობების სრული მეცნიერული ანალიზი. აღნიშნულ წყაროს ნაწილი გამოყენებულია ჩვენს ნაშრომში "ლონდონის მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია XV-XVI საუკუნის დასაწყისში" შესრულებისას (86), ამასთანავე „ნიუბოლდის წიგნი" საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ინგლისის სავაჭრო კომპანიების: სტაპლერების და ვაჭარ-ავანტიურისტების ურთიერთობა მერსერთა კომპანიასთან, ინგლისის ურთიერთობანი ნიდერლანდებთან, ჰანზასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან და ნიუ-ფაუნდლენდთან, სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა, საზღვაო ფლოტის განვითარების პირობები. ფართო სავაჭრო ოპერაციების განხორციელების გზები და მეთოდები, რამაც ძალიან დიდი როლი შეასრულა ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და ინგლისის დაწინაურებაში.

თავი I. ინგლისის სავაჭრო კომპანიები

1. ინგლისელების სტაპლერთა კომპანია

კაპიტალიზმის განვითარების ადრეული სტადია – XIV საუკუნის მეორე ნახევარი გამოიხატა შალის სასაწყობო ვაჭრობის ორგანიზაციაში, რისთვისაც შეიქმნა ე. წ. მესაწყობეთა (Staplers) კომპანია.

საინტერესოა სტაპლერთა კომპანიის წარმოშობა, საქმიანობა და მისი ურთიერთობა სხვა კომპანიებთან XIV-XV საუკუნეებში.

სანამ უშუალოდ სტაპლერთა კომპანიის საკითხს შეეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ მაუდის წარმოების განვითარების ზოგიერთ საკითხზე და სტაპლერთა კომპანიის შექმნის პირობებზე ინგლისში.

მაუდის წარმოება იყო ინგლისის ერთ-ერთი უძველესი დარგი. ინგლისიდან მატყლის ექსპორტს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ანგლო-საქსონურ პერიოდში – VII-VIII საუკუნეებში. ნორვეგიელთა თქმულებები აღნიშნავენ შალის ქსოვილების ექსპორტს ბრიტანეთიდან X საუკუნეში (50: 243-245). პირველი ხარისხის ქსოვილებს შორის, რომელთაც ყიდულობდნენ გენუელები. გეხვდება როგორც შეულებავი, ისე შეღებილი ინგლისური მაუდი (მწვანე, ყვითელი, წითელი, შავი ან ყავისფერი). 1191 წელს თოფი ინგლისური მაუდი ღირდა 6,6 ლივრი. 7 წლის შემდეგ 1198 წელს გაიზარდა მისი ფასი და უდრიდა 9 ლივრსა და 2, 1/2 სოლიდს, 1201 წელს – 9 ლივრსა და 15 სოლიდს და ბოლოს 1205 წელს – 12 ლივრსა და 10 სოლიდს, განსაკუთრებით ფასობდა „სტანფორდის მაუდი" (24: 62-63). დე პოერკუს მიხედვით აღნიშნული მაუდის სახელწოდება წარმოდგება ინგლისური ქალაქის სტანფორდის სახელწოდებისაგან, (177: 142-144). დე პოერკუს ვერსია, დამაჯერებელი უნდა იყოს, ვინაიდან მაუდის წარმოებას ინგლისში უძველესი ტრადიციები გააჩნდა და შემთხვევითი არ უნდა იყოს „სტანფორდის მაუდის" ხსენება.

როგორც ირკვევა, მაუდის ქსოვილებს აწარმოებდნენ ქ. სტ-ანფორდში. გვიან მას აწარმოებდნენ კონტინენტზე, ნაწილობრივ არსაში. გენუელი ვაჭრები ყიდულობდნენ ინგლისურ მაუდს არას-ელ და იპრელ ვაჭრებისაგან. საინტერესოა ინგლისური მაუდის ფასები 1198-1205 წლებში ჯოვანი გიბრეტის საკანცელარიო ჩან-აწერების მიხედვით (იხ. ცხრილი №2) (177: 142).

ცხრილი №2

წლები	მაუდის დასახელება	ერთი თოფის ღირებულება
1198	ერთი თოფი ინგლისური მაუდის ფასი	9 ლივრი და 2 1/2 სოლიდი
1201	„	9 ლივრი და 15 სოლიდი
1203	„	17 ლივრი და 3 სოლიდი
1205	ინგლისური შელებილი მაუდის ფასი	13 ლივრი და 6 სოლიდი
1205	ინგლისური შეუღებავი მაუდის ფასი	16 ლივრი და 6 სოლიდი

მაუდი რომ მნიშვნელოვანი რაოდენობით მზადდებოდა ინგლი-სში ჯერ კიდევ XIII საუკუნეში, ჩანს ასიზებიდან (177:142). მაუდი რომ იღებებოდა ამაზე მეტყველებს დიდი რაოდენობის საღებავების შემოტანა ინგლისში. მაგრამ ნიდერლანდების და რაინისპირა ქალაქებთან შედარებით ინგლისური მაუდის წარმოება მაინც ჩამორჩებოდა (80:464).

მაუდის წარმოება ეყრდნობოდა ინგლისური ნედლეულის ბაზას. არ იყო შაირი, სადაც არ ყოფილიყო მოშენებული სხვადასხვა ჯიშის ცხვარი. ისტორიკოს პ. ე. პელსემის აზრით, XIV საუკუნ-ის ბოლოს ინგლისში ითვლიდნენ 8 მლნ. ცხვარს. ინგლისში მოშ-

ენებულ ცხვარს ჰქონდა ნაზი ბეწვი. განსაკუთრებით ფასობდა კოსვოლდის (Gosvolds - გლოსტერშირში ადგილის სახელწოდებაა) ჯიშის ცხვარი, რომელიც გავრცელებული იყო გლოსტერშირში, სომერსეტშირში და უესტერშირში. ქვეყნის გარეთ მაღალ შეფასებას იმსახურებდა ბერკშირის, ოქსფორდშირის, კემბრიჯშირის, ნორფოლკის, სესექსის, კენტის შალი. ყველაზე ძვირფასი ხარისხის მატყლი მზადდებოდა დასავლეთ შაირებში, რომელიც მოიცავდა შროპშირსა და უელსის ოლქის გარშემო ტერიტორიას. ფასი ერთ ტომარა მატყლზე შეადგენდა 9 გირვანქა სტერლინგს, 6 შილინგსა და 8 პენსს. ჰერიფოდშირის შალი ფასობდა 13 გირვანქა სტერლინგად, კოსვოლდის მატყლი გლოსტერშირიდან ღირდა 8 გირვაქა სტერლინგი, 6 შილინგი და 8 პენსი. შემდეგ მოდიოდა შალი უოლტშირიდან, ოქსფორდშირიდან, ბერკშირიდან, ლინკოლნშირიდან, ნოტინგემშირიდან, გემპშირიდან, სადაც მატყლის ფასი განისაზღვრა 4 გირვანქა სტერლინგზე მეტად. შედარებისთვის მივუთითებთ, რომ ერთი ტომარა კოსვოლდის შალი კალეში XV საუკუნის 70-80-იან წლებში ფასობდა 12 გირვანქა სტერლინგად, 13 შილინგად და 4 პენსად. 1343 წელს მაღალი შეფასება ეძლეოდა დასავლეთი ლინკოლნშირის და შროპშირის შალს, ასევე ჰერიფორდშირის ზოგიერთი ადგილის შალს, მაგალითად დორის სააბატო მატყლს. შემდეგ მოდიოდა გლოსტერშირის, ლეისტერშირის, დასავლეთი ოქსფორდშირის შალი. ამ შაირებში ტომარა მატყლი ფასობდა 12-დან 15 მარკამდე და უფრო მეტადაც. 10-11 მარკას იხდიდნენ აღმოსავლეთი ლინკოლნშირის, სომერსეტშირის. უორვიკშირის, აღმოსავლეთი ოქსფორდიშირის, ბეკინგემშირის, ბედფორდშირის, ჰერიფორდშირის, ესექსის, ნოტინგემშირისა და იორკშირის მატყლში.

თუ გამოვრიცხავთ ჩრდილოეთის შაირებს აქ XIV-XV საუკუნეებში მეცხვარეობის უპირატესობით უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ისინი ურთიერთისაგან.

1453 წელს ძვირფას მატყლეულობას შორის არ არის მოხსენიებული ბედფორდშირი. თუმცა ეს შაირი ფიგურირებდა 1343 წელს პირველ ადგილზე. ხოლო XV საუკუნეში მაღალ

ფასოვან შალის მწარმოებელ შაირების სიას მიემატა ბერკშირის, ვუსტერშირის, გემპშირისა და უოლტშირის შალი. ამრიგად, თითქმის არ დარჩენილა შაირი, სადაც არ ფიგურირებდა ძვირფასი შალის ქსოვილის წარმოება.

მაუდის წარმოებისთვის საჭირო იყო განსაკუთრებული ხარისხის მატყლი მოკლეტალღოვანი და გრძელტალღოვანი (13:28).

მაუდის წარმოებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ელისაბედ I -ის მეფობის დროს (1558-1603), ხოლო 1634 წლისათვის მაუდის მწარმოებელთა რიცხვი 2 ათას კაცს შეადგენდა (127:183). ამ დროს მაუდის წარმოება განსაკუთრებით ყოფილა განვითარებული უოლტშირში, სომერსეტშირში, გლოსტერშირში, კენტში, კემბერლენდში, დერამში, კორნუელსში. მაუდის წარმოება შედარებით სუსტად იყო განვითარებული ნორტჰემტონშირის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც მაუდის წარმოებით დაკავებული ყოფილა მხოლოდ 50 კაცი. მაუდის წარმოების უძველესი ცენტრები ყოფილა იპსვიჩი, ვუსტერი, ბერკლი, საირენჩესტერი. ხოლო სეფოლკში ახალი ცენტრი ყოფილა ლევენჰემი. იორკშირის ჩრდილოეთით – ლიდსი, ბრედფორდი. სულ ყოფილა მაუდის წარმოების 117 ცენტრი (127: 193).

XIV-XV საუკუნეებში მატყლი და შალის ქსოვილები იყო ინგლისური ექსპორტის მთავარი საგნები. სავაჭრო კაპიტალის შექმნას ხელს უწყობდა მატყლით ვაჭრობა. 1401 წელს ჩიპინგკემპდენი (გლოსტერშირის სოფელი) იყო ერთ-ერთი ცენტრი მატყლით ვაჭრობისა ინგლისში (79:55). ადრეული პერიოდიდან მატყლი გაჰქონდათ ინგლისიდან გენტში, ბრიუგეში, იპრში და ფლანდრიის სხვა ქალაქებში, მისგან ამზადებდნენ მაღალხარისხოვან მაუდს.

ინგლისურ მატყლზე სწრაფად იზრდებოდა ფასები და ამიტომ მნიშვნელოვნად შემცირდა მისი შეტანა ნიდერლანდებში. XIV საუკუნის შუა ხანებში შემოჰქონდათ 7,5 ათასი ტომარა, ხოლო 1532 წლისათვის 1168 ტომარა მატყლი წელიწადში (176:77).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფლანდრია და მისი მეზობელი ქვეყნები ღებულობდნენ ნედლეულს ინგლისიდან. შესაძლებელია ამ გარემოებამ ჩაუნერგა ინგლისელებს აზრი იმის შესახებ, რომ

ნედლეულის გატანა ხელს უშლიდა ქვეყნის შიგნით მის დამუშავებას. ამიტომ თავდაპირველად ფიქრობდნენ მატყლის გატანის აკრძალვას, ვარაუდობდნენ, რომ მოაკლდებოდათ რა უცხოელებს ინგლისური ნედლეული, ვერ შეძლებდნენ მათ მიერ დამზადებული მაუდის შემოტანას ინგლისში, რის შედეგადაც გაიზრდებოდა მოთხოვნილება ადგილობრივი წარმოების მაუდზე და, გარდა ამისა, ინგლისელი ხელოსნები მიიღებდნენ უფრო იაფად ნართს, რადგან მთელი მატყლი გამოყენებული იქნებოდა ქვეყნის შიგნით. //

პირველ შემთხვევას ინგლისური მატყლის (ნედლეულის) გატანის აკრძალვისა ვხვდებით ოქსფორდის 1258 წლის პარლამენტის დადგენილებაში. მიღებულ იქნა კანონი, რომ მატყლი დაემუშავებინათ ინგლისში და აეკრძალათ მისი გატანა ქვეყნის გარეთ და რომ ყოველ ინგლისელს ეტარებინა ადგილობრივი მაუდის ტანსაცმელი. ბარონები ურჩევდნენ ხალხს „არ გატაცებულიყვნენ ძვირფასი ტანსაცმლით“ (78:466).

// შალის ქსოვილების წარმოება არ იყო ამ პერიოდისათვის იმდენად განვითარებული, რომ ყველა ნედლეული დაემუშავებინათ ქვეყნის შიგნით, ამიტომ დიდი ნაწილი მატყლისა გადიოდა ევროპის ბაზრებზე, რაც ინგლისის გამდიდრების მთავარი წყარო იყო. 1257 წელს ბარონებმა განაცხადეს პარლამენტზე, რომ მატყლი შეადგენს ქვეყნის სიმდიდრის თითქმის ნახევარს. ეს იყო ერთადერთი საქონელი, რომელზედაც მთავრობას შეეძლო დაედო ნებისმიერი ბაჟი, რომელსაც გადაიხდიდნენ უცხოელები. // 1275 წელს ერთ ტომარა მატყლზე გადასახადი შეადგენდა 6 შილინგსა და 8 პენსს. 1303 წელს დაემატა ახალი ბაჟი – 3 შილინგი და 4 პენსი ერთ ტომარა მატყლზე. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მთავრობამ მიიღო ბაჟის სახით 5962 გირვანქა 2 შილინგი და 6 პენსი (81: 36-37). მატყლის გატანის აკრძალვის მეორე ცდას ადგილი ჰქონდა 1271 წელს, როცა აიკრძალა მატყლის გატანა და მაუდის შემოტანა. მაგრამ ეს ბრძანება გააუქმეს 1274 წელს. ედუარდ III (1327-1377) დარწმუნდა, რომ ინგლისს შეეძლო თავის დაღწევა ფლანდრიის მაუდისაგან, თუ მოიზიდავდა ფლანდრიელ ხელოსნებს ინგლისში. ახლა ინგლისის მთავრობის ყურადღება მი-

იპყრო არა უცხოური საქონლის შემოტანის აკრძალვამ, არამედ უცხოელი ხელოსნების შემოყვანამ. ფრიდრიხ ლისტის სიტყვებით: „არა რაიმე საცვლითი ღირებულების, არამედ ახალი მწარმოებელი ძალების შექმნამ“ (78:468).

ედუარდ III-მ 1337 წელს გამოსცა სტატუტი, რომლითაც აღუთქვამდა მფარველობას ფლანდრიიდან გადმოსახლებულ უცხოელ მაუდის მწარმოებლებს. მათ ჩამოსვლას მტრულად შეხვდნენ ინგლისელები. ჩამოსულებს შეურაცხყოფდნენ, ემუქრებოდნენ, ასე რომ მათთვის საშიში გახდა იქ დარჩენა. 1344 წელს მთავრობამ საჭიროდ ცნო გაეგზავნა განსაკუთრებული ბრძანება მერებისა და შერიფებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მეფემ მიიღო უცხოელები ლონდონში თავისი მფარველობის ქვეშ და ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა ჩასვამდა ციხეში (78:468).

✓უცხოელების (ფლანდრიელების) ჩამოსახლებიდან 10 წლის შემდეგ ინგლისელებს გაჰქონდათ 5 ათასი თოფი მაუდი. დიდი მოთხოვნილება იყო ინგლისური შალის ქსოვილზე (82:80). ✓

მაუდის ექსპორტი XV საუკუნის შუა ხანებიდან XVI საუკუნის შუახანებამდე გაიზარდა ორჯერ 55 ათასიდან 118 ათას ნაჭრამდე. მაუდის გატანა ხდებოდა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის მიერ. მისი მდივანი უილერი მიუთითებს, რომ XVII საუკუნეში ყოველწლიური შეუღებავი მაუდის ექსპორტი აღწევდა 60 ათას თოფს, ფერადის – 40 ათას თოფს (8:21).

ჰერი VII-ემ გამოსცა კანონი, რომელიც მხარს უჭერდა მაუდის ქსოვილით ვაჭრობის განვითარებას და ქვეყნის შიგნით ნედლეულის შენარჩუნებას. კანონის ძალით უნდა დაეწესებინათ სხვადასხვა ფასი ძვირფას თხელ და უხეშ მაუდზე. ამავე დროს საქონლის ფასი უნდა ყოფილიყო მინიმალური ოდენობით განსაზღვრული ისე, რომ მემაუდეს დარჩენოდა მოგება (85:52).

ინლისელი ვაჭრები იწყებდნენ უცხოელი კონკურენტების შეიწროებას, ინგლისის სავაჭრო კაპიტალის განვითარების ეს სტადია გამოიხატა მატყლის სასაწყობო ვაჭრობის ორგანიზაციაში. ასეთი ვაჭრობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყნის გარეთ გასატანი საქონელი უნდა დაედოთ გასაყიდად გარკვეულ

ადგილებში, საწყობებში და ამ საწყობების შემოღებისათვის უნდა დაეყენებინათ სპეციალური თანამდებობის პირები.

XIV საუკუნის 50-იანი წლებიდან სავაჭრო გილდიებს მატყლი გაჰქონდათ შალის საწყობში ქალაქ კალეში, სადაც უნდა მოეხიდნათ მისი ბითუმად მიყიდვა უცხოელი ვაჭრებისათვის (50:200-241). საინტერესოა როდის წარმოიშვა შალის მესაწყობეთა სტაპლერთა კომპანია, როგორი იყო მისი საქმიანობა და ურთიერთობა სხვა კომპანიებთან? ზუსტი ცნობა იმის შესახებ თუ როდის გაჩნდა ეს ორგანიზაცია არ არსებობს. არის ცნობა, რომ იგი არსებობდა 1248 წელს, ხოლო 1268 წელს იგი უკვე მოქმედებდა (90:196).

ამერიკელი მეცნიერის კარუს-უილსონის აზრით „STAPLERS" იყო ძველი ორგანიზაცია, რომელიც არეგულირებდა მატყლით საგარეო ვაჭრობას, მაგრამ იგი არასოდეს არ ვაჭრობდა ინგლისური მაუდით. ისინი მოგზაურობდნენ ინგლისსა და მის კუთვნილ ნავსადგურ კალეს შორის (14:147). ჩვენ ვერ დავეთანხმებით კარუს-უილსონს იმაში, რომ „სტაპლერთა" კომპანია არასოდეს არ ვაჭრობდა მაუდით. დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ქალაქ კალეში გაჰქონდათ არა მარტო მატყლი (ნედლეული) არამედ მაუდის ქსოვილიც (1:611).

უნდა აღინიშნოს, რომ როცა ხელისუფლებამ შემოიღო პირველი მატყლის საწყობი, ვაჭრები უკმაყოფილონი იყვნენ. მას მიიჩნევდნენ თავიანთი ვაჭრობის შემაფერხებლად და „თავისუფლებათა დიდი ქარტიის" დარღვევად. მატყლის საწყობი ჯერ იყო ფლანდრიის რამდენიმე ქალაქში: ბრიუგეში, ანტვერპენში, გენტში, ხოლო თვით ინგლისში მატყლის საწყობმა მიიღო საბოლოო ჩამოყალიბებული სახე ედუარდ III-ის დროს, ქალაქ კალეში და თანაც ერთადერთი, რომელიც შეინარჩუნეს ინგლისელებმა ასწლიანი ომის დროს მოპოვებული დაპყრობილი ადგილებიდან. 1347 წლიდან ვაჭარ-მესაწყობეების კომპანია არეგულირებდა მატყლით ვაჭრობას ცენტრალურ ბაზარზე კალეში. პრაქტიკულად დაინერგა ის, რომ ყოველ უცხოელ მყიდველს ქალაქ კალეში უნდა გადაეხადა გარკვეული რაოდენობის თანხა ნაღდ ანგარიშზე, ხოლო დანარჩ-

ენზე მიეცა თამასუქი. ამდენად სავაჭრო პრაქტიკა თამასუქის ბრუნვისა ერთი კრედიტორიდან მეორის ხელში მოიცავს 500 წლის ისტორიას (38:549).

მაკ-კიზაკი მიიჩნევს, რომ კალე როგორც მატყლის საწყობი გაფორმდა 1363 წელს (43:354) ჩოსერის ხანაში და შემდგომი პერიოდის განმავლობაში მეფის მთავარი კრედიტორი იყო სავაჭრო კომპანია, რომელსაც გაჰქონდა მატყლი. საბაჟო გადასახადი, რომელიც უნდა გადაეხადათ კომპანიის წევრებს მატყლის ექსპორტისათვის წარმოადგენდა სამეფო შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს (57:210). ფინანსისტი, კრედიტორი გვხვდება უმთავრესად მატყლის ნედლეულით მოვაჭრე ანუ სტაპლერთა რიგებიდან.

„სტაპლერი" – ასე ეწოდებოდათ ვაჭარ-ექსპორტიორებს, რომელთაც ჰქონდათ საქმე საწყობთან, სარგებლობდნენ იურიდიული და ადმინისტრაციული უფლებით. მათ ჰყავდათ თანამდებობის პირები – მერი და რამდენიმე ოლდერმენი. ამ უკანასკნელთა მოვალეობას შეადგენდა ვაჭართა შორის უთანხმოების მოგვარება მატყლზე ფასების დადგენა, მათ არ უნდა დაეშვათ დაბალ ფასებში მატყლის გაყიდვა და ბოლოს თვალყური უნდა ედევნებინათ გადასახადების შეტანისათვის სამეფო ხაზინაში (80:126).

„ნიუბოლდის წიგნში" ანუ მერსერთა (ქსოვილით მოვაჭრეთა) კომპანიის „საბჭოს აქტებში", რომელიც შედგენილია XVI ს-ის 20-იან წლებში მერსერთა გილდიის კლერკის უილიამ ნიუბოლდის მიერ არის ერთი საყურადღებო ცნობა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ კალედან მატყლის გატანაზე დაწესებული ყოფილა ბაჟი (198:7).

1489 წლის 16 თებერვალს მერსერთა კომპანიის კრებამ ქალაქ კალესთან დაკავშირებით გადაწყვიტა, რომ პირველი თებერვლიდან ვაჭრებმა უნდა აწარმოონ მოლაპარაკება ლორდ-მერთან ფრახტზე გადასახადის გადახდის შესახებ. ეს გადასახადი შეადგენდა:

კალედან ლონდონში – 6 შილინგსა და 8 პენსს;

კალედან დუვრში – 2 შილინგს;

კალედან სენდვიჩში – 3 შილინგსა და 4 პენსს, – ვკითხულობთ მერსერთა კომპანიის აქტებში (1:200).

როგორც აღვნიშნეთ, სტაპლერთა კომპანია არეგულირებდა მატყლით ვაჭრობას, მისი საქონელი ეწყო 10 ნავსადგურის საწყობებში (164: 53-54), ხოლო, გამონაკლისად, შოტლანდიის მოსაზღვრე შაირებისათვის – კემბერლენდის, ნორტუმბერლენდის, უესტმერლენდის საწყობი იმყოფებოდა ნიუკასლში.

იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ინგლისის ეკონომიკისათვის მატყლით ვაჭრობის მნიშვნელობა, უნდა მივუთითოთ, რომ XV საუკუნის მეორე ნახევარში სუბსიდია ანუ გადასახადი მატყლზე, რომელსაც ღებულობდნენ ყოველ ტომარა ინგლისურ მატყლზე, შეადგენდა 33 შილინგსა და 4 პენსს, ხოლო 66 შილინგსა და 8 პენსს – უცხოელების მატყლზე, რაც სახელმწიფოს აძლევდა მთელი შემოსავლის 47-48%-ს და შეადგენდა მთელი ინგლისის შემოსავლის სუბსიდიის ნახევარს (116:88).

ინგლისელთათვის სუბსიდია შეადგენდა 13,4%-ს, ხოლო უცხოელებისათვის 26,44%-ს კალეში კოსვოლდის ტომარა მატყლზე. ერთი ტომარა იქ ღირდა 12 გირვანქა სტერლინგი, 13 შილინგი და 4 პენსი.

ამ დროისათვის ინგლისელებს კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ ქვეყნის სამეურნეო პროგრესს ხელს შეუწყობდა მატყლით ვაჭრობის ორგანიზება. XV საუკუნის 60-იან წლებში დაიწერა პამფლეტი სახელწოდებით: „ინგლისის სავაჭრო პოლიტიკის შესახებ". პამფლეტის ავტორი წერს, რომ დედამიწაზე მცხოვრები ვერც ერთი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი პაპი, იმპერატორი, მეფე, ეპისკოპოსი, კარდინალი – ვერ იარსებებს სამი საგნის გარეშე. ყველამ უნდა ჩაიცვას, ჭამოს და დალიოს. თუ ადამიანს სახელმწიფოში არ გააჩნია სათანადო რაოდენობით რამდენიმე ამ სამი საარსებო საშუალებიდან იგი იქნება ღარიბი. ინგლისს ყველა ეს სიკეთე გააჩნია, მაგრამ ერთი მათგანის წყალობით, აღნიშნულია ბოლოს, „ჩვენ ვიბატონებთ ყველა ქრისტიან მეფეზე", რადგანაც ყველა სახელმწიფოში არის საკვები და სასმელი სათანადო ოდენობით, მაგრამ აკლიათ ტანსაცმელი. ინგლისში ჩამოდ-

იოდნენ სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები აღმოსავლეთით – უნგრეთიდან, დასავლეთით – პორტუგალიამდე, ჩრდილოეთით – შვედეთიდან, სამხრეთით – ოსმალეთამდე, რათა ეყიდათ მაუდი და მატყლი. ამიტომ აღნიშნული საქონლით ვაჭრობის ორგანიზება იყო პირდაპირი გზა ინგლისის ეკონომიკური აყვავებისა და საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდისა. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო აკრძალულიყო მაღალხარისხოვანი მატყლის (ნედლეულის – ი. ბ.) ექსპორტი, ხოლო უნდა გაეყიდათ ყველაზე დაბალი ხარისხის მატყლი, რომლის დამუშავება იყო ძალიან ძნელი, შრომატევადი, ხოლო მოგება მასზე არ ანაზღაურებდა მისი წარმოებისათვის გაწეულ ხარჯებს. დარჩენილი მატყლი უნდა დაემუშავებინათ კუნძულზე (47:283).

პამფლეტის ავტორის იდეები გამოხატავს და მხარს უჭერს იმ პროგრესულ განვითარებას, რომელიც მიმდინარეობდა ინგლისის ეკონომიკაში. XIV საუკუნის დასასრული და XV საუკუნის დასაწყისი წარმოადგენდა მატყლის ქსოვილების რაოდენობის ზრდისა და მისი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ცვლილებების ხანას.

ვაჭარ-მესაწყობეების კომპანია, რომელმაც მოიპოვა მონოპოლია მატყლის გატანაზე ინგლისიდან ნიდერლანდებში, თავისი საწყობის საშუალებით მოქმედება 1363 წლამდე ქალაქ კალეში. შემდეგ რამდენჯერმე გადაიტანეს სხვა ადგილებზე და მხოლოდ 1423 წელს ისევ დამკვიდრდა კალეში და დარჩა იქ 1559 წლამდე. კალე, როგორც ნახსენებია, ემსახურებოდა ნიდერლანდებს, რაინისპირა გერმანიას, ჩრდილო საფრანგეთს. ძირითადი მასა მატყლისა კალედან მიდიოდა ფლანდრიაში.

„მერსერთა საბჭოს აქტები“ შუქს ჰფენს სტაპლერთა კომპანიის ურთიერთობას ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიასთან. 1496 წლის 13 სექტემბრის ვაჭარ-ავანტიურისტთა კრების გადაწყვეტილებაში საუბარია იმის შესახებ, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას უნდა გაეგზავნა თავისი საქონელი მხოლოდ კალეში, მაგრამ მანამდე მეფისაგან უნდა მიეღო წერილი კალეს ხელისუფლებასთან გასაგზავნად. კომპანიამ დაავალა ნდობით აღჭურვილ 6 პირს შეედგინათ მოთხოვნები, ესე იგი ვაჭართა ინტერესებიდან გამომდ-

ინარე 3 მეფესთან გასაგზავნად (1:611). აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ვაჭარ-ავანტიურისტები მიემგზავრებოდნენ სავაჭროდ ქალაქ კალეში და გაჰქონდათ მაუდი. გამოდის, რომ კალეში ინგლისიდან გადაჰქონდათ არა მარტო მატყლი, არამედ მაუდიც, ვაჭარ-ავანტიურისტები ხომ ძირითადად მაუდით ბითუმად ვაჭრობდნენ.

იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კალეში ადგილი ჰქონია არასწორი ბაჟების დადებას ლონდონელ ვაჭართა საქონელზე, აგრეთვე ქალაქ კალეს მერისა და მისი მოხელეების უსამართლო მოქმედებას ინგლისელ ვაჭართა მიმართ. ამის გამო ვაჭრებმა შეიმუშავეს მეფის მიმართ ასეთი მოთხოვნები:

1. ყოველ ვაჭარს, რომელიც საქონელს შეიტანდა ქალაქ კალეში უნდა გადაეხადა კანონით დაწესებული ბაჟი და უნდა განთავისუფლებულიყო სხვა ბაჟების გადახდისაგან, უკეთუ ის იქნებოდა უკანონოდ დაწესებული ქალაქ კალეში. არც ერთ საბაჟო მოხელეს უფლება არ ჰქონდა აეღო გასაყიდ ქსოვილზე უკანონო ბაჟები. თუ ადგილი ექნებოდა მებაჟეთა უსამართლო მოქმედებას, მაშინ ვაჭრები მოითხოვდნენ მეფისაგან მათზე სასჯელის დაწესებას.

2. ყოველი ვაჭარი უნდა წასულიყო ქალაქ კალეში თავისი საქონლით და განთავისუფლებულიყო ყველა იმ გადასახადისაგან, რომელსაც დააწესებდნენ საქონლის მეთვალყურეობაზე, მის შენახვაზე, ხიდზე გადასვლაზე, გემის ღუზის ჩაშვებაზე.

3. არ უნდა აეძულებინათ ინგლისელი ვაჭრები გადაეხადათ ნაღდი ფული.

4. ყველა ინგლისელ ვაჭარს, რომელიც მივიდოდა ქალაქ კალეში სავაჭროდ, უნდა შეძლებოდა თავისუფლად ემოქმედა თან ჰქონოდა საქონელი ოქროსა და ვერცხლის ფული, მოწმობა. თან ჰყოლოდა შეგირდები, თარჯიმნები და სხვა თანამგზავრები. თავისუფლად უნდა შეძლებოდათ მოგზაურობა ცხენით თუ ქვეითად, ხმელეთით, ზღვით თუ მდინარით. არ უნდა მიეყენებინათ მათთვის უსიამოვნება, არ უნდა დაეკისრებინათ ახალი გადასახადი და უნდა შეხვედროდნენ მათ მეგობრულად და კეთილგანწყობილად.

5. ყოველ თოფ ქსოვილზე არ უნდა გამოერთმიათ 4 პენსზე მეტი გადასახადი, როგორც ეს ჩაიდინეს გასულ საეაჭრო სეზონ-

ში კალეს მოხელეებმა გადაახდევინეს 2 შილინგი და 6 პენსის რაოდენობით ყოველ თოფ შალის ქსოვილზე.

6. ინგლისელი ვაჭრებისათვის უნდა დაერთოთ ნება, რათა გადმოეტვირთათ თავიანთი საქონელი იმ გემზე, რომელსაც ისინი აირჩევდნენ. შემდეგ დაეტვირთათ გემი კალეში ნაყიდი საქონლით ყოველგვარი შეფერხების გარეშე. როგორც ეტყობა მერი და იქაური მამასახლისები ყოველნაირად შეეცდებოდნენ, რომ აეძულებინათ ინგლისელი ვაჭრები დაეტვირთათ საქონელი იმ გემებზე, რომელთაც ისინი მიუთითებდნენ. ხოლო ვაჭრობის ნებართვა რომ მიეღოთ კალეს ხელისუფლებისაგან ეტყობა კალეს მერსა და ოლდერნმენებს ამ საკითხის მოგვარებისათვის შესაძლებელია, გამოეძალათ მათგან ორმაგი გადასახადი, „რაც უსამართლობა იქნებოდა“, ამიტომ ინგლისელი ვაჭრები სთხოვდნენ მეფეს, რათა ებრძანებინა მისი ქვეშევრდომი ვაჭრებისათვის დაეტვირთათ საქონელი იმ გემებზე, რომელსაც თვითონ – ვაჭრები აირჩევდნენ და გამოეცურათ ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, დასჯის მუქარით დამრღვევთათვის (1: 612-614).

დოკუმენტიდან აგრეთვე ისიც ირკვევა, რომ 1496 წელს ინგლისელ ვაჭრებს დროებით ეკრძალებოდათ ბურგუნდიის ჰერცოგის მიწაზე ვაჭრობა, მათზე ამ ჰერცოგის მიერ უსამართლო ბაჟების დაწესების გამო და დაევალათ სავაჭროდ ემგზავრათ მხოლოდ კალეში. ეს მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა სავაჭრო საქმიანობა არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს, ხოლო ქსოვილებით ვაჭრობა კალესთან მიმდინარეობდა დროებით, როცა შეფერხებული იყო მათი ვაჭრობა ნიდერლანდებში.

იმავე წელს (1496) მეფე ჰენრი VII (1485-1509) აგზავნის წერილს კალეს ლეიტენანტთან რიჩარდ ნანფანდტთან, მერთან და ქალაქის სხვა მოხელეებთან, რომლითაც უკრძალავდა მათ ახალი გადასახადების დაწესებას, როგორც ინგლისელ ისე უცხოელ ვაჭრებზე (1:616).

როგორც ირკვევა, ლონდონელმა ვაჭრებმა მიაღწიეს თავიანთი უფლებების დაცვას მეფისაგან. კალეს ხელისუფლება უსამართლოდ ეპყრობოდა ინგლისელ ვაჭრებს, აწესებდნენ არაკანონიერად ბაჟებს,

ამიტომ მეფე გამოდიოდა თავისი ქვეშევრდომების ინტერესებიდან და იცავდა ინგლისელ ვაჭრებს.

სტაპლერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას შორის ადვილი ჰქონდა ზოგჯერ უთანხმოებას, რასაც ადასტურებს შემდეგი დოკუმენტი: 1512 წლის 30 მარტს ვაჭარ-ავანტიურისტთა საერთო კრებაზე განიხილეს მესაწყობეთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიებს შორის უთანხმოების საკითხი. მოწინააღმდეგე მხარესთან მოსალაპარაკებლად კრებამ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიისაგან დანიშნა შემდეგი პირები:

რობერტ ოლდერნესი – ოლდერმენი;
ტომას მორგანი – ოლდერმენი;
ჯონ კლიფორდი – მმართველი;
ტომას ჰინდი – მერსერი;
ჯონ კაბი – მერსერი;
უილიამ გეიმი – მანუფაქტორი (მაუდით მოვაჭრე);
უილიამ ესტელი – საბაჟლო საქონლით მოვაჭრე;
ჯონ სკევინგტონი – მკერავი.

ხოლო პირველ აპრილს სტაპლერთა კომპანიის რწმუნებულმა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის მამასახლისებს მოუტანა ბილი იმ პირთა სიით, რომლებიც არჩეულნი იყვნენ მათთან მოსალაპარაკებლად სტაპლერთა კომპანიიდან. ესენი იყვნენ:

უილიამ ბრაუნი – ოლდერმენი;
ჯეიმზ იარფორდი – ოლდერმენი;
მაიკლ ინგლიში – ოლდერმენი;
ჯონ რობინსი – ოლდერმენი;
ტომას სეიმური – მერსერი;
ჯონ ბრაუნი – მერსერი;
ტომას მორი – მერსერი;
ჰიუ კლოპტონი – მერსერი (1; 401).

დასახელებულ პირთა შორის ოთხი კაცი ყოფილა მერსერი (ქსოვილით მოვაჭრე) სტაპლერთა კომპანიის წევრი და იქ წამყვანი პოზიცია ეკავათ. გამოდის, რომ მერსერთა კორპორაციის ვაჭრები ყოფილან არა მარტო ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში გაერთიანებულნი (ავანტიურისტთა კომპანიაშიც ხომ მერსერები იყვნენ წამყვანნი), არამედ სტაპლერთა კომპანიაშიც და ზემოთ მოხსენებული ოთხი მერსერიც ამას ადასტურებს. გამოდის, რომ ისინი, „მერსერები, ედავებოდნენ თავისიანებს, ვაჭარ-ავანტიურისტების კომპანიაში ხომ მერსერებიც იყვნენ გაერთიანებულნი. ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ მეტყველებს მერსერთა კორპორაციის ვაჭრების დიდ სიმდიდრეზე: ისინი იყვნენ იმდენად მდიდარნი, რომ ეროდროულად შეძლეს ორ კომპანიაში – ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაშიც და სტაპლერთა კომპანიაშიც საქმიანობა.

ამრიგად, ინგლისელები, გამოვიდნენ რა მსოფლიო ასპარეზზე, გამონახეს ვაჭრობის განვითარების ახალი ფორმები. მატყლის (ნედლეულის) გატანის ორგანიზებას ახდენდა მესაწყობეთა (სტაპლერთა) კომპანია. ქალაქ კალეში თავდაპირველად გადიოდა მატყლი, ხოლო ფლანდრელი ხელოსნების ინგლისში გადმოსახლების შემდეგ, მაუდის წარმოების განვითარებასთან ერთად, დაიწყო მაუდის გატანა ქალაქ კალეში, მაგრამ ამას, როგორც ირკვევა, სისტემატური ხასიათი არ მიუღია. სტაპლერთა კომპანია უმთავრესად მაინც ნედლეულის – მატყლის გატანით იყო დასაქმებული. ამ კომპანიას როგორადაც არ უნდა გაეუმჯობესებინა მატყლის გატანა მას არ შეეძლო მისი შემდგომი განვითარება, ვინაიდან სტაპლერი მაინც მიჯაჭვული იყო თავის საწყობზე, ხოლო როცა საჭირო გახდება საწყობის გარეთ ვაჭრობის ორგანიზება, მაუდის – შალის ქსოვილის გატანას, მაშინ შეიქმნება ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია. (XV ს.) ეს უკანასკნელი არ იყო დაკავშირებული არც განსაზღვრულ პუნქტთან, არც განსაზღვრულ გზებთან. ავანტიურისტები იყვნენ თავისუფალნი, დამოუკიდებელნი, ეძებდნენ ბაზრებს, იპოვიდნენ თუ არა მას, ამყარებდნენ სავაჭრო კავშირს, ქმნიდნენ ვაჭართა დასახლებას. „მოხეტიალე ვაჭრები“ იყვნენ ყველანი, ვინც

ვაჭრობდნენ ზღვის გაღმა, სტაპლერები ასეთთა რიცხვს არ განეკუთვნებოდნენ (90: 196-197). რაც შეეხება ვაჭარ-ავანტიურისტებს ისინი, ძირითადად ვაჭრობდნენ ნიდერლანდებში, თუმცა მათ სავაჭრო ურთიერთობა გააჩნდათ სხვა ქვეყნებთანაც.

2. ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიები

(ლონდონის, იორკის, ნიუკასლის).

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია შეიქმნა 1405 წელს, როცა პარლამენტმა მიიღო სპეციალური სტატუტი, რითაც დაამტკიცა ამ კომპანიის უფლებები. მასში შედიოდნენ არა მარტო დედაქალაქის ვაჭრები, არამედ ინგლისის სხვა ქალაქებისაც (38: 570-571; 14:148); ამ კომპანიამ ეს სახელწოდება მიიღო იმიტომ, რომ მისი წევრები მიდიოდნენ რისკზე, წარმართავდნენ ვაჭრობას ახალი მიმართულებით და ახალი საქონლით და არასოდეს არ იყვნენ დაკავშირებულნი ერთ რომელსამე ცენტრთან, როგორც „სტაპლერები“ (78: 487-488). მათ მეორენაირად „მოხეტიალე, მოგზაურ ვაჭრებსაც“ კი უწოდებდნენ. ა. ჯივილეგოვის მიხედვით, მოხეტიალე ვაჭრების ორგანიზაციას დასაბამი მისცა სამმა ჯგუფმა: წერილმანი საქონლით მოვაჭრეთა (mercers) ჯგუფმა, რომელიც ეწეოდა აბრეშუმით ვაჭრობასაც, პილპილით მოვაჭრეთა (pepperers), რომლისგანაც გამოიყო ბითუმად მოვაჭრეთა (grocers) და მაუდით მოვაჭრეთა (90:198). კორპორაციები შემდეგში ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში შევიდა ასევე ღვინით მოვაჭრეთა ჯგუფი, რომელიც იყო ერთ-ერთი მდიდარი კორპორაცია.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წევრი ყოფილა ზოგიერთი ვაჭარი სტაპლერთა კომპანიიდან. 1487 წლის 18 დეკემბერს „ნიუბოლდის წიგნში“ მოიპოვება საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქ იორკიდან ბატონ უილიამს, ქალაქ კალეს მერს მოუსურვებია გამხდარიყო ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წევრი.

კომპანია ამაზე დათანხმდა და მიიღო იგი როგორც თავისუფალი ვაჭარი (1:305).

1487 წლის 19 მარტის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქალაქ კალედან ჯენტლმენი ბალარდი დაქორწინდა ტომას დაუტონის ქალიშვილზე და სურდა გამხდარიყო ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის თავისუფალი ვაჭარი, ხოლო სანაცვლოდ მისი და მისი შვილების გარდაცვალების შემდეგ კომპანიას უტოვებდა გარკვეულ მიწებს და ქონებას, რომელიც გააჩნდა ქალაქ კალეში, (1:305). ეს დოკუმენტიც ადასტურებს, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წევრები ყოფილან კალელი ვაჭრები.

1406 წელს ვაჭარ-ავანტიურისტებს მიენიჭათ პრივილეგია აერჩიათ თავიანთი მმართველი, რომელსაც უფლება ჰქონდა გაერჩია დავა და უთანხმოება არა მარტო ინგლისელ ვაჭრებს შორის, არამედ ინგლისელებსა და უცხოელებს შორისაც. ასეთი პრივილეგია მიანიჭეს ინგლისელ ვაჭრებსაც ჰოლანდიაში, ზელანდიაში, ბრაბანტში და ფლანდრიაში, ხოლო 1408 წელს – კი ნორვეგიაში, შვედეთში და დანიაში (77:356). ესაა ყველაზე ადრეული მაგალითი ინგლისელთა ვაჭრობის ორგანიზაციისა და მათი უფლებების დაცვისა.

უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო მხოლოდ 1406 წლის ქარტია, მაგრამ ამჟამად ცნობილი გახდა 1296, 1305 და 1359 წლების ქარტიები. ისტორიკოსები ე. ვ. გეკშირი და ჯ. ენვინი მიიჩნევენ, რომ ეს კომპანია წარმოიშვა XV საუკუნის პირველ წლებში. 1497-1498 წლებში ამ კომპანიას ქალაქ ანტვერპენში გაუტანია 22013 მაუდი, რაც შეადგენდა ინგლისური მაუდის ექსპორტის 1/3-ს. ვაჭარ-ავანტიურისტები იყვნენ იმდენად ძლიერნი, რომ შეეძლოთ უარი ეთქვათ გადიდებული საბაჟო გადასახადის გადახდაზე (1515 წ.) XVI საუკუნის შუა ხანებში ამ კომპანიის ხელში იყო მაუდის ექსპორტის დიდი ნაწილი. ხოლო XVII საუკუნეში, უილერის მონაცემებით, კომპანიის წლიური ექსპორტი შეიძლება შეფასებულიყო 1 მილ გირვანქა სტერლინგად (181; 83).

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია შედგებოდა მდიდარი და გამოცდილი ვაჭრებისგან, რომლებიც თავმოყრილნი იყვნენ

სხვადასხვა დიდი ქალაქის ნავსადგურებში (საზღვაო ქალაქებში) და ქვეყნის სხვა ადგილებში: ლონდონში, იორკში, ნორიჯში, იპსვიჩში, ნიუკასლში, ჰალეში და სხვა. XVI საუკუნის ბოლოს ვაჭარ-ავანტიურისტები ითვლიდნენ 3500-მდე წევრს, რომლებიც ცხოვრობდნენ ლონდონში, სხვა ქალაქებსა და ქვეყნის სხვა ნაწილებში. მაგრამ აქედან რეალური ექსპორტიორი იყო 300-400 კაცი, დანარჩენები ითვლებოდნენ წევრებად, მაგრამ საქონლის გატანაში არ იღებდნენ მონაწილეობას (186:365).

ინგლისმა დაიკავა პირველი ადგილი მაუდის ექსპორტში, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ვაჭარ-ავანტიურისტებმა. ინგლისის მაუდის ექსპორტი 1509 წლდან 1547 წლამდე გაიზარდა 8 ათასი თოფიდან 120 ათას თოფამდე (126: 134). გაფართოვდა ვაჭრობა არა მარტო ნიდერლანდებთან, არამედ ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვის ქვეყნებთან. ინგლისური მაუდი აღწევდა ნოვგოროდამდე (107: 384). ჯივილეგოვის მიხედვით, ვაჭარ-ავანტიურისტები იყვნენ სხვადასხვა კატეგორიისანი: ისლანდიის, ესპანეთის, პრუსიის, იტალიის – იმის მიხედვით თუ სად ვაჭრობდნენ. მაგრამ წამყვანნი იყვნენ ნიდერლანდებთან მოვაჭრე ვაჭარ-ავანტიურისტები. (90:197). ყოველივე ზემოთ თქმული ადასტურებს, რომ ვაჭარ-ავანტიურისტები ვაჭრობდნენ ისლანდიაში, პრუსიაში, ესპანეთში, იტალიასა და ნიდერლანდებში. სწორედ ვაჭარ-ავანტიურისტებს უნდა უმადლოდეს ინგლისი XV საუკუნეში თავისი ფლოტის შექმნას, რომელმაც შეძლო გადაელახა ატლანტიკის ოკეანე. მათი ხანგრძლივი გავლენის წყალობით შეიქმნა აუცილებელი პირობები რეგულარული სამეფო ფლოტის მშენებლობისათვის პირველი ტიუდორების ხანაში.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წევრები მოქმედებდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ისინი არ აერთიანებდნენ თავიანთ კაპიტალს. კომპანიის მდივანი უილერი წერს, რომ მათ არა აქვთ ბანკი, არც საერთო კაპიტალი, არა ჰყავთ საერთო წარმომადგენელი, ყოველი მათგანი ვაჭრობს ცალკე, საკუთარი კაპიტალით და წარმომადგენლისა ან ნოქრის მეშვეობით. კომპანია განსაზღვრავდა მაუდის იმ ოდენობას, რომელიც უნდა გაეტანა თითოეულ წევრს.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში გაერთიანებულნი იყვნენ დიდი კაპიტალის მქონე შეძლებული ვაჭრები. ამას ადასტურებს კომპანიაში გაწევრიანებისათვის გადასახადი – 200 გირვანქა სტერლინგამდე, რაც ძალიან ცოტას ძალუძდა (191:170). ზოგიერთ ავანტიურისტს ჰქონდა კაპიტალი 50-60 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. თუ ამ თანხას გადავიყვანთ თანამედროვე ფულზე, მაშინ მოგვცემს მილიონამდე გირვანქა სტერლინგს (39:114).

ე. კარუს-უილსონის მიხედვით ვაჭარ-ავანტიურისტთა ჯგუფი მოქმედებდა ქალაქ ჰალეში და იორკში (14: 147, 149, 150). „ნიუბოლდის წიგნის" ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტების" (წყაროს – ი. ბ.) მიხედვით, XV საუკუნის დამლევისათვის ავანტიურისტები მოქმედებდნენ ნორიჯში, სოლსბერიში, მიდლენდში, ეკზეტერში (1: 478. 557). ავანტიურისტთა კომპანია მოქმედებდა აგრეთვე ჩესტერში და ბრისტოლში (171:201).

ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტები იწყებენ ბრძოლას პირველობისათვის. 1497 წელს ჰენრი VII-ის დროს მათ მოიპოვეს გამარჯვება, როცა გამოიცა „Intercursus magnus" სავაჭრო ხელშეკრულება, რაც მათ ნიდერლანდებში თავისუფალი შესვლის უფლებას ანიჭებდა და არსებითად აიძულებდა პროვინციელებს შესულიყვნენ კომპანიის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ყოველ მათგანს უნდა შეეტანა სპეციალური გადასახადი (Fine) - 6 გირვანქის, 13 შილინგი და 4 პენსის ოდენობით. ლონდონელი ვაჭარ-ავანტიურისტები უცხოეთის ბაზარზე ავიწროებდნენ ინგლისელ პროვინციელ ვაჭრებს, რის გამოც პროვინციები ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მეფე ჰენრი VII-ის წინაშე. ლონდონის კომპანიამ, აგრეთვე, გაზარდა შესატანი გადასახადი 20 გირვანქა სტერლინგამდე, რასაც ასევე უკმაყოფილოდ შეხვდნენ პროვინციელი ვაჭრები.

ლონდონის კომპანიამ მოახდინა არასრული გაერთიანება მთელი ავანტიურისტების დამოუკიდებელ ორგანიზაციად. (14; 176). გაბატონდნენ რა ყველა ავანტიურისტებზე ნიდერლანდებში და აიძულეს რა ისინი შესულიყვნენ თავიანთ კომპანიაში, ლონდონელმა ავანტიურისტებმა დააარსეს მუდმივი სახლი, სადაც

იკრიბებოდნენ ავანტიურისტები, აწარმოებდნენ ვაჭრობას, ინახავდნენ თავიანთ კაპიტალს, წყვეტდნენ რომელ ბაზრებზე და როდის შეიძლებოდა დასწრება, ირჩევდნენ თავიანთ მთავრობას ზღვის გაღმა (ნიდერლანდებში) და დამხმარეთა (თანაშემწეთა) საბჭოს 24 კაცის შემადგენლობით სხვადასხვა ავანტიურისტთა კომპანიების წევრთაგან.

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ირკვევა, რომ 1519 წლისათვის ლონდონის გარდა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიები არსებობდა იორკში, ნიუკასლში, ნორიჯში და ეკზეტერში, რასაც ადასტურებს ერთი 1519 წლის დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ზღვისიქითა მმართველის დამხმარეებად აირჩიეს შემდეგი პირები:

1. ნიკოლას ლამბერტი – გროსერი;
2. ჯონ რადსტონი – მაუდით მოვაჭრე;
3. ჯონ ჯონსონი – ტყავით მოვაჭრე;
4. პოლ უიტპო – მკერავი;
5. უილიამ ბეილი – ოლდერმენი, მერსერთა კორპორაციიდან;
6. უილიამ ბრომველი – მერსერი;
7. რობერტ ბეილი – მერსერი;
8. უილიამ კურე – ოდერმენი იორკიდან;
9. ჯონ ბლეკსტონი – ოლდერმენი ნიუკასლიდან;
10. უილიამ პერტი – ოდერმენი ნორიჯიდან;
11. ჯონ კოსელი – ეკზეტერიდან. (1; 477-478).

ზემოთ დასახელებულ 11 დამხმარეთა შორის ოთხი კაცი ყოფილა იორკიდან, ნიუკასლიდან, ნორიჯიდან და ეკზეტერიდან, ხოლო შვიდი – ლონდონიდან. ამდენად ეს დოკუმენტი ადასტურებს ავანტიურისტთა ჯგუფის არსებობას გარდა, ქალაქ ლონდონისა, აგრეთვე იორკში, ნიუკასლში, ნორიჯში და ეკზეტერში.

1522 წელს მომდევნო სავაჭრო სეზონისათვის თანაშემწეთა საბჭოს შემადგენლობაში მოხსენიებულნი არიან წარმომადგენლები იორკისა და ნორიჯის გარდა სოლსბერიდან და მიდლენდიდან (1: 557).

ვაჭარ-ავანტიურისტები ყოველ წელს მომდევნო სავაჭრო სეზონისათვის ირჩევდნენ თანაშემწეთა საბჭოს თორმეტი კაცის შემადგენლობით. აქედან რვა კაცი ყოველთვის იყო ლონდონიდან, ხოლო ოთხი დანარჩენი ქალაქებიდან.

ამავე დროს ირკვევა, რომ ლონდონის კომპანიებს შორის უმეტესობას ყოველთვის მერსერები შეადგენდნენ. ამასთანავე თანაშემწეთა საბჭოში წევრის ხელმეორე არჩევა შეიძლებოდა მისი არჩევიდან მხოლოდ 6 წლის გასვლის შემდეგ (1; 455).

ვაჭარ-ავანტიურისტები მოგზაურობდნენ სავაჭროდ ბრიუგეში (ფლანდრია), მიდლბურგში (ჰოლანდია) და ანტვერპენში (ნიდერლანდები). ანტვერპენი იყო მათი ვაჭრობის ცენტრი, სადაც წელიწადში ოთხჯერ აწყობდნენ ბაზრობას საზაფხულოს (Sinxon), საშემოდგომო (Bamas), საგაზაფხულო (Parch) და საზამთროს (Cold). მაგრამ, როგორც ირკვევა, ზოგჯერ ისინი საზაფხულო და საშემოდგომო ბაზრობას აწყობდნენ ზელანდიაში. ამ მხრივ საინტერესოა 1472 წლის 20 ნოემბრის დოკუმენტი, საიდანაც ვგებულობთ, რომ ვაჭარ-ავანტიურისტები ვაჭრობდნენ ზელანდიაში. იმავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ ისინი ცდილობდნენ თავიდან აეშორებინათ ყოველგვარი უსიამოვნება ლორდისა თუ სხვა პატივსაცემი პიროვნების მიმართ იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ არ მიუძღოდათ რაიმე დანაშაული. აი რას ვკითხულობთ ამ დოკუმენტში:

1472 წლის 20 ნოემბერს კრებაზე გამოაცხადეს, რომ ლორდი ჰოვარდი უჩიოდა ვაჭრებს ფრახტის უკმარისობის გამო თავის ხომალდებზე „Ceorge"-ზე და „Margarate haward"-ზე. ბოლოს ბამასის (საშემოდგომო) ბაზრობის დროს არ მომხდარა გემების სრული დატვირთვა საქონლით, მოლაპარაკების მიხედვით კი აღნიშნულ გემებს უნდა მიეღოთ ტვირთი სხვა გემებზე უფრო ადრე. მხოლოდ მეფის გემების „Trynte"-ს და „Elen op london"-ის დატვირთვის შემდეგ, რომლებიც ასევე მიემგზავრებოდნენ ბამასის ბაზრობაზე. როცა გემები დაბრუნდნენ ინგლისში, გამოირკვა, რომ ყველა გემი ჩამოვიდა საქონლის სრული დატვირთვით, ხოლო „ჯორჯი" დატვირთული იყო თავისი ტონაჟის მოცულობასთან შედარებით ნახევარზე ნაკლები ტვირთით, ხოლო „მარგარეტი" 24 საპალნეთი ნაკლები

საქონლით. გემების არასრული დატვირთვის გამო ლორდი სთხოვდა კომპანიას გადაეხადა მისთვის ჯარიმა 620 ფუნტი სტერლინგი. ლორდი ასევე მოითხოვდა მიეცათ ახსნა-განმარტება თუ როგორ აღმოჩნდა დაუტვირთავი ის ორი გემი, რომლებთანაც იყო დადებული კონტრაქტები, ხოლო ის ხომალდები კი, რომლებთანაც არავითარი კონტრაქტი არ იყო დადებული, დაბრუნდნენ სახლში სრული დატვირთვით. ლორდი ჰოვარდის პრეტენზიაზე უარი განაცხადეს კომპანიის წევრებმა. ისინი აცხადებდნენ, რომ არა აქვთ არავითარი ვალი ლორდისა და არც დაურღვევიათ კონტრაქტები, არამედ, პირიქით, ყველა ასრულებდა თავის მოვალეობას ქარტიისადმი სრული შესაბამისობით. დამნაშავენი იყვნენ მეფის კაპიტნები და მეხაზინადრენი, თუ რატომ, ამის განმარტებას იძლეოდნენ კომპანიის წევრები. მათი განმარტებით ქარტიის მიხედვით გემები ზელანდიაში ჩასვლის შემდეგ უნდა გაჩერებულიყვნენ დასატვირთათ 30 დღის განმავლობაში, ამასთანავე წესით უნდა გაეთვალისწინებინათ სამუშაო დღეები (ე. ი. მათი წასვლა არ უნდა დამთხვეოდა დღესასწაულებს და უნდა შეერჩიათ შესაფერისი დრო. ისინი ზელანდიაში დარჩნენ 32 დღის განმავლობაში, რომელსაც უნდა გამოვაკლოთ 5 კვირა დღე, ერთი წმინდა მარტვეის და ერთი წმინდა მიხეილის დღე და 4 დღე გემების გადმოტვირთვისა, ამდენად 32 დღიდან უნდა გამოვქვითოთ 11 დღე. უფრო ხშირად გემები იქ უნდა დარჩენილიყვნენ 19 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე. ხოლო ისინი იქ ჩავიდნენ ადრე. გემები ლონდონიდან წავიდნენ 9 დღით ადრე, ვიდრე დანიშნული იყო გამგზავრება. ვაჭრები არ იყვნენ დამნაშავენი, ვინაიდან ლორდის გემების გამოცურვიდან ორი დღის შემდეგ იყო იმდენი საქონელი, რომ მათ შეეძლოთ გემები სრულად დაეტვირთათ. კომპანიის სახელით ეს პასუხი გადასცეს მამასახლისებმა ლორდი ჰოვარდს. შემდეგ ვკითხულობთ დოკუმენტში: ლორი ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა, პირიქით, განრისხდა და დაემუქრა კომპანიას, რომ უარს იტყოდა მასთან კარგ დამოკიდებულებაზე და მოითხოვდა ზარალის ანაზღაურებას, წინააღმდეგ შემხთვევაში იგი წაართმევდა მათ

საქონელს ან კალეში (სასაწყობო ქალაქში) ან აქ მდ. ტემზაზე (ინგლისში – ი. ბ.). ამის შემდეგ კომპანიამ გაითვალისწინა რა ლორდის შესაძლო მტრული პოზიცია და კომპანიისათვის ის უსიამოვნებანი, რომელიც შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა და, წავიდა დათმობაზე, ვინაიდან ლორდთან მშვიდობიანი ურთიერთობა მისთვის უფრო სასურველი იყო, ვიდრე მტრობა. კომპანიამ მოიწვია ტომას ჩატერდი, რომელიც სარგებლობდა ლორდი ჰოვარდის ნდობითა და პატივისცემით. ვაჭრებმა სთხოვეს, მას ყოფილიყო შუამდგომელი ლორდთან მოლაპარაკებაში. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ტომას ჩატერდი ბევრჯერ ესაუბრა ლორდს კომპანიასთან შერიგების თაობაზე და ბოლოს მიაღწია იმას, რომ 1472 წლის 14 დეკემბერს ტომასმა ლორდს მოუტანა საჩუქრად 20 მარკა და ამის შემდეგ აღსდგა მშვიდობიანი და კეთილი ურთიერთობა კომპანიასა და ლორდს შორის (1:64).

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წევრები მერსერები არ იყვნენ დამნაშავენი. ლორდი ჰოვარდის წინაშე დამნაშავენი იყვნენ თვით გემების კაპიტნები და ხაზინადრები, რომლებიც დროზე ვერ ჩავიდნენ ზელანდიაში, მოაცდინეს გემები 11 დღე (უქმი დღეების გამო), ამიტომ ვერ მოხერხდა მათი სრული დატვირთვა, მაგრამ ვაჭრები წავიდნენ დათმობაზე, ვინაიდან ლორდთან მტრული ურთიერთობა მათ კომერციულ საქმიანობას ზიანს მოუტანდა, რაც ნათლად ჩანს მოტანილი დოკუმენტიდან.

1491 წლის 19 მაისს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებამ კომპანიის წევრებს მოახსენა, რომ მეფე თანახმა არ იყო გემები გამგზავრებულიყო სინკსონის (საზაფხულო) ბაზარზე და ჩამოთვალეს მიზეზები, რის გამოც მეფე არ იყო თანახმა. პირველი მიზეზი ის იყო, რომ მათ გემს „გრიფიტს“ (Griffith) ზელანდიაში ცუდად მოექცნენ, ამიტომ არც ერთმა ინგლისურმა ხომალდმა არ უნდა ჩაუშვას იქ, ზელანდიაში ღუზა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ მეფე ვერ შეძლებდა ვაჭართა დაცვისათვის გამოეყო დიდი გემები, მას შეეძლო გამოეყო მხოლოდ ოთხი პატარა გემი, ხოლო ეს კი იყო ნაკლები გარანტია უშიშროებისათვის, ხოლო რაც შეხება მეფის

სამხედრო გემებს, მათგან ვერც ერთს ვერ გაუშვებდა ზღვაში იმის გამო, რომ ძლიერი ქარიშხალი იყო და გარდა ამისა, არც ერთი ქვეყანა არ იქნებოდა თანახმა, რომ ტერიტორიულ წყლებში უცებ გამოჩენილიყვნენ ინგლისის სამხედრო გემები მისი მთავრობის, თანხმობის გარეშე სწორედ ისევე, როგორც მეფე არ იქნებოდა კმაყოფილი თუ ვისიმე სამხედრო გემი, მისი ნებართვის გარეშე, შემოვიდოდა მის ზღვაში. გარდა ამისა, მოსალოდნელი იყო, ზღვისიქითა რეზიდენტის ცნობით ჰოლანდიაში, ბრაბანტში, ზელანდიაში შემოსვლა რომის საღმრთო იმპერატორის (გერმანიის მბრძანებლის) დიდი ძალებისა.

მაგრამ მეფის უარის მიუხედავად ვაჭრები მაინც ცდილობდნენ გამგზავრებას ბაზრობაზე. ამას ადასტურებს 1491 წლის წერილი, რომელიც გაიგზავნა ქალაქ ანტვერპენში რიჩარდ იორკის სახელზე. აი რას ვკითხულობთ წერილში: „ღვთისმოსავო ბატონო, ვიმედოვნებთ თქვენზე, რომ გაგიხარდებათ ჩვენი უსაფრთხოება, ჩვენ გვსურს და გემუდარებით, გაითვალისწინოთ როგორ პირობებში შეუძლია ჩვენს გემებს ჩასვლა ბამასის (საშემოდგომო) ბაზრობაზე და მიიღებენ თუ არა ჩვენს ხალხს, გემებს და საქონელს ანტვერპენში, მიდელბურგში და სხვა ნავსადგურებში. თუკი მიიღებენ ჩვენ დავნიშნავთ გემებს ბაზრობაზე გასაგზავნად, ხოლო თუ არა, მაშინ ჩვენ თავს შევიკავებთ გემების გაგზავნაზე. მაგრამ ორივე შემთხვევაში უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ ყოველივე ეს დარჩება საიდუმლოდ, რომ ჩვენი სურვილის შესახებ ვერავინ შეიტყობს. გთხოვთ, ყოველივე შეიტყოთ რაც შეიძლება სწრაფად, რომ მივიღოთ თქვენგან რჩევა თუ როგორ მოვიქცეთ ამ საქმესთან დაკავშირებით, ასევე გვაინტერესებს თქვენი პირობები და მოთხოვნები, რომელთა შესრულებისათვის ჩვენ მზად ვართ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!
ღვითსმოსაე რაინდსა და ვაჭარს რიჩარდ იორკს.
ლონდონი, 4 ივნისი, 1491 წ.
ქ. ლონდონის კომპანიის მამასახლისები (1: 216).

ზემოთ მოყვანილი 1491 წლის დოკუმენტიდან შემდეგი ირკვევა:

1. ლონდონელი ვაჭარ-ავანტიურისტები სინკსონის (საზაფხულო) ბაზრობას აწყობდნენ ანტვერპენის გარდა ზელანდიაში.

2. ბამასის (საშემოდგომო) ბაზრობას როგორც ჩანს აწყობდნენ ანტვერპენსა და მიდელბურგი.

3. უშიშროების გარანტიისათვის გემები ბაზრობაზე სავაჭროდ მიემართებოდნენ სამხედრო დაცვის თანხლებით.

4. ირღვეოდა მეფის კანონი შემოსავლის სფეროში. ვაჭრები მეფისაგან საიდუმლოდ ცდილობდნენ გემების გაგზავნას ბამასის ბაზრობაზე ანტვერპენში და მიდელბურგში. თუ ანტვერპენიდან რიჩარდ იორკისაგან მიიღებდნენ დადებით პასუხს, მაშინ ვაჭრები წავიდოდნენ სავაჭროდ, მიიღებდნენ მოგებას, ხოლო მეფეს არაფერი ეცოდინებოდა ამის შესახებ.

XV საუკუნიდან ზღვის გაღმა მმართველს რეგულარულად წარმოადგენდნენ ლონდონელები. მათი გავლენა დიდი ყოფილა უმაღლეს ხელისუფლებაშიც. ისინი განსაზღვრავდნენ ვაჭარ-ავანტიურისტთა საგადასახადო პოლიტიკას (14: 170). ვაჭარ-ავანტიურისტები ღებულობდნენ ორდონანსებს, რომელნიც ახდენდნენ მათი საქმიანობის ორგანიზებას და ხელს უწყობდნენ კომპანიის საერთო კეთილდღეობას. მაგალითად 1525 წელს მიიღეს ორდონანსი, რომლის მიხედვით:

1. ზღვის გაღმა ყოველ სავაჭრო სეზონზე უნდა აერჩიათ ორი „ღირსეული და გამოცდილი“ ვაჭარი მმართველად.

2. ბაზრობის დმთავრების შემდეგ არ შეიძლებოდა ვაჭარს ეყიდა ან გაეყიდა რაიმე ანტვერპენში. აქედან ჩანს თუ რა მტკიცედ იცავდნენ ვაჭრები ბაზრობის ვადებს, ეს კი მეტყველებს მათ ორგანიზებულობაზე.

3. გაყიდულ საქონელზე ვაჭრებს თანხა უნდა აეღოთ წასვლამდე რვა დღის განმავლობაში, ამასთანავე, არავის შეეძლო გაეყიდათ საქონელი დაწესებულ ფასზე უფრო ძვირად.

4. ვაჭარ-ავანტიურისტები ყოველ გატანილ საქონელზე იხდიდნენ ბაჟს. ირკვევა, რომ ყოველ თოფ ქსოვილზე უნდა გადაეხადათ ბაჟი ორი გროტის ოდენობით. ისინი მოითხოვდნენ, რომ ეს ბაჟი შეემცირებინათ ერთ გროტამდე (1, 716).

ერთ-ერთი ნაოსნობა საშემოდგომო ბაზრობაზე ავანტიურისტებს დაუჯდათ 13 ათასი გირვანქა სტერლინგი და ეს თანხა, კომპანიის გადაწყვეტილებით, განაწილდა კომპანიაში შემავალ კორპორაციებს შორის. ესეც ვაჭართა ორგანიზებულობაზე მეტყველებს.

ყოველი ავანტიურისტი ვაჭრობდა ინდივიდუალურად, ხოლო გემებს ქირაობდნენ კომპანიის ადგილობრივი განყოფილებები.

ყოველი ექსპედიციის მოწყობისას საწევრო გადასახადი განისაზღვრებოდა გადასაზიდი საქონლის ოდენობითა და ღირებულებით. ფლოტის გამგზავრებას, სად და როდის უნდა ჩასულიყო იგი, ამას განსაზღვრავდა საერთო ინგლისელ ავანტიურისტთა კომპანიის გენერალური საბჭო.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია გამოირჩეოდა კომერციულ საქმიანობაში დიდი აქტიურობით (117: 75). ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტები აერთიანებდნენ ვაჭართა დიდ ჯგუფს, რომელიც არეგულირებდა საგარეო ვაჭრობას. ისინი დიდ გაელენას ახდენდნენ სამეფო კარზე, ინგლისის საგარეო პოლიტიკაზე, მონაწილეობას იღებდნენ მეფის ფინანსური პოლიტიკის შეზღუდვაში, იბრძოდნენ საბაჟოს გადასახადების შემცირებისათვის.

1483 წლის 13 ივნისს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე გამოცხადდა, რომ ორშაბათს ვაჭარ-ავანტიურისტები სხვა კორპორაციებთან ერთად წარსდგებიან ლორდ-პროტექტორისა და სამეფო საბჭოს ლორდების წინაშე.

პროტექტორმა მათ გამოუცხადა, რომ პარლამენტის აქტის მიხედვით, გადასახადი (სუბსიდია) ტონაჟზე და მტკნარი წყლის მარაგზე იყო ნაბოძები მეფე ედუარდ IV-ის სიცოცხლეში, მაგრამ ახლა მისი სიკვდილის გამო ამ აქტმა დაკარგა თავისი ძალა. ვაჭარ-ავანტიურისტთა მოთხოვნის შესაბამისად ლორდ-კანცლერმა დაავალა ლორდ-ხაზინადარს, ებრძანებინა ყველა გადასახადის ამკრეფთათვის, რათა შეეწყვიტათ ბაჟის აკრეფა და ნება მიეცათ ინგლისელი ვაჭრებისათვის გაეტანათ თავიანთი საქონელი თავისუფლად ყოველგვარი დაყოვნების გარეშე (1: 153).

საინტერესოა კიდევ ორი დოკუმენტი, იმის დამადასტურებელი, რომ ვაჭარ-ავანტიურისტები ცდილობდნენ ხოლმე, საბაჟო გადასახადების შემცირებას ან მათ გაუქმებას.

1509 წლის 8 თებერვალს ვაჭარ-ავანტიურისტთა საერთო კრებაზე მამასახლისმა სეიმურმა გამოუცხადა კომპანიას, რომ, როგორც მან შეიტყო მზადდებოდა აქტი სუბსიდიის შესახებ. ის მოეთათბირა ქალაქის მერს, თემთა პალატის წევრებს და სხვა ქალაქელებს. სპეციალურად შემუშავებულ იქნა დამატებითი მუხლები სუბსიდიის ლიკვიდაციის თაობაზე და ეს დამატებანი (შესწორებანი) წაკითხულ იქნა ავანტიურისტთა კრებაზე, რაც ყველამ მოიწონა და ერთხმად იქნა მიღებული. გადაწყდა ეს დამატებანი წარედგინათ პარლამენტში. აი რა იყო ამ დამატებაში ნათქვამი: უზრუნველყონ რათა დაწესებულმა სუბსიდიამ არ მიაყენოს ზარალი მეფის ქვეშევრდომებს. გამონაკლისს წარმოადგენდნენ კალეს ბაზრის ვაჭრები, რომლებიც აწარმოებდნენ ვაჭრობას კალეს ბაზარზე წმინდა მიხეილის დღემდე. აქედან ჩანს, რომ ინგლისელი ვაჭრები აწარმოებდნენ მაუდით ვაჭრობას ქ. კალეში დაწესებულ გარკვეულ დროს უნდა უზრუნველყონ აგრეთვე, რათა ვაჭარ-ავანტიურისტებისაგან არ მოითხოვონ გადასახადი იმ ნორმაზე მეტი, რომელსაც ისინი იხდიდნენ ედუარდ IV-სა და ჰენრი VII-ის დროს.

უზრუნველყონ, რათა არც ერთი ვაჭარი არ დაისაჯოს ახლანდელი სუბსიდიის გადაუხდელობისათვის. არ მოითხოვონ მათგან გადახდა არც საქონლით, არც სხვა საშუალებებით. უნდა გადაახდევინონ მხოლოდ ორმაგი ფასი იმავე საქონელზე (1:348).

ამ უკანასკნელი „მუხლიდან" ჩანს ვაჭრების უშმაკობა: ისინი ზრუნავდნენ, რათა არც ერთი ვაჭარი არ დაესაჯათ სუბსიდიის გადაუხდელობისათვის.

1509 წლის 12 თებერვალს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ გაეკეთებინათ ამონაწერი კომპანიის კლერკის წიგნიდან იმ გადასახადთა ოდენობის შესახებ, რომელსაც ვაჭრები იხდიდნენ ჰენრი VII-ის (1485-1509) მმართველობის მეხუთე წელს (1489) და მოეთხოვათ მეფისა და ლორდებისაგან, რომ ასეთივე სიდიდის გადასახადი დაეწესებინათ ახლაც. წინააღმდეგ შემთხვევაში გადასახადს არ გადაიხდიდნენ. გადაწყდა, რომ გაეგზავნათ პეტიცია მეფისათვის. 14 თებერვალს დილის 9 საათზე შეიკრიბნენ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის დელეგატები (სულ 16 კაცი, აქედან 8 იყო მერსერი) და გაემარ-

თნენ თავიანთი მოთხოვნების წარსადგენად სამეფოს ბეჭდის ლორდ-შემნახველთან ტომას ლიველისთან, უინჩესტერის ეპისკოპოსთან და შეფილდთან, რომელიც იყო ლონდონის რეგისტრატორი და სამეფო საბჭოს წევრი. მათ მიიღეს უარყოფითი პასუხი, ხოლო ეპისკოპოსმა ამის შესახებ საერთოდ არც კი ისურვა ვაჭრებთან საუბარი (1: 347).

1509 წლის 16 თებერვალს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაკითხულ იქნა პეტიცია. აი რა ეწერა პეტიციაში:

„თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ თქვენი ერთგული ქვეშევრდომნი, ვაჭარ-ავანტიურისტები მუხლმოდრეკით გთხოვთ იმასთან დაკავშირებით, რომ ახლანდელ პარლამენტზე თქვენი მმართველობის პირველსავე წელს თქვენს მიერ ბოძებულ იქნას პეტიცია. ჩვენ, თქვენი ღარიბი ქვეშევრდომნი მზადა ვართ გადავიხადოთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ, ვაჭრებმა უკვე შევიძინეთ ზღვის გაღმა მხრიდან უცხოელების მიერ შემოტანილი საქონელი. ამასთანავე მათ (უცხოელებმა) შემოიტანეს თავიანთი საქონელი ყოველგვარი დაბეგვრისა და ანგრიშსწორების წიგნში საქონლის აღრიცხვის გარეშე. ახლა თუ ჩვენ გვაიძულებენ გადავიხადოთ სუბსიდია, მაშინ უცხოელების ნაცვლად მოხდება ჩვენი დაბეგვრა. ფაქტიურად ჩვენგან აიღება თანხა მათ მიერ შემოტანილი საქონლის გამო (ე. ი. მათ ნაცვლად ჩვენგან აიღებენო გადასახადს), ეს კი დიდ უსიამოვნებას მოუტანს ვაჭრებს.

— ჩვენო მამავ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. შეგვინდეთ, გაგვათავისუფლეთ ვაჭრები სუბსიდიის გადახდისაგან (1:350).

როცა პეტიცია წაიკითხეს ყველა კმაყოფილი დარჩა. გადაწყდა, რომ 10 კაცი შეკრებილიყო დილის 8 საათზე წმინდა მერის ეკლესიაში, იქიდან უნდა წასულიყვნენ უესტმინსტერში და დალოდებოდნენ იმ დროს, როცა მეფე წავიდოდა წირვაზე და მიერთმიათ მისთვის ეს პეტიცია (1:351).

საბოლოოდ ვაჭართა ბრძოლა თავიანთი თხოვნით სუბსიდიის თაობაზე დამთავრდა შემდეგი გადაწყვეტილებით: მეფე და მისი საბჭო მოითხოვდა ვაჭრებისაგან ჩაებარებინათ ანგარიში ჩამოტანილი საქონლის ოდენობის, ხარისხისა და ღირებულების შესახებ. ამის შემდეგ ლორდები დაჰპირდნენ ვაჭრებს, რომ მათ მოექცეო-

დნენ კეთილად და ვაჭრებს არ ექნებოდათ უკმაყოფილების საბაბი. როცა მოიტანდნენ საქონლის სიას, მეფის წყალობასაც მაშინ მიიღებდნენ (1:359).

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს ვაჭრები მეფისაგან ამა თუ იმ პრივილეგიის მოპოვებას აღწევდნენ ქრთამის, საჩუქრებისა და მოსყიდვის გზით. ამ საქმესთან დაკავშირებით ხარჯების თითქმის ნახევარს როგორც ყველაზე მდიდარი კომპანია მერსერების კომპანია იხდიდა

XV-XVI საუკუნეებში მატყლი და მაუდი წარმოადგენდა ინგლისის ექსპორტის 90%-ს, რაც აღწევდა 2,5 მლნ. გირვანქა სტერლინგს (186:192). ყოველივე ეს კი ადასტურებს მაუდის წარმოების მნიშვნელობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც.

ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია, რომელიც ოფიციალურად 1405 წელს გაფორმდა დაცემას იწყებს XVII საუკუნის დამლევს. შალის ქსოვილების ექსპორტში მის მონოპოლიას ბოლო მოეღო ნიდერლანდებში და ჩრდილოეთის ზღვის გერმანული მიწების ნაპირებზე მდებარე ნავსადგურებში მხოლოდ 1688 წლის „სახელოვანი“ რევოლუციის შემდეგ.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომერციული საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაპიტალისტური წარმოების პირველ სტადიასთან მრეწველობაში. აღნიშნულმა კომპანიამ საფუძველი ჩაუყარა ე. წ. „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების“ პროცესს ინგლისში, ხელი შეუწყო ნაციონალური საზღვაო ფლოტის მშენებლობას. კომპანიამ შესაძლებლობა მისცა ვაჭრებს კარგად შეესწავლათ ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები, კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობანი.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია შეიქმნა ინგლისის სხვა ქალაქებშიც: ნიუკასლში, იორკში, ნორიჯში, ჰალეში, სოლსბერიში, მიდლენდში და ეკზეტერში, რასაც ადასტურებს „ნიუბოლდის წიგნი“.

იორკი წარმოადგენდა ჩრდილოეთი ინგლისის ქალაქს. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ეს ქალაქი იყო დავისი მნიშვნელობით ლონდონის შემდეგ მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმოადგენდა ჩრდ. პროვინციების ვაჭრობისა და ხელოსნობის მთავარ

ცენტრს. ქალაქ იორკში მოქმედებდნენ მეფის ადმინისტრაციული და იურიდიული დაწესებულებანი. XIV საუკუნის ბოლო მეოთხედში იორკში მოითვლებოდა 11 ათასი მცხოვრები. XV საუკუნეში – 12 ათასი, ხოლო XVI საუკუნის შუა ხანებში, როცა დაიწყო ქალაქის საერთო დაცემა, მოსახლეობა მხოლოდ 8 ათასს მოითვლიდა.

საქალაქო ცხოვრებაში მთავარ როლს ასრულებდა ვაჭართა გავლენიანი ჯგუფი. 1430 წელს იორკელმა ვაჭრებმა შექმნეს მერსერებისა და ვაჭარ-ავანტიურისტების კომპანია, რომელიც იყო ერთადერთი გაერთიანება ქალაქის ყველა ვაჭრებისა. კომპანიამ იარსება 1600 წლამდე.

იორკის მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის ძირითადი დანიშნულება იყო საგაჭრო საქმიანობა. იორკის კომპანიის წევრები ეწეოდნენ როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობას. მაშინ, როდესაც ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია, უმეტესად, ეწეოდა მხოლოდ საბითუმო ვაჭრობას და ცდილობდა მაუდის ექსპორტის კონცენტრირებას თავის ხელში და პროვინციელი ვაჭრებისათვის საცალო ვაჭრობის უფლებების ჩამორთმევას კონტინენტზე. იორკელი ვაჭრები უარყოფითად შეხვდნენ 1564 წლის აქტს, რომელიც უკრძალავდა მათ საცალო ვაჭრობას. ისინი აცხადებდნენ: „თუ საცალო ვაჭრობის აკრძალვის შესახებ აქტი ძალაში შევა და დაიწყებს მოქმედებას, მაშინ იძულებულნი ვიქნებით დავხუროთ ჩვენი დუქნები, რაც დიდ ზარალს მოიტანს“ (141:48).

1474 წლის ორდონანსმა (142:269) განსაზღვრა ნიდერლანდებში კონკრეტულ ადგილებად იორკელი ვაჭრების მოქმედებისა ფლანდრია, ბრაბანტი, ანტვერპენი, ბეროუ, მიდელბურგი და ჰოლანდია ხოლო საფრანგეთში ნორმანდია. ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ იორკელები ესპანეთთან და ბალტიის ზღვასთან ვაჭრობაში.

ლონდონელმა ავანტიურისტებმა მიაღწიეს ერთიანი ნაციონალური კომპანიის გაფორმებას (1497, 1505 წწ. ქარტიებით) ერთიანი მმართველით, თანამდებობის პირთა (მამასახლისების, თანაშემწეთა საბჭოს და ა. შ.) შტატით. უმცირესობას შეადგენდნენ

ლონდონელებთან შედარებით იორკელი და სხვა პროვინციელ ვაჭართა წარმომადგენლები კომპანიის მმართველობაში. იორკელი ავანტიურისტები პროტესტს აცხადებდნენ ცენტრის მიმართ, რასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 1510 წლიდან ამ ორ კომპანიას შორის მყარდება მშვიდობიანი ურთიერთობა, თუმცა იორკელთა მხრივ მაინც აქვს ადგილი ყრუ უკმაყოფილებას.

იორკის სავაჭრო კომპანია უდავოდ იყო ყველაზე ძლიერი ფილიალი ვაჭარ-ავანტიურისტთა ნაციონალური გაერთიანებისა.

ქალაქ ნიუკასლის ვაჭარ-ავანტიურისტთა ჯგუფი შეიქმნა 1480 წელს. ხოლო 1505 წ. ჰენრი VII-ის დროს მან მიიღო კალეში თავისუფალი ვაჭრობის უფლება (95:269).

1506 წელს ნიუკასლის კომპანიამ მიიღო უფლება შეესყიდა შალი თავის გარშემო რაიონებში და გაეტანა იგი ინგლისიდან ინდოეთში. ჰენრი VIII-ის მეფობის დროს (1509-1547) დაიდო შეთანხმება ნიუკასლელ და ლონდონელ ვაჭარ-ავანტიურისტებს შორის, რომლის მიხედვით ყოველწლიურად ნიუკასლის ავანტიურისტებს უნდა გადაეხადათ საბაჟო გადასახადი 8 გირვანქა სტერლინგის ოდენობით ლონდონის კომპანიის სასარგებლოდ (95:121).

XVI საუკუნის შუა ხანებამდე ნიუკასლის სავაჭრო კომპანია ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის ადგილობრივ განყოფილებას წარმოადგენდა და მან მიიღო უფლება ექსპორტზე ისეთი საქონლისა, როგორც იყო მატყლი, მაუდი, ტყავი. კომპანიამ ხელთ იგდო ზღვის გაღმა საბითუმო ვაჭრობა. ამაღლდა ნიუკასლის ეკონომიკური მნიშვნელობა, როგორც ყველაზე მსხვილი ნავსადგურისა ჩრდილოეთ ინგლისში. მაგრამ ნიუკასლის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია ვაჭრობდა იმავე საქონლით, რითაც ლონდონის, ამიტომ მას ვერ შეძლო კონკურენცია გაეწია მისთვის საშინაო და საგარეო ბაზარზე (95:121), ხოლო მოგვიანებით, XVII ს. დასაწყისში, ნიუკასლის კომპანია ეწეოდა ახალი საქონლით – ქვანახშირით ვაჭრობას.

ლონდონელი ვაჭრები ავიწროებდნენ ინგლისელ პროვინციელ ვაჭრებს უცხოეთის ბაზარზე. ამიტომ სხვა ქალაქების ავანტიურისტებმა გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ერთ დროს ისინი ვაჭრობდნენ თავისუფლად უცხოეთის ქვეყნებთან - ესპ-

ანეთთან, პორტუგალიასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან და ნიდერლანდებთან, ხოლო ახლა ლონდონის კომპანიამ დააწესა ჯარიმა 20 გირვანქა სტერლინგის ოდენობით და ამის გამო შეყოვნდა ვაჭრობა პროვინციელი ვაჭრებისა უცხოეთის ბაზრებზე. ჰენრი VII-ს მიუხედავად იმისა, რომ კეთილად იყო განწყობილი ლონდონელ ვაჭარ-ავანტიურისტთა მიმართ, არ შეეძლო დაეშვა უთანხმოება, წარმოქმნილი მის ქვეშევრდომ ვაჭრებს შორის, ამიტომ ისინი, პროვინციელი ვაჭრები დაუყოვნებლივ დაშვებულ იქნენ 10 ბაზარზე (38:576).

ლონდონსა და სხვა ქალაქებში – ნორიჯში, სოლსბერიში, მადლენდში, ნიუკასლსა და იორკში ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის არსებობას ადასტურებს 1519 და 1522 წლების დოკუმენტები.

1519 წლის 17 დეკემბერს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაიკითხეს ბრძანება, რომლის მიხედვით გამოცხადდა, რომ კომპანიის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, ყოველი საზამთრო სავაჭრო სეზონისათვის ავსტრიის ერცჰერცოგისა და ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე არჩეულ უნდა ყოფილიყო 12 დარბაისელი, შეძლებული და სანდო პირი. ვინც დაუდევრად მოეკიდებოდა თავის მოვალეობას, გადაიხდიდა ჯარიმას 20 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, აქედან 10 გირვანქა სტერლინგი გადაეცემოდა მეფეს, ხოლო დანარჩენი – 10 – კომპანიას (1: 477-478). შემდეგ ჩამოთვლილი იყო დამხმარეების სია, რომელთაგან ოთხი კაცი იყო იორკიდან, ნიუკასლიდან, ნორიჯიდან და ეკზეტერიდან, ხოლო დანარჩენი რვა კაცი ლონდონიდან.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს ავანტიურისტთა ჯგუფი მოქმედებდა იორკში, ნიუკასლში, ნორიჯსა და ეკზეტერში. ამასთანავე მათი წარმომადგენლები ნაკლებად იყვნენ (თითო კაცი), ლონდონელებთან შედარებით. ე. ი. ცენტრი (ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია) ბატონობდა პროვინციის ავანტიურისტებზე.

ცნობილია, რომ ეკზეტერი იყო სამხრეთ-დასავლეთი ინგლისის ეკონომიკური ცენტრი. მას გააჩნდა დევონშირისა და კორნუოლის სამთო-სამრეწველო პროდუქტების სასაწყობო ადგილი (Staple), მაუდის, ტყავის, ფეხსაცმლის სავაჭრო გილდიები. აქ მოქმედი

ვაჭართა ჯგუფი XVI საუკუნის დასაწყისში გაერთიანდა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში (73:36).

საინტერესოა ასევე 1522 წლის 6 თებერვლის დოკუმენტები. ვაჭარ-ავანტიურისტთა საერთო კრებაზე აირჩიეს ზღვისგაღმა მმართველის დამხმარეებად (თანაშემწეებად) 13 კაცი საზამთრო ბაზრობისათვის. აღნიშნული 13 კაციდან 8 იყო ლონდონის კომპანიიდან, თითო-თითო ქალაქ იორკიდან, ნორიჯიდან, სოლსბერიდან, მიდლენდიდან, ხოლო ვინმე ჯონ პრესტი (ხაზინადარი) მითითებული არაა რომელი ქალაქიდან იყო. შესაძლებელია იგი იყო ნიუკასლიდან.

აი ზემოთ ხსენებული 13 კაცის სია:

რიჩარდ რეინოლდი – მერსერი,
რობერტ უორენი – მერსერი,
რობერტ მილერი – მერსერი,
ჯონ კლერკი – მაუდით მოვაჭრე,
რობერტ შიტი – მკერავი,
ჯონ ლონგი – მარილით მოვაჭრე,
ტომას სნოდლენდი – თევზით მოვაჭრე,
ჯონ მარშელი – ნორიჯიდან,
ტომას ენდერბი – ტყავით მოვაჭრე,
რობერტ უაიტფილდი – იორკიდან,
უილიამ უები – სოლსბერიდან,
ჯონ დავენსი – მიდლენდიდან,
ჯონ პრესტი – ხაზინადარი (1:557).

როგორც ირკვევა, ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია თავის რიგებში აერთიანებდა მდიდარ ვაჭრებს არა მარტო ლონდონის კორპორაციებიდან (მერსერები, გროსერები, ღვინით, პილპილით მოვაჭრენი და სხვ.), არამედ ინგლისის სხვა ქალაქებიდანაც: იორკიდან, ნორიჯიდან, სოლსბერიდან, მიდლენდიდან, ნიუკასლიდან, ეკზეტერიდან და ჰალედან.

3. ლონდონის სავაჭრო გილდიები

XV საუკუნის ბოლოს ლონდონში არსებული სავაჭრო კორპორაციებიდან გამოიყვნენ მდიდარი ვაჭრები, გაერთიანდნენ და შექმნეს ახალი სავაჭრო გაერთიანება ე. წ. ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია. ისმის კითხვა რომელი იყო ეს სავაჭრო კორპორაციები?

XV საუკუნის 80-იან წლებში ლონდონში იყო 69 სავაჭრო და სახელოსნო გილდია, აქედან 12 სავაჭრო გილდია იყო წამყვანი. ესენი იყვნენ: მერსერები (ქსოვილით მოვაჭრენი), ბაკალეით (ბითუმად მოვაჭრენი), მაუდით, თევზით, საიუველირო საგნებით, ტყავით მოვაჭრენი, მკერავები, რკინა-კავეულით, მარილით, ღვინით მოვაჭრენი, მეგალანტერეები (საფეიქრო ნაწარმით მოვაჭრენი), ხავერდით მოვაჭრენი (1:88). ვ. შტოკმარის (182:52) და ჯ. ეშლის (80:340) მიხედვით ლონდონში ამ დროისათვის იყო 12 ზემო დასახელებული გილდია. მათ ემორჩილებოდა ხელოსანთა ლივრეის კომპანიები და იგი ეკონომიკურად ბატონობდა მათზე.

ლონდონის მდიდარმა სავაჭრო გილდიებმა მიიღეს ლივრეის კომპანიის სახელწოდება. ცენტრალური ხელისუფლებისაგან ინკორპორაციის სიგელები მიიღეს მკერავებმა – 1408 წელს, მერსერებმა – 1411 წელს, ბითუმად მოვაჭრეებმა (Grocers) – 1428 წელს, ხოლო მაუდით მოვაჭრეებმა – 1438 წელს (80, 340).

ყოველი სავაჭრო გილდია სხვებისაგან გამოირჩეოდა იმისდა მიხედვით თუ რა პროდუქციით ეწეოდა ვაჭრობას (14, 153). „ნიუბოლდის წიგნი“ ადასტურებს, რომ სხვებთან უფრო შედარებით მდიდარნი იყვნენ: მერსერთა, მაუდით და ღვინით მოვაჭრეთა კორპორაციები.

1180 წელს მოხსენიებულია პილპილით მოვაჭრეთა კორპორაცია (Gilda Piperariorum), რომელიც, საფიქრებელია, აღმოსავლური საქონლით ვაჭრობდა. ეს იყო ლონდონის უძველესი გილდია. 1345 წელს Piprarii (ინგლისურად Pepperers) გაერთიანდნენ სანელებლებით (Spicers) და ტილოთი (Canvasdealers) მოვაჭრეებთან და შექმნეს ახალი სავაჭრო კომპანია ე. წ. წმინდა ანტონიოს ძმობა. შემდგომში ამ გილდიის ვაჭრები იწოდებოდნენ გროსერებად (121:265, 66:247). ს. ტრაპის მიხედვით ლონდონელ ბაყალთა ლი-

ვრეს კომპანიაში 1000-დან 2 000 გირვანქა სტერლინგი კაპიტალის მფლობელები შეადგენდნენ კომპანიის საერთო ოდენობის 18%-ს. 400-დან ათას გირვანქამდე – 28%-ს. ყველაზე დაბლა მდგომნი – 400 გირვანქის მფლობელები – 54%-ს (67, 266).

გროსერები რომ ერთ-ერთი მდიდარი კორპორაცია იყო ამაზე მეტყველებს ხშირად მათი დანიშვნა ოლდერმენის თანამდებობაზე. აღნიშნულ თანამდებობაზე ირჩევდნენ მხოლოდ მერსერთა, გროსერთა, ღვინით მოვაჭრეთა და სხვა მდიდარი გილდიებიდან. ჩვენ მოვიყვანთ გროსერთა სახელებს, რომლებიც არჩეულნი იყვნენ ოლერმენებად 1402-1505 წლებში (67, 321, 377) (ცხრილი №3).

ცხრილი №3

წლები	გროსერები	წლები	გროსერები
1402-1426	რობერტ ჩიჩელი	1445-1461	ტომას კანინგემი
1407-1416	ჰენრი ჰელტონი	1454-1464	ჯონ უალდერნი
1420-1436	ჯონ უოლსი	1485-1499	რალფ ტილნი
1426-1436	რობერტ ოტელი	1488-1502	ჯონ ბროუკი
1429-1460	სტეფენ ბრაუნი	1492-1496	ნიკოლას უიფოლდი
1438-1451	უილიამ უეტენალი	1498-1505	ჯონ უინგარი

ბითუმად მოვაჭრეთა კომპანიის წევრი ნიკოლას ბრემდე 1385 წელს მეორედ იკავებს ქალაქის მერის თანამდებობას (77:327).

1365 წელს შეიქმნა მაუდით მოვაჭრეთა კომპანია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლონდონში არსებულმა მდიდარმა სავაჭრო გილდიებმა მათ შორის მაუდით მოვაჭრეებმა 1438 წელს მიიღეს მეფის ხელისუფლებისაგან ინკორპორაციის სიგელი (80, 340). ყველაზე ადრეული ცნობები მემაუდეთა კომპანიის შესახებ მი-

ეკუთვნება 1405 წელს. ეს ყოფილა ერთ-ერთი ძლიერი კორპორაცია და თავის რიგებში აერთიანებდა ასზე მეტ წევრს. 1405 წელს კომპანიამ მიიღო უფლება აერჩია ყოველ წელს კონტროლისათვის და კომპანიის წევრების დაცვისათვის ზედამხედველი (Keeper). 1405-1406 წლებში გამოცხადდა, რომ მემაუდეთა კომპანიის წევრებს სხვა ვაჭრების მსგავსად უფლება აქვთ გაყიდონ მაუდი ბითუმად მხოლოდ მეფის მიერ დაწესებული ნორმის მიხედვით (80, 340). ა. კირილოვას მიერ მოყვანილი ცნობების მიხედვით, მემაუდეთა კომპანია იყო ერთ-ერთი მდიდარი კომპანია. გარდა ლონდონისა, ისინი ცხოვრობდნენ ბრედფორდსა და ტროუბრიჯში (105: 90-91).

მაუდით მოვაჭრე დ. ნორტჰემპტონი იყო მდიდარი ვაჭარი. 1384 წელს იგი ფლობდა ლონდონის ტერიტორიაზე 90 ნაკვეთ მიწას, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 150 გირვანქა სტერლინგს. მას ეკუთვნოდა ასევე საწყობები, დუქნები, სამღებრო დოუგეიტის ოლქში (12:9).

ღვინით მოვაჭრეთა კომპანია შეიქმნა 1364 წელს. ჰენრი VII-მ მიანიჭა ახალი უფლებები. გილდიის წევრებს შეეძლოთ ხელი მოეკიდათ სხვა ვაჭრული საქმიანობისთვისაც – შეეძლოთ ეყიდათ და გაეყიდათ სხვადასხვა საქონელი, მათ შორის მაუდის ქსოვილები როგორც ბითუმად, ასევე საცალოდ ქალაქ ლონდონში და მის გარეუბანში, აგრეთვე მთელი ინგლისის სახელმწიფოს ფარგლებში (105: 73-74).

ღვინით მოვაჭრეთა გილდია ვაჭრობდა იმპორტული ღვინით, რომელიც მათ ჩამოჰქონდათ გასაკონიდან ან ყიდულობდნენ ლონდონში ჩამოსული ფრანგი, ესპანელი და იტალიელი ვაჭრებისაგან. ღვინით მოვაჭრე რიჩარდ ლაიონსი ფლობდა დიდძალ მიწებს ნორფოლკის შაირში (137:310).

თევზით მოვაჭრეთა გილდია (Fishmongers) ერთ-ერთი მდიდარი გაერთიანება იყო. თევზი იყო ყველაზე იაფი და გავრცელებული პროდუქტი ლონდონში, რომლითაც იკვებებოდა ძირითადად ნაკლებად შეძლებული ხალხი, ხოლო დიდი მარხვის დროს თევზით იკვებებოდნენ მდიდრებიც (48, 19). ირკვევა, რომ

პროდუქტებით მოვაჭრეთა გილდიის წევრებს ხშირად ეჭირათ ოლდერმენის თანამდებობა. ასე მაგალითად, 1377 წელს 23 ოლდერმენიდან 8 იყო თევზით მოვაჭრე. ღვინით და საბაკალეო საქონლით მოვაჭრენი შეადგენდა უმრავლესობას ოლდერმენთა საბჭოში (68: 135-136).

პროდუქტებით მოვაჭრეთა – თევზით, ღვინით, ბაკალეით მოვაჭრეთა გილდიების შემოსავლის მთავარი წყარო მაინც იყო შალის ექსპორტი. მაგალითად ნიკლას ბრემბრი (ბაკალეით მოვაჭრე) 1381-1385 წლებში შედიოდა შალის მსხვილ ექსპორტიორთა ხუთეულში (12, 5). იგი ამავე დროს ფლობდა დიდძალ მიწებს. კენტში მას ჰქონია 6 მანორი, ხოლო მიდელსექში - 3. მისი წლიური შემოსავალი აღწევდა 331 გირვანქა სტერლინგს 4 შილინგსა და 7 პენსს (12:4).

პროდუქტებით მოვაჭრეთა გილდიებს, ჰქონდათ რა ფულადი სახსრები, გამოდიოდნენ როგორც სამეფო ხელისუფლების კრედიტორები. როგორც ირკვევა, 1369 წელს როცა საფრანგეთთან განახლდა ასწლიანი ომი, სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით ინგლისის სამეფო ხელისუფლებამ მიიღო მათგან კრედიტი (65: 17-20), რაც ასევე მეტყველებს მათ სიმდიდრეზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგლისის 1381 წლის უოტ ტაილერის აჯანყების დროს ძველი პატრიციატის წინააღმდეგ გამოვიდნენ სავაჭრო გილდიის წევრი ვაჭრები. ბრძოლას მეთაურობდა მაუდით მოვაჭრე ჯონ ნორტჰემპტონი. მისი უახლესი მრჩევლები ყოფილან უილ ესექსი (მაუდით მოვაჭრე) ჯონ მორი და რიჩარდ ნორბერი (მერსერები). ამასთანავე ჯონ მორი შერიფად დაუნიშნია 1381 წელს. მათ მუდმივ დახმარებას უწევდნენ მკერავი ჯონ ვილარბი და იუველირი რობერტ ფრენსიზი (12: 134-140, 174).

ხოლო რაც შეეხება მკერავთა გილდიას, იგი 1302 წლიდან იწოდება მკერავთა სავაჭრო გილდიად (Merchart Tailors), რომლის შემოსავლის წყარო იყო არა სამკერვალო ნაწარმი, არამედ მაუდი (38:431).

სავაჭრო გილდიებში მიმდინარეობდა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც ნათელყოფს ცხრილი №4.

ლივრეის მდიდარი ფენის რიცხვი ლონდონის კომპანიებში

კომპანია	წევრთა ოდენობა	ლივრეა
ბითუმად მოვაჭრე	177	75
მაუდით მოვაჭრე	248	125
ოქროთი მოვაჭრე	168	59

შედარებით მაღალ საფეხურზე იდგნენ თავიანთი ქონებრივი და სოციალური მდგომარეობით „ლივრეის" მდიდარი ვაჭრები. დაბალ საფეხურზე იდგნენ დამოუკიდებელი „უმცროსი" ვაჭრები. შემდეგ მოდიოდნენ ქარგლები და შეგირდები (128: 203-204).

მსგავს ქონებრივ დიფერენციაციას ჰქონდა ადგილი დანარჩენ გილდიებშიც. მერსერთა (ქსოვილით მოვაჭრეთა) კორპორაცია გაფორმდა 1394 წელს. ეს კორპორაცია იყო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი გილდია, რომელიც შევიდა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის შემადგენლობაში, რასაც ადასტურებს 1474, 1509, 1512 წლების დოკუმენტები (1: 80-81, 273).

თავი II. მერსერთა სავაჭრო გილდია

1. მერსერთა საქმიანობა

სანამ მერსერთა საქმიანობის შესწავლას შევუდგებოდეთ, უნდა გავარკვიოთ თუ როდის წარმოიშვა ლონდონში მერსერთა სავაჭრო გილდია. ამ საკითხის შესწავლისას ვითვალისწინებთ ინგლისელი მკვლევრების უ. ჰერბერტის, გ. ტრაილის უ. კენინგემის, ე. ლიპსონისა და რუსი მკვლევრების – მ. იაბროვას, ე. გუტნოვას, ი. ლევიცკისა და ა. კირილოვას, აგრეთვე ქართველი ისტორიკოსის გ. რ. ჩხარტიშვილის მოსაზრებებს. ლონდონის სავაჭრო გილდიის წარმოშობის შესახებ ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ისტორიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს კომპანია წარმოიშვა XIV საუკუნეში, ხოლო მეორე ნაწილი, საერთოდ, გამორიცხავს ამ პერიოდში ლონდონში სავაჭრო გილდიის არსებობას და მათ შორის, ალბათ, მერსერთა სავაჭრო გილდიის არსებობასაც. განვიხილოთ ეს საკითხი თანმიმდევრულად.

უ. ჰერბერტის აზრით, XIV საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდნენ წვრილმანი საქონლით მოვაჭრენი – „mercers„„ რომლებიც ადრე სხვადასხვა საქონლით ვაჭრობდნენ, „ახლა კი (ე. ი. XIV საუკუნეში, – ი. ბ.) აბრეშუმით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. (33: 230)

გ. ტრაილის თანახმად, მერსერებს, გროსერებსა და მემაუდეებს ედუარდ III-ის დროს ეკავათ პირველი ადგილი ლონდონის კომპანიებს შორის. ამ სამი კომპანიიდან XIV საუკუნის დამლევს წარმოიშვა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია. ამასთანავე, მათი კავშირი ლონდონის წვრილმანი საქონლით მოვაჭრეთა კომპანიასთან (ე. ი. მერსერთა კომპანიასთან) უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე სხვა რომელსამე კომპანიასთან (78:85). ტრაილის მიხედვით გამოდის, რომ სავაჭრო გილდიები არსებობდნენ ლონდონში XIV საუკუნის მეორე ნახევარში.

უ. კენინგემი თვლის, რომ XIII–XIV საუკუნეებში ინგლისელთა ვაჭრობა არ აღწევდა განვითარების ისეთ დონეს, რომ დავუშვათ ამ ქალაქებში მდიდარ ვაჭართა ფენის წარმოშობა. გერმ-

ანიის ქალაქებში კი უკვე XII საუკუნეში იყვნენ მდიდარი ვაჭრები. მისი აზრით, მერსერთა გილდიის ყველაზე ადრეული დადგენილება განეკუთვნება 1347 წელს, როდესაც მათ ხელში ყოფილა იმ საზომების ოფიციალური შემოწმების უფლება, რომლებიც გამოყენებული იყო საცალო ვაჭრობის დროს (77:278). ამდენად უ. კენინგემი არ უშვებს მერსერთა სავაჭრო გილდიის არსებობას ლონდონში XIV საუკუნეზე უფრო ადრეულ პერიოდში.

ასეთივე აზრს იზიარებს ე. ლიპსონი, რომლის მიხედვით, ლონდონში მდიდარ ვაჭართა ფენის არსებობა შეიმჩნევა XIV საუკუნის დასაწყისში, სხვა ქალაქებში კი, ჩვეულებრივ; – XVI საუკუნეში (38:432). მ. მ. იაბროვას მიხედვით, ფუფუნების საგნებით მოვაჭრე (მერსერთა) კომპანია წარმოიშვა XIV საუკუნეში (191:142).

ე. ვ. გუტნოვას აზრით, XIV–XV საუკუნეებში სხვა ქალაქებიდან ლონდონი იმით გამოირჩეოდა, რომ მასში არასოდეს არ ყოფილა სავაჭრო გილდია. იგი ამას ხსნის ხელოსნობისა და ვაჭრობის შედარებით ადრეული განვითარებით. მათი ფუნქციების ზუსტმა განსაზღვრამ განაპირობა ის, რომ აქ არ იყო პირობები სავაჭრო გილდიის, როგორც ყველა იმ ვაჭართა თავისებური გაერთიანების არსებობისათვის, რომელიც ეწეოდა ვაჭრულ-ხელოსნურ საქმიანობას (88:402).

ი. ა. ლევიცკი მიიჩნევდა, რომ მსხვილი ქალაქებიდან XII-XIII საუკუნეებში სავაჭრო გილდია არ გააჩნდა ლონდონს, ნორიჯსა და ნორტჰემპტონს, რაც აიხსნება ლონდონის მიერ ვაჭრობის სფეროში ისეთი ფართო პრივილეგიებით, რომ აღარ იყო აუცილებელი მისი მოპოვება სავაჭრო გილდიის შექმნის გზით (119:121). ამ პერიოდში სავაჭრო გილდიის არსებობას ლონდონში გამორიცხავდნენ აგრეთვე ა. ა. კირილოვა (103:40.) და გრ. ჩხარტიშვილი (178:36).

როგორც ვხედავთ, საკითხი იმის შესახებ თუ როდის წარმოიშვა ლონდონის მერსერთა სავაჭრო კორპორაცია ისტორიკოსთა მიერ არაა ზუსტად გარკვეული. ამის შესახებ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

მერსერთა გილდიის საბჭოს აქტების შესწავლამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს კორპორაცია XIV საუკუნეზე უფრო

ადრე უნდა იყოს წარმოშობილი. „ნიუბოლდის წიგნში“ პირდაპირაა მითითებული, რომ რიჩარდ მეორემ პირველად გამოსცა ქარტია 1394 წელს და შექმნა მერსერთა კორპორაცია და ასევე მათ მისცა ნება შეეძინათ მიწები და სამფლობელოები კაპელანების და კორპორაციის წევრების სარჩენად (1:410-411). როგორც ჩანს, მერსერთა კორპორაცია ოფიციალურად გაფორმდა 1394 წელს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ გამორიცხავს მის არსებობას უფრო ადრეულ პერიოდშიც.

ჩვენამდე მოღწეულია 1190 წლის სიგელი, რომლის მიხედვით მერსერთა კომპანიის არსებობა დასტურდება XII საუკუნეში, კერძოდ ჰენრი II პლანტაგენეტის ეპოქაში. „ნიუბოლდის წიგნში“ ვკითხულობთ, რომ ტომას ჰელეს და მის მეუღლეს აგნესას (წმინდა ტომას ბეკეტის დას) წმინდა ტომას აქონის ჰოსპიტლისათვის უჩუქებია მიწა ეკლესიის ასაგებად, ხოლო ჰოსპიტლის მფარველობა მერსერების ხელში ყოფილა. უფრო გვიან კი 1390 წელს მერსერებმა ჰოსპიტალი გადააქციეს თავიანთი თავშეყრის ადგილად, სადაც მართავდნენ თავიანთ კრებებს (1:8).

როგორც ეტყობა, მერსერთა კორპორაცია ოფიციალურად გაფორმდა 1394 წელს, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული სიგელი (1190 წ.) ადასტურებს, რომ იგი უფრო ადრეც არსებობდა. რიჩარდ მეორის დროს ქარტიით მტკიცდება ამ კორპორაციის ოფიციალურად არსებობა.

ყველა მკვლევარი ცდილობდა ეპოვა ამ სიტყვის (mercer) ზუსტი მნიშვნელობა, მაგრამ მათი განმარტება ატარებს ცალმხრივ ხასიათს და არ იძლევა სწორ ახსნას. როგორც ჩანს, ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეების ინგლისის სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა რაიონში (139: 35).

„ახალი ინგლისური ლექსიკონის“ (42: 345) მიხედვით, „mercer“ ნიშნავს საფეიქრო, განსაკუთრებით აბრეშუმით, ხავერდითა და სხვა ქსოვილით მოვაჭრეს. იშვიათად, – წვრილ ვაჭარს.

XIX საუკუნის ისტორიკოსები უ. ჰერბერტი, (33: 230) ჩ. გროსი, (30; 127) უ. კენინგემი (77;278) ჯ. ეშლი (80; 488) თვლიან, რომ „მერსერი“ ნიშნავდა საცალო საქონლით მოვაჭრეს, წვრილმანი საქონლით მოვაჭრეს.

ე. ლიპსონს (38: 433) მიაჩნია, რომ მერსერთა კონტროლის ქვეშ იყო ლონდონის „მცირე სასწორები" (small balance), რომლებიც გამოიყენებოდა საცალო ვაჭრობის დროს. მისი აზრით, მერსერები თავდაპირველად ვაჭრობდნენ რკინით, გამხმარი თევზით, ტილოთი, მარცვლეულით, ღვინით, აბრეშუმით და სხვ.

ამერიკელი ისტორიკოსი ს. ტრაპი (66: 264, 275) არ იზიარებს ლიპსონისა და მისი წინამორბედების მოსაზრებებს. მისი აზრით, „მერსერი" გამოხატავდა ძვირფასეულობით მოვაჭრეებს, ეს აზრთა სხვადასხვაობა არსებობს რევოლუციამდელ რუსულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც. ა. კ. ჯივილეგოვი (90: 198) მერსერებს უწოდებს, წვრილმანით მოვაჭრეებს – „კრემერებს", რომლებიც ეწეოდნენ აბრეშუმით ვაჭრობას.

ვ. ვ. შტოკმარი (181: 52) „მერსერში" ხედავს აბრეშუმითა და ხაერდით მოვაჭრეს. უფრო გვიანდელ ნაშრომში (182: 92) კი იგი ლონდონის ამ გილდიას „მერსერთა ლივრეის" კომპანიას უწოდებს. მ. იაბროვას (191: 146) აზრითაც XIV საუკუნის დასაწყისში ლონდონში 12 მსხვილი კომპანიიდან გამოირჩეოდნენ მერსერები, რომლებიც ვაჭრობდნენ ფუფუნების საგნებით: აბრეშუმით, ხაერდით და ა. შ.

ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებას გამოთქამს ი. ა. ლევიცკი (119: 103-122) მისი აზრით სიტყვა „mercator" XI-XIII საუკუნეებში საერთოდ ვაჭარს აღნიშნავდა ის, ვინც კი ეწეოდა ვაჭრობას, სულ ერთი იყო, ეს ვაჭარი ოსტატ-ხელოსანი, თუ სოფლის მცხოვრები იყო. მათგან განსხვავებით „მერსერი" იყო კაცი, რომელიც სპეციალურად დაკავებული იყო მხოლოდ ვაჭრობით.

ს. პ. პეტროვა-მარკოვა (139: 35) მიუთითებდა, რომ ინგლისის ქალაქების განვითარების პირველ ეტაპზე „მერსერი" აღნიშნავდა „ვაჭარ-პროფესიონალს". სასაქონლო მეურნეობის შემდგომმა ზრდამ, საშინაო ბაზრის ჩამოყალიბება-გაფორმებამ, ვაჭართა რიცხვის ზრდამ განაპირობა მათი სპეციალიზაცია გასაყიდი საქონლისა და ვაჭრობის ფორმის (საცალო თუ საბითუმო) მიხედვით. ამასთანავე, ლონდონელ ვაჭრებს გაჰქონდათ კონტინენტზე მხოლოდ მაუდი და წარმოადგენდნენ ბითუმად მოვაჭრეებს.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ლონდონელი მერსერები ეწეოდნენ საბითუმო ვაჭრობას, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა მათ ცდებს მიეღოთ საცალო ვაჭრობის ნებართვაც. მაგალითად, მერსერები დაინტერესებულნი იყვნენ შეეტყოთ შეეძლოთ თუ არა, მათ საცალოდ გაეყიდათ თავიანთი აბრეშუმის ქსოვილები: მაგრამ ეს ცდები უშედეგოდ მთავრდებოდა. ჩვენ, ცხადია, ვერ დავეთანხმებით ს. პ. პეტროვა-მარკოვას იმაში, რომ მერსერები მხოლოდ მაუდით ვაჭრობდნენ. „ნიუბოლდის წიგნი“ იძლევა იმის საიმედო დადასტურებას, რომ ისინი სხვა სახის ქსოვილითაც ვაჭრობდნენ: მაუდის გარდა აბრეშუმით, ბამბაზიით, ხავერდითა და სხვ.

ე. ვ. კუზნეცოვს (116: 219-220) კანონზომიერად მიაჩნია სიტყვა „mercer“ გადაითარგმნოს „ქსოვილის მოვაჭრედ“ და ეს მკვლევარი ძალიან ახლოსაა ჭეშმარიტებასთან.

მერსერთა „საბჭოს აქტების“ („ნიუბოლდის წიგნის“) შესწავლისას ჩვენ წავაწყდით ცნობებს, რომელნიც ადასტურებენ იმას, რომ მერსერები, ძირითადად, ვაჭრობდნენ, მართლაც, სხვადასხვა სახის ქსოვილით. მაგალითად, 1475 წლის 13 დეკემბერს მერსერთა კრებაზე განიხილეს საკითხი თუ რა პრივილეგიებით გაყიდდნენ მათი ვაჭრები აბრეშუმის ქსოვილებს (1:161), ხოლო 1485 წლის 20 აპრილს მერსერთა კორპორაციის კრებამ გადაწყვიტა, რომ ჯონ სელფორდი, რომელმაც დაარღვია ორდონანსი (1: 161) „ვაჭრობის აკრძალვის შესახებ“, გადაიხდიდა ჯარიმას. მან მოუტანა მამასახლისებს შავი ხავერდის ნაჭერი – 38 იარდი და თოფის 3/4 ფლამანდული მაუდი, ორი რულონი ბამბაზია და, გარდა ამისა, 22 აპრილს უნდა მოეტანა კიდევ 20 თოფი სხვადასხვა ფერის აბრეშუმი, ხოლო შემდეგ 5 მაისს, ხავერდის ნაცვლად უნდა მოეტანა 12 თოფი აბრეშუმი (1: 178). „ნიუბოლდის წიგნში“ ნახსენები აბრეშუმი, ხავერდი, ბამბაზია, მაუდი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მერსერთა კომპანიის ვაჭრობის ძირითადი საგანი იყო სხვადასხვა სახის ქსოვილები. ამიტომ სამართლიანად შეიძლება „mercer“-ი ვუწოდოთ საერთოდ ქსოვილით მოვაჭრეებს.

მერსერთა კორპორაციის მთავარი საქმიანობა იყო ვაჭრობა. ისინი ახდენდნენ როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობის ორგანიზებას.

მერსერები ქვეყნის შიგნით სასტიკად ებრძოდნენ სპეკულაციას, ზედმეტ ფასებში საქონლის გაყიდვას, კონტრაბანდას (უკანონოდ საქონლის შემოტანას. ისინი მოითხოვდნენ ყველა საქონლის შეტანას ანგარიშსწორების წიგნში, მაგრამ მრავალი ვაჭარი ბედავდა ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე ზღვიდან საქონლის შემოტანას, რაც კანონით იკრძალებოდა (1: 253).

კორპორაციის ზოგიერთი წევრი დაწესებულ ნორმაზე მეტ ფასში ჰყიდდა საქონელს ე. ი. ეწეოდა სპეკულაციას. მერსერთა კორპორაციაში შემჩნეული იყო ისეთი პირები, რომლებიც უცხოელებისაგან ყიდულობდნენ საქონელს და შემდეგ მას ჰყიდდნენ ძალიან მაღალ ფასებში (1: 320). ამით ირღვეოდა ორდონანსი, რომლის მიხედვით, ამა თუ იმ საქონელზე დაწესებული იყო ფასის აღმნიშვნელი თანხა, ამით კი ისინი ზიანს აყენებდნენ და არცხვენდნენ კომპანიას. სპეკულაცია, ზედმეტ ფასებში საქონლის გაყიდვა იკრძალებოდა ჯერ კიდევ ჰენრი III-ისა (1216-1272 წწ.) და ედუარდ I-ის (1272–1307 წწ.) მეფობის დროს (78: 204-205თთ).

1390 წლის ლონდონის საქალაქო წიგნში წერია: თუ რომელიმე ქალაქელი ან უცხოელი გაყიდის საქონელს, მაგრამ იგი ამავე დროს ასეთი გაყიდვის შემდეგ იყიდის იმავე საქონელს, მყიდველის საზარალოდ, ის ამისათვის დაისჯება (9: 481).

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ირკვევა, რომ ქალაქ კამერიკიდან ჩამოსულ ვაჭრებს ჩამოჰქონდათ ბატისტი ლონდონში და მიჰყიდდნენ ხოლმე ამ ქსოვილს უცხოელ ვაჭრებსა და აგრეთვე, ლონდონელ მეწვრილმანე ვაჭრებს (რითაც არღვევდნენ მერსერთა მონოპოლიას); ზოგიერთ მათგანს შემოჰქონდა საქონელი მაკლერთა საშუალებით. მერსერები ამას უჩიოდნენ, ბრიუგეში კომპანიის მმართველის პიკერინგის წინაშე და ითხოვდნენ გამოეცათ ორდონანსი, რომლის მიხედვით, მერსერთა კორპორაციის ყოველ წევრს ჯარიმის მუქარით, უნდა ეყიდა თავიანთი საქონელი მხოლოდ ბაზარზე და არა სხვაგან სადმე, (1: 104), ხოლო ბაზარზე ყველა

საქონელი შეჰქონდათ ანგარიშსწორების წიგნში, ე. ი. საქონელი აღირიცხებოდა, რაც თითქმის გამორიცხავდა კონტრაბანდას. გამოდის, რომ ბაზარზე ყველა სახის საქონლის შეტანა შეიძლებოდა.

მერსერთა კომპანია არეგულირებდა, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობას, რაც იყო მთავარი წყარო მათი გამდიდრებისა, ამიტომაც მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ამის შესწავლას.

XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში ინგლისელ ვაჭრებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ნიდერლანდებთან, საფრანგეთთან, ესპანეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან და სხვ. ქვეყნებთან. მერსერთა სავაჭრო კორპორაცია იყო მთავარი ბირთვი ლონდონელ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიისა, ამიტომ ის, ცხადია, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სავაჭრო კონტაქტებით აღნიშნულ ქვეყნებთან და იყო კიდეც, რაც ნათლად ჩანს „ნიუბოლდის წიგნიდან“ (1: 399). მერსერები სავაჭროდ დადიოდნენ ბორდოში (1; 339). მაგრამ მაუდის გასაღების ძირითად ბაზარს წარმოადგენდა ნიდერლანდები – ბრიუგე, მიდელბურგი, ბეროუ და ანტვერპენი იყო მათი ვაჭრობის ცენტრი (1: 280). ისინი ვაჭრობდნენ ქალაქ კალეშიც (1: 401).

რა სახის საქონლით ვაჭრობდნენ მერსერები?

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ისინი ვაჭრობდნენ სხვადასხვა სახის ქსოვილით. „ნიუბოლდის წიგნი“ იძლევა ცნობებს, რომ ისინი ქსოვილის გარდა სხვა საქონლითაც ვაჭრობდნენ. ასე, მაგალითად, 1497 წლის 3 ივლისს მერსერთა კორპორაციის კრებამ დააწესა „სინკსონის“, ზაფხულის ბაზარზე წასაღებ საქონელზე ბაჟების სიდიდე:

ერთ ტომარა ენდროზე (საღებავი) – 12 პენსი,
ერთ ტომარა სვიაზე – 16 პენსი,
100 ცალ თევზზე – 6 პენსი,
100 ცალ თიხის დოქზე – 20 პენსი,
12 ტომარა მატყლზე – 3 შილინგი,
სამზარეულოს ჭურჭლით სავსე ყუთზე – 2 შილინგი და 6 პენსი.
100 შეკვრა ყავისფერ ქაღალდზე – 20 პენსი. (1: 632).

გასაყიდ საგანთა შორის ჩამოთვლილია აგრეთვე: ბოჭკო, ბამბაზია, მერქანი, შაბი, ფოლადი, რკინა, შუშის ბაკლები და ჭიქები. როგორც ვხედავთ, მერსერები ვაჭრობდნენ სხვადასხვა საგნებით. ამას ადასტურებს, აგრეთვე, ერთ-ერთი მერსერის ედმუნდ პეიტონის დუქანში დახლზე კრედიტორების მიერ ნაპოვნი სხვადასხვა სახის ნივთები. აქ იპოვეს: შავი ბამბაზია, ერთი იარდი შალის ქსოვილი, ერთი კოჭა მატყლის ძაფი, ბრაბანტული ქსოვილი, ქიშმიში, 13 გირვანქა სტერლინგის ღირებულების წითელი ღვინო. (2:167-168), „ნიუბოლდის წიგნში" ეკითხულობთ, დაკანონდა და დაწესდა, რომ კომპანიის არც ერთ წევრს არ უნდა გაეტანა უცხოეთში და არც იქიდან თაეისთვის ჩამოეტანა აბრეშუმის ქსოვილი ჰოლანდიიდან, ზელანდიიდან, ბრაბანტიდან, პიკარდიიდან და ახლო მდებარე მიწებიდან. გამონაკლისი დაშვებული იყო სელის ქსოვილისთვის, ღვინისა და მარილისათვის (1: 277). ვინმე მერსერი დევიდ ვეიჰამი, აწარმოებდა საბითუმო ვაჭრობას ქაშაყითაც (191: 155).

ყოველივე ზემოთ ნათქვამი მიუთითებს იმაზე, თუ რა მრავალფეროვანი იყო მერსერთა ვაჭრობის საგნები, მაგრამ ამასთანავე, ირკვევა, რომ ძირითადი შემოსავალი, მოგება ვაჭრებს ჰქონდათ მაუდით ვაჭრობის გზით. XV საუკუნეში მერსერები ეწევიან მაუდის ექსპორტს. მათ შეერქვათ „ჩვენი კომპანიის ავანტიურისტები" (Adventurers our Felishipp) მალე ვაჭარ-ავანტიურისტებს შეუერთდნენ ლონდონის სხვა გილდიები და მათ კრებას ეწოდა „Assembly of Adventurers of divers Felishipps – ავანტიურისტთა სხვადასხვა კომპანიის კრება. ხოლო 1486 წლიდან, როცა სხვადასხვა ჯგუფის ვაჭრები შეერია ერთმანეთს, მათ მიიღეს სახელწოდება „გენერალური საბჭო" – ავანტიურისტთა კომპანიის (14; 159). მერსერების გარდა მაუდის ექსპორტში მონაწილეობდნენ სხვა სავაჭრო გილდიებიც: საბაკალე საქონლით მოვაჭრეთა, მაუდით მოვაჭრეთა, თევზით, საიუველირო საქონლით მოვაჭრეთა, მარილით, ღვინით, რკინა-კავეულით მოვაჭრეთა, მეგალანტერეების, მატყლის მკრეჭავების, მეტყავეების, მკერავების კომპანიები.

XV საუკუნის ადრეულ პერიოდში მაუდით მოვაჭრეთა შორის ყველაზე უკეთესი პოზიცია გააჩნდათ ლონდონელებს.. ლონდონის ჯგუფის შიგნით გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ მერსერებს (14; 151). ხოლო XV საუკუნეში და XVI საუკუნის დამდეგს ქსოვილით მოვაჭრენი (მერსერები) ასრულებენ წამყვან როლს ფორმირების პროცესში მყოფი ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის საქმიანობაში (116: 224–225).

ლონდონელი ვაჭრების მიერ ნიდერლანდებში გაგზავნილი მაუდის რაოდენობის შესახებ პირდაპირი ცნობები არ არის მოცემული „ნიუბოლდის წიგნში“. მაგრამ უკვე თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვაჭრებს ნიდერლანდებში საქონლის გადატანა უხდებოდათ სამხედრო გემების თანხლებით, რაც უდავოდ დიდ თანხას მოითხოვდა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაუდით ვაჭრობას ფართო მასშტაბი ჰქონდა. 1489 წელს საშემოდგომო და ზამთრის ბაზრობიდან დაბრუნებული გემების დაცვა ვაჭარ-ავანტიურისტებს დაუჯდათ 355 გირვანქა სტერლინგი, ხოლო ტვირთის გადაზიდვაზე გაწეული ხარჯები შეადგენდა 251 გირვანქას, 3 შილინგსა და 4 პენსს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ე. ვ. კუზნეცოვის მიერ ლ. ლეიელის კრიტიკას. ლ. ლეიელმა „ნიუბოლდის წიგნის“ შესავალში მიუთითა, რომ ვაჭრები იხდიდნენ ფრახტზე 12-14 ათას გირვანქა სტერლინგს. (1; 15) „ნიუბოლდის წიგნში კი ამის დამადასტურებელი ცნობა არ მოიპოვება.

საინტერესოა თუ როგორ ახდენდნენ მერსერები ვაჭრობის ორგანიზებას.

მერსერთა კორპორაცია ქირაობდა გემებს ამა თუ იმ ბაზრობაზე გასამგზავრებლად. მერსერებს უნდა გადაეხადათ საფრახტო გადასახადი, ე. ი. გადასახადი გემების დაქირავებაზე. მაგალითად, კალედან-ჯუვრში დაახლოებით ორი შილინგი, კალედან ლონდონში – 6 შილინგი და 8 პენსი, კალედან სენდვიჩში - დაახლოებით სამი შილინგი და ოთხი პენსი (1; 199-200) გადასახდელი თანხა გემების დაქირავებაზე დამოკიდებული იყო გადასაზიდი საქონლის ოდენობაზე და მანძილზე. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მერსერთა დაზღვევასაც. 1489 წელს ბოლო ბაზრობაზე, როცა დაიქირავეს

გემები, დარჩათ ვალად 11 გირვანქა სტერლინგი და 10 შილინგი, რომელიც მერსერებს უნდა გადაეხადათ საზაფხულო (sinxon) ბაზრობაზე გემის გაგზავნაში.

ბაზრობაზე წასვლის წინ ლონდონელი ვაჭარ-ავანტიურისტები გამოყოფდნენ ხოლმე – რწმუნებულებს ე. წ. კონდუიტორებს, რომელთაც ევალებოდათ გემების დანიშვნა ბაზრისათვის. საქონელი უნდა დატვირთულიყო მხოლოდ დანიშნულ გემებზე და არა სხვაზე. ინიშნებოდა დატვირთვის ვადის ბოლო დღე. დადგენილი დღის შემდეგ არ შეიძლებოდა გემზე საქონლის დატვირთვა (1: 566).

მერსერთა კორპორაციასა და ლონდონის სხვა კომპანიებს შორის ხშირი იყო უთანხმოება გემების დაქირავების გამო. მერსერებმა წამოაყენეს წინადადება, რათა კომპანიას ეყიდა განსაზღვრული გემები, ე. ი. შეეძინა საკუთრებად რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მერსერები მდიდარ კომპანიას წარმოადგენდნენ და დიდძალ კაპიტალს ფლობდნენ, მაგრამ გემების შეძენაზე ყველა არ დათანხმდა. ბოლოს გადაწყდა, რომ მერსერები დაიქირავებდნენ გემებს მხოლოდ თავისთვის და სხვა კომპანიებს არ დართავდნენ ნებას ამ გემებით გადაეტანათ თავიანთი საქონელი.

ინგლისელი ვაჭრები იცავდნენ პირველ სანავიგაციო აქტს, რომელიც გამოქვეყნდა ჯერ კიდევ ედუარდ III-ის მეფობის დროს, 1369 წელს, რითაც ინგლისელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ საქონლის გადატანა უცხოური გემებით. ასეთივე კანონები გამოქვეყნდა ედუარდ IV-ის მეფობის ხანაშიც. მერსერები მტკიცედ იცავდნენ და ატარებდნენ ცხოვრებაში სანავიგაცო აქტს. ამას ადასტურებს 1472 წლის მერსერთა კორპორაციის კრების ოქმი: ამ კრებაზე იმსჯელეს, რომ კორპორაციის ვაჭრებმა შემოიტანეს უცხოელთა გემებით საქონელი, ამას კი შეეძლო გამოეწვია მეფის უკმაყოფილება (1: 59)

სავაჭრო ოპერაციების წარმატებისათვის საჭირო იყო სავაჭრო საიდუმლოების დაცვა. მისი გამხელა ისჯებოდა ჯარიმით. 1472 წელს მერსერთა კომპანიამ მიიღო ორდონანსი, რომელიც ხელს უწყობდა ვაჭრობის ორგანიზებას. ამ ორდონანსის ძალით კომპანიის არც ერთ წევრს უფლება არ ჰქონდა წასულიყო ზღვის გაღმა

საჭიროდ, სანამ არ დადებდა კომპანიის წინაშე ერთგულების ფიცს. გემს უნდა ჰყოლოდა რწმუნებულნი, რომლებიც იყვნენ კონდუიტორები და აწარმოებდნენ ჩანაწერებს. მათ უნდა შეეტანათ კონდიუტში (წიგნში) გადასაზიდ ტვირთზე დაწესებული ყველა ბაჟი, უნდა შეესრულებინათ ყველა მოთხოვნა და ჩაეწერათ იგი კონდუიტში, როგორც ამას მოითხოვდა ფრახტი. კომპანია ავალებდა ნდობით აღჭურვილ პირებს, ანუ რწმუნებულებს თვალყური ედევნებინათ, რათა გემებს ჰყოლოდა მეზღვაურთა სრული შემადგენლობა და ჰქონოდა ტვირთი – საწვავი, ყოველგვარი მოწყობილობა, იარაღი. როცა რწმუნებულები დარწმუნდებოდნენ, რომ რაიმე არ იყო საკმარისი, მაშინვე უნდა განეცხადებინა რა იყო საჭირო და შეეტანათ ყოველივე კონდუიტში (ანგარიშსწორების წიგნში): რწმუნებულებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ გადაწყვეტილება, მოეხდინათ ცვლილება, შეედგინათ ყველა ხარჯები. კომპანიის კეთილდღეობისათვის მათ თვალყური უნდა ედევნებინათ მერსერების მიერ საქონლის გადატანაზე ფულის გადახდისათვის. თუ ექნებოდათ ვალი, უფლება ჰქონდათ ანგარიშის გასწორება მოეთხოვათ. მაგალითად, ზაფხულის (სინკსონის) ბაზრობის კონდუიტორები მერსერებისაგან მოითხოვდნენ გადაუხდელი ვალის – 102 გირვანქა სტერლინგის დაფარვას. (1: 194) იმისათვის, რათა არ გამორჩენოდათ ვალის გადახდა, მერსერთა კორპორაციამ შემოიღო კონდუიტი – ანგარიშსწორების წიგნი, რომელშიც გემის რწმუნებულებს უნდა აღერიცხათ ვის რამდენი საქონელი ჰქონდა გემზე, მოეხდინათ საქონლის დაბეგვრა და შეეგროვებინათ გადასახადი, რასაც აღრიცხავდნენ ანგარიშსწორების წიგნში. მამასახლისებს უნდა დაენიშნათ ყოველ გემზე ერთი ან ორი რწმუნებული. მაგალითად, 1492 წელს დანიშნეს ორი რწმუნებული: ჯონ პიკტონი და ტომას რიგი (1: 226), გამოდის, რომ გემებს ჰყავდათ საკუთარი კონდუიტორები, ხოლო ბაზრობაზე ცალკე კონდუიტორები ინიშნებოდნენ.

რწმუნებულების ანუ კონდუიტორების გარდა, კომპანიას ჰყავდა რევიზორებიც, რომლებიც ამოწმებდნენ ანგარიშსწორების წიგნებს, ამოწმებდნენ, იყო თუ არა გადახდილი დაკალიანება. მათ უნდა

აეკრიფათ დარჩენილი ვალები ან ვალების შესახებ ახსნა-განმარტებანი მიეცათ დანიშნული დროისათვის (1: 208).

ზოგჯერ კომპანიის წევრი ვაჭრები თავიანთ ნაცვლად აგზავნიდნენ ფაქტორებს – ნდობით აღჭურვილ პირებს. ასეთად, ჩვეულებრივ იყვნენ შეგირდები ან ქარგლები, რომლებსაც, ვაჭრების აზრით, ჰქონდათ საკმაო ძალაუფლება, რომ დაეკავშირებინათ თავიანთი მეპატრონეები მათ კონტრაჰენტებთან. ვაჭრების სახელით ფაქტორები აწარმოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს და სავაჭრო გარიგებებს. მათ ანდობდნენ დიდი ოდენობის საქონელს. მაგრამ ზოგჯერ ეს ფაქტორები იკარგებოდნენ, ფლანგავდნენ ფულს, ზოგნი იღუპებოდნენ ზღვაზე ანდა მტრის ტყვეობაში ვარდებოდნენ და, ამდენად, მათი მეპატრონეები, ასეთი შემთხვევების დროს, ვარდებოდნენ ზარალში. მერსერთა კორპორაციამ მიიღო სპეციალური ორდონანსები ფაქტორთა შესახებ:

ამ ორდონანსებში ნათქვამი იყო რომ არ გაეგზავნათ ფაქტორები, სანამ მეპატრონეები არ წარუდგენდნენ ამ ფაქტორებს მმართველებს ავანტიურისტთა კომპანიის ან კორპორაციის მამასახლისებს. ამასთანავე ფაქტორებთან უნდა დაედოთ შრომითი ხელშეკრულება მოვალეობის, დავალების, ნებართვის მითითებით.

ფაქტორებს უნდა წარედგინათ კომპანიის მამასახლისებისათვის მინდობილობა და მოეხდინათ მისი რეგისტრირება სპეციალურ წიგნში.

ფაქტორის მინდობილობა უნდა ყოფილიყო დამტკიცებული კომპანიის ბეჭდით. (1: 503-504) თვითნებურად არავის არ უნდა ენდო ფაქტორებისათვის ფული, ძვირფასეულობა, საქონელი, არამედ მმართველს უნდა სცოდნოდა რა რაოდენობის თანხასა და საქონელს ანდობდნენ მას ვაჭრები. ფაქტორებს არ შეეძლოთ თვითნებურად დაეხარჯათ თავიანთი მეპატრონეების ფული. ის თანხა და საქონელი, რომელსაც ფაქტორს ანდობდა ვაჭარი, უნდა ეჩვენებინა ფაქტორს ზღვის გაღმა მმართველისათვის, რათა მას სცოდნოდა თუ რა რაოდენობის ფულის დახარჯვის უფლება ჰქონდა ფაქტორს. არც ერთი უცხოელი არ შეიძლება ყოფილიყო ინგლისელი ვაჭრის ფაქტორი ზღვის გაღმა. იგი უნდა ყოფილიყო

მხოლოდ კომპანიის ვაჭართა რიცხვიდან არჩეული. ამ ფაქტორებს უნდა ჰქონოდათ წერილობითი ნებართვა, ხელმოწერილი მმართველის მიერ, რომ ისინი არიან რწმუნებულნი ამა და ამ ვაჭრისა. ეს ნებართვა ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, კორპორაციის ერთ-ერთი მამასახლისის მიერ. რწმუნებულს თან უნდა ჰქონოდა წერილი ანუ სიგელი მისი იმ უფლებამოსილებისა და მოვალეობების შემცველი, რომელსაც ანიჭებდა მას მისი დამქირაველი – ვაჭარი. ეს სიგელიც უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი კორპორაციის მამასახლისების მიერ, ხოლო სავაჭრო სეზონის ნებისმიერ დროს, ვაჭარს უფლება ჰქონდა ჩამოერთმია ფაქტორისთვის რწმუნებულის მოვალეობა. ფაქტორს ფიცი უნდა დაედო ერთ-ერთი მამასახლისის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გადაეხადა ჯარიმა – 40 შილინგი კომპანიის ხაზინის სასარგებლოდ. ფაქტორები არ უნდა ყოფილიყვნენ 20 წელზე უმცროსი ასაკისანი, თუ ვაჭარი დაიქირავებდა 20 წელზე უმცროსი ასაკის კაცს ფაქტორად, ანუ რწმუნებულად და ამით დაარღვევდა ორდონანსს, მაშინ ყოველ 100 სტერლინგი ღირებულ საქონელზე დაჯარიმდებოდა 10 გირვანქით, ხოლო საქონელი გასაყიდად არ დაიშვებოდა (1:464).

ვაჭართა საქონელი, რომელიც იგზავნებოდა ზღვის გაღმა, უნდა ენახათ, გაესინჯათ სამეფო მებაჟეებს. მერსერთა შორის ხშირად ადგილი ჰქონდა უთანხმოებას იმის თაობაზე, რომ მებაჟეები აიძულებდნენ ვაჭრებს დაედოთ ფიცი თავიათი საქონლის შესახებ, რა ღირდა იგი და სხვა. მებაჟეები აცხადებდნენ, რომ ამას აკეთებდნენ მეფის ედუარდ IV-ის განკარგულებით. 1480 წელს მერსერები საჩიველელად მივიდნენ სამეფო საბჭოს წევრ გრაფ ესექსთან. გრაფმა განუმარტა მათ, რომ არავითარი საქონლის გატანა არ შეიძლებოდა, უკეთუ ეს ნებადართული არ იყო მებაჟეების მიერ, ამიტომ მებაჟეებს უნდა ენახათ თავისი თვალით ყველა საქონელი, რათა არც ერთი ნივთი არ ყოფილიყო გატეხილი, დაზიანებული. ხოლო კორპორაციის წევრებს უნდა მიეცათ სწორი ინფორმაცია თავიანთი საქონლის შესახებ, უნდა დაესახელებინათ ყველა საქონელი და არ უნდა დაემალათ რამე. ძველი ორდონანსის

მიხედვით, ვინც ზერელედ შეადგენდა საბაჟო გრაგნილებს (rolles), დამალავდა საქონელს, დადებდა ყალბ ფიცს, გადაიხდიდა ჯარიმას 20 გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

შემდეგში მიიღეს ახალი ორდონანსი, რომლის ძალით დაადგინეს, რომ ვინც ჩაიდენდა ასეთ დანაშაულს, გადაახდევინებდნენ ჯარიმას 100 გირვანქის ოდენობით. დანაშაულის მეორედ ჩადენის შემთხვევაში უნდა გადაეხადათ დამატებითი კიდევ 100 გირვანქა, ხოლო მესამე დარღვევის დროს გაირიცხებოდა მერსერთა კორპორაციის შემადგენლობიდან. ამასთანავე, მამასახლისებს უნდა მოეხსენებინათ ამის შესახებ ლონდონის მერისა და ოლდერმენებისათვის და მოეთხოვათ, რომ ასეთ პიროვნებას ჩამორთმეოდა სამუდამოდ უფლებები და ქალაქ ლონდონის პრივილეგიები. იმ შემთხვევაში, თუ მეფის მებაჟეებსა და კორპორაციის რომელსამე წევრს შორის აღგილი ექნებოდა უთანხმოებას საბაჟო დეკლარაციის შედგენის თაობაზე, მაშინ ორი მამასახლისი მებაჟეებთან ერთად უნდა წასულიყვნენ ამ მერსერების სახლში და შეედარებინა იქ ნანახი საქონლის ოდენობა ამ დეკლარაციაში შეტანილთან. თუ ვინმე ამ წესს დარღვევდა, ასეთი მერსერი უნდა დაესაჯათ 1: 139).

ორდონანსის ძალით ასე მკაცრად სჯიდა მერსერთა კორპორაცია თავის წევრებს სამეფო მებაჟეების წინაშე ურჩობისათვის. საქმე ისაა, რომ მერსერებს ესაჭიროებოდათ კავშირი სამეფო კართან, რათა მეფის ხელისუფლებას გაეტარებინა მათთვის ხელსაყრელი საგაჭრო პოლიტიკა.

მერსერები ვაჭრობის გარდა ეწეოდნენ სამრეწველო საქმიანობასაც. „დიდი მოგების პერსპექტივა", აი რა ამოძრავებდა ვაჭრებს, როცა ისინი აბანდებდნენ თანხას მრეწველობაში. ზოგიერთი ვაჭარი ხდებოდა სახელოსნოს წევრი, და ცდილობდა თავისი დამოკიდებულების და გავლენის ქვეშ მოექცია ეს საწარმო ასე მოხდა, როდესაც მდიდარი ვაჭარი მერსერი ტომას დაუნტონი შეიქმნა კალის მწარმოებელთა სახელოსნოს წევრი. 1456 წელს მის სახელოსნოში კალის წარმოებით დაკავებული იყო 11 შეგირდი და 7 ქარგალი, ხოლო თვითონ ტ. დაუნტონი იქცა სახელოსნოს მდიდარ ოსტატად. (116: 23).

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ირკვევა, რომ მერსერები იმორჩილებდნენ უფრო სუსტ და ღარიბ სახელოსნო კორპორაციებს. ხშირად შედიოდნენ ამა თუ იმ კორპორაციაში, რათა მოეპოვებინათ მონოპოლიური მდგომარეობა და გაბატონებულიყვნენ ამ კორპორაციაში მათზე. ზოგიერთი სახელოსნო ვერ უძლებდა სხვა სახელოსნოების კონკურენციას და სთხოვდა მფარველობას მერსერებს, რასაც ისინი იყენებდნენ თავიანთი ინტერესებისათვის. ისინი თავიანთ დამოკიდებულებაში აქცევდნენ ოსტატ-ხელოსნებს, აიძულებდნენ მათ ეხადათ ჯარიმა მათი ხაზინის სასარგებლოდ. „ნიუბოლდის წიგნში“ წავაწყდით საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ მაქმანის დამამზადებელი ხელოსნები, რომლებიც ვერ უძლებდნენ სხვა სახელოსნოების კონკურენციას, სთხოვდნენ მფარველობას მერსერებს. 1495 წელს მერსერთა ერთ-ერთ კრებაზე წაიკითხეს „a byll of Arcticles“ რომელიც მაქმანის დამამზადებელ ამქრის /Brounderers or vestmentmakes/ მამასახლისებმა გადასცეს მათ განსახილველად. მასში ეკითხულობთ, რომ მაქმანის დამამზადებლებმა სამუშაო უნდა შეასრულონ მხოლოდ ნატურალური აბრეშუმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმად დაწესებულ იქნა 40 შილინგი ყოველ ნაჭერ დამზადებულ საქონელზე.

ნახევარი უნდა შესულიყო მერის კანცელარიაში, ხოლო მეორე ნახევარი მაქმანის დამამზადებელი კორპორაციისა და მერსერების ხაზინაში. 1: 594-595) გარდა ამისა, მაქმანის დამამზადებელ ამქარს გამოუყვეს ორი გამოცდილი მერსერი, როგორც ექსპორტიორი, რათა მათ თვალყური ედევნებინათ და შეემოწმებინათ მაქმანის დამამზადებელი ოსტატების მუშაობა სიტის ფარგლებში და მის გარეთ.

ზოგჯერ, პირიქით, ოსტატ-ხელოსნები ხდებოდნენ მერსერთა სავაჭრო კორპორაციის წევრები, მაგრამ ეს ხდებოდა კლავ მერსერთა ინტერესების შესაბამისად. იყო შემთხვევები, როცა მერსერებს კონკურენციას უწევდნენ ამქრები, მაგალითად ბამბაზიის მწარმოებლები იქცნენ მერსერთა კონკურენტებად, ვინაიდან მათ ხელთ იგდეს მისი დამზადების საქმე. მერსერებმა გადაწყვიტეს, თავიანთ კორპორაციაში შეეყვანათ, რამდენიმე კაცი, რომლებმაც კარგად იცოდნენ ეს საქმე, რათა მათ დაემზადებინათ ბამბაზია

მხოლოდ მერსერთა სავაჭრო გაერთიანებისათვის და ამ გზით მერსერები კვლავ ხელთ იგდებდნენ ბამბაზიის დამზადების მონოპოლიას. ამასვე ადასტურებს მერსერების თანხმობა ვინმე დანსელოტ ალენტონის მიმართ, რომელმაც კარგად იცოდა ბამბაზის დამზადება, მისი დაჩეჩვა, შეღებვა და სურდა გამხდარიყო მერსერთა კომპანიის თავისუფალი ვაჭარი. მერსერები მას შეპირდნენ იმ პირობით მიღებას კომპანიის ფრიმენად (თავისუფალ ვაჭრად) უკეთუ იგი მოაწყობდა ამ წარმოებას კომპანიისათვის (1: 397).

მერსერები ვაჭრობისა და ხელოსნობის გარდა ეწეოდნენ საკრედიტო საქმიანობას. იჯარით გადასცემდნენ ხოლმე მიწებს, სახლებს, მეფის ხელისუფლებას აძლევდნენ სესხად ფულს.

საქონელბრუნვის გაფართოებასთან ერთად ჩნდება კომერციული კრედიტი. კრედიტის ვადები მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბრუნავი კაპიტალის სიდიდესთან, რომელსაც ფლობდა კრედიტორი. დიდი საბრუნავი კაპიტალი იძლეოდა კრედიტის ვადების გაგრძელების საშუალებას. წვრილ ვაჭარს არ შეეძლო დიდხანს ლოდინი და შეეძლო გაეხსნა მხოლოდ მოკლევადიანი კრედიტი (193: 423).

კრედიტს გვერდი ვერ აუარეს მერსერებმაც. ისინი ხშირად იჯარით გასცემდნენ ხოლმე მიწებს, სახლებს, მაგრამ ამას თან ახლდა ე. წ. „სესხის ვალდებულებანი“. მაგალითად, 1514 წელს ლუდის მხარშავ ჯონ უელშს გადაეცა დიდი მამული იჯარით 40 წლის ვადით. ამასთანავე, მას ყოველწლიურად საიჯარო ქირად უნდა გადაეხადა 12 გირვანქა სტერლინგი (1: 423).

მერსერები იჯარით გასცემდნენ ხოლმე არა მარტო მიწებს, არამედ სახლებსაც. მაგალითად ვინმე ოლივერ უაიტრედს იჯარით მიეცა სახლი 10 წლის ვადით, რისთვისაც მას ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 4 გირვანქა სტერლინგი (1: 423).

რენტის გაყიდვა არ არის XV საუკუნისათვის ახალი მოვლენა. მას იცნობდნენ უფრო ადრეც. ეს კარგი საშუალება იყო მონასტრების მევახშეობისათვის. ხშირად მერსერთა კორპორაცია იჯარით იღებდა მიწებს ეკლესიისაგან, რისთვისაც იხდიდა გადასახადს. მაგალითად, წმინდა ჯორჯის ეკლესიის მამასახლისებისათვის

კორპორაციას უნდა გადაეხადა ყოველწლიურად 20 შილინგი (1: 134). ფუფუნების საგნებით მოვაჭრე მერსერს ჰენრი ბალტრუოდისა და მის მეუღლისათვის რენტის გადაცემის შესახებ „ნიუბოლდის წიგნში“ შემონახულია საინტერესო ფაქტები. 3 გირვანქა სტერლინგად, 6 შილინგად და 8 პენსად მიწები ლონდონში გადაეცა 1484 წლის ივნისში ლონდონის ფუფუნების საგნებით მოვაჭრეს იმ პირობით, თუ იგი გადაიხდიდა 93 გირვანქა სტერლინგს, 4 შილინგსა და 9 პენსს (193: 44).

კრედიტის მიღმა იმალებოდა სპეკულაცია. მაგალითად, ლონდონის ღვინით მოვაჭრე ჯონ სედილერმა 1421 წლის 26 ივნისს მისცა ვინმე რიჩარდ ტრიგონალდს კრედიტად ესპანური რკინა 28 გირვანქად და 10 შილინგად ნაღდ ფულზე (156: 71). ე. ი. სედილერმა მიიღო მოგება 21 %. მას შეეძლო მიეღო მოგება იმიტომ, რომ ჰქონდა ნაღდი კაპიტალი და, ამავე დროს, არც ისე ცოტა.

სესხის ვადას ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როცა მასში მონაწილეობას იღებდა მეფე. ცნობილი ლონდონელი ვაჭარი რიჩარდ იუტინგტონი აფინანსებდა რიჩარდ II-ს და ჰენრი VI-ს (10:12). სამეფო კარს მან გადასცა 1000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების საერდი და სხვა ძვირფასი ქსოვილები (66: 755). მერსერი რიჩარდ გრეშემი, რომელიც მდიდარი ვაჭარი იყო, ეწეოდა საკრედიტო საქმიანობას, აძლევდა სესხს მეფე ჰენრი VIII-ს (71: 230).

მერსერები აძლევდნენ სესხად ფულს, აგრეთვე, ოლდერმენებს. ერთ-ერთმა ორლდერმენმა როჯერ ბეისფორდმა არ გადაიხადა თავის დროზე მერსერების ვალი – 20 მარკა. საბოლოოდ მერის ჩარევით აიძულეს ოლდერმენი გადაეხადა მერსერთა ეს ვალი (1: 467). მერსერთა კორპორაცია აძლევდა სესხს ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიასაც. მაგალითად, 1525 წელს მერსერთა მამასახლისებმა ასესხეს საკმაოდ დიდი თანხა ვაჭარ-ავანტიურისტებს 300 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. მათ სთხოვეს მეფეს რათა უზრუნველეყოთ მერსერებისათვის და მათი შთამომავლებისათვის ვაჭარ-ავანტიურისტების მიერ ვალის გადახდა, ამასთანავე მისი ანაზღაურებისათვის (დაფარვისათვის) ავანტიურისტებს

უნდა გადაეხადათ ყოველ სავაჭრო სეზონში 20 გირვანქა სტერლინგი, სანამ სრულად არ დაფარავს ამ ვალს (300 გირვანქას (1: 640).

როგორც დავინახეთ, მერსერთა კორპორაციის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო მათი სავაჭრო საქმიანობა. გარდა ამისა, ვაჭართა სამრეწველო და საკრედიტო საქმიანობა, სხვადასხვა სახის ჯარიმები და გადასახადები იყო მათი გამდიდრების წყარო.

მაგრამ პარლამენტის აქტის შესაბამისად, კომპანიას აწვა გარკვეული ხარჯებიც, ვაჭრები ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ სამეფო გადასახადი. შესაძლებელია, აქ საუბარია საშემოსავლო გადასახადზე, თანაც არა რეგულარულზე, მაგრამ იგი თანდათან დააწესა მეფემ და მოითხოვდა მას ქალაქელებისაგან, მათ შორის ვაჭრებისაგან. მეფის სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით, მერსერები ციხეების შეკეთებაზე და მშენებლობაზე გამოყოფდნენ ხოლმე თანხას. მაგალითად, 1461 წლის იანვარში გრაფი უარიკის ჩრდილოეთში ლაშქრობისათვის კორპორაციის მიერ შეწირულ იქნა 10 ათასი მარკა (1: 47). ხოლო 1488 წელს ჰენრი VII-მ თავისი ციხეების გარნიზონის გასამაგრებლად კალეში და მარშში და მათ დასაცავად გააგზავნა ორი ათასი მეომარი, რისთვისაც მას სურდა მიეღო დედაქალაქისაგან 14 ათასი გირვანქა სტერლინგი. მერსერებს უნდა გადაეხადათ 171 გირვანქა (1: 187).

მერსერთა კორპორაცია იხდიდა გადასახადს თავიანთ ეკლესიის შეკეთებაზე, მის მშენებლობაზე, ე. ი. სამშენებლო რენტას. აქედან ნაწილს იხდიდა კომპანიის ხაზინა, დანარჩენს კი – კომპანიის წევრები. მაგალითად, 1502 წელს ეკლესიის მშენებლობაზე კომპანიას უნდა გადაეხადა 66 გირვანქა სტერლინგში 13 შილინგი და 4 პენსი. აქედან 33 გირვანქა, 6 შილინგი და 8 პენსი, ე. ი. ნახევარი უნდა გადაეხადათ ხაზინიდან, დანარჩენი კი გაანაწილეს კომპანიის წევრებს შორის (1: 257).

მერსერთა კორპორაცია მატერიალურ დახმარებას უწევდა ეკლესიას. წმინდა ტომასის ეკლესიის მოძღვარს სურდა, რომ კორპორაციის დახმარებით აშენებულიყო სპეციალური სახლი ეკლ-

ესიის მსახურთათვის, რათა იქ შეძლებოდათ მათ ყოფნა ავადმყოფობის შემთხვევაში, შესძლებოდათ იქ პურის ჭამა ან ჰქონდათ დასასვენებელი ადგილი ბაღით. იმისათვის, რომ მოეწყოთ ეს ადგილი წინამძღვარი სთხოვდა მერსერებს მატერიალურ დამხარებას. მერსერებმა ეკლესიას მისცეს ეს დახმარება, მაგრამ სამაგიეროდ ეკლესიის წინამძღვარი და მსახურნი მოვალენი იყვნენ მათ წინაშე. უნდა მიეცათ ეკლესიის ეზოში კომპანიის გარდაცვლილი წევრების დაკრძალვის გარანტია.

მერსერთა ხაზინა მნიშვნელოვან თანხას ხარჯავდა ქრთამებზე, რომელთაც პარლამენტისა და სამეფო საბჭოს წევრებს აძლევდნენ. 1483 წლის ივნისში მერსერთა გილდიამ შექმნა 4 კაცისაგან შემდგარი სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება პარლამენტის წევრებთან, რათა გაეუქმებინათ საბაჟო გადასახადები ვაჭრების საქონელზე (1: 153-154). გადაწყდა, რომ ნახევარი ხარჯი ამ საქმეებზე (ე. ი. ქრთამის და საჩუქრების მიცემაზე პარლამენტისა და სამეფო საბჭოს წევრებისათვის), უნდა გაელო მერსერთა კორპორაციას, ხოლო მეორე ნახევარი ხარჯებისა უნდა უზრუნველეყოთ ლონდონის დანარჩენ კორპორაციებს (1: 153-154) გარდა ასეთი ხარჯებისა, მერსერები იხდიდნენ სხვადასხვა სახის გადასახადებს: სამეფოს და საეკლესიოს, უხდიდნენ ჯამაგირს თავიანთ თანამდებობის პირებს, გამოყოფდნენ თანხას სუფრისათვის, რომელიც იმართებოდა მამასახლისების არჩევნებთან და მათი თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მერსერთა კორპორაცია არეგულირებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას. სასტიკად იკრძალებოდა სპეკულაცია (ზედმეტ ფასებში საქონლის გაყიდვა) და კონტრაბანდა (უკანონო საქონლის შემოტანა) მერსერები ეწეოდნენ, ძირითადად, მაუდით საბითუმო ვაჭრობას, წელიწადში ოთხჯერ აწყობდნენ ბაზრობას ნიდერლანდების ქალაქ ანტვერპენში, ვაჭრობდნენ სხვა ქალაქებშიც: მიდლბურგში, ბეროუში, კალეში და სხვა ქალაქებში. მერსერები სათანადო ყურადღებას უთმობდნენ საგარეო ვაჭრობის ორგანიზებას, არეგულირებდნენ გემების დაქი-

რაევებას. კომპანიიდან ინიშნებოდნენ გარკვეული პირები, რომელთაც უნდა გამოეყოთ გემები ბაზრობებზე გასამგზავრებლად, მათ თვალყური უნდა ედევნებინათ, რათა საქონელი დატვირთულიყო წინასწარ ამისათვის დანიშნულ გემებზე, უნდა დაედგინათ გამგზავრების დღე. გემზე ინიშნებოდა რწმუნებული, რომელიც ადგენდა ანგარიშსწორების წიგნს (კონდუიტს). რწმუნებულს ევალებოდა გემის სრულ წესრიგში მოყვანა, უნდა აღერიცხა ყველა ხარჯები, გადასახადები და შეეტანა კონდუიტში. მათ მიერ ვაჭრობის ორგანიზებაზე მეტყველებს, აგრეთვე, რევიზორების თანამდებობის შემოღებაც, ეს რევიზორები ამოწმებდნენ ფაქტორების (რწმუნებულების) მუშაობას, ანგარიშსწორების წიგნკონდუიტს, ასევე ამოწმებდნენ იყო თუ არა გადახდილი გადასახადები ან თუ იყო ვაჭართა მიერ დარჩენილი გადაუხდელი ვალები. ვაჭრები ზოგჯერ თავიანთ ნაცვლად აგზავნიდნენ ფაქტორებს ე. ი. ნდობით აღჭურვილ პირებს თავიანთ შეგირდებსა და ქარგლებს, რომლებიც აკავშირებდნენ მათ თავიანთ კონტრაჰენტებთან. საქონელს, რომელსაც აგზავნიდნენ ზღვის გაღმა სამეფო მებაჟეები ამოწმებდნენ, რათა არ დაეშვათ დაზიანებული, გაფუჭებული საქონლის გაგზავნა. მერსერები კონკურენციას უწევდნენ უცხოელ ვაჭრებს საგარეო ბაზრობაზე.

მერსერთა კორპორაციის სიმდიდრემ, მისმა წამყვანმა პოზიციამ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში, განაპირობა მის მიერ დიდი პრივილეგიების მოპოვება ქალაქის თვითმმართველობაში. ამის ნათელი მაგალითია ლონდონის ქალაქის საბჭოს მიერ მათთვის დიდი უფლებების მინიჭება: გილდიის წევრებს ეკავათ ორი მნიშვნელოვანი თანამდებობა: აბრეშუმის მწონავისა (Weighter of silk) და ტილოს და მაუდის ქსოვილის მზომავისა (meter of linen, cloth).

საინტერესოა, რა ფუნქციებს ასრულებდა აბრეშუმის მწონავი და ტილოს მზომავი, როგორ ხდებოდა ამ თანამდებობების დაკავება?

აბრეშუმის მწონავის თანამდებობის დაკავება ხდებოდა დემოკრატიული არჩევნების გზით. დაასახელებდნენ კორპორაციის კრებაზე კანდიდატებს, მათ სიას გააკრავდნენ წმინდა ტომასის

ჰოლის ვესტიბიულში, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ მერსერები და მოეხდინათ კენჭისყრა. მელნით უნდა დაესვათ წერტილი ან პატარა ხაზი გაესვათ გაკრულ სიაში იმ გვარისათვის, ვისაც ისინი სხვებთან შედარებით აძლევდნენ უპირატესობას. ვისაც მისცემდნენ მეტ ხმას, ე. ი. რომელსაც ექნებოდა მეტი ნიშანი დასმული, მას აირჩევდნენ (1: 708-709). შემდეგ იმ პირს, რომელსაც აირჩევდნენ აღნიშნულ თანამდებობაზე ამტკიცებდა ლორდ-კანცლერი. სანამ აბრეშუმის მწონავი დაიკავებდა თავის თანამდებობას მას უნდა დაედო ფიცი ლონდონის ოლდერმენების და საამქრო მამასახლისების წინაშე. შემდეგ მას აძლევდნენ აბრეშუმის ასაწონ საშუალებებს:

1. ტყავის ბუდეში ჩასმულ ძელს და ორ თითბრის თეფშს.
2. სპილენძის საწონებს ნედლი აბრეშუმის ასაწონად 21, 8, 4, 2, 1 უნციის წონისას.
3. ხის საწონებს ნედლი აბრეშუმის ასაწონად 17, 8, 4, 2, და 1 უნციის წონისას.

ყველა ეს ნივთები ეკუთვნოდა მერსერთა კორპორაციას და ყოველთვის ინახებოდა წმინდა ტომასის ჰოლის ქვედა შენობაში ე. ი. სარდაფში. ის, ვინც დაიკავებდა ამ თანამდებობას უნდა აეწონა მხოლოდ ამ ადგილას და, არავითარ შემთხვევაში არსად სხვაგან, ჯარიმის გადახდის მუქარით. ხოლო შენობის გამოყენებისათვის მწონავს უნდა გადაეხადა კორპორაციის მამასახლისებისათვის კვარტალურად მერსერთა ხაზინის სასარგებლოდ ოთხი გირვანქა სტერლინგი (1: 708-709). ზოგჯერ აბრეშუმის მწონავი უხეშად არღვევდა თავის მოვალეობას. ეწეოდა სხვადასხვა მაქინაციებს და აბრეშუმის აწონვის დროს უშვებდა უხეშ დარღვევებს, რითაც იგი არღვევდა დადებულ ფიცს. თუ გამოავლენდნენ ასეთ დამნაშავეს, მას გადააყენებდნენ ამ თანამდებობიდან და ამასთანავე ერთმეოდა კორპორაციის წევრისათვის მინიჭებული ყოველგვარი პრივილეგია და უფლება.

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ირკვევა, რომ აბრეშუმის მწონავის თანამდებობაზე გამოიყოფოდა მთავარი მწონავი და მისი

დამხმარეები, მაგრამ რამდენი იყო მათი რიცხვი ძნელი დასადგენია. 1525 წელს მერსერთა კორპორაციამ კრებაზე განიხილა აბრეშუმის მთავარი მწონავის ჯონ ჰევსტერის საკითხი, რომელიც მძიმედ იყო დაავადებული და სთხოვდა კომპანიას, რათა გამოენახათ მისი შემცვლელი, გაეთვალისწინებინათ მისი სისუსტე და გარდაცვალების შემდეგ მის ადგილზე აერჩიათ ღირსეული და ნიჭიერი ადამიანი. გარდა ამისა, იგი ითხოვდა, რათა მიეცათ დახმარება მისი გარდაცვალების დღიდან ორი წლის მანძილზე მისი ცოლისა და შვილებისათვის.

1525 წელს მერსერთა კორპორაცია შეუდგა არჩევნების პროცესს. დასაშვები იყო წამოეყენებინათ იმდენი კანდიდატურა, რამდენის ნებასაც იძლეოდა არჩევნების შესახებ ორდონანსი. დაასახელეს 7 კაცი ღია კენჭისყრით (ხელის აწევით) აირჩიეს ტომას ფულერი. როგორც ვხედავთ, თუ ადრე არჩევნების დროს გამოაკრავდნენ ხოლმე კანდიდატების სიას და მათ გვარებს წინ ნიშანს (წერტილს) უსვამდნენ, შემდეგ არჩევნების ეს წესი შეიცვალა და ღია კენჭისყრით ახდენდნენ აბრეშუმის მწონავის თანამდებობაზე არჩევას, მაგრამ არჩევნების ორივე ფორმა, ჩვენი აზრით, დემოკრატიული ხასიათისა იყო. აღნიშნული ტომას ფულერს უნდა გადაეხადა თანამდებობის დაკავებისათვის 20 გირვანქა სტერლინგი, ორი წლის განმავლობაში ჯონ ჰევსტერის სიკვდილის დღიდან: ერთი ნაწილი – ნახევარი 10 გირვანქა უნდა მიეცა ჰევსტერის ცოლისა და შვილებისათვის, ხოლო მეორე ნახევარი – 10 გირვანქა – კორპორაციისათვის ვალის დასაფარავად, რომელიც ჰევსტერს ემართა და უნდა გადაეხადა. ხოლო თუ ჰევსტერი, ფულერის საბედნიეროდ, იცოცხლებდა ორ წელს, მაშინ ფულერი თავისუფლდებოდა ამ გადასახადისაგან (1: 707).

საინტერესოა ისიც, როგორ ჩაერია მეფე გილდიის საქმეებში, როგორ იგრძნობოდა მისი აბსოლუტიზმის ძალა. მეფე ჰენრი VIII-ემ გაუგზავნა კორპორაციას წერილი, რომელშიც იგი შუამდგომლობდა, რათა აბრეშუმის მწონავის თანამდებობა ებოძებინათ მისი ერთ-ერთი ჯენტლმენისათვის უილიამ კრეინისათვის. კორპორაციის მამასახლისებმა უპასუხეს, რომ ეს ადგილი

(თანამდებობა) მათ ნომენკლატურაში არ შედიოდა და უარი შეუთვალეს. ჩვენი აზრით, აქ ისინი ეშმაკობდნენ, მათ ხომ შეეძლოთ აერჩიათ პიროვნება ამ თანამდებობაზე. მამასახლისებმა მისწერეს, რომ ეს ადგილი იყო ლონდონის სიტის მერის განკარგულებაში (ნომენკლატურაში) და ამ თანამდებობაზე მიღებულ იქნა ახალი, მათი კორპორაციის წევრი ტომას ფულერი, რომელიც უკვე ასრულებდა თავის მოვალეობას. მერსერები აქ ტყუოდნენ: მთავარი მწონავი ჰევსტერი ჯერ ცოცხალი იყო. მაშინ კარდინალმა უოლსიმ უბრძანა მერსერთა კორპორაციის მამასახლისებს, რომ ფულერს არ გაებედა შემდეგში ამ მოვალეობის შესრულება. ამაში გამოიხატა სახელმწიფოს აბსოლუტისტური არსი. „მეფემ ბრძანა და გათავდა“, მოსპო მათი დემოკრატიული არჩევნების შედეგი. ბურჟუაზია სუსტი იყო – ეს, უფრო სწორად, იყო არა ბურჟუაზია, არამედ ბურჟუაზიის წინამორბედი, ვინაიდან ის ახლა იზრდებოდა, იწრთობოდა თავისი პროფესიული მოღვაწეობისათვის. ვარსკვლავებიან პალატაში უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი იმის შესახებ, თუ მომავალში ვის ნომენკლატურაში შევიდოდა აბრეშუმის მწონავის თანამდებობა: მეფისა თუ ლონდონის ლორდ-მერისა, რომელ მათგანს ექნებოდა ამ თანამდებობაზე დანიშვნის უფლება. კარდინალ უოლსის კანცელარიაში და ვარსკვლავებიან პალატაში გადაწყდა, რომ აბრეშუმის მწონავის თანამდებობა გადადიოდა ლონდონის სიტის მერის განკარგულებაში, მაგრამ რასაც უბრძანებდა მეფე და კარდინალი უელსი კორპორაციას ის უნდა შეესრულებინა.

მეფის მიერ კორპორაციისადმი გაგზავნილი წერილი წააკითხეს თვით ფულერს. მილორდ მერმა განაცხადა: „ხომ ხედავ (არა ჩვენ), არამედ თვითონ მეფეს და კარდინალ უოლსის სურთ, რომ უილიამ კრეინი იქნეს მიღებული აბრეშუმის მწონავის თანამდებობაზე და შენ უნდა დათანხმდე, ვერაფერს გახდები მაინც“ (1: 711-713). ამ ბოლო სიტყვებიდან ნათლად ჩანს აბსოლუტიზმის ძალა.

ახლა ვნახოთ რას წარმოადგენს ქსოვილის მზომავის თანამდებობა? აბრეშუმის მწონავის თანამდებობის მსგავსად ამ

ადგილზე ირჩევდნენ ღია კენჭისყრით. სანამ დაიკავებდა ტილოს მზომავი ადგილს, ამ თანამდებობას, მას უნდა დაედო ფიცი წმინდა ტომასის ჰოლში ქალაქის ოლდერმენებისა და საამქრო მამასახლისების წინაშე. შემდეგ უნდა წარედგინათ იგი სტილიარდში, რათა დაემტკიცებინა ლორდ-კანცლერს. მას გადასცემდნენ „თოკს“ (ეტალონს), რითაც მას უნდა გაეზომა ქსოვილი. თოკის სიგრძე იყო 11 ელსი, რომელიც უდრიდა 12 მ-სა და 43 სმ-ს (1:141).

ქსოვილის მზომავების თანამდებობა ეკავათ მთავარ მზომავსა და მის ორ დამხმარეს. 1505 წელს ქსოვილის მთავარ მზომავად აირჩიეს უილიამ უინდოუსონი, რომელსაც უნდა შეესრულებინა თავისი მოვალეობა მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში და ყოველწლიურად მას უნდა გამოეყო თავისი შემოსავლიდან დამხმარეების გასამრჯელო. ერთ დამხმარეს რიჩარდ ჯონსს იგი უხდიდა წლიურად 16 გირვანქა სტერლინგს, მეორეს ჯონ ჰუსს კი – 11 გირვანქა სტერლინგს. გამონაკლისს წარმოადგენდა (ჰანზასთან ან საფრანგეთთან) ვაჭრობის ბოლო პერიოდი, როცა თეთრეული ვერ შემოვიდოდა. ასეთ შემთხვევაში დამხმარეებიდან ერთი მიიღებდა ოთხ გირვანქას, მეორე – 5 შილინგს ყოველწლიურად (1: 267-268). როგორც ჩანს, მერსერები ვაჭრობდნენ თეთრეულითაც, რაც მათ იმპორტის უფლებაში შედიოდა.

ქსოვილის მზომავის დამხმარეები უნდა მიშველებოდნენ მთავარ მზომავს სამუშაოს შესრულებაში და ფულის აღებაში, მათ თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ დავალიანებულთა სიაში არ გამორჩენოდათ, უნდა აღენიშნათ ბილში (წიგნში). მაგრამ თუ დაარღვევდნენ პირობას, უნდა გადაეხადათ ჯარიმის სახით 5 გირვანქა სტერლინგი, აქედან ნახევარი უნდა შესულიყო კომპანიის ხაზინაში, ხოლო მეორე ნახევარი უნდა მიეცათ ქსოვილის მთავარი მზომავისათვის. თუ მათ შორის წამოიჭრებოდა წინააღმდეგობა, მაშინ მამასახლისებს უნდა გაერჩიათ იგი და გამოეტანათ დამნაშავისათვის სასჯელი (1: 269). გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი დამხმარის ყოლა, რაც დაკავშირებული იყო გარკვეულ მიზეზებთან. მაგალითად, 1517 წელს მერსერთა ჰოლის (hall) და სამლოცველოს მშენებლობაზე, საჭირო ხარჯებთან დაკავშირებით, ქსოვილის

მზომავის ერთ-ერთი გარდაცვლილი დამხმარის ჯამაგირი გადარიცხეს მშენებლობაზე და მის ადგილზე აღარ აურჩევიათ ახალი დამხმარე.

ქსოვილის მზომავის საქმიანობას არეგულირებდნენ კომპანიის მიერ მიღებული ორდონანსები. 1505 წელს მერსერებმა დაადგინეს, რომ ქსოვილის მზომავი თვითნებურად არ უნდა წასულიყო რომელიმე ვაჭართან ქსოვილის გასაზომად, არამედ ყოველთვის უნდა ყოფილიყო სახლში და დალოდებოდა როცა მათი მომსახურება იქნებოდა საჭირო და გამოიძახებდნენ, ძველი წესის მიხედვით. ქსოვილი კი ქსოვილის მთავარ მზომავსა და მის დამხმარეებს შორის უნდა „გაეყოთ“ (1: 268). ე. ი. ალბათ აქ საუბარია ჩამონაჭერ ქსოვილზე.

ქსოვილის მზომავი ზოგჯერ არაკეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამის გამო საჩივრები მისდიოდა კომპანიას, იხილავდნენ ამ საჩივრებს მორიგ კრებაზე და გამოჰქონდათ გადაწყვეტილება. მაგალითად, უილიამ უინდოუსონი ორ თოფ ტილოს ზომავდა შუადღის პირველი საათიდან მეორე დღის პირველ საათამდე, ამასთანავე, ყოველ 100 მეტრზე 10 ელსს აკლებდა (1: 256).

მერსერთა კორპორაციის მამასახლისები ამოწმებდნენ ქსოვილის მზომავის ზომის ეტალონს – თოკებს. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მზომავის უინდოუსონის ეტალონი ნახევარი იარდით მეტი იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო. ე. ი. იპარავდა. მას მისცეს მკაცრი გაფრთხილება (1:262), ხოლო ჯონ ჰუსი, რომელსაც შვიდი წელი ეკავა ქსოვილის მზომავის თანამდებობა, გაათავისუფლეს ამ თანამდებობიდან, ვინაიდან იგი არასინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, ქსოვილს ზომავდა ყალბი საზომით. ამის შესახებ ჩიოდნენ ჰანზელები, რომელნიც მან დააზარალა და უკანონოდ მიითვისა 3 გირვანქა სტერლინგი, 13 შილინგი და 8 პენსი.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დოკუმენტი: 1520 წელს მერსერთა კორპორაციამ მიიღო აქტი, რომლის თანახმად, ქსოვილის მზომავს უნდა გაეზომა როგორც აბრეშუმი, ისე სხვა ქსოვილები – მაუდი და ა. შ. როგორც თეთრი, ისე ყავისფერი, რომე-

ლიც ჩამოჰქონდათ უცხოელ ვაჭრებს და რომელსაც ყიდულობდნენ სიტის ნებისმიერი მოქალაქე უცხოელი ვაჭრებისაგან. ქსოვილის გაზომვა აუცილებელი იყო იმიტომ, რომ უცხოელი ვაჭრები და ხელოსნები ჩუმ-ჩუმად აკლებდნენ ხოლმე თავიანთ ქსოვილს სიგრძეს და სიგანეს გაზომვის დროს. ამის გამოსასწორებლად კომპანიამ საბჭოს აქტით დააკანონა, რომ არც ფარჩის, არც აბრეშუმის, მაუდის, სელის და ა. შ. თეთრი და მუქი ფერის ქსოვილი, რომელიც დამზადებული იყო საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ფლანდრიაში, ზელანდიაში, ბრაბანტში, გენუაში და ზღვის გაღმა სხვა ადგილებში არ უნდა ყოფილიყო შემოტანილი ლონდონის სიტიში უცხოელების მიერ გასაყიდად. დარღვევისათვის დაწესებული იყო ჯარიმა, რომლის ნაწილი გადაეცემოდა ლონდონის ლორდ-მერის კანცელარიას, ნაწილი კი – იმათ, ვინც შეამჩნევდა დარღვევას (1: 508).

მერსერთა სავაჭრო გაერთიანება მკაცრად სჯიდა ქსოვილის მზომავს თუ ის არაკეთილსინდისიერად შეასრულებდა თავის მოვალეობას. იყენებდნენ დასჯის სხვადასხვა ფორმას: მკაცრ გაფრთხილებას, თანამდებობიდან გადაყენებას, დაჯარიმებასა და ა. შ.

მსგავსად აბრეშუმის მწონავის თანამდებობისა, ქსოვილის მზომავის თანამდებობაზე არჩევნების საქმეში აშკარად ერეოდა მეფის ხელისუფლება. 1480 წელს, როცა ქსოვილის მზომავი გარდაიცვალა მის ადგილზე უნდა დაენიშნა კორპორაციის მიერ შერჩეული კანდიდატი მეფეს, მაგრამ მეფე ედუარდ IV-ს სურდა, როგორც ეს ჩანს მერსერებისადმი მისი პირადი წერილიდან, აერჩიათ მერსერი ჯონ სენდისი. საკითხი გადაწყდა მეფის სასარგებლოდ. ასევე ჰენრი VIII-ც ერეოდა კომპანიის საქმეებში. 1522 წელს, როცა განთავისუფლდა ქსოვილის მზომავის ადგილი, იგი ითხოვდა თანამდებობაზე დაენიშნათ მისი მსახური, კანცელარიის მოხელე. „ნიუბოლდის წიგნიდან“ ჩანს, რომ მეფის პროტექციით, ქსოვილის მზომავის თანამდებობაზე დაინიშნენ ოლდერმენები: ჯონ ალენი და ჯონ კიმი (1: 552) ჩვენი აზრით, ესენი იყვნენ ქსოვილის მთავარი მზომავის დამხმარეები. მეფე წერდა მერსერთა კორპორაციას ამის თაობაზე: „არ დაგივიწყებთ

და გადაგიხდით სამაგიეროს ყველა თქვენს თხოვნას დავაკმაყოფილებთ“ (1: 538). ასე ახდენდა მეფე ზეგავლენას გილდიაზე და ერეოდა მის საქმეებში.

1523 წელს მერსერთა კორპორაციის კრებაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ ქსოვილის მზომავის ადგილი თავისუფალი იყო, მაგრამ ლონდონის ლორდ-მერის მხრიდან არ იყო არავითარი „რჩევა“, ე. ი. არ იყო დასახელებული კანდიდატურა, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ მამასახლისებს ერთად ენახათ მერი და ამ საქმესთან დაკავშირებით გადაეცათ პეტიცია უოლსისათვის (1: 678). გამოდის, რომ ქსოვილის მზომავის ადგილს იკავებენ მეფის ან მერის შერჩეული კანდიდატურა, რაც იმჟამად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო არჩევნების დემოკრატიულმა ფორმამ არსებითად დაკარგა თავისი მნიშვნელობა. სულ უფრო იზრდება აბსოლუტიზმის ძლევამოსილება. ხოლო ვაჭრები ემორჩილებიან მას. ნათლად ჩანს, აგრეთვე, ისიც, თუ როგორ არიან მერსერები დაკავშირებულნი მეფის მოხელეებთან და თვითონაც ხშირად იკავებდნენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს.

როგორც დავინახეთ მეფე და უმაღლესი მოხელეები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ მერსერთა კომპანიის თანამდებობის პირთა არჩევნებზე, კერძოდ, ქსოვილის მზომავისა და აბრეშუმის მწონავის თანამდებობაზე ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნის დროს. ხოლო კორპორაცია ამას იყენებდა თავისი ინტერესებისათვის, რასაც ადასტურებს მეფის ზემოთ მოყვანილი წერილები, რომლებითაც მეფე უწევდა პროტექციას გარკვეულ პირებს, რომელთაც ანიშვნინებს ქსოვილის მზომავისა თუ აბრეშუმის მწონავის თანამდებობებზე, ხოლო სამაგიეროდ, ჰპირდებოდა მერსერებს გარკვეულ პრივილეგიებს, თუ ისინი დააკმაყოფილებდნენ მის თხოვნას. აი სად იმალება აბსოლუტიზმის ბუნება – ერთი მხრივ, მეფის ხელისუფლება არაპირდაპირ მიხვეულ-მოხვეული გზით ახდენდა ზეგავლენას მერსერთა კომპანიაზე და, მეორე მხრივ, აშკარად ვლინდება ბურჟუაზიის პოლიტიკური სისუსტე.

მერსერთა გილდიის საქმიანობას არეგულირებდა თვითმმართველობის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები.

მერსერთა კომპანიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა გილდიის წევრთა საერთო კრება. მასზე იხილავდნენ და იღებდნენ ორდონანსებს, რომელნიც არეგულირებდნენ გილდიის ცხოვრებასა და საქმიანობას, ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, აქვე იხილავდნენ და ამტკიცებდნენ მათ ანგარიშებს, აწესებდნენ გილდიის წევრებზე გადასახადებს, გამოყოფდნენ კომისიებს და ა. შ.

მერსერთა საერთო კრება იმართებოდა წმინდა ტომასის ჰოლში (დარბაზში). ჩვეულებრივ მას ატარებდნენ წელიწადში ოთხჯერ ყოველი კვარტლის ბოლოს: გაზაფხულზე, როცა იღებდნენ „ლივრეაში“ ახალ წევრებს, ივლისის დასაწყისში – მამასახლისების არჩევნებთან დაკავშირებით, შემოდგომაზე – ოსტატ-ბეჭელორების არჩევისათვის და ასევე დეკემბრის ბოლოს, როცა მამასახლისებს უნდა შეედგინათ კორპორაციაში მისაღები ახალი წევრების სია. მთელი წლის განმავლობაში იწვევდნენ, აგრეთვე, რიგგარეშე კრებებს მეფის მიერ ბენევოლენციის შემოღებასთან დაკავშირებით; მეფესთან შეხვედრისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ქალაქის გალავნის შეკეთებაზე საჭირო გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით და სხვა.

მერსერები მკაცრად იცავდნენ კრებაზე დასწრების წესს. ორდონანსის ძალით, კომპანიის არც ერთ წევრს უფლება არ ჰქონდა თავისი ნებით დაეტოვებინა კრება, ან როცა მას მოესურვებოდა მაშინ დაბრუნებულიყო თავის ადგილას. კრებაზე დამღვევს უნდა გადაეხადა ჯარიმა, არავის ჰქონდა უფლება თვითნებურად დაეტოვებინა კრება, სანამ არ ამოიწურებოდა დღის წესრიგი.

გამონაკლისს წარმოადგენდა ავადმყოფობა, ანდა მამასახლისების ნებართვა კრების დატოვების შესახებ. 1502 წელს დაადგინეს, რომ თუ ვინმე იქნებოდა შემჩნეული ორდონანსების დარღვევაში, უნდა გადაეხადათ იმდენი, რამდენიც იყო დაწესებული სტატუტის მიხედვით. თუ დამნაშავე არ გადაიხდიდა ჯარიმას, მაშინ მამასახლისებს თვითონ უნდა გადაეხადათ (1: 254). დააწესეს ჯარიმა 6 შილინგი და 8 პენსი გილდიის ძველი წევრებისათვის,

ხოლო ახალი წევრებისათვის – ამის ნახევარი – 3 შილინგი და 4 პენსი (1: 264). ასეთი მკაცრი ორდონანსის მიღება განპირობებული იყო იმით, რომ კომპანიის წევრები არღვევდნენ ორდონანსს კრებაზე დასწრების შესახებ და ხშირად არასაპატიო მიზეზით აცდენდნენ კრებას.

ძნელია იმის დადგენა თუ რამდენი კაცი ესწრებოდა ხოლმე კრებას, ვინაიდან მასზე დასწრება ყოველთვის არ იყო ერთნაირი. მაგალითად, 1510 წელს ერთ კრებას ესწრებოდა 66 კაცი (1: 385). უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ კრებას ყველა ვერ დაესწრებოდა, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი იქნებოდა წასული ზღვის გაღმა სავაჭროდ. 1516 წელს კრებას ესწრებოდა 3 ოლდერმენი და 64 რიგითი წევრი, ე. ი. სულ 67 კაცი (1: 437). ხოლო 1520 წელს კი – 90 კაცი (1: 520-528).

მაგრამ ასეთი დასწრება იშვიათი გამონაკლისი იყო კომპანიის ცხოვრებაში. ერთი სიტყვით კრებაზე დამსწრეთა რიცხვი მერყეობდა 60-დან 90 კაცამდე. კომპანიის საერთო კრება არ იყო კომპანიის თანასწორუფლებიან წევრთა კრება. მას მართავდნენ გილდიის უმცირესობა – მდიდარი „ლივრეის“ ვაჭრები, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენდნენ, ამიტომაც ისინი კრებაზე ხშირად წყვეტდნენ ამა თუ იმ საკითხს, ბეჩელორების მონაწილეობის გარეშე. ამდენად, კრების გადაწყვეტილება დამოკიდებული იყო მდიდარი ლივრეის მქონე ვაჭრებზე. კომპანიის შიგნით არ იყო თანასწორობა, მკვეთრად გამოიყოფოდა მდიდარი და ნაკლებად შეძლებული ვაჭრები. „ნიუბოლდის წიგნში“ გვხვდება მრავალი შემთხვევა, როცა კომპანია წყვეტდა საკითხებს ბეჩელორების მონაწილეობის გარეშე, მაგალითად როცა იხილავდნენ მამასახლისების არჩევნებს, გილდიის ახალი წევრის მიღების, მამასახლისთა გასაცილებლად ბანკეტის საჭიროებაზე ხაზინიდან თანხის გამოყოფის, ქალაქში წესრიგის დამყარებისა და სხვა ამგვარ საკითხებს, მაგალითად, 1486 წლის 10 ივლისს მოწყობილი კრების შემდეგ, როცა კრება დაიშალა, მამასახლისები, ოლდერმენები და დამხმარეები დარჩნენ და მიიღეს ორდონანსი მამასახლისების არჩევის შესახებ (1: 293). 1507 წელს კი, როცა კომპანიაში

იღებდნენ ახალ წევრებს, მამასახლისებმა უბრძანეს დამხმარეებს, რომ გამოეთქვათ თავიანთი სურვილები კონკრეტული პირების მიმართ, რომელთაც გააჩნდათ ყველა აუცილებელი ნიშნები კომპანიის წევრად მიღებისათვის, სახელდობრ ვინ იყვნენ ისინი და რამდენი იყვნენ. ახლად მიღებულ წევრთა სიაზე ხელი მოაწერეს მამასახლისებმა და დამხმარეებმა (1: 309). უფრო მეტიც, 1507 წელს დუქნების ახალგაზრდა მეპატრონეების საჩივარი შესატანი გადასახადის თაობაზე, განიხილეს ბეჩელორების გარეშე. ასევე მამასახლისთა გასაცილებლად, როცა ამოიწურებოდა მათი ვადა, მართავდნენ სუფრას, რის საჭიროებაზეც ხაზინიდან განსაზღვრული ოდენობის თანხის 20 შილინგის გამოყოფას ახდენდნენ ბეჩელორებისაგან დამოუკიდებლად (1: 747). 1509 წელს მეფე ჰენრი VII-ის გარდაცვალების დროს, ქალაქში წესრიგის ორგანიზებასთან დაკავშირებით, კრებამ მიიღო ზომები კვლავ ბეჩელორების დასწრების გარეშე (1: 325).

როგორც ვხედავთ, საერთო კრებაზე წამყვანი იყო უმცირესობა, პრივილეგირებული ვაჭრები. მამასახლისთა არჩევნებს გილდიის ახალი წევრების მიღებას, მამასახლისთა გასაცილებლად ბანკეტის ორგანიზებას, ქალაქში წესრიგის დამყარებას, საჩივრების განხილვას მერსერები ახდენდნენ ბეჩელორების მონაწილეობის გარეშე (1: 325).

მერსერთა კორპორაციის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა მამასახლისებს. საინტერესოა როგორი იყო მათი ფუნქციები და უფლებები, როგორ წარმართავდნენ ისინი კომპანიის საქმეებს?, როგორი იყო მამასახლისთა არჩევნების სისტემა?

1479 წლის ორდონანსის ძალით დამტკიცდა მამასახლისთა არჩევნების შემდეგი წესი: მერსერთა კორპორაცია ერთი წლის ვადით ირჩევდა ოთხ მამასახლისს, რომლებიც წარმართავდნენ კომპანიის საქმიანობას. მმართველი ოთხი მამასახლისი ასახელებდა თავის კანდიდატებს. ყოველ მათგანს უფლება ჰქონდა დაესახელებინა ორი კაცი, ე. ი. სულ ოთხივე დაასახელებდნენ რვა კაცს. შემდეგ შეიკრიბებოდნენ ოლდერმენებთან და „12 დამხმარესთან“ ერთად და გამოაცხადებდნენ თავიანთი კანდ-

იდატების შესახებ. მათგან კრება აირჩევდა მამასახლისად ოთხ კაცს ერთი წლის ვადით. მაგრამ თუ კრება რომელსამე მათგანს უარყოფდა, მაშინ მამასახლისებს უფლება ჰქონდათ მის ნაცვლად დაესახელებინათ სხვა. თუ ამ კანდიდატურით ოლდერმენები და დამხმარეები კმაყოფილნი დარჩებოდნენ, მაშინ ყველა ეს პირები ხდებოდნენ მამასახლისებად. ახალი კანდიდატების დამტკიცების შემდეგ, ძველ მამასახლისებს, ოთხ ახალ მამასახლისიდან უნდა აერჩიათ მთავარი მამასახლისი. ე. ი. გამოდის, რომ ახალი ოთხი მამასახლისის არჩევის საკითხს წყვეტდნენ ოლდერმენები და „12 დამხმარეთა კრება“ ძველ მამასახლისებთან ერთად. ამასთანავე ძველი მამასახლისებიდან არავის არ უნდა გაებედა აეღო ქრთამად ფული ან ძვირფასეულობა ე. ი. ქრთამი – იმ პირთაგან, რომლებსაც ისინი ასახელებდნენ და თუ ექნებოდა ადგილი ასეთ დარღვევას, მაშინ ახალ მამასახლისს ჩამოერთმეოდა ადგილი (1: 115-116). 1505 წლიდან შეიცვალა მამასახლისთა არჩევნების ეს წესი. მაგალითად, როცა გარდაიცვლებოდა ერთ-ერთი მამასახლისი, მიღებული წესის თანახმად უნდა აერჩიათ ახალი. დაასახელეს კომპანიის წევრთაგან ამ ადგილისათვის უფრო შესაფერისი რვა კაცი. ამ პირთა სია ჩამოკიდეს. ვინც მისცემდა ხმას, თავისი კანდიდატის სახელის წინ უნდა დაესვა წერტილი. აი როგორი სურათი შეიქმნა:

...../..... ტომას ბელდრი/
./..... ბენჯემინ დიგბი/
... უილიამ ბრომუელი/
. . რობერტ ვიმონდი/
ჯონ რუთი/
.. , რობერტ ეშლი/
../.....ჯონ კიმი/
ჯონ ბერნარდი/ (1: 271).

ჩვენ ვხედავთ, სახელების და გვარების წინ დასმულია ნიშნები. ჩანს, რომ უნდა აერჩიათ ტომას ბელდრი, რადგან მას ყველაზე მეტი ნიშანი ჰქონდა დასმული. მართლაც ტომას ბელდრი არჩეულ იქნა რენტის ამკრეფ მამასახლისად.

მამასახლისის არჩევნებთან დაკავშირებით მერსერები მართავდნენ საზეიმო სუფრას წმინდა ტომასის ჰოლში. 1491 წელს მათ მიიღეს ორდონანსი, რომლის მიხედვით, მამასახლისების არჩევასთან დაკავშირებით სუფრისათვის გამოყვეს ვენური ცომი, ნაღები, წითელი ღვინო და ა. შ. (1: 218). „ნიუბოლდის წიგნიდან“ ირკვევა, რომ მერსერთა კორპორაციის მამასახლისები სუფრის საჭიროებაზე თვითონ იხდიდნენ თანხას, რაც არ იყო დამახასიათებელი სხვა კორპორაციებისათვის. 1492 წლამდე არსებობდა ეს წესი მერსერთა კორპორაციაში, ხოლო შემდეგ წესი შეცვალეს და სუფრის ხარჯებზე თანხას გამოყოფდა ხოლმე კომპანიის ხაზინა, მაგრამ ამასთანავე ეს თანხა არ უნდა ყოფილიყო 10 გირვანქა სტერლინგზე მეტი (1: 228).

„ნიუბოლდის წიგნზე“ დაყრდნობით მოგვაქვს სია იმ მამასახლისებისა რომელნიც იყვნენ არჩეული 1508-1550 წლებში (ცხრილი №5).

ცხრილი №5

მამასახლისთა სია 1508-1520 წლებში

წლები	მამასახლისთა სახელები
1508	ჯონ ტეიტი, რიჩარდ ფილდინგი, ჯონ ალენი, რიჩარდ ბერნი
1509	ჯონ ჰაუ, რიჩარდ გოლიფერი, ტომას სეიმური, ჯონ რუთი
1510	ჯეიმზ იარფორდი, რობერტ იმბერი, ჯონ ბრაუნი, სიმონ რაისი
1511	როჯერ ბეისფორდი, ჯონ უესტი, მაიკლ ინგლიში, უილიამ ბრომოელი
1513	უილიამ ბრაუნი, ტომას ბროელდრი, ჰიუ კლოპტონი, ტომას ჰინდი
1514	ტომას ბელდრი, უილიამ ბატრი, უილიამ ბრაუნი, კრისტოფერ რაულინსონი
1515	ჯონ ალენი, ჯონ კიმი, ჯონ ბერნარდი, ჯონ კერვილი
1516	ჯონ უესტი, ბენჯემინ დიგბი, რობერტ ბოლი, უილიამ დონტსლი
1517	ტომას სეიმური, რიჩარდ ბერნი, ედმუნდ უოტონი, ჯორჯ მეღლი
1518	ჯეიმზ იარფორდი, მაიკლ ინგლიში, ჯონ პარკი, უილიამ ჰოლი
1519	როჯერ ბეისფორდი, ჰიუ კლოპტონი, ნიკლას ლიუსონი, მაიკლ დორვენი
1520	მაიკლ ინგლიში, ჯონ ბრაუნი, რიჩარდ რეინოლდი, რალფ უორვნი

ცხრილიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე პიროვნება არჩეული იყო მამასახლისად ორჯერ, სამჯერაც. მაგალითად რიჩარდ ბერნი (1508 და 1517 წლებში), ტომას სეიმური (1509 და 1517) წლებში/, ჯეიმზ იარფორდი (1512 და 1518 წლებში) ჯონ ბრაუნი (1510 და 1520 წლებში). ჩვენი აზრით, ეს განპირობებული იყო მათი დამსახურებით, ვინაიდან ზედიზედ მეორეჯერ არ შეიძლებოდა მამასახლისის არჩევა. არჩევის დღიდან 5 წლის გასვლის შემდეგ უფლება ჰქონდათ იგი კვლავ აერჩიათ.

ამ თანამდებობაზე იშვიათად ირჩევდნენ ერთი ან ორი წლის შემდეგ ერთსა და იმავე პიროვნებას. მაგალითად, ჩვენს მიერ მოყვანილ ცხრილში მაიკლ ინგლიში აირჩიეს მამასახლისად 1518 და 1520 წლებში, ე. ი. ერთი წლის გასვლის შემდეგ ხელმეორედ აირჩიეს. ასეთი შემთხვევა იშვიათად გვხვდება „ნიუბოლდის წიგნში“.

მერსერთა კომპანიის საერთო კრებაზე ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის მმართველი იჯდა მაღალ სკამზე, ცოტათი დაბლა – მთავარი მამასახლისი, ხოლო უფრო ქვევით ისხდნენ სხვა მამასახლისები (1: 442). ირკვევა, რომ ოთხი მამასახლისიდან ერთი იყო მთავარი მამასახლისი. მაგალითად, 1519 წელს ჰიუ კლოპტონი იყო მთავარი მამასახლისი (1: 478). მერსერთა ერთ-ერთი მამასახლისი იყო რენტის ამკრეფი, რომელსაც ევალებოდა ყოველ კვარტალში საიჯარო გადასახადის აკრეფა შენობის დაქირავებისათვის. თუ ახლად არჩეული მამასახლისი გარდაიცვლებოდა მაშინ დანარჩენ მამასახლისებს ურთიერთდახმარების მეშვეობით უნდა შეესრულებინათ მისი მოვალეობა (1: 318). წყაროში პირდაპირ მითითებულია III და IV მამასახლისის ფუნქციები. მესამე მამასახლისი თავისი მუშაობის პერიოდში უფლებამოსილი იყო დაეცვა კომპანიის ყველა საქონელი, წიგნები და ჩანაწერები (ოქმები), რომლებიც ინახებოდა წმინდა ტომასის ჰოლში, კომპანიის ყველა წერილი, დოკუმენტი, ანგარიში, რომელსაც გაიტანდნენ კრებაზე მამასახლისის ბრძანებით კერძო პირები ან გილდიის წევრები. ასევე მე-3 მამასახლისს უნდა ჩაეწერა ყველა ორდონანსი, რომელსაც მიიღებდნენ მის დროს კრებაზე. არსებითად მერსერთა გილდიის ყველა დოკუმენტი იყო მისი პასუხისმგებლობის ქვეშ.

მე-4 მამასახლისის კომპეტენციაში შეიდა გილდიის ყველა სახის ანგარიშები. მას უნდა ეწარმოებინა ანგარიში, გაეკონტროლებინა მიმდინარე ხარჯები, ყოველკვირეულად უნდა აეკრიფა საიჯარო გადასახადი მფლობელებისაგან. თვალყური უნდა ედევნებინა კორპორაციის წევრთა მუშაობისათვის (თანამდებობის პირთა გამოკლებით). ასევე უნდა მიეცა მათთვის ყოველკვირეული ჯამაგირი ყოველკვირეულად, უნდა გამოეყო თანხა ღარიბთათვის (დავრდომილთა თავშესაფრისათვის) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, კორპორაციის თითოეული მამასახლისის ფუნქციები მტკიცედ იყო განსაზღვრული. მერსერთა მამასახლისები არ კმაყოფილდებოდნენ მიღწეულით და მიისწრაფოდნენ უფრო მაღალი ადგილისაკენ. „ ნიუბოლდის წიგნში“ გვხვდება არაერთი მაგალითი იმისა, როცა ისინი მიართმევდნენ ხოლმე შერიფს ქრთამს, რათა მიეღოთ მაღალი ადგილი. აი ერთ-ერთი ასეთი მაგალითი: 1516 წელს მამასახლისებმა მიართვეს შერიფს საჩუქრად დიდი თანხა – 34 გირვანქა სტერლინგი და 10 შილინგის ოდენობით, რათა „ჩაეცვათ აბრეშუმის ტანსაცმელი“ (ე. ი. მიეღოთ შერიფის ადგილი) (1: 445).

ორდონანსების დარღვევის შემთხვევაშიც მამასახილისები თვითონ ადგენდნენ ჯარიმების ოდენობას. მათ თვალყური უნდა ედევნებინათ კომპანიის წევრების მიერ ორდონანსების შესრულებისათვის. თუ დარღვევა მოხდებოდა მამასახლისების მიერ, უნდა დაესაჯათ ყველა დამრღვევნი თანაბრად არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დაეშვათ პატიება. უფრო მეტიც 1510 წელს მიიღეს სპეციალური ორდონანსი, რომლის ძალით, თუ მამასახლისები არ დააჯარიმებდნენ დამნაშავეებს და არ აიძულებდნენ გადაეხადათ მათ ჯარიმა, როგორც დამრღვევებს თვითონ გადაახდევინებდნენ (1: 383) მათ უფლებაში შედიოდა საიჯარო გადასახადის აღმრიცხველი სპეციალური წიგნის შემოწმება. მამასახლისებს თვალყური უნდა ედევნებინათ, აგრეთვე, იმისათვის, რომ კომპანიის წევრებს, რომლებმაც დადეს შეთანხმება ყიდვა-გაყიდვაზე, არ დაერღვიათ იგი და არ უნდა გაეცათ კომპანიის პროფესიული საიდუმლოებები.

მამასახლისებს, როცა მათ ირჩევდნენ ამ თანამდებობაზე, ორდონანსის შესაბამისად, უნდა დაედოთ ფიცი. მათ ევალებოდათ სამეფო ბაჟისა და სუბსიდიის შეგროვება და მისი ჩაბარება გადასახადის ამკრეფისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გადაეხადათ ჯარიმა 10 გირვანქა სტერლინგის ოდენობით (1: 250). მათ ჰქონდათ მიღების დღეები: ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი კომპანიის კანტორაში, სადაც შეეძლოთ მიეღოთ ყველა საჩივარი და წინადადებანი (1: 244). მამასახლისებს არ ჰქონდათ უფლება მას შემდეგ, რაც, ამოიწურებოდა მათი უფლებამოსილება, შეენახათ თავიანთ ხელში ხაზინის თანხა ან ქონება ერთ დღეზე მეტხანს. 1500 წელს მერსერებმა დაადგინეს, რომ ყოველი მამასახლისი უნდა ყოფილიყო აუდიტორი ე. ი. რევიზორი თავისი წინამორბედისა, რომ სწორად, გულდასმით უნდა შეემოწმებინა ყველა ანგარიში, რომ არ დარჩენოდათ არც ერთი დავალიანებული პირი და არც ისინი, ვისთვისაც ამა თუ იმ მოვალეობის შესრულების გამო უნდა მიეცათ გარკვეული თანხა (1: 247). მეტად მკაცრი იყო კომპანიის განაჩენი იმათ მიმართ, ვინც არ გადაიხდიდა თავის დროზე ვალს, თუნდაც იგი მამასახლისი ყოფილიყო. 1519 წელს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მერსერთა კორპორაციამ ერთ-ერთ მამასახლისად აირჩია როჯერ ბეისფორდი. მას, როგორც სხვა მამასახლისებს უნდა გადაეხადათ გადასახადი მშენებლობაზე ორი წლის განმავლობაში 20 მარკის ოდენობით. მან ეს თანხა თავის სიცოცხლეში ვერ გადაიხადა, გარდაიცვალა და დარჩა ვალი. მამასახლისები ჰიუ კლოპტონი და მაიკლ დორმენი მერის რჩევით აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ქალბატონ ბეისფორდთან, მის ქვრივთან. რომელმაც განაცხადა, რომ არაფერი არ იცოდა ასეთი ვალის შესახებ და უარყო მათი თხოვნა. ყოველივე ეს მამასახლისებმა მოახსენეს კორპორაციას. მაშინ წაიკითხეს კორპორაციის მიერ დამტკიცებული ორდონანსი, რომლის თანახმად, ვინც თავის დროზე არ გადაიხდიდა გადასახადს, დაჯარიმდებოდნენ ორმაგი რაოდენობის თანხის გადახდით. კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კორპორაციის წევრთაგან არავის არ შეეტანა მისი ე. ი. ბეისფორდის ცხედარი სამლოცველოში და არ

მიეცილებინა იგი საფლავამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევი დაჯარიმდებოდა 10 გირვანქა სტერლინგით მერსერთა ხაზინის სასარგებლოდ. მაშინ ბეისფორდის ანდერძის ერთ-ერთი აღმსრულებელი და მისი სიძე მოვიდნენ და შეპირდნენ, რომ გადაიხდიდნენ 20 მარკას – გარდაცვლილის ვალს (1: 496). კორპორაციამ მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება თავის წევრებს მიეღოთ მონაწილეობა ბეისფორდის დაკრძალვაში. მსგავს მაგალითს ვხვდებით „ნიუბოლდის წიგნში“ სხვა შემთხვევებში. 1520 წელს მერსერთა კორპორაციამ გამოსცა ბრძანება, რომ თუ ვინმე ოლდერმენთაგან უარს იტყოდა გადაეხადა თავისი წილი გადასახადი (მშენებლობის საჭიროებაზე) მაშინ კორპორაციის არც ერთ წევრს არ ჰქონდა უფლება, რომ როცა იგი გარდაიცვლებოდა მიეღო მონაწილეობა მის დაკრძალვაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვეეთ უნდა გადაეხადათ ჯარიმა 10 გირვანქის ოდენობით მერსერთა ხაზინის სასარგებლოდ (1: 515).

ამგვარად, მერსერები მკაცრად სჯიდნენ დამნაშავეებს, კერძოდ, მოვალეებს. ზემო მოყვანილი ბეისფორდის მაგალითი კარგად მეტყველებს მერსერთა სიმკაცრეზე.

როდესაც ამოიწურებოდა მამასახლისობის ვადა – ერთი წელი, ვალმოხდილ მამასახლისთა პატივსაცემად იმართებოდა ბანკეტი, რისთვისაც, როგორც წესი, მერსერთა ხაზინა გამოყოფდა ხოლმე 20 გირვანქა სტერლინგს (1: 438: 474).

„ასისტენტთა საბჭო“ (Court of Asistants) მოქმედებდა მამასახლისებთან ერთად და წყვეტდა გილდიის საქმეებს. თავდაპირველად საბჭო შედგებოდა 12 კაცისაგან. „ნიუბოლდის წიგნში“ პირდაპირაა მითითებული, რომ 1463 წელს დაადგინეს, რათა ასისტენტები ყოველთვის მზად ყოფილიყვნენ, საჭიროების შემთხვევაში შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. შემდეგში „ასისტენტთა საბჭო“ შედგებოდა რვა კაცისაგან. 1502 წლიდან ეს საბჭო იკრიბებოდა ყოველკვირეულად ორშაბათობით ჰოლში (დარბაზში), სადაც იხილავდნენ კომპანიის მიმდინარე საკითხებს და, ამასთანავე, არც ერთ საქმეს არ ამტკიცებდნენ აღნიშნული რვა მრჩევლის გარეშე. კონკრეტულად მათი ფუნქცია მდგომარეობდა იმაში,

რომ დახმარებოდნენ მამასახლისებს ორდონანსების შემუშავებაში, იმ პირთა შერჩევაში, რომელნიც უნდა გაეგზავნათ მეფესთან შესახვედრად, მათი ეკიპირების ორგანიზებაში და ა. შ. 60 დამხმარეთა შორის, რომელთა სახელები გვხვდება 1523-1524 წლების ოქმებში, არ არის არც ერთი ფრიმენი ლივრეის გარეშე (78: 234). აქედან გამომდინარე ასისტენტთა საბჭო შედგებოდა პრივილეგირებული ვაჭრებისაგან. თუ როგორი იყო მათი არჩევნების წესი, ამაზე „ნიუბოლდის წიგნი“ დუმს. მერსერთა კორპორაციაში ბეჩელორების საქმეებს განაგებდა მათი რიგებიდან არჩეული 8 კაცი. მათი საბჭო იკრიბებოდა ყოველწლიურად ოქტომბრის თვეში. უდავოა ის, რომ ბეჩელორების მმართველებად იყვნენ შეძლებული ვაჭრები. მათი არჩევნების შესახებ, ასევე დუმს „ნიუბოლდის წიგნი“. ამ წყაროში მხოლოდ მითითებულია, რომ ერთხმად ირჩევდნენ რვა კაცს. ბეჩელორების მოვალეობას შეადგენდა ბაჟის გადახდის უზრუნველყოფა, ლორდ-მერისადმი მომსახურება ილდჰოლში დღესასწაულზე, და ა. შ. ბეჩელორები, მართალია, სარგებლობდნენ გარკვეული უფლებებით, მაგრამ იურიდიულად ისინი არ იყვნენ სრულად დამოუკიდებელნი, ასე მაგალითად, თუ რაიმე კონფლიქტი, ან უთანხმოება მათ რიგებში წარმოიშობოდა, მათ უნდა მიემართათ მამასახლისებისათვის, ან „ასისტენტთა საბჭოსათვის“, რათა მათი ჩარევით მოგვარებულიყო ეს კონფლიქტი ან უთანხმოება. ამდენად, მათ არ შეეძლოთ დამოუკიდებლად საკონფლიქტო და საერთოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება. უფრო მეტიც, მათი ლივრეის ფერსაც განსაზღვრავდა გილდიის საბჭო. მაგალითად, 1525 წლის 25 ოქტომბერს გილდიის კრებამ დაადგინა, რომ ბეჩელორთა მოსასხამი უნდა ყოფილიყო იისფერი, ხოლო ქუდი – შავი სატინისა. ვინც დაარღვევდა ამ წესს, მოვიდოდა ძველ მოსასხამში და შეუფერებელი ქუდით, უნდა გადაეხადა ჯარიმა იმ სახით 40 შილინგი (1: 705).

მერსერებს შორის დავასა და უთანხმოებას წყვეტდა საარბიტრო სასამართლო. მოდავე მხარეებს უნდა გადაეხადათ გარკვეული ოდენობის თანხა არბიტრებისათვის და დამორჩილებოდნენ მათ

გადაწყვეტილებას. საარბიტრაჟო სასამართლოში შედიოდნენ ასისტენტთა საბჭოს წევრები, ოლდერმენები და ბიურგერები (1: 132). ხოლო 1485 წლიდან საარბიტრაჟო სასამართლოში შედიოდნენ ნაფიცი მსაჯულებიც. მაგალითად, მერსერი ჰიუ კლოპტონი, რომელმაც დაარღვია სავაჭრო ემბარგო და არ იხდიდა ჯარიმას, დაიბარეს სასამართლოზე, სადაც უნდა გამოეტანათ მისთვის განაჩენი. სასამართლოს ესწრებოდნენ რვა ოლდერმენი, ორი მამასახლისი და თორმეტი ნაფიცი მსაჯული (1: 705).

XVI საუკუნის 20-იან წლებში კორპორაციის წევრთა შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში ლონდონელი მერსერები იწყებენ ადვოკატების დაქირავებას ასე, მაგალითად მერსერებს ტომას კვარდინგსა და ჯონ ბარტონს შორის წარმოიშვა დავა იმის გამო, რომ ბარტონს უნდა დაებრუნებინა ვალი ტომას კვარდინგისათვის. ამ უკანასკნელმა დაიქირავა ადვოკატად ედმუნდ სტივენსი, რომელიც იცავდა კვარდინგის ინტერესებს. საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა საარბიტრაჟო სასამართლომ (1: 132). ჩვენ აქ გვაქვს, როგორც ჩანს, პირველი და ალბათ ყველაზე ადრეული ცნობა იმის შესახებ, რომ ვაჭრებმა დაიწყეს თავიანთი ინტერესების დასაცავად ადვოკატების დაქირავება. ეს არის წმინდა ბურჟუაზიული მოვლენა. შუა საუკუნეების არბიტრაჟული სასამართლო თანდათან უახლოვდებოდა ბურჟუაზიულ სასამართლოს თავისი შინაგანი სტრუქტურით. მერსერთა კომპანია თავისი რიგებიდან ნიშნავდა პირებს მაკლერის თანამდებობაზე. მაგალითად, 1484 წელს მერსერებიდან აირჩიეს სამი მაკლერი, ხოლო ორი კი მაუდით მოვაჭრეთა კომპანიიდან (1: 170). მაკლერი (Brogger) გვხვდება ინგლისში უკვე XV საუკუნეში. იგი იყო შუამავალი ვაჭრობაში და სხვადასხვა გარიგებებში. მას ნიშნავდნენ კანონიერად, წარადგენდნენ მერის წინაშე და დაადებინებდნენ ფიცს. არავის არ ჰქონდა უფლება დაექირავებინა მაკლერი, თუ იგი არ იყო წარდგენილი მერის წინაშე. ვინც დაარღვევდა აღნიშნულ წესს გადაიხდიდა ჯარიმას 10 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, მერის კანცელარიის სასარგებლოდ. ასეთივე წესი შეეხებოდა მაკლერთა ასისტენტებსაც. ამასთანავე, არც ერთი უცხოელი არ

შეიძლებოდა ყოფილიყო მაკლერი, მაკლერის თანამდებობაზე ირჩევდნენ მხოლოდ ფრიმენების რიცხვიდან.

შუა საუკუნეების ინგლისში არსებობდა კლერკის თანამდებობა. მას ევალებოდა საბჭოს ოქმების წერილობით გაფორმება, წერილების შედგენა, კომპანიის მიერ მიღებული აქტების, ორდონანსებისა და სტატუსების ჩაწერა. ერთი სიტყვით, მაკლერები აწარმოებდნენ კომპანიის საქმეებს, როდესაც კლერკს ნიშნავდნენ ამ თანამდებობაზე, მას უნდა გადაეხადა კორპორაციისათვის 1000 მარკა. ეს თანხა შეადგენდა დაახლოებით 605 გირვანქა სტერლინგს. მას უნდა დაედო ფიცი, რომ პასუხს აგებდა და სწორად წარმართავდა საქმეს, რომელიც მის ხელში იყო (1: 245). შემდეგ კლერკს ამტკიცებდნენ წმინდა ტომასის ჰოლში კორპორაციის მამასახლისების თანდასწრებით. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ამ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ პროტექციის გზით. „ნიუბოლდის წიგნში“ გვხვდება ისეთი შემთხვევა, რომ ლონდონის ქალაქის კლერკის თავისუფალი ადგილი გადაეცა ჰერცოგი ბეკინგჰემის პროტეჟეს, ვინმე. ტომას სეპჰემს და კომპანიამ ამას მხარი დაუჭირა (1: 328). კლერკს უხდიდნენ გასამრჯელოს – 10 გირვანქა სტერლინგს ყოველწლიურად, უბოძებდნენ ლივრეის მანტიას და ქსოვილს ქუდისათვის. ხოლო თუ ვერ მისცემდნენ ტანსაცმელს, უხდიდნენ მას ქსოვილის ფასს – 13 შილინგსა და 4 პენსს. ასევე კლერკს, უფლება ჰქონდა შეედგინა შეთანხმებანი და მოვალეობანი ოსტატსა და შეგირდს შორის და მიეღო ამ შეთანხმებათა შედგენისათვის გასამრჯელოთი შეთანხმებამდე 8 პენსი, ასევე, მას მიანიჭეს უფლება შეედგინა ლიცენზია იჯარაზე (საიჯარო გადასახადის აღებაზე) და ყველა არბიტრაჟულ შეთანხმებაზე (1: 660).

1522 წელს წმინდა პავლეს ეკლესიის დეკანი უილიამ ნიუბოლდი აირჩიეს მერსერთა კორპორაციის რეგისტრატორ – კლერკად. მას უნდა ჩაეწერა ყველა ცნობა, აქტი, ბრძანება, სტატუსი, ორდონანსი. მასვე დაუნიშნეს წლიური ჯამაგირი – 10 გირვანქა სტერლინგი და უბოძეს ლივრეის მოსასხამი (1: 557). როგორც ვხედავთ სასულიერო პირი ასრულებს საერთო მოხელის – კლერკის მოვალეობას.

შემდეგ მოდიოდა კომპანიის ბედელის (Bedyll) თანამდებობა. ბედელს ევალებოდა თვალყურის დევნება კორპორაციის წევრების კრებაზე დასწრებისათვის, ფოსტის გამოტანა და დარიგება კორპორაციის წევრთათვის. მას ეძლეოდა მუდმივი გასამრჯელო. ზოგჯერ კლერკის და ბედელის მოვალეობას ასრულებდა, შეთავსებით, ერთი და იგივე პიროვნება. მაგალითად, 1516 წელს ჯონ ესტონი აირჩიეს კომპანიის კლერკად და ბედელად (1: 441).

ამრიგად, მერსერთა კორპორაციის თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანო – საერთო კრება (საბჭო), აღმასრულებელი ორგანო – 4 მამასახლისი, მამასახლისთა „ასისტენტთა საბჭო", „ბეჭელორების რვის საბჭო", სასამართლო (არბიტრაჟი) მაკლერი, კლერკი და ბედელი წარმართავდა კომპანიის საქმიანობას. თანამდებობის პირებად ინიშნებოდნენ, უმთავრესად, შეძლებული ვაჭრები, რომელთა გავლენის ქვეშ მოექცა დიდი ფენა ვაჭრებისა, რომლებიც თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით, სხვებზე დაბლა იდგნენ. კომპანიის საქმეებს მთლიანად წარმართავდნენ ერთი მუჭა მდიდარი ვაჭრები. როგორც ირკვევა, მერსერთა კორპორაციის შემოსავლის უმთავრესი წყარო იყო:

1. სავაჭრო საქმიანობა;
2. სამრეწველო საქმიანობა;
3. საკრედიტო საქმიანობა და მევახშეობა;
4. მიწათმფლობელობა;
5. სხვადასხვა ჯარიმები და გადასახადები.

მერსერთა კორპორაციის სიმდიდრემ განაპირობა ლონდონის ქალაქის საბჭოს მიერ მათთვის აბრეშუმის მწონავის და ტილოს და მაუდის ქსოვილის მზომავის თანამდებობის გამოყოფა.

მერსერთა გილდიის საქმიანობას არეგულირებდა თვითმმართველობის საკანონმდებლო და აღმსრულებელი ორგანოები. ამასთან, თანამდებობის პირებად ინიშნებოდნენ უმთავრესად შეძლებული ვაჭრები.

2. მერსერთა გილდიის ადგილი ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში.

XV–XVI საუკუნეებში ლონდონში არსებულ მაუდის ექსპორტში მონაწილე კორპორაციებს შორის ყველაზე მდიდარნი და წამყვანნი მერსერები იყვნენ. ამას ნათლად ადასტურებს მერსერთა საბჭოს აქტები („ნიუბოლდის წიგნი"). მათ პირველობას ოფიციალურადაც კი აღიარებდნენ. ასე მაგალითად, 1477 წელს ჩამოვარდა უკმაყოფილება მერსერთა და მებაკალეებს შორის იმის გამო, რომ წმინდა პავლეს ეკლესიაში ღვთისმსახურობის დროს მებაკალეებმა დაიკავეს მერსერების ადგილი. ამასთან დაკავშირებით, ლონდონის ლორდ-მერმა გამოაცხადა, რომ ყოველთვის ყველა საერთო კრებაზე, პროცესიებზე, მაშინ, როცა მერი იყო მერსერთა რიგებიდან და მაშინაც კი, როცა მერი არ იყო მერსერებიდან, მათი კორპორაცია ეკლესიაში იდგა პირველ ადგილზე და ისინი იწოდებოდნენ პირველებად (1: 102). როგორც ვხედავთ მერსერები უპირატესობით სარგებლობდნენ ლონდონის სხვა კორპორაციებთან შედარებით.

მერსერთა პოპულარულ ჰიმნში ნათქვამია, რომ „ყველა ლონდონელ ვაჭართა შორის, ჩვენ უძველესნი და უპირველესნი ვართო" (of oll the trades that London grace we are the First in time and place) (8: 9-10) „ნიუბოლდის წიგნი" ნათლად ადასტურებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას. 1488 წელს, როცა მეფე ჰენრი VII-მ ქალაქის საბჭოსაგან მოითხოვა მორიგი გადასახადი – ოთხი ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, იგი განაწილდა ლონდონში არსებულ 76 სავაჭრო და სახელოსნო კორპორაციებს შორის. ყველაზე მეტი გადაიხადა 12 მსხვილმა სავაჭრო კომპანიამ, ხოლო ამათგან პირველ ადგილზე მდგომმა მერსერებმა – 740 გირვანქა, ე. ი. 18,5 % მთელი გადასახადისა, მეორე ადგილზე მდგომმა მებაკალეებმა კი – 455 გირვანქა, ე. ი. 11, 4%, მე-3 ადგილზე მყოფმა მაუდით მოვაჭრეებმა – 420 გირვანქა, ე. ი. 10,5% (ცხრილი

№6) (1: 181). თორმეტმა კორპორაციამ გადაიხადა სულ 2934 გირვანქა, ე. ი. 73,3% მთელი გადასახადისა, ხოლო დანარჩენებმა გადაიხადეს 1066 გირვანქა ,ე. ი. 26, 7 %.

ცხრილი №6

1488 წლის გადასახადის განაწილება ლონდონის 12 კორპორაციაზე

კომპანიის დასახელება	გასტუმრებული გადასახადების ოდენობა პროცენტებში (გამოსახული გირვანქებში)	
მერსერები	740	18,5
მებაკალეები	455	11,4
მაუდით მოვაჭრენი	420	10,5
მკერავები	304	7,6
თევზით მოვაჭრენი	280	7,0
საიუველირო ნაწარმით მოვაჭრენი	280	7,0
რკინა-კაკუულით მოვაჭრენი	120	3,0
მარილით მოვაჭრენი	120	3,0
ფეიქრები	80	2,0
ხორცით მოვაჭრენი	50	1,2
ღვინით მოვაჭრენი	45	1,1
ტყავით მოვაჭრენი	40	1,0
სულ:	2934	73,3

ე. კარუს-უილსონის აზრით, მერსერები იქცნენ ცენტრად, ბირთვად, რომელმაც მიიზიდა სხვა კორპორაციები და გაბატონდა მათზე (10: 162). მართლაც კომისიებში და დელეგაციებში, რომლებიც იგზავნებოდნენ მეფესთან და მის საბჭოში, სხვებთან შედარებით ყველაზე მეტ წევრებს ირჩევდნენ მერსერთა კორპორაციიდან. 1486 წლის 22 მარტის ბრძანებით ლონდონის მერსა და ოლდორმენებს შეეძლოთ აერჩიათ ყოველ წელს ზღვის გაღმა მმართველის ორი მოადგილე ერთი მერსერთა კომპანიიდან და მეორე – ლონდონის სხვა კომპანიებიდან, ვინც მუდმივად იმყოფებოდა ნიდერლანდებში. ესენი იყვნენ მმართველის მოადგილეები ზღვის გაღმა, მათი საშუალებით ღებულობდნენ სხვადასხვა საკითხებზე წერილებს, – გამოგზავნილებს ზღვის გაღმა ქვეყნებიდან, რომლებიც ეხებოდა იქ ვაჭრებს, რომლებიც მოგზაურობდნენ ამ ქვეყნებში და უნდა გაეგზავნათ მათთვის პასუხი. ამ ორი მოადგილიდან ერთი ყოველთვის იყო მერსერი (1: 148). 1486 წელს ავანტიურისტთა კრებაზე გადაწყდა, რომ რადგანაც მეფე ჰენრი VII აპირებდა მოლაპარაკების წარმოებას კალეში რომის საღმრთო იმპერატორთან მათ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის აღდგენისა და გაუმჯობესების შესახებ, საჭირო იყო გაეგზავნათ წარმომადგენლები ლორდთა პალატაში ვაჭრობის საკითხებზე – მოსალაპარაკებლად. ორი კაცი გაიგზავნა ლორდთა პალატაში მერსერთა კორპორაციიდან, ხოლო სხვა კორპორაციებიდან თითო-თითო (1; 294).

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ირკვევა, აგრეთვე, ისიც, რომ სხვა კორპორაციებთან შედარებით მერსერებიდან მეტი კაცი იყო წარმოდგენილი ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის საბჭოში გენერალერ და ასისტენტთა საბჭოში. ვაჭარ-ავანტიურისტთა მმართველის უფლებამოსილება მისი არყოფნის დროს გადადიოდა მერსერთა მამასახლისების ხელში და „ვაჭარ ავანტიურისტთა კომპანიის მთავარ ასისიტენტთა ხელში (1. 447). უფრო მეტიც, ავ-

ანტიურისტთა კომპანიის მმართველი ხშირად იყო მერსერი. მაგალითად, 1509 წელს მერსერი ტომას სეიმური იყო მთელი კომპანიის მმართველი (1: 359).

XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში ავანტიურისტთა გამოჩენილი მმართველები იყვნენ შემდეგი მერსერები: ჯონ პიკერინგი, ჯონ ვენდი, ჯონ ეთველი, ჯონ შელდონი, ჯონ კლიფორდი, ჯონ ჰიუვსტერი, ტომას სეიმური და რიჩარდ გრეშემი. „ნიუბოლდის წიგნით" დასტურდება, რომ ავანტიურისტთა კომპანიის მმართველი უმეტესად იყო მერსერი.

მერსერთა კორპორაციიდან ირჩევდნენ ლონდონის ლორდ-მერისა და ოლდერმენის თანამდებობაზეც. XV საუკუნეში ყოველწლიური არჩევნების წესით არჩეული 20 ოლდერმენიდან 7 იყო მერსერი. (41: 378), ხოლო XVI საუკუნეში ყოველწლიური არჩევნების წესით აირჩიეს 24 ლორდ-მერი მერსერებიდან. 17 – მაუდით მოვაჭრეთა კომპანიიდან, 6 მერი კი სხვა დანარჩენი კომპანიებიდან (108: 52-53). მერსერებს რომ ხშირად ირჩევდნენ აღნიშნულ თანამდებობაზე, ამას ნათელყოფს ცხრილი №8.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მერსერებს ირჩევდნენ ხშირად ოლდერმენის თანამდებობაზეც. ჩვენ მოგვყავს მერსერთა სია, რომლებიც იყვნენ არჩეულნი ამ თანამდებობაზე 1404–1508 წლებში (ცხრილი №9). უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იგივე პიროვნებას (მერსერს) ირჩევდნენ ხელმეორედ ოლდერმენის თანამდებობაზე. ცხრილიდან ჩანს, რომ მაგალითად ჰენრი კოლეტი აირჩიეს 1476-1482, 1483 და 1505 წელს ოლდერმენად. ხოლო ჯონ ტეილი აირჩიეს ორჯერ – 1463-1479 და 1485-1515 წლებში

მერსერთა სია, რომელნიც იყვნენ არჩეულნი ლონდონის მერისა და სხვა თანამდებობაზე 1466-1525 წწ.

წლები	მერსერთა სახელები	თანამდებობა
1466	რალფ ეერნერ,	მერი
1485	ტომას კანინგი	მერი
1490	რობერტ ლენგი	მერი
1491	პიუ კლოპტონი	მერი
1506	რიჩარდ ხადონი	მერი
1509	ტომას ბრედბერი	მერი
1513	უილიამ ბრაუნი	მერი
1515	ტომას კანინგი	მერი
1519	ჯეიმზ იარფორდი	მერი
1523	ტომას ბოლდრი	მერი
1524	დოტმერი	შერიფი
1525	ჯონ ალენი	მერი
1529	ტომას მორი	ლორდ-კანცლერი

მერსერთა სია, რომლებიც არჩეულნი იყვნენ ოლდერმენის თანამდებობაზე

წლები	მერსერები	წლები	მერსერები
1404-35	ტომას ფაუკონერი	1460-70	ჯონ ლამბარტი
1407-16	სტეფან სპელმანი	1463	ჯონ ლოკი, ჯონ ს
1410-14!4	ჯონ ლეინი	1463-79	ჯონ ტეილი
1415-1418	ალენ ეევერარდი	1470-98	ჯონ ბრაუნი
1420-29	ჯონ კოვენტრი	1476-82	ჰენრი კოლეტი

1424-57	ჰენრი ფროვიკი	1481-83	ჯონ ფიშერი
1426-46	ტომას უანდესფორდი	1482-99	ჯონ მატნიუ
1429-41	რობერტ ლანგი	1483	ჰენრი კოლეტი
1429-46	უიან მედრეტი	1485-1515	ჯონ ტეილი
1433-52	ტომას ჩელტონი	1496-1506	ნიკოლას ოლვინი
1446-60	ჯეფრი ფელდინგი	1497-1500	რობერტ ტეილი
1446-61	უილიამ კანტელოუ	1499-1500	ტომას უინდოუტი
1452-63	ჯეფრი ბოლეინი	1500-1508	უილიამ ბრაუნი

ცხრილი №8-დან ისიც ირკვევა, რომ ლონდონის ოლდერმენებად ყოფილან ერთდროულად არა ერთი და ორი მერსერი, არ-

1410-1414	წლებში ოლდერმენებად ყოფილა	სამი მერსერი
1426-1429	_ _	4 მერსერი
1433-1441	_ _	6 მერსერი
1452-1460	_ _	3 მერსერი
1458-1460	_ _	4 მერსერი
1463 წელს	_ _	5 მერსერი
1476-1479	_ _	4 მერსერი
1481-1482	_ _	4 მერსერი
1497-1500	_ _	4 მერსერი
1500 წელს	_ _	3 მერსერი
1499-1500	_ _	5 მერსერი
1505 წელს	_ _	4 მერსერი

გროსერთა სია, რომელნიც არჩეული იყვნენ ოლდერმენის თანამდებობაზე 1402-1505 წლებში (ცხრილი №9)

ცხრილი №9

წლები	გროსერები	წლები	გროსერები
1402-26	რობერტ ჩიჩელი	1458-63	უილიამ ტეილორი
1407-16	პენრი პელტონი	1460-81	ჯონ იუნგე
1407-20	უილიამ ჩიჩელი	1461-73	ჯორჯ აილონდი
1420-36	ჯონ უელსი	1464-80	უილიამ ედვარდი
1426-36	რობერტ ოტელი	1468-76	ჯონ კროსბი
1429-60	სტეფან ბრაუნი	1476-78	ტომას ბლედლოუ
1435-51	ტომას კატურთი	1473-85	ტომას პილი
1438-51	უილიამ უეტენალი	1478-1501	ჯონ უარდი
1442-56	ნიკოლას უიფოლდი	1485-1599	რალფ ტილნი
1445-61	ტომას კანინგესი	1488-1502	ჯონ ბროუკი
1454-64	ჯონ უალდერნი	1498-1505	ჯონ უინგარი

ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე ირჩევდნენ არა მარტო მერსერების რიგებიდან, არამედ გროსერების მაუდით მოვაჭრეთა, ღვინით მოვაჭრეთა და სხვა მდიდარი გილდიებიდანაც.

თუ შევადარებთ ამ ორ ცხრილს ერთმანეთს დავინახავთ, რომ პირველ ცხრილში მოცემულია 28 მერსერის სახელი, ხოლო მეორე ცხრილში – 22 გროსერის. როგორც ირკვევა, უფრო მეტი ოდენობით ოლდერმენებს ირჩევდნენ მერსერთა კორპორაციიდან.

მერსერთა კორპორაცია გაბატონდა ქალაქზე და სათავეში ჩაუდგა საქალაქო კომპანიებს. საქალაქო თვითმმართველობა იყო მერსერთა კომპანიის მდიდარი ნაწილის ხელში. იმისათვის, რომ მერსერი გამხდარიყო ოლდერმენი, საჭირო იყო ჰქონოდა კაპიტალი არა უმცირესი 100 გირვანქა სტერლინგისა (22: 106).

ჩვენი აზრით, მერსერთა ეს უპირატესი მდგომარეობა განპირობებული იყო იმით, რომ მათი გილდია აერთიანებდა ქალაქის ყველაზე მდიდარ ვაჭრებს, მერსერები დანარჩენ გილდიების წევრებთან შედარებით ყველაზე მეტად შეძლებულნი იყვნენ, ამიტომ მათ მეტი გავლენაც ჰქონდათ ყველა სფეროში.

მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას შორის იყო მჭიდრო კავშირი. ორივე კორპორაციის კრებები იმართებოდა მერსერთა დარბაზში. (Hall) აქ ინახებოდა ორივე კორპორაციის ხაზინა და პირადი ჩანაწერები. 1517 წელს გადაწყდა, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა ფული შეენახათ მერსერთა მამასახლისებთან, შემდეგ გადაწყდა, რომ უნდა შეეძინათ რკინის ყუთი – ხაზინა, რომელიც იყიდა ავანტიურისტთა მმართველმა კომპანიის ხარჯზე. ხაზინას უნდა ჰქონოდა 3 გასაღები, რომელთაგან ერთი გასაღები ინახებოდა მერსერთა მამასახლისთან, მეორე – ბაკალთა მამასახლისთან, ხოლო მესამე – მაუდით მოვაჭრეთა კომპანიის მამასახლისთან (1: 454). მერსერთა და ავანტიურისტთა კავშირი იმდენად მჭიდრო იყო, რომ 1526 წელს ორივე კომპანიის ოქმები ერთსა და იმავე წიგნში იწერებოდა (97: 149).

მერსერთა გემებს, რომელნიც მიემგზავრებოდნენ სავაჭროდ ზღვის გაღმა, სხვა კორპორაციის გემებთან შედარებით უპირატესობანი გააჩნდათ. თუ რაში გამოიხატებოდა ეს უპირატესობანი, ამას ნათელყოფს მერსერთა მიერ 1475 წელს გაგზავნილი წერილი ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის ზღვის გაღმა საქმეების მმართველთან პიკერინგთან. ისინი წერდნენ, რომ სხვადასხვა გემები: მაუდით მოვაჭრეთა კომპანიის, მეგალანტერეების, მებაკალეების, ასევე „ჩვენი კომპანიის“ ე. ი. მერსერების, რომლებიც უნდა გამგზავრებულიყვნენ საშემოდგომო (Bamas) ბაზრობაზე ზელანდიაში, წინასწარი შეთანხმების თანახმად, მერსერთა შვიდ გემს ჰქონდა უპირატესობა სხვა გემებთან შედარებით, როგორც ინგლისში, ისე ზღვის გაღმა. ამასთანავე, შვიდივე გემი უნდა ყოფილიყო კარგად დატვირთული გასაყიდი

საქონლით (1: 87). ამ წერილიდან ჩანს, რომ სხვა კომპანიის გემები უნდა დაეტვირთათ საქონლით ზელანდიაში მხოლოდ აღნიშნული შვიდი გემის ე. ი. მერსერთა გემების დატვირთვის შემდეგ. ასევე ირკვევა, რომ მერსერთა გემზე „მარგარეტ სტოკერზე“ იყო 26 შეიარაღებული კაცის დაცვა, „გაბრიელ ტეიტზე“ – 30 კაცისა, „მაიკლ ტომსონზე“ – 28 და ა. შ. ერთი სიტყვით გემები უზრუნველყოფილნი იყვნენ სამხედრო დაცვით. აქედან ჩანს, თუ რა დიდი თანხა დაუჯდებოდათ მერსერებს გემების დაქირავება, მათი უზრუნველყოფა სამხედრო დაცვით. როგორც ჩანს, მათ სხვებთან შედარებით მეტი საქონელი ჰქონდათ გადასაზიდი, რაც დიდ თანხად უჯდებოდათ. ამას მერსერთა კომპანია ვერც შეძლებდა, რომ არ ყოფილიყო ყველაზე მდიდარი კომპანია. მერსერები ცდილობდნენ საკუთრებად გემების შეძენასაც კი. გემების დაქირავების გამო წარმოებდა დავა და გაუგებრობა მერსერებსა და სხვა კომპანიებს შორის. 1492 წელს ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე მერსერებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ისინი თვითონ იყიდდნენ, განსაზღვრული ოდენობის გემებს საკუთრებად. ამაზე ავანტიურისტთა კომპანია მათ არ დაეთანხმა. მაგრამ მიიღეს მერსერთა წინადადება, რომ ამიერიდან ისინი დაიქირავებდნენ გემებს თავიანთთვის და არ დართავდნენ ნებას ამ გემებით გადაეტანათ საქონელი სხვა კომპანიის ვაჭრებს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვინმე, სხვა კომპანიის წევრი ითხოვდა მათთან, მერსერებთან ერთად ცურვას, ეს ფრიად ხელსაყრელად ჩანდა მერსერთათვის მიეღოთ ისინი, როგორც გამონაკლისი, მათთან ერთად საცურაოდ (1: 227).

ხშირად ავანტიურისტები მეფისაგან ამა თუ იმ პრივილეგიის მოპოვებას აღწევდნენ ქრთამის, საჩუქრების და მოსყიდვის გზით. ამ საქმესთან დაკავშირებული ხარჯების თითქმის ნახევარს გაიღებდნენ ხოლმე მერსერები, როგორც ყველაზე მდიდარი კომპანია.

1483 წლის 15 მაისს გამართულ ლონდონელ ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე დაისვა საკითხი იმ გადასახადის შესახებ, რომელსაც ჰკრეფდნენ კონტროლიორები და შეჰქონდათ იგი მეფე

ედუარდ IV-ის ხაზინაში. მართალია, ეს მეფე მიიცვალა, მაგრამ გადასახადის ამკრეფნი – კონტროლიორები საქონლის გატანას კრძალავდნენ, სანამ არ მიიღებდნენ სუბსიდიას. ამ საქმესთან დაკავშირებით ავანტიურისტებმა მიართვეს ეს პეტიცია ლორდ-პროტექტორს და სამეფო საბჭოს სხვა წევრებს, რათა არ მოეთხოვათ მათგან გადასახადი. გადაწყდა, რომ ნახევარი ხარჯი ამ საქმეზე (ე. ი. ქრთამის და საჩუქრების მიცემაზე სამეფო საბჭოს წევრებისათვის) უნდა გაეღო მერსერთა კორპორაციას, ხოლო მეორე ნახევარი ხარჯებისა უნდა უზრუნველეყოთ დანარჩენ კორპორაციებს.

ედუარდ IV-ის უმცროსმა ძმამ ჰერცოგმა რიჩარდ გლოსტერმა, რომელიც მაშინ განაგებდა სამეფოს, პროტექტორის სახელით გამოაცხადა, რომ პარლამენტის აქტით სუბსიდია ნაბოძები იყო მეფე ედუარდისათვის მისართმევად მის სიცოცხლეში, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ პარლამენტის ეს აქტი თავის ძალას ჰკარგავდა. ამიტომ გადასახადის ამკრეფებს უბრძანეს შეეწყვიტათ ამ სუბსიდიის აკრეფა და ადგილობრივ ვაჭრებს ნება დართეს გაეტანათ თავიანთი საქონელი თავისუფლად და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე (1: 149-153). აი, რა გზით აღწევდნენ ვაჭრები ამა თუ იმ უფლების მოპოვებას სამეფო საბჭოსაგან.

მერსერები ფათერაკის მოყვარული ვაჭრები რომ იყვნენ, ამაზე უკვე იყო საუბარი, მაგრამ ისინი, ამავე დროს, თავის თავზე იღებდნენ პასუხისმგებლობას შორეულ ნაოსნობაში გაგზავნილ გემებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ უპირატესობას. 1520 წელს ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას გაეგზავნა მეფის „ინსტრუქციები“, რომელშიც მეფე გამოთქვამდა სურვილს, რომ ავანტიურისტთა ხუთი გემი გამგზავრებულიყო ახალ აღმოჩენილ მიწაზე (New found). მართლაც ვაჭარ-ავანტიურისტებმა გამოყვეს ხუთი გემი, რომლებზეც პასუხისმგებლობა მთლიანად იკისრეს მერსერებმა. ამასთანავე, უნდა გადაეხადათ გემების საჭიროებაზე და ეკიპაჟის შემადგენლობის რჩენაზე 200 მარკა ახლად აღმოჩენილ კუნძულზე მოგზაურობის დროს.

მერსერთა კორპორაცია იმდენად მდიდარი იყო, რომ ლონდონის ვაჭარ ავანტიურისტებს აძლევდა ხოლმე სესხს. მაგალითად, 1497 წელს მერსერთა მამასახლისებმა მათ ასესხეს დიდი თანხა – 300 გირვანქა სტერლინგის ოდენობით (1: 637-638).

ამრიგად, მერსერებმა მოიპოვეს დიდი გავლენა და, არსებითად, გაბატონებული მდგომარეობა ლონდონის კორპორაციებს შორის, ხოლო ლონდონელებმა მოიპოვეს უპირატესობა ინგლისელ ავანტიურისტთა შორის. ხოლო რადგან ავანტიურისტთა ლონდონის ჯგუფში მერსერები იყვნენ პირველნი, ამდენად ისინი საერთოდ იყვნენ წამყვანნი ინგლისის ვაჭარ-ავანტიურისტთა შორის. ე. ი. ლონდონის მერსერთა კომპანიას წამყვანი პოზიციები გააჩნდა არა მარტო ლონდონის, არამედ, საერთოდ, ინგლისის ავანტიურისტთა შორის.

თავი III. ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარება XV-XVI საუკუნეებში

1. ინგლისის სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა

XV საუკუნის ინგლისის საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელი იყო ამ ვაჭრობაში მონაწილე უცხოელ ვაჭართა – ჰანზელების, იტალიელების, ნიდერლანდების, ფრანგების და ესპანელების დიდი სიჭარბე.

ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტებმა დიდი როლი შეასრულეს ინგლისის საგარეო ბაზრებიდან უცხოელ ვაჭართა განდევნაში, უფრო მეტიც, ისინი ფეხს იკიდებდნენ ნიდერლანდებში, ფლორენციაში, ვენეციაში. მათი სავაჭრო გემები ბალტიის ზღვაზეც კი აღწევდნენ (75: 15).

საინტერესოა, როგორი იყო ინგლისის სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა. სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება უცხოელ ვაჭართა მიმართ არ იყო ერთგვაროვანი.

ჯერ კიდევ XIII საუკუნეში მეფის ხელისუფლება მფარველობდა უცხოელ ვაჭრებს, რაზეც მეტყველებს მათთვის სხვადასხვა პრივილეგიების მინიჭება ისე, რომ ანგარიში არ ეწეოდა ინგლისელი ვაჭრების ინტერესებს.

ედუარდ I-მა 1276 წელს ოფიციალურად თავი გამოაცხადა უცხოელი ვაჭრების მფარველად და არ უღალატია ამ პოზიციისათვის. მან კანონმდებლობით განამტკიცა უცხოელ ვაჭართა უფლებები, რისთვისაც 1303 წელს გამოაქვეყნა ქარტია (charta merkatoria), რომელიც აშკარად საზიანო იყო ინგლისელი ვაჭრებისა და ქალაქის მცხოვრებთათვის. ამ ქარტიის მიხედვით ყველა ქვეყნის უცხოელ ვაჭრებს შეეძლოთ სრულიად თავისუფლად, ინგლისის მეფის მფარველობით, გაეტანათ ინგლისიდან საქონელი (გარდა ღვინისა), თან არ ეხადათ არავითარი ადგილობრივი გადასახადი. ასე-

ვე შეეძლოთ მათ ინგლისში თავისუფლად ეყიდათ და გაეყიდათ საქონელი, ეცხოვრათ ინგლისის ნებისმიერ ქალაქსა და სავაჭრო პუნქტში, მათ ეძლეოდათ გარანტია იმაზე, რომ არავითარ შემთხვევაში მათ საქონელს არავინ ხელს არ ახლებდა და ვერ დააპატიმრებდნენ ინგლისში მათ ინგლისის ნებართვის გარეშე. ხოლო ქალაქების ბეილიფები ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ უცხოელი ვაჭრების ინტერესები.

ქარტიით უცხოელი ვაჭრებისათვის ფართო პრივილეგიების მინიჭებამ გამოიწვია, საერთოდ, ინგლისელი ვაჭრებისა და უპირველეს ყოვლისა, ლონდონელთა უკმაყოფილება.

რითი აიხსნება სამეფო ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა?

მეფის მიერ გამოცემულ ქარტიას საფუძვლად ედო ის უდიდესი მოგება, რომელიც ხაზინას შეეძლო მიეღო უცხოელი ვაჭრებისაგან. მათგან უფრო ადვილი იყო გადიდებული საბაჟო გადასახადების აკრეფა, ვიდრე ადგილობრივი ვაჭრებისაგან. უცხოელი ვაჭრები ინგლისში რჩებოდნენ დიდი ხნით და ღებულობდნენ დიდძალ მოგებას, ამიტომ ბაჟების გადახდაზე უარს არ ამბობდნენ, მაშინ როდესაც ინგლისელი ვაჭრები სახელმწიფო გადასახადებსაც ძლივსძლივობით იხდიდნენ (89:63).

გამოდიოდა ისე, რომ ინგლისის მეფეები უცხოური ვაჭრობის განვითარებას მიიჩნევდნენ თავიანთი ხაზინის გამდიდრების წყაროდ და, ამდენად, არ იყვნენ დაინტერესებულნი ადგილობრივი, ნაციონალური ვაჭრობის განვითარებით. მაგრამ მოგვიანებით აშკარად შეიცვალა ინგლისის სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება უცხოელი ვაჭრების მიმართ.

1309 წელს ინგლისის მეფე ედუარდ II-მ (1307-1327) შეცვალა ბაჟები, შემოღებული ედუარდ I-ის მიერ და გააუქმა უცხოელი ვაჭრების პრივილეგიები, რისთვისაც იბრძოდნენ ლონდონელები (69: 120), მაგრამ 1322 წელს ამ მეფემ დროებით, ისევ აღადგინა უცხოელი ვაჭრების ძველი პრივილეგიები, რასაც მოჰყვა ლონდონის მოსახლეობის ჯანყი. ლონდონელებმა დაანგრიეს ფლორენციელ

ვაჭართა სახლი. ეს უკანასკნელნი კი იყვნენ მეფის და მაგნატების კრედიტორები (79:120).

უცხოელ ვაჭრებს დიდხანს არ შეუნარჩუნებიათ ეს პრივილეგიები. 1327 წელს მეფე ედუარდ III (1327-1377) იძულებული გახდა ხელმეორედ გამოეცა ქარტია, რითაც საბოლოოდ დააკმაყოფილა ლონდონელი ვაჭრების მიერ წამოყენებული მოთხოვნები და შეეზღუდა უცხოელ ვაჭართა უფლებები, აღნიშნული ქარტიით უცხოელ ვაჭრებს აეკრძალათ ჰქონოდათ სავაჭრო ფაქტორები და გილდიები ინგლისის ტერიტორიაზე, ხოლო თავიანთი საქონელი უნდა გაეყიდათ ჩამოსვლიდან 40 დღის განმავლობაში (147:315).

უფრო მეტიც XIV საუკუნეში ინგლისის მოსახლეობას უცხოელი ვაჭარი მიაჩნდა თაღლითად, რადგან ის იყო უცხოელი. ამიტომ უცხოური საქონლის ყიდვას ქალაქებში დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ. უცხოელი ვაჭარი ჩავიდოდა რა რომელსამე ქალაქში, მას უფლება არ ჰქონდა ემოქმედა ისე, როგორც მოისურვებდა. მას შეეძლო საქონელი გაეყიდა ბითუმად და არა საცალოდ. თავიანთი საქონელი მათ უნდა მიეყიდათ ქალაქის მცხოვრებთათვის და არა გარეშეთათვის. უცხოელს უფლება არ ჰქონდა ეცხოვრა ნებისმიერ ბინაში. იგი ვალდებული იყო ეცხოვრა იმ მოქალაქესთან, ვისაც სახლის პატრონად დაუნიშნავდა ქალაქის მაგისტრატი (102: 430).

როგორც ჩანს, ასეთი სიფრთხილით იმიტომ ეპყრობოდნენ უცხოელ ვაჭრებს, რომ მათ რაიმეში არ მოეტყუებინათ ინგლისელები.

იმ დროის ინგლისელთა წარმოდგენით, თუ ორი უცხოელი თავს მოიყრიდა ერთად, არ შეიძლებოდა მათ რაიმე ბოროტება არ გაეკეთებინათ გულში (102: 430).

ინგლისში XIV საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა ადრეული მერკანტილიზმის პოლიტიკას, ე. წ. „მონეტარულ სისტემას". ამ მხრივ საინტერესოა იმ დროის კანონები, რომელთა მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ოქრო მიეზიდათ ქვეყანაში. რიჩარდ II-მდე გამოვიდა კანონი, რომლის ძალით ინგლისური მატყლის ყველა

მყიდველს გადასახდელი ფულის ნაწილი უნდა მიეტანა კალეში ვერცხლის ან ოქროს ზოდის სახით, რათა მოეჭრათ მისგან ინგლისური მონეტა.* ხოლო 1397 წელს ყველა ვაჭარს როგორც ინგლისელს, ისე უცხოელს, დაეკისრა ქვეყნის გარეთ გატანილ ყოველ ბარდანა ტყავზე ან ყოველ ტომარა მატყლზე ინგლისში შემოეტანა ნახევარი წლის განმავლობაში უცხოური უნცია-ოქრო (102: 461).

ინგლისის სამონეტო და საგადასახადო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი იყო მერკანტილიზმი უხეში ფორმით: „ის ქვეყანაა უფრო მდიდარი, რომელსაც ოქროსა და ვერცხლის მეტი მარაგი აქვს“ (102:460).

ასწლიანი ომის დროს სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით, ნახევარზე მეტი ძვირფასი ლითონი გაიდა ინგლისიდან, ამიტომ

---

* ოქროს ფული ფლორინი ყველაზე ადრე მოიჭრა ფლორენციაში, შემდეგ ვენეციაში – დუკატი, ანუ ცეხინი, მერე ინგლისში – როზენობლი („კეთილშობილი ვარდი“) – ინგლისის ღერბზე აღბეჭდილი ვარდის გამო. თუმცა ინგლისიდან ვერცხლისა და ოქროს გატანა იკრძალებოდა, XIV ს. პირველ მეოთხედში (1331) ოქროს მონეტები, რომლებიც სპეციალურად იჭრებოდა საგარეო ვაჭრობისათვის, მაინც რჩებოდა კონტინენტზე თავისი ხარისხისა და მცირე ოდენობის წყალობით. ოქრო, რომელიც მიმოქცევაში იყო გერმანიაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში ინგლისური როზენობლის გარდა გამოიყენებოდა ვერცხლის გულდენი. რაინი იყო მეორე, ინგლისის შემდეგ ოქროს და ვერცხლის გავრცელების მიხედვით ჩრდ. ევროპაში.

1343 წელს ედუარდ III-მ მოჭრა პირველი ოქროს მონეტა, რომელიც თავისი მაღალი ღირებულების გამო თითქმის არ გამოიყენებოდა. 1344 წელს მოიჭრა ახალი მონეტები როზენობლები, 77 გრანი – 6 შილ. 8 პენსი. XIV საუკუნეში როზენობლების წონა შენარჩუნებული იქნა 1351 წ. დონესთან 120 გრანამდე. თუმცა ზოგჯერ ეცემოდა 113 გრანამდე. 1412 წელს გამოიცემოდა როზენობლი 108 გრანის წონით, უდრიდა 6 შლ. 8 პენსს. იგი პირველად მოიჭრა 1465 წელს ედუარდ მეოთხის დროს. 1470 წლიდან დაიწყეს ანჟელეტების მოჭრა, რომელთაც შეცვალეს როზენობლები (უდრიდა 6 შლ. 8 პენსს), იწონიდა 80 გრანს. მე-14 საუკუნის ბოლოს რიჩარდ მესამის (1483-1485) და ჰენრი მეშვიდის დროს იჭრებოდა ანჟელები და ანჟელეტები (170: 113-114).

რიჩარდ II-ის დროს (1377-1399) სასტიკად აიკრძალა ძვირფასი მეტალების გატანა ინგლისიდან მკაცრი სასჯელის მუქარით და დამნაშავე ცხადდებოდა „სახელმწიფოს მოღალატედ".

უცხოელი ვაჭარი, რომელიც ინგლისში ჩამოიტანდა საქონელს გასაყიდად, აღებული თანხის ნახევრით მაინც უნდა ეყიდა ინგლისური მატყლი, ტყავი, ტყვია, კალა, კარაქი, ყველი, მაუდი ან სხვა ადგილობრივი ინგლისური საქონელი და შეეძლო ქვეყნის გარეთ გაეტანა მოგებული თანხის მხოლოდ ნახევარი (102: 461).

ჰენრი VII-ის (1485-1509) დროს გამოცემული კანონები კრძალავდა უცხოური ფულის გამოყენებას. ამავე დროს დადგენილი იყო, რომ არავითარი გადასახადი არ უნდა მიეცათ უცხოელებისათვის ოქროთი, ინგლისში ძვირფასი ლითონების ანუ „სიმდიდრის" შენარჩუნების მიზნით (85: 51). ინგლისის სამეფო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ეროვნული მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას, უცხოელი ვაჭრების შეზღუდვას, მათ მიერ ინგლისში გაყიდულ საქონელში აღებული თანხის ნახევრით ინგლისური საქონლის შესყიდვას და ინგლისური საქონლის გატანას ქვეყნის გარეთ, ე. ი. უცხოელი ვაჭრების მიერ, მოგებული თანხის ნახევრის დატოვებას ინგლისში, რასაც უნდა გამოეწვია ინგლისის ეკონომიკური აყვავება, ხელი შეეწყო სამეფო ხელისუფლების მიერ ოქროსა და ვერცხლის გატანის აკრძალვას ქვეყნიდან უცხოეთში.

ინგლისელი ვაჭრები დაინტერესებული იყვნენ ჰქონოდათ მხარდაჭერა მეფისაგან ამა თუ იმ თავიანთ მოთხოვნათა განხორციელებაში. სწორედ ამას ნათელყოფს ედუარდ IV-ის დროს ორჯერ – 1464 და 1478 წლებში – პარლამენტის მიერ გამოცემული სტატუტები (7: 460), რომლებითაც იზღუდებოდა უცხოელების ვაჭრობა ინგლისის ტერიტორიაზე. ეს სტატუტები იცავდა ადგილობრივი, ინგლისელი ვაჭრების ინტერესებს. აღნიშნული კანონებით უცხოელ ვაჭრებს საქონლის გაყიდვიდან 3 თვის შემდეგ უნდა მოეხდინათ მოგებული ფულის რეალიზაცია ინგლისური საქონლის ყიდვის მეშვეობით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეტანათ ძვირფასი ლითონი ინგლისიდან. ეს ნათლად გამოხატავს ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის დაგროვების, მონე-

ტარული სისტემის იდეას, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს პოლიტიკაზე. ხოლო რაც შეეხება განვითარებულ მერკანტილისტურ სისტემას, იგი მონეტარული სისტემის იდეად გულისხმობდა იმას, რომ ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებული იყო არა ძვირფასი ლითონის გატანის აკრძალვაზე, არამედ წარმოების განვითარებაზე, აქტიურ სავაჭრო ბალანსზე. ეს პოლიტიკა თანდათან იმარჯვებს დაწყებული XV საუკუნიდან. ამ პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო მოგებიანი სავაჭრო ბალანსი. იმ დროის სახელმწიფო პირები ფიქრობდნენ, რომ თუ გატანილი საქონელი სჭარბობს შემოტანილ საქონელს, მაშინ იზრდება ქვეყნის სიმდიდრე.

ჯერ კიდევ მონეტარული სისტემის იდეებით ხელმძღვანელობდა 1484 წლის სტატუტი, რომელიც მოითხოვდა უცხოელი ვაჭრებისაგან, შეესყიდათ ინგლისური საქონელი თავიანთი საქონლისაგან აღებული მოგებით (7: 492-499). ამავე წელს პარლამენტმა მიიღო „აქტი იტალიელი ვაჭრების შესახებ", რომელიც უკრძალავდა მათ გაეჩერებინათ თავიანთი საქონელი საწყობებში და დალოდებოდნენ მოგებიან საბაზრო კონიუნქტურას. ისინი ვალდებული იყვნენ გაეყიდათ ჩამოტანილი საქონელი რვა თვის განმავლობაში, ხოლო ის საქონელი, რომელიც დარჩებოდა გაუყიდავი ამ ვადის განმავლობაში, უნდა გაეტანათ ინგლისიდან მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

უცხოელი ვაჭრები დიდი ოდენობით ყიდულობდნენ ინგლისურ მატყლს და იყვნენ საშიში კონკურენტები ინგლისელი ხელოსნებისა და ვაჭრებისა. ამიტომ ადგილობრივი ვაჭრები და ხელოსნები მტრულად იყვნენ განწყობილნი უცხოელი ვაჭრების მიმართ. ადგილი ჰქონდა მათთან სისხლიან შეტაკებასაც კი. 1482 წელს მოხდა რამდენიმე შეტაკება ინგლისელებსა და ჰოლანდიელებს შორის, ამიტომ ედუარდ IV-მ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმად, ოსტატები პასუხს აგებდნენ არა მარტო თავიათ მოქმედებაზე, არამედ ქარგლებისა და შეგირდების მოქმედებაზეც. ამასთანავე, ისე აგებდა მათ დანაშაულზე პასუხს, როგორც თავის

საკუთარ დანაშაულზე. 1523 წელს ლონდონის სიტიში მოხდა გამოსვლა ჰანზელების წინააღმდეგ, რომელიც დროზე ჩაახშვეს (1:145). ინგლისელი ვაჭრები აგზავნიდნენ ზღვის გაღმა სხვადასხვა ხარისხის მაუდს – თეთრს და ფერადს, ძვირფასსა და იაფს (1:436) ინგლისურ მაუდს მომეტებულად ყიდულობდნენ ლონდონში, ასევე სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, სადაც სწრაფად ვითარდებოდა მაუდის მანუფაქტურა. ამ რაიონში ვაჭრებს კონკურენციას უწევდნენ ჰანზელები, რომლებიც, ვაჭარ-ავანტიურისტებისაგან განსხვავებით, ანგარიშს ასწორებდნენ ნაღდი ფულით. ინგლისელი ვაჭრები ჩიოდნენ, რომ ჰანზელები ყიდულობდნენ ქალაქელი ვაჭრებისაგან ქსოვილს ნაღდი ფულით, ხოლო ქალაქელი ვაჭრები იხდიდნენ თავიანთ ნივთებზე სურათებით, ტენისის ბურთებით, თევზსაჭერი ანკესებით, ფუნჯებითა და მსგავსი ნივთებით (1: 292-295). ისინი ჩიოდნენ აგრეთვე იმის შესახებ, რომ ჰანზელები ინგლისში სარგებლობდნენ მეტად დიდი პრივილეგიებით და ხელისუფლების მხარდაჭერით, ხოლო მათ, ინგლისელ ვაჭრებს ჰანზელთა ქვეყანაში არ ჰქონდათ უფლება რაიმე გაეკეთებინათ გარდა იმისა, რაზეც საბაჟო ხელისუფლება დართავდა ნებას (1: 136). სწორედ ვაჭართა ინტერესები იყო გათვალისწინებული „magna Charta“-ში, სადაც 41-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ „ყველა ვაჭარს უფლება უნდა ჰქონდეს თავისუფლად და უშიშრად გავიდეს ინგლისიდან და შემოვიდეს ინგლისში... რათა იყიდოს და გაყიდოს საქონელი ყოველგვარი უკანონო ბაჟის გადაუხდელად და გადაიხადოს მხოლოდ ძველებური და სამართლიანი, ადათით დადგენილი ბაჟები“ (197:222).

საინტერესოა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ უცხოელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ საქონლის ზედმეტ ფასებში ხელმეორე გაყიდვა, ე. ი. სპეკულაცია. ამაზე მოგვითხრობს ორდონანსი, რომელიც მიეკუთვნება ედუარდ I-ის მეფობის დროს 1285 წელს. მეფე ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს იმაზე, რომ მოითხოვდა ინგლისში გადამყიდველობის აკრძალვას. როგორც ჩანს, გადაყიდვაში შემჩნეული იყვნენ უცხოელი ვაჭრებიც. ის, ვინც პირველად იქნებოდა გადაყიდვაში შემჩნეული, გადაიხდიდა ჯარიმას და თანაც

ჩამოერთმეოდა საქონლის გაყიდვის უფლება; თუ, მეორედ იქნებოდა – შემჩნეული, მიესჯებოდა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, თუ მესამედაც ჩაიდენდა ამ დანაშაულს – ჩასვამდნენ ციხეში და გადაახდევინებდნენ ჯარიმას, ხოლო ამ დანაშაულის მეოთხეჯერ ჩადენის შემთხვევაში მას აძევებდნენ ქალაქიდან. ასეთი სასჯელი მიესჯებოდა ყველა ჯურის გადამყიდველს, მათ შორის უცხოელებსაც და, აგრეთვე იმათაც, ვინც მათ მფარველობას გაუწევდა (80: 204-205).

1390 წელს გამოიცა სპეციალური ბრძანება, რომლითაც იკრძალებოდა სპეკულაცია (8:481). 1438 წელს გამოვიდა პამფლეტი „ინგლისის პოლიტიკის შესახებ (Libell of English policy), რომელიც აღშფოთებით კიცხავს ლომბარდელი ვაჭრების სპეკულაციას. ისინი ყიდულობდნენ კრედიტით მატყლს ინგლისში და კალეში, ჰყიდნენ მას ბრიუგეში (ფლანდრიაში) ნაღდ ანგარიშზე, რომ მიეღოთ მოგება (47: 377).

როგორც ირკვევა, სპეკულაციის გარდა ინგლისში ადგილი ჰქონია კომერციული კრედიტის გავრცელებას, რაც ვაჭრობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული.

ამრიგად, ინგლისის სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა უცხოელი ვაჭრების მიმართ თავდაპირველად მფარველობის ხასიათს ატარებდა, ხოლო შემდეგ დაიწყო მათი ვაჭრობის შეზღუდვა სხვადასხვა ფორმით, რაც ინგლისელთა საგარეო ვაჭრობის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

2. ბოიკოტი უცხოელი ვაჭრების მიმართ

უცხოელ ვაჭართა მოჭარბება ინგლისის საგარეო ბაზარზე იწვევდა ინგლისელ ვაჭართა უკმაყოფილებას. ისინი პროტესტს უცხადებდნენ მათ სხვადასხვა ფორმით, დაწყებული უცხოელ ვაჭართა ფაქტორებზე თავდასხმებით და გათავებული მათი უფლებების შეზღუდვით.

რიჩარდ II-ის დროს (1377-1399) ინგლისელმა ვაჭრებმა პარლამენტისაგან მიიღეს ხელსაყრელი სტატუტები. 1378 წლის სტატუტით უცხოელ ვაჭრებს აეკრძალათ საცალო ვაჭრობა. არც ერთ უცხოელ ვაჭარს არ უნდა ეყიდა საქონელი სხვა უცხოელისაგან, ანდა მიეყიდა უცხოელისათვის თავისი საქონელი. ხოლო 1381 წლის სტატუტით, უცხოელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ ინგლისიდან ოქროსა და ვერცხლის გატანა (77:338). ამასთანავე, თუ უცხოელი ვაჭრები მოგებული თანხით არ იყიდდნენ ადგილობრივ ინგლისურ საქონელს, მაშინ უნდა მოეხდინათ მათი საქონლის მთლიანი კონფისკაცია (85: 13-14). ინგლისელ ვაჭრებს ხშირად უხდებოდათ კონფლიქტები უცხოელებთან, რაც დასტურდება 1478 და 1483 წლების დოკუმენტებით.

1478 წლის 8 ივნისს მერსერთა საერთო კრებაზე გადაწყდა, რომ რადგან მეფე ძალიან უკმაყოფილოა ქალაქ ლონდონში მომხდარი უწესრიგობის გამო, მერსერთა კომპანია მოითხოვდა თავისი ყოველი წევრისაგან მოქცეულიყო წესიერად, დაეცვა წესრიგი ქალაქში, არ აეტეხა ჩხუბი და უთანხმოება უცხოელებთან, მერსერებს უნდა შეენარჩუნებინათ მშვიდობა, შეეპყროთ შფოთის ამტეხნი და ჩაესვათ ისინი ციხეში, რათა არავის გაებედა შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმა, არავის უნდა ეტაცა ხელი გამვლელთათვის სახელურზე ან ტანსაცმელზე, არ უნდა გამოეწვია უცხოელებთან ჩხუბი, მიწაზე არ უნდა დაეყარათ მათი საქონელი და ა.შ. (1:106).

როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, ინგლისელი ვაჭრები ცუდად ეპყრობოდნენ უცხოელ ვაჭრებს, უწუნებდნენ ან მიწაზე ყრიდნენ მათ საქონელს, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე ჩხუბი და უწესრიგობა. 1483 წლის 9 აპრილს, როცა გარდაიცვალა მეფე

ედუარდ IV, ლონდონის ლორდ-მერმა გასცა ბრძანება, რომ ქალაქში ვაჭრებს შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და წესრიგი, არ უნდა დაეშვათ არავითარი დებოში და აყალ-მაყალი უცხოელ ვაჭრებთან, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე (1:147).

1484 წელს ინგლისში მიღებული იქნა ორდონანსი იმათ წინააღმდეგ, ვინც აგზავნიდა ვინმეს, ანდა თვითონ მიდიოდა სტილიარდში, ჰანზელების ლონდონის ფაქტორიაში, და ყიდულობდა უცხოელი ვაჭრებისაგან აბრეშუმს, მათთვის უნდა მიესაჯათ ჯარიმის სახით 20 შილინგის გადახდა (1:158).

უცხოელი ვაჭარი არ შეიძლება ყოფილიყო ბროკერი (მაკლიერი). 1485 წლის 18 მარტს ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის საბჭომ სპეციალურად დაადგინა, რომ არც ერთი უცხოელი არ უნდა ყოფილიყო მაკლიერი. ბროკერებად შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ადგილობრივი ინგლისელი „თავისუფალი ვაჭარი“ (1:170).

ირკვევა, რომ მაკლიერის მოვალეობა პრივილეგირებული საქმე ყოფილა, ვინაიდან მაკლიერობის ნებართვა ეძლეოდა მხოლოდ ინგლისელს და, ამასთანავე, ქალაქის თავისუფალ ვაჭარს.

უცხოელ ვაჭრებს მეფის განსაკუთრებული წერილობითი ბრძანების გარეშე უფლება არ ჰქონდათ დარჩენილიყვნენ საცხოვრებლად ინგლისში.

მტრულმა დამოკიდებულებამ უცხოელი ვაჭრების მიმართ თავი იჩინა შემდეგშიც, ამიტომ სამეფო ხელისუფლებამ შეიმუშავა სამეფო პროკლამაცია. 1487 წელს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაიკითხეს სამეფო პროკლამაცია აი, რა ეწერა ამ პროკლამაციაში: მეფე ჩვენი უმაღლესი ლორდი მოითხოვს და უბრძანებს ყველა მის ქვეშევრდომს, რომ ნებისმიერმა მათგანმა, თავისი მდგომარეობის და წოდების განურჩევლად, არ უნდა გაბედოს ხელი ახლოს, არ გაძარცვოს, არ გააფუჭოს არც ერთი უცხოელის საქონელი. ვინც არ უნდა იყოს იგი – იტალიელი, ფლანდრიელი, ზელანდიელი, ბრაბანტელი თუ რომის იმპერატორის (ე.ი. გერმანიის) სხვა მიწებიდან.

გარდა ამისა, არც ერთი უცხოელი ვაჭარი არ უნდა იმყოფებოდეს ინგლისში, სამეფოს წერილობითი ნებართვის გარეშე,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა დასჯილიყო სიკვდილით (1:299).

მივაქციოთ ყურადღება, როგორი მკაცრი კანონები მოქმედებდა უცხოელთა მიმართ. თუ არ ექნებოდათ მათ მეფის ნებართვა ქვეყანაში ვაჭრობის უფლებაზე, მაშინ ამ უცხოელებს ელოდათ ძალიან მკაცრი სასჯელი. მაგრამ ამავე დროს, სამეფო ხელისუფლება (ჰენრი VIII) იცავდა უცხოელთა უფლებებს.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა უცხოელი ვაჭრები ავიწროებდნენ ინგლისელებს ზღვის იქით იარმარკეტებზე (ბაზრობებზე), ამასთან დაკავშირებით, 1491 წლის 23 სექტემბერს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შვიდი ნლობით აღჭურვილი ვაჭარი: ჯონ ჰაუ, რიჩარდ ჰეინსი, ტომას რიჩი, ჯონ მილი, რიჩარდ ლაკონი, ჯონ სტაილი და უილიამ რედი უნდა წასულიყვნენ სხვა კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად და თემთა პლატაში უნდა შეეტანათ ბილი იმ დიდი შეურაცხყოფისა და მტრობის გამო, რაც მიაყენეს უცხოელებმა (1:219).

როგორც ჩანს, ვაჭრებმა წინასწარ იცოდნენ პარლამენტის მოწვევის შესახებ, ისარგებლეს ამ გარემოებით დ გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენელნი. ისინი სარგებლობდნენ უმეტესად პარლამენტის მხარდაჭერით, რასაც აღწევდენ სხვადასხვა გზით - ქრთამის, სამეფო საბჭოს წევრთა მოსყიდვით. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაშიც, ეტყობა ვაჭრებს დიდი იმედი ჰქონდათ პარლამენტის მხარდაჭერისა.

ჯერ კიდევ იორკთა დინასტიის პერიოდში, ედუარდ IV-ის და რიჩარდ III-ის დროს გამოცემული 69 სტატუტიდან, რომელიც მიიღეს 7 პარლამენტის განმავლობაში (6 ჩატარდა ედუარდ IV-ის დროს, ერთიც – 1484 წელს რიჩარდ III-ის დროს) 39 სტატუტი ეხებოდა მრეწველობისა და ვაჭრობის საკითხებს: (6:466). ხოლო ტიუდორების დროს გამოცემული 250 სტატუტი ეხებოდა ეკონომიკურ საკითხებს (59:146).

ცნობილია, რომ 1464 წელს ედუარდ IV-მ აკრძალა სამი წლის განმავლობაში მატყლის შესყიდვა: ბერკშირში, ოქსფორდშირში, გლოსტერშირში, შროპშირში, ჰემპრშირში, ესექსში, კემბიჯშირში,

ნორფოლკში, სომერსეტშირში, დორსეტშირში, ჰერიფორდშირში, ვუსტერშირში, უილტშირში, სეფოლკში, კენტში და სასექში. იმათ გარდა, ვინც ამზადებდა ამ მატყლისაგან ნართს ან მაუდს სამეფოს ფარგლებში გასაყიდად (6:410).

აღნიშნულ შაირებში გაშენებული იყო ძვირფასი ხარისხის (კოსვოლდის) ცხვრები, რომელთა მატყლი გამოიყენებოდა ყველაზე მაღალხარისხოვანი თხელი მაუდის დამზადებისათვის ფლანდრიაში და ფლორენციაში.

აიკრძალა ძვირფასი და ძვირად ღირებული მატყლის გატანა, რომელიც არ მისცემდა ინგლისს იმდენ მოგებას, რასაც ამ მატყლისგან დამზადებული შალის ქსოვილის გატანა. მთავრობის ეს ღონისძიება პირდაპირ ხელს უწყობდა ადგილობრივი მაუდის მრეწველობის და ეროვნული ვაჭრობის განვითარებას.

როგორც ირკვევა, ინგლისის სამეფო ხელისუფლება დაინტერესებული იყო თავის ქვეყანაში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით. ამიტომ იორკთა დინასტიის ყურდღების ცენტრში იყო ეს საკითხები. ასეთივე ყურადღება ჩანს ტიუდორების ეპოქაშიც, რასაც ადასტურებს მერსერთა „საბჭოს აქტების" - 1491 წლის ზემოთ მოყვანილი დოკუმენტი.

1508 წლის 20 იანვარს მამასახლისთა ასისტენტების კრებაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ვაჭარი შემჩნეული იყო იმაში, რომ საქონელი, რომლითაც იგი ვაჭრობდა, მისი არ იყო, არამედ იგი ყიდულობდა მას უცხოელებისაგან და ამით არღვევდა მეფის კანონს უცხოელებისაგან სამეფო გადასახადის აკრეფის შესახებ. გადაწყდა დაეკითხათ ყველა ეჭვმიტანილი და ეცნობებინათ მათ შესახებ ქალაქის ლორდ-მერისათვის (1:320).

„ნიუბოლდის წიგნიდან" ირკვევა, რომ მერსერთა კომპანია არ უშვებდა უცხოელი ვაჭრების მიერ გადასახადის გადახდის შესახებ კანონის დარღვევას.

ცნობილია, რომ 1516 წელს ლონდონელი ქარგლები და მოსამსახურენი თავს დაესხნენ იტალიელ და ფრანგ ვაჭრებს. საქმე ისაა, რომ იტალიელი და ფრანგი ვაჭრების კონკურენცია გან-

საკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა, მითუმეტეს მაშინ, როცა მათ პრივილეგიები მიანიჭა ჰენრი VII-ის მთავრობამ. ინგლისელი მოსახლეობის მისწრაფება კი იყო მაქსიმალური ზარალი მიეყენებინა უცხოელი ვაჭრების ქონების და პრივილეგიებისათვის. საშინაო ბაზარზე გაბატონებისათვის ბრძოლა დამახასიათებელი ნიშანი იყო ლონდონის ხელოსნებისა და ვაჭრებისათვის კაპიტალის ე.წ. „თავდაპირველი დაგროვების" პერიოდში.

ინგლისელი მოსახლეობის უკმაყოფილება უცხოელი ვაჭრების მიმართ გამოვლინდა 1516 წლის 4 მარტის დოკუმენტში. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ „მილორდ კარდინალი" განსაკუთრებული წყალობით იყო განწყობილი სიტის მიმართ, სურდა დახმარებოდა ინგლისელ ვაჭრებს. მას სურდა აეძულებინა უცხოელი ვაჭრები, რომ არ დაერღვიათ სიტის ვაჭრების პრივილეგიები, არამედ დაეცვათ ისინი. გადაწყდა, რომ 8 კაცი მოითათბირებდა და შეადგენდა შესაბამის მუხლებს სამეფო საბჭოში წარსადგენად. ამ მუხლებს უნდა დაეცვათ ინგლისელი ვაჭრები უცხოელი ვაჭრებისაგან (1:444).

საფიქრებელია, რომ უცხოელები რითიმე არღვევდნენ ინგლისელი ვაჭრების პრივილეგიებს და სწორედ ამიტომაც შეადგინეს ეს მუხლები. ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ ინგლისელი ვაჭრები მოთხოვნებს ადგენდნენ სამეფო საბჭოში წარსადგენად, რადგან იმედი ჰქონდათ მხრდაჭერის.

ამ მუხლების თანახმად, არც ერთი უცხოელი ვაჭარი არ შეიძლება ყოფილიყო რწმუნებული (ნდობით აღჭურვილი) ზღვის გაღმა. ამიტომ 1518 წლის 14 აგვისტოს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაიკითხეს ბრძანება, იმის შესახებ, რომ არც ერთ ვაჭარს არ უნდა გაებედა თავისი საქონლის გადაცემა უცხოელებისათვის და რომ არც ერთი უცხოელი არ უნდა ყოფილიყო რწმუნებულად მათი საქონლისა ზღვის გაღმა (1:463).

1519 წელს ლონდონის ლორდ-მერისა და ოლდერმენების მიერ შემუშავდა ბილი, რომელიც ზღუდავდა უცხოელ ვაჭრებს, რათა მათ არ გაეწიათ კონკურენცია ინგლისელი ვაჭრებისათვის. საქონლის გატანის თაოსნობა სასტიკად ეკრძალებოდათ უცხოელებს.

ვაჭარ-ავანტიურისტებს მიაჩნდათ, რომ უცხოელი ვაჭრების ასეთი შეზღუდვა დიდ სარგებლობას მოუტანდა როგორც მეფეს, ისე ქალაქელ ვაჭრებს და ხელს შეუწყობდა ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა 1515 წლის მე-3,4,5,6...8 მუხლები. განვიხილოთ ისინი თანმიმდევრულად: მუხლი მესამე – საქონლის გატანის თაოსნობა ზღვაზე ეკრძალებათ არა ინგლისელებს (უცხოური გემებით საქონლის გატანის აკრძალვა ხომ ხელს შეუწყობდა საზღვაო ფლოტის განვითარებას).

მუხლი მეოთხე – თუ პრაქტიკაში დაინერგა, რომ არც ერთი საპალნე მაუდი არ იქნას გატანილი ქვეყნიდან უცხოელების მიერ, უეჭველი იყო, რომ ეს მისცემს სტიმულს ქსოვილის წარმოებას.

აქედან ისიც ჩანს, რომ ინგლისელთა საქონლის შემსყიდველები იყვნენ უცხოელები და ახლა ისინი კარგავდნენ მოგებას ე.ი. ვაჭარ-ავანტიურისტები დაინტერესებული იყვნენ, რომ უცხოელებს ვაჭრობაში არ ჰქონოდათ უპირატესობა, რათა მათთვის, ვაჭარ-ავანტიურისტებისათვის არ გაეწიათ კონკურენცია.

მუხლი მეხუთე – იკრძალება, რომ უცხოელმა ვაჭრებმა შეინახონ საქონელი სიტში, სადაც მოესურვებათ.

გამოდის, რომ, თუ არ აკრძალავდნენ (უკეთუ უცხოელები თავიანთ საქონელს შეინახავდნენ სიტში ნებისმიერ ადგილას), მაშინ საქონლის დიდი ნაწილი აღმოჩნდებოდა მათ ხელში. მუხლი მეექვსე და მერვე ავალებდა უცხოელ ვაჭრებს და საქონლის მეპატრონეებს, რომ აუცილებლად გაეყიდათ საქონელი ოთხი თვის განმავლობაში შემოტანის მომენტიდან, ხოლო თუ ვერ გაყიდდნენ ამ ვადაში, მაშინ უნდა გაეგზავნათ უკან ზღვის გაღმა (1:483).

ეს მუხლები ნაკარნახები იყო ინგლისელი ვაჭრების მიერ, ვინაიდან, იგი სარგებლობას მოუტანდა ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებას, ინგლისელი ვაჭრების დაცვას უცხოელი კონკურენტებისაგან და ბოლოს საზღვაო ფლოტის მშენებლობას.

უცხოელი ვაჭრები, რომელთაც ინგლისში შემოჰქონდათ აბრეშუმის, მაუდის, ფარჩის, სელის, ბატისტის და სხვა სახის ქსოვილები, ხშირად მათი გაყიდვისას, როგორც ეტყობა, ზომებში

ატყუებდნენ ადგილობრივ ვაჭრებს, რის გამოც 1520 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა სპეციალური აქტი, რომლითაც დაკანონდა, რომ ყველა ქსოვილი-ფარჩა, აბრეშუმი, მაუდი, სელი, მუქი და თეთრი ფერის ბატისტი-დამზადებული ბრიტანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ფლანდრიაში, ზელანდიაში, ბრაბანტში, გენუაში და სხვა ადგილებში, შემოტანილი უცხოელების მიერ გასაყიდად სიტიში, გაზომილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის აბრეშუმის ქსოვილის მზომავის მიერ დაწესებული ეტალონით.

1525 წლის 27 თებერვალს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე დაინიშნენ გარკვეული პირები, რომელთაც დაევალათ თვალყური ედევნებინათ ინგლისელი ვაჭრების სავაჭრო მდგომარეობისათვის საღმრთო რომის იმპერატორის მიწებზე და თუ რაიმე პრეტენზიებს ექნებოდა ადგილი უცხოელი ვაჭრების მხრივ ინგლისელი ვაჭრების მიმართ, მაშინ უნდა მიეღოთ სათანადო ზომები კომპანიის მიერ არჩეულ პირებს – ჯონ პიკერიგს (სასამართლო მოხელე ადვოკატს), ოლივერ კლემენტს, რობერტ პეკინგტონს, რობერტ ლეიზის, ედუარდ მირელს და ჯონ კუკს (კლერკს) (1:715).

დასახელებულ პირებს სამართლიანად უნდა გადაეწყვიტათ დავა, რომელიც წამოიჭრებოდა ზღვის გაღმა ინგლისელ ვაჭრებს შორის (აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია ინგლისელი ვაჭრების უფლებების დარღვევაზე ფლანდრიის ქალაქ ბრიუგეში).

ინგლისელი ვაჭრები იყენებდნენ კონტინენტზე თავიანთ კონკურენტ უცხოელებთან ბრძოლის ახალ ფორმას - უცხოელი ვაჭრებისათვის სავაჭრო ბოიკოტის გამოცხადებას. ამ მხრივ საინტერესოა 1526 წლის 6 და 19 აგვისტოს დოკუმენტები.

1526 წლის 6 აგვისტოს მერსერთა კომპანიის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ლონდონის მილორდ-მერისა და სიტის ორდერმენების ბრძანებითა და თემთა პალატის აქტით, მათი კომპანიის არც ერთმა თავისუფალმა ვაჭარმა არ უნდა გაყიდოს, იყიდოს საქონელი, ისესხოს ფული, აწარმოოს ან დადოს რაიმე გარიგება უცხოელ ვაჭრებთან (1.734).

ე.ი. გამოდის, რომ ინგლისელ ვაჭრებს უფლება არ ჰქონდათ რაიმე სავაჭრო გარიგება, ყიდვა-გაყიდვა და ფულის სესხება მოეხდინათ უცხოელ ვაჭრებთან.

ხოლო 1526 წლის 19 აგვისტოს მერსერთა კორპორაციის საერთო კრებაზე წაკითხულ იქნა ლონდონის მერისა და თემთა პალატის ცნობა იმის შესახებ, რომ რადგანაც ჯონ რომბოლდი და ლუკას დე ლეკრო უცხოელი ვაჭრები იყვნენ, ისინი უნდა დამორჩილებოდნენ ლონდონის სიტის კანონებსა და წესებს. ამავე დროს 17 აგვისტოს თემთა პალატაში თავისუფალ ვაჭრებს ნება დართეს ეყიდათ და დაედოთ სავაჭრო გარიგებანი ჯონ რომბოლდთან და ლუკას დე ლეკროსთან (1:735-736).

უნდა მივაქციოთ აქ ყურადღება იმ გარემოებას, რომ 17 აგვისტოს უცხოელებს მიანიჭეს ის უფლებები, რომელნიც 19 აგვისტოს მათ ჩამოართვეს. ე. ი. აამოქმედეს სავაჭრო ბოიკოტი უცხოელი ვაჭრების წინააღმდეგ. ისინი უნდა დამორჩილებოდნენ სიტის წესებს.

1464, 1478, 1483, 1491, 1508, 1518, 1519, 1529 წლების ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები ადასტურებენ უცხოელთა ვაჭრობის შეზღუდვას ინგლისის ტერიტორიაზე და ბოიკოტის გამოცხადებას მათ მიმართ, მაგრამ, ამავე დროს, მეფის ხელისუფლება კრძალავდა უცხოელებზე თავდასხმას, ურთიერთობის გამწვავებასა და უწესრიგობას ქალაქში.

3. საზღვაო ფლოტის განვითარების პირობები

ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებას ხელი უნდა შეეწყო ინგლისის სავაჭრო ფლოტისა და გემთმშენებლობის განვითარებისათვის, მაგრამ არანკლებ მნიშვნელოვანია სანავიგაციო აქტები, რომელნიც ხელს უწყობდნენ ნაციონალური საზღვაო ფლოტის მშენებლობას.

ინგლისის საზღვაო ფლოტის განვითარებას ორგვარი ამოცანა უნდა გადაეწყვიტა: ხელი უნდა შეეწყო ერთი მხრივ, სავაჭრო

ფლოტისა და, მეორე მხრივ სამხედრო ფლოტის გაძლიერებისათვის, ინგლისის საეჭრო ფლოტის გაძლიერება ჯერ კიდევ ედუარდ III-ის (1327-1377) დროს დაიწყო. 1369 წელს გამოცემული პირველი „სანავიგაციო აქტის" ძალით, ინგლისელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ საქონლის გატანა უცხოური გემებით, რიჩარდ II-ის დროს, 1381 წელს მიღებული სანავიგაციო აქტით დადგინდა: „იმისათვის, რომ გაზრდილიყო ინგლისის საზღვაო ფლოტი, რომელიც ამ დროს დასუსტებული იყო, მოიწონეს და აღიარეს, რომ მეფის ყოველ ქვეშევრდომს ამიერიდან უნდა დაეტვირთა საქონლით მხოლოდ საკუთარი გემები. „წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა ჩამოტანილი საქონლის კონფისკაცია, ამასთანავე, საქონლის მესამედი უნდა მისცემოდა დამბეზღებელს. 1382 წელს წინა წელს (1381) გამოცემულ სანავიგაციო აქტს დაემატა კიდევ ერთი პუნქტი, რომლის თანახმად ინგლისელთა გემები გამოყენებულ უნდა ყოფილიყო უცხოელთა გემებზე უფრო მეტად. ხოლო 1390 წლის სანავიგაციო აქტის დამატებით პუნქტში ვკითხულობთ, რომ გემის მეპატრონე ინგლისელებს შეეძლოთ ესარგებლათ თავისი უპირატესობით (77:338).

ასეთივე კანონები ქვეყნდებოდა ედუარდ IV-ის მმართველობის დროსაც (1461-1483). 1489 წლის სანავიგაციო აქტის მიხედვით, ვაჭრებს გასკონიიდან შეეძლოთ ჩამოეტანათ ღვინო, საღებავები მხოლოდ ინგლისური გემებით (77:421). და ეს მაშინ, როდესაც ამ დროს (XV ს) უცხოელ ვაჭრებს (იტალიელებსა და ჰანზელებს) ჯერ კიდევ შემოჰქონდათ ლონდონში საქონელი საკუთარი გემებით (40:107).

ჯ. ტრეველიანი სამართლიანად მიიჩნევს, რომ სანავიგაციო აქტის განხორციელება და მისი ზუსტი დაცვა შეუძლებელი იყო ტიუდორების ეპოქამდე, ვინაიდან ინგლისის საეჭრო ფლოტი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ძლიერი, რომ მას დაეკმაყოფილებინა სწრაფად მზარდი ინგლისური ვაჭრობა (79:54).

მერსერთა „საბჭოს აქტებიდან" („ნიუბოლდის წიგნი") ირკვევა, რომ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას, რომელიც ეწეოდა საექსპორტო ვაჭრობას, საქონელი გადაჰქონდა ინგლისური გემებით,

მაგრამ ეს კომპანია ასევე იყენებდა დაქირავებულ უცხოურ გემებსაც. მართლაც, როგორც ჩანს ამ დროისათვის ინგლისური გემები საკმარისი არ იყო. ამგვარად, ინგლისური გემების სიმცირის გარდა ვაჭართა მიერ საშემოსავლო გადასახადის დამალვის მცდელობა საფიქრებელია ხელს უწყობდა სანავიგაციო აქტების დარღვევას, რის შესახებაც არაერთ ცნობას გვაწვდის მერსერთა „საბჭოს აქტები“ („ნიუბოლდის წიგნი“).

1472 წლის 15 იანვრის აქტში ვკითხულობთ, რომ სხვადასხვა საქონელი, რომელიც შეისყიდეს ინგლისელმა ვაჭრებმა ბოლო ნავიგაციის დროს ჩრდილოთის ბაზარზე და დატვირთეს ესპანურ და ჰოლანდიურ გემებზე გამოიწვევდა მეფის დიდ უკმაყოფილებას. ამიტომ თავიდან რომ აეცილებინათ უსიამოვნება, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა სანავიგაციო აქტის დარღვევას. ლონდონის ქალაქის საბჭომ ურჩია კომპანიას, რომ ზღვის გაღმა გაეგზავნა ორი ან სამი საიმედო, სერიოზული პირი, რომელიც გააფრთხილებდა ვაჭრებს არ დაერღვიათ სანავიგაციო აქტი, რასაც მოჰყვებოდა მეფის განრისხება. კომპანიის მიერ გაიგზავნა ჰიუ კლოპტონი და ტომას ფორსტერი, რომელთაც გაატანეს კომპანიის სახელით 1472 წლის 15 ივნისით დათარიღებული წერილი, რომელშიც ეწერა: „ბატონებო, მოგესალმებით და გაცნობებთ, რომ კომპანიის იმ წევრებისგან, რომელნიც დაბრუნდნენ ზღვიდან, შევიტყვეთ, რომ დაუტვირთიათ თქვენი საქონელი სხვა (ე.ი. უცხოურ – ი.ბ) ხომალდებზე. ეს ძალიან საშიშია, ვინაიდან ამას მოჰყვება მეფის დიდი უკმაყოფილება, როცა იგი შეიტყობს ამის შესახებ. ამიტომ გირჩევთ თავი შეიკავოთ, რათა არ დატვირთოთ საქონლით სხვისი (ე.ი. უცხოური – ი.ბ) გემები“.

წერილი გაიგზავნა ქ. ბრიუგეში (1:59).

ხოლო 1532 წლის 27 აპრილის დოკუმენტში ჩაწერილია მერსერთა კომპანიის განკარგულება: სინკსონის (საზაფხულო) ბაზრობაზე ანტვერპენში გასაგზავნად გამოყოფილიყო გემები, რომლებზეც უნდა დაეტვირთათ ინგლისელ ვაჭრებს თავიანთი საქონელი. მათ უფლება არ ჰქონდათ დაეტვირთათ საქონელი უცხოელთა გემებზე (1:566).

როგორც ჩანს, აქ საუბარია უცხოურ გემებზე საქონლის დატვირთვისა და ამით სანავიგაციო აქტის დარღვევის დაუშვებლობაზე.

უფრო გვიანდელი პერიოდის 1564 წლის აქტი გვაცნობებს, რომ ანტვერპენელებმა „შთანთქეს“ ყველა ქალაქის ვაჭრობა. ეს ქალაქი გახდა ევროპის კონტინენტის მთავარი ნავსადგური. აქ ინგლისური მაუდის ქსოვილები ჩამოჰქონდათ პორტუგალიელთა გემებით და ეს ქსოვილი წარმოადგენდა ინგლისის მთავარ საექსპორტო საქონელს (102:461-65).

ამრიგად, ირკვევა, რომ ინგლისური მაუდის ქსოვილების ექსპორტს ფართო მოთხოვნილება ჰქონია 1564 წლისათვის ანტვერპენში და, ამავე დროს, შეინიშნება „სანავიგაციო აქტის“ დარღვევის ფაქტიც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელ ვაჭრებს ზოგჯერ გადაჰქონდათ საქონელი უცხოური გემებით, ძირითადად მაინც საქონელი მიდიოდა ზღვის გაღმა ინგლისური გემებით, რაც საზღვაო ფლოტის განვითარების შედეგი იყო.

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ისიც ირკვევა, რომ ინგლისელ ვაჭრებს ზოგჯერ ბაზრობებზე გამგზავრება დიდი სამხედრო დაცვის თანხლებით უხდებოდათ. მაგალითად, 1496 წელს გადაწყდა გემების ბამასის (საშემოდგომო) ბაზრობაზე გაგზავნა, ხოლო მათი უსაფრთხოებისათვის უნდა შეეიარაღებინათ ჰანზელების დიდი გემი (საფიქრებელია დაქირავებული) და ორი ბარკა სავაჭრო გემების დაცვისათვის. დიდ გემზე უნდა ყოფილიყო 40 მეზღვაური, პასუხისმგებელი იქნებოდა კაპიტანი. ხოლო 60 ინგლისელი უნდა შეეიარაღებინათ კომპანიის ხარჯზე (1:633-634).

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია გამოყოფდა სახსრებს თავისი გემების შეიარაღებაზე და უცხოური გემების დაქირავებაზეც. ჩვენს ყურადღებას იპყრობს 1520 წლის 26 თებერვლის აქტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ მშვიდობიან დროს მეფე ვაჭრებს აძლევდა სამხედრო გემს, თან იმედოვნებდა, რომ გემს ისინი შეინახავდნენ კარგ მდგომარეობაში, საზღვაო ბრძოლისათვის მზადყოფნაში და ომის შემთხვევაში, მოახდენდნენ მის ეკიპირებასა და შეიარაღებას, რაც მოგებიანი იქნებოდა მეფისათვის, მაგრამ ვაჭრებს არ

აწყობდათ ეს და ძალიან მოხერხებულად გამოიყვანეს თავი ამ საჩოთირო მდგომარეობიდან: მათ მოიმიზეზეს, თითქოს გემი ძალიან დიდია და ვერ შეეიდოდა ზელანდიის მდინარეების ზღვის შესართავში. ვაჭრებმა მეფეს ასეთი პასუხი გასცეს: „ჩვენ მადლობას ვუცხადებთ მეფეს დიდი სიკეთისათვის და გამოჩენილი მზრუნველობისათვის, მაგრამ კომპანიას მიაჩნია, რომ რადგან ამჟამად ვაჭრების დიდ ნაწილს ზელანდიის გარდა სხვაგან არა აქვთ ვაჭრობა, ერთი გემიც კი იქნებოდა მათთვის ზედმეტად მძიმე ტვირთი, ამასთანვე გემმა შეიძლება ვერც კი მიაღწიოს იმ მიწებამდე, როგორც ეს მოუვიდა „პიტერ პუმერგარნარდსა“ (PITER POMERGARHARD), რომელიც მეფის ბრძანებით დაქირავებული იყო და დაიღუპა ზელანდიის ნაპირებთან, რაც სიცოცხლისა და დიდი ზარალის ფასად დაუჯდათ ვაჭრებს (1:523).

საყურადღებოა მერსერების ეს პასუხი გაცემული მეფისათვის, რომელიც მშვიდობიან დროს აძლევდა თავის სამხედრო გემს ვაჭრებს და თან ვარაუდობდა მოგების მიღებას იმით, რომ ეს გემი მათ ეყოლებოდათ წესრიგში და ომის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მისი ეკიპირება-შეიარაღება, მაგრამ ვაჭრებს ეს არ აწყობდათ და მოიმიზეზეს, თითქოს გემი ვერ შეეიდოდა ზელანდიის მდინარეების ზღვის შესართავში. ეს მეფესთან წინააღმდეგობის დასაწყისია. ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ ავანტიურისტები მოხერხებული ვაჭრები იყვნენ და ცდილობდნენ არაფერში არ წაეგოთ. „ნიუბოლდის წიგნიდან“ ისიც ირკვევა, რომ ადრე მათ მეფისაგან დაუქირავებიათ, სამხედრო დაცვის მიზნით დიდი გემი - „პიტერ პომერგარნარდი“, რომელიც დაღუპულა ზელანდიის ნაპირებთან. ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ დიდი გემების დაქირავება დიდ ხარჯებთან და რისკთან ყოფილა დაკავშირებული.

როდესაც მერსერთა კომპანია ახდენდა მეფისაგან გემების დაქირავებას, იგი ვალდებული იყო უზრუნველეყო მეზღვაურები კვებითა და ჯამაგირით. სწორედ ამის შესახებ გვაუწყებს მერსერთა „საბჭოს აქტები“.

1520 წლის 8 მარტს მერსერთა კორპორაციის საერთო კრებაზე გადაწყდა, რომ მერსერთა კორპორაციას დაეკისრა პასუხისმგებ-

ლობა 100 ტონა წყალწყვის ან ტევადობის (პლუს-მინუს 60 ტონით) ხუთ გემზე და საკვებით მოემარაგებინა მეზღვაურთა მთელი შემადგენლობა და ჯამაგირით უზრუნველეყო იგი. ამის დასტურის ნიშნად ხელს აწერდა კომპანიის 93 წევრი (1:27).

ინგლისელ ვაჭართა მიერ გემების დაქირავების შესახებ გვამცნობს ასევე 1521 წლის დოკუმენტი: ინგლისელთა გემი „რობერტ დინსი“ დაკავებული იქნა იმის გამო, რომ კონტრაბანდულად (ე.ი. უკანონოდ – ი.ბ.) ბრუნდებოდა ზელანდიის ბაზრობიდან. მოიწვიეს ავანტიურისტთა კრება იმავე წლის 9 თებერვალს, სადაც კომპანიის მმართველმა განაცხადა, რომ მას ესაუბრნენ კარდინალი უოლსი და მეფის მრჩევლები მათი ფლოტის ზელანდიიდან სახლში ჩამოყვანის აუცილებლობის შესახებ. კარდინალმა აღნიშნა, რომ მათ მიმართეს ადმირალს და მან ამისთვის დანიშნა ორი ბარკა (პატარა დამხმარე გემი) მათი გემების გასაცილებლად ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის ხარჯზე, რათა შეემცირებინა მეფის ხარჯები.

გარდა ამისა, ამ კრებაზე გამოყოფილ პირებს მიენიჭათ უფლება მოლაპარაკებოდნენ ადმირალს მათი გემების სახლში ჩამოყვანის თაობაზე იმ ბაზრობიდან 10 გირვანქა სტერლინგად კომპანიის ხაზინის ხარჯზე (1:537).

როგორც ირკვევა, ზელანდიიდან მომავალი გემი დაკავებულ იქნა და ამიტომ ინგლისური გემის გასაცილებლად დაუნიშნიათ სპეციალურად ორი პატარა გემი, რომლის ხარჯები (100 გირვანქა სტერლინგი) უნდა დაეფარა კომპანიას. ესე იგი მეფის გემების ხარჯებს ანაზღაურებდა კომპანია და არა მეფის ხაზინა.

მეფე სამხედრო გემებს აძლევდა ვაჭარ-ავანტიურისტებს, რათა მათ შესძლებოდათ უშიშრად ზელანდიაში გამგზავრება და იქიდან ინგლისში დაბრუნება. 1522 წლის 26 ნოემბრის დოკუმენტი გვაუწყებს, რომ კომპანიის მამასახლისების მიერ გამოცხადდა ლორდ-კარდინალი უოლსის პასუხი მათი ვაჭრების ზელანდიაში გაცილების შესახებ. კომპანიისათვის ამ ზამთრის სეზონზე გამგზავრებისას მეფე თანახმაა 40 გირვანქა სტერლინგად მიეცა კომპანიისათვის თავისი ორი სამხედრო გემი, რომელნიც გააცი-

ლებდნენ ბაზრობაზე და ასევე ბაზრობის დასრულების შემდეგ გამოაცილებდნენ ინგლისში (1:548).

სამხედრო გემების დაქირავებას ახდენდნენ განსაკუთრებით მაშინ, როცა მოსალოდნელი იყო კომპანიის გემებზე თავდასხმის საშიშროება. ამ მხრივ საყურადღებოა 1527 წლის დოკუმენტი, რომელიც გვაშცნობს, რომ შოტლანდიელთა სამხედრო გემები იპყრობდნენ ინგლისელთა სავაჭრო გემებს და მიჰყავდათ ისინი ზელანდიაში, ხოლო იქ ამ თავის ნადავლს ჰყიდდნენ და თან სარგებლობდნენ იქაური ხელისუფლების მხრდაჭერით (1:634). სწორედ ამიტომ უშიშროების უზრუნველსაყოფად ვაჭარ-ავანტიურისტები ქირაობდნენ სამხედრო გემებს.

როგორც ჩანს, ვაჭართა შემოსავალი იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ახერხებდნენ სამხედრო გემების დაქირავებას, რაც უთუოდ, დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ამრიგად, მერსერთა „საბჭოს აქტებიდან“ („ნიუბოლდის წიგნი“) ირკვევა, რომ ინგლისელებს საქონელი გაჰქონდათ ზღვის გაღმა ძირითადად, ადგილობრივი გემებით, რაც საზღვაო ფლოტის განვითარებაზე მიგვანიშნებს. მაგრამ უცხოური (ესპანური, ჰოლანდიური, პორტუგალიური, ჰანზის) გემების დაქირავება განპირობებული უნდა ყოფილიყო ორი გარემოებით: პირველი, როცა გემებს ესაჭიროებოდა სამხედრო დაცვა მტრისაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით და, მეორე, როგორც ჩანს არ იყო საკმარისი ინგლისური გემები მაუდით ვაჭრობის მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მეფე ჰენრი VIII დაინტერესებული იყო ეროვნული საზღვაო ფლოტის მშენებლობის საკითხებით. მისი იდეა იყო მსუბუქი სწრაფმავალი გემების მშენებლობა. 1510-1515 წლებში ზღვაში ჩაუშვეს ინგლისის საზღვაო ფლოტის 18 ხომალდი. ხოლო მისი გარდაცვალებისას (1547) სამეფო ფლოტი მოითვლიდა 50 ხომალდს (129:38).

შემდგომში სწრაფად ვითარდება ინგლისის საზღვაო ფლოტი. 1572 წელს საზღვაო ფლოტის საერთო ტონაჟი შეადგენდა 50 ათასს, ხოლო 1629 წელს – 115 ათასს (21:7-10).

XVI საუკუნის ბოლოს კი ინგლისელი ვაჭრები ეწევიან შორეულ სავაჭრო ოპერაციებს საკუთარი გემებით. ლევანტის კომპანია 1595-1599 წლებში ითვლიდა 15-20 გემს, რომელთა შორის იყო გემები 400-600 ტონა წყალწყვისა (128:222-224), მარტო 1601 წლიდან 1648 წლამდე აიგო 46 გემი (34:96).

ამრიგად, მაუდის საექსპორტო ვაჭრობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ, ხოლო ამ კომპანიაში წამყვანი პოზიციები ჰქონდათ მერსერებს. სანავიგაციო აქტებმა (1369, 1381, 1382, 1489 წწ) თვით სამეფო ხელისუფლების დიდმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო ინგლისის საზღვაო ფლოტისა და გემთმშენებლობის განვითარებას XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე.

4. საპაჭრო ურთიერთობანი ნიდერლანდებთან

როგორც ცნობილია, XIV საუკუნემდე ინგლისის საგარეო ვაჭრობა იყო უცხოელების ხელში (77:278). შემდგომ პერიოდში ინგლისი ავითარებს ვაჭრობას ნორვეგიასთან, საფრანგეთთან, პრუსიასთან, ნიდერლანდებთან, ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვის ქვეყნებთან. თუ ინგლისელებს დასჭირდებოდათ ბალტიისპირეთის საქონელი – რკინა, ხე-ტყე, მარცვლეული და ა.შ. სრულებითაც არ იყო საჭირო მათთვის გამგზავრება ბალტიისპირეთში. ინგლისელებს შეეძლოთ ეყიდათ ჰოლანდიელებისაგან ანტვერპენში და ამსტერდამში. ინგლის-ბალტიისპირეთის ვაჭრობა გაფართოვდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში. რიცხვი ინგლისური ხომალდებისა, რომელნიც აღწევდნენ ზუნდის სრუტეს, გაიზარდა 197-მდე 1587 წელს (87:14-25). როგორც დეიტცი აღნიშნავს, ინგლისის საგარეო ვაჭრობა XV საუკუნეში თავმოყრილი იყო ანტვერპენში (ნიდერლანდებში), გერმანიაში, ჩრდილოეთ საფრანგეთსა და ბალტიისპირეთში (24:138). ინგლისელი ვაჭრები მიდიოდნენ შორს - ჩრდილოეთ აფრიკაში, წინა აზიაში, ინდოეთში და ამერიკაში. 1519-1527 წლებში ინგლისელები ვაჭრობდნენ სევილიაში, ლისაბონაში, სან-

სებასტიანოში, ბაიონაში, კალეში, დანციგში, სან-დომინგოში (77:365).

XV საუკუნის მეორე ათწლეულში ინგლისელებმა გამონახეს პირდაპირი გზა ვაჭრობისათვის ისლანდიაში. მანამდე ინგლისური საქონელი შეჰქონდათ იქ შუამავლებს - ნორვეგიელებს.

თუ დაეუკვირდებით ინგლისის საექსპორტო საგნებს, შეამჩნევთ, რომ ძირითად მასას შეადგენს მაუდი, მისი გატანა განუწყვეტლივ იზრდებოდა, ხოლო მატყლის ექსპორტი მცირდებოდა.

გარდა მატყლისა და მაუდისა ექსპორტის ძირითად მასას შეადგენდა ნედლეული და ნახევარფაბრიკატები: კალა, ტყვია, ტყავი, პური, რომელიც გაჰქონდათ ნიდერლანდებისა და იტალიის ბაზრებზე.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ინგლისს ფლანდრიაში გაჰქონდა პური. ინგლისის გარდა ფლანდრიას პურს აწვდიდნენ ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი და ბალტიისპირეთი (124:114).

ამრიგად, XV საუკუნის მეორე ნახევარში საქონლის გატანა სჭარბობდა იმპორტს. ჩვენს მიერ მიკვლეული წყარო – „მერსერთა საბჭოს აქტები“ („ნიუბოლდის წიგნი“) შეიცავს მრავალმხივი ცნობებს ინგლისის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებთან. ამჯერად შევჩერდებით აღნიშნულ პერიოდში სავაჭრო ურთიერთობაზე ნიდერლნდებთან.

ნიდერლანდების ქვეყანა ტერიტორიულად მოიცავდა ფლანდრიას, ბრაბანტს და სხვა მიწებს, რომელნიც შედიან დღევანდელი ბელგიისა და ჰოლანდიის აგრეთვე ლექსემბურგისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის ფარგლებში.

XV საუკუნეში ნიდერლანდები იმყოფებოდა ბურგუნდიის ჰერცოგის დამოკიდებულების ქვეშ. ამ დროს ბურგუნდიის ჰერცოგი შარლ უშიშარი (1467-1477), რომელიც გახდა სრული მბრძანებელი არა მარტო თავისი საჰერცოგოსი, არამედ საფრანგეთის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთის მიწებისა. მის განკარგულებაში იყო ბურგუნდია, ნივერნე, პიკარდია და ნიდერლანდები, მიისწრაფოდა

შეენარჩუნებინა თავისი დამოუკიდებლობა, დაუკავშირდა ინგლისს. საფრანგეთის მოსახლეობისათვის ბურგუნდიელები გახდნენ ისეთივე საშიშნი, როგორც საშიშნი იყვნენ მათთვის ინგლისელები;

ბურგუნდიის ჰერცოგის შარლ უშიშარის დაღუპვის შემდეგ, 1477 წელს, საფრანგეთის მეფემ ლუი XI-მ შემოიერთა პიკარდია, ნივერნე და ბურგუნდიის (ბურგონის) საჰერცოგო. ხოლო ბურგუნდიის საგრაფო (ფრანშ-კონტე) და ნიდერლანდები დარჩა შარლ უშიშარის ქალიშვილს – მარი ბურგუნდიელს, რომელიც მისთხოვდა ავსტრიის ერცჰერცოგს მაქსიმილიანე ჰამსბურგს, გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხ III-ის ვაჟს. 1493 წელს მაქსიმილიანე გახდა იმპერატორი და, ამდენად ნიდერლანდები მოექცა ჰაბსბურგთა ძალაუფლების ქვეშ.

1519 წელს მაქსიმილიანეს შემდეგ იმპერატორი გახდა მისი შვილიშვილი კარლ V, რომელმაც თავის სამფლობელოში გააერთიანა მაქსიმილიანეს წინანდელი სამფლობელოების, მათ შორის ნიდერლანდების გარდა გერმანია, ესპანეთი, სამხრეთი და ჩრდილო იტალია და ახლად აღმოჩენილი ამერიკის მიწები.

მის უზარმაზარ იმპერიაზე მაშინ ამბობდნენ, რომ „მისი ერთი ბოლოდან მეორემდე მზე არასდროს არ ჩადიოდა“.

საინტერესოა, როგორ წარიმართა სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის.

XV საუკუნეში ინგლისის ვაჭარ-ავანტიურისტები ეწეოდნენ ვაჭრობას ჰოლანდიაში, ზელანდიაში, ბრაბანტში. ფლანდრიაში და ენოში (HAINIAULT). ვინმე ვაჭარი უილიამ ჰეროითი მოგვითხრობს, რომ ვაჭარ-ავანტიურისტი ფებიანი მოგზაურობდა მრავალ ქვეყანაში და სხვადასხვა კუნძულზე (18:148). ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვაჭარ-ავანტიურისტები მოგზაურობდნენ ისეთ ქვყნებში, როგორიცაა: ნორვეგია, ესპანეთი, პრუსია და ნიდერლანდები. პრუსიასთან ვაჭრობა განმტკიცებული იყო მეფის ნებართვით და ვაჭარ-ავანტიურისტებს მიენიჭათ იქ პრივილეგიები ჯერ კიდევ 1391 წელს, ხოლო ნორვეგიაში, შვედეთში და დანიაში კი მათ მიიღეს მსგავსი პრივილეგიები 1408 წელს. ასეთივე პრივილ-

ეგიები მიენიჭათ ვაჭარ-ავანტიურისტებს 1407 წელს ნიდერლანდებში (18:148). უფრო მეტიც ინგლისელი ვაჭარ-ავანტიურისტები ახორციელებდნენ თავიანთ თვითმმართველობას ნიდერლანდებში და ირჩევდნენ თავიანთ საკუთარ მმართველს, რომელსაც უფლება ჰქონდა კომპანიის სახელით მიემართა შუამდგომლობით ინგლისის მეფისათვის.

ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ნიდერლანდებთან ყოველთვის არ იყო რეგულარული და გარკვეულ პერიოდში წყდებოდა ხოლმე მათ შორის სავაჭრო კონტაქტები.

ცნობილია, რომ ფლანდრიისათვის მატყლის ძირითადი მიმწოდებელი იყო ინგლისი, მაგრამ ინგლისში მაუდის მრეწველობის განვითარებასთან ერთად ინგლისიდან XV საუკუნეში დაიწყო მაუდის ექსპორტი, რასაც მტრულად შეხვდნენ ფლანდრიელები. ინგლისის მთავრობამ კი ამის საპასუხოდ აკრძალა ფლანდრიაში ინგლისური მატყლის გატანა, რამაც დიდი ზარალი მოუტანა ფლანდრიას.* მართალია, ინგლისის გარდა მისთვის მატყლის მიმწოდებელი იყო ესპანეთი, მაგრამ ფლანდრიის ხელოსნებს მაინც შეექმნათ დიდი სიძნელეები (78:64), უდავოა, რომ მეტი წილი მატყლისა იქ შედიოდა ინგლისიდან, ნაკლები — ესპანეთიდან.

ამდენად, ინგლისისა და ნიდერლანდების ინტერესებში შედიოდა ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის არსებობა და განვითარება.

XV საუკუნის 60-იან წლებში ინგლისსა და ბურგუნდიის ჰერცოგს შორის, რომლის სამფლობელოებში შედიოდა ნიდერლანდები, გამწვავდა სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა, რაც ნათლად აისახა მერსერთა სავაჭრო კომპანიის „საბჭოს აქტებში". ჯერ კიდევ 1463 წლის 15 მარტს მამასახლისთა კრებაზე და-

---

* ტომას ფებიანი მოხსენიებულია მერსერთა „საბჭოს აქტების" 1479 წლის დოკუმენტში. იგი სხვა ვაჭრებთან ერთად კომპანიამ გააგზავნა ოლდერმენებთან და ლორდებთან შესახვედრად უესტმინსტერში, რათა გადაეცათ მათთვის კომპანიის სურვილი მეფისაგან შეწყალების მიღების თაობაზე და თან გაატანეს საჩუქრად 500 მარკა (1:122).

ადგინეს, რომ თუ მერსერთა კომპანიის რომელიმე წევრი გაბედავდა საქონლის ყიდვას ბრიუგეში, მას უნდა გადაეხადა ჯარიმა, რომლის სიდიდეს განსაზღვრავდნენ კომპანიის მმართველები (1:59). მაშასადამე კომპანიას თავის წევრთათვის აუკრძალია ნიდერლანდების მიწაზე საქონლის ყიდვა. ხოლო 1464 წელს ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა ოფიციალურად აკრძალა ინგლისური მაუდის იმპორტი თავის სამფლობელოებში, რასაც მოჰყვა პარლამენტის მიერ ინგლისური ბაზრის სრული დახურვა ნიდერლანდებისათვის.

მიუხედავად აკრძალვისა, მაინც ადგილი აქვს ინგლისიდან მაუდის შეტანას ფლანდრიაში. 1463-1464 წწ-ში ფლანდრიაში შეიტანეს 21 ათასზე მეტი თოფი მაუდი (37:85). ეს განპირობებული იყო იმით, რომ ინგლისური მაუდის შეტანის აკრძალვა ფლანდრიაში უშედეგო აღმოჩნდა.

1465 წლის 21 მარტს თავიანთ კრებაზე მერსერებმა განიხილეს პარლამენტის გადაწყვეტილება, რომ დაეკავებინათ ყველა ის საქონელი, რომელიც მზადდებოდა ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე, არც ერთ მერსერს არ უნდა, შემოეტანა ინგლისში საქონელი, სანამ ბურგუნდიის ჰერცოგი არ გაზრდიდა თავის ქვეყანაში ინგლისური მაუდის შეტანის ოდენობას. კრებაზე გამოაცხადეს, რომ ახლახან ჰერცოგმა აკრძალა თავის მიწაზე ინგლისური საქონლის შეტანა, რასაც არ ეთანხმებოდა მეფე ედუარდ IV.

ვაჭრები ხშირად ითხოვდნენ, რომ მეფეს სავაჭრო საკითხები არ გადაეწყვიტა დამოუკიდებლად და თვითნებურად, არამედ ემოქმედა ვაჭრებთან შეთანხმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ინგლისის ქვეყნისათვის დიდ ზარალს. ყოველივე ზემოთქმულს ადასტურებს ამავე წლის ოქმი მერსერთა კრებისა. როგორც ყოველთვის, აღნიშნეს კრებაზე, მეფე თავის ძალაუფლებას იყენებდა მისი სურვილის შესაბამისად. ასეა ახლაც. მას სურს თავისი სახელით მიანიჭოს ლიცენზიები უცხოელ ვაჭრებს და ნება დართოს მათ ჩამოიტანონ ის საქონელი, რომელსაც თვითონ ისურვებდნენ. ყოველივე ეს კი გამოიწვევს საერთო ზარალს, რაც არ იქნება მოსაწონი თვით მეფისათვისაც. ამიტომ კომპანია

ითხოვდა, რომ მეფეს ვაჭრობის შესახებ არაფერი ერთპიროვნულად არ გადაეწყვიტა (1:280).

ამრიგად, იმდენად დიდი იყო ინგლისელ ვაჭართა მიერ მოგების მიღების სურვილი, რომ ისინი ცდილობდნენ მეფეს არ მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რაც ზიანს მოუტანდა ქვეყანასაც და ვაჭრებსაც.

მესერთა კომპანიის 1465 წლის 5 სექტემბრის კრების ოქმში შეტანილია შემდეგი გადაწყვეტილება:

1. ამიერიდან კომპანიის არც ერთ წევრს არ უნდა ჩაეტანა და არც გამოეტანა აბრეშუმის ქსოვილი ზელანდიიდან, ჰოლანდიიდან, ბრაბანტიდან, პიკარდიიდან და ახლო მდებარე ქვეყნებიდან.

2. არავის არ უნდა შეეწყო ხელი არც ერთი უცხოელი ვაჭრისათვის საქონლის შემოტანაზე ზელანდიიდან, ჰოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან ინგლისის რომელსამე ნავსადგურში და არც ინგლისიდან საქონლის გატანაში ამ ქვეყნებში. რაც მთავარია, არავის არ უნდა გადაეცვალა თავისი ფული იმ ქვყნებში მოგების მიღებისათვის (აქ საკითხი ეხებოდა ინგლისიდან ოქროს გატანის პრაქტიკის დაწყებას, რაც ზიანს აყენებდა ინგლისის ეკონომიკას - ი.ბ) და არ შეეწყოთ ხელი ვალუტის შემოტანისათვის ინგლისში. დამრღვევი უნდა დაჯარიმებულიყო 20 გირვანქა სტერლინგით.

3. ინგლისელ ვაჭარს არ უნდა გაენდო უცხოელისათვის თავისი ვაჭრობის საიდუმლოება, განსაკუთრებით, თუ რა ღირდა ესა თუ ის საქონელი. არ უნდა გაემხილა თუ რამდენად ხელსაყრელია ამა თუ იმ საქონლის გაყიდვა ან ყიდვა. დამრღვევი ჯარიმდებოდა 20 გირვანქა სტერლინგით.

4. მერსერთა კომპანიის არც ერთ წევრს არ უნდა მიეყიდა უცხოელი ვაჭრისათვის არავითარი სხვა ქსოვილი გარდა მერსერთა კომპანიის კუთვნილი ქსოვილისა, ამასთანავე მხოლოდ მაშინ, თუ ეს უცხოელი შეისყიდდა საქონელს (ქსოვილს) მთლიანად (1:278).

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ იკრძალებოდა ვაჭრობა ჰოლანდიასა, ზელანდიასა და ბრაბანტთან, ესე იგი ბურგუნდიის ჰერცოგის სამფლობელოებთან - გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა გაუნდობლობა სავაჭრო საიდუმლოებისა, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ უნდა გაენდოთ უცხოელი ვაჭრებისათვის თავიანთი გამოცდილება ყიდვა-გაყიდვის საქმეში და პირველ რიგში,

უნდა გაესაღებინათ კომპანიის საქონელი, ერთი სიტყვით ვაჭრები ზრუნავდნენ იმაზე, რომ მეტი მოგება დარჩენოდა ინგლისის ქვეყანას და უცხოელ ვაჭრებს არ გაეწიათ მათთვის კონკურენცია. ყოველივე ეს კი მათ წინდახედულებასა და გამოცდილებაზე მეტყველებდა.

მართალია, ვაჭრები ხშირად ემორჩილებოდნენ პარლამენტის გადაწყვეტილებას, არ სურდათ მეფის ბრძანების დარღვევა, მაგრამ, ამავე დროს მათ ეძნელებოდათ მოგების დაკარგვა. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1465 წლის მერსერთა კომპანიის მიერ ზღვის გაღმა რეზიდენტისადმი, უილიამ კექსტონისადმი მიწერილმა წერილმა, რომელშიც მას აცნობებდნენ რომ მეფე ედუარდ IV-ს სურს გააგზავნოს შიკრიკი ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპესთან, რათა შეაჩეროს ვაჭრობა ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებთან. აი, რას წერენ ისინი: „სანამ ლორდ-მერის ხელშეწყობით ჩვენ გავაგზავნით ხალხს მეფესთან მოსალაპარაკებლად, მანამ იჩქარეთ, რომ ყველა თქვენი საქონელი იქნას დაცული. სანამ ჰერცოგს მიუვა მეფის წერილი და აცნობებს მის მიწებზე ვაჭრობის შეჩერების შესახებ, მანამ თქვენ გვაცნობეთ საქონლის გადატანაზე გადასახადის ისეთი სიდიდე, რომელიც თქვენთვის იქნება მოგებიანი. ხოლო ამის შემდეგ ჩვენთვის აღვილი იქნება აქ მისი დაცვა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით როდის გამოგზავნის მეფე თავის შიკრიკს, ამიტომ იჩქარეთ“. ამ დოკუმენტს ხელს აწერენ მამასახლისები ჯონ ლამბერტი, ჯონ ბეკერი, ჯონ უორდი, ჯონ ელბორკი (1:280).

როგორც ჩანს, ვაჭრები ამა თუ იმ გავლენიანი პირების, საფიქრებელია, ლონდონის ლორდ-მერის მეშვეობით ახდენდნენ გავლენას მეფის სავაჭრო პოლიტიკაზე. ისინი მეფეს უყენებდნენ ამა თუ იმ მოთხოვნას, რაც მოგებიანი იყო ვაჭრებისთვისაც და ქვეყნისთვისაც. მერსერთა „საბჭოს აქტებიდან“ ირკვევა, რომ მეფე და ვაჭრები, უმეტესად მოქმედებდნენ შეთანხმებულად. მერსერები ქრთამის გაღების, საჩუქრებისა, თუ მეფის მოხელეთა მოსყიდვის გზით აღწევდნენ გარკვეული პოლიტიკის გატარებას.

1466 წლის 13 მარტის დოკუმენტში საუბარია ასევე ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებთან ვაჭრობის აკრძალვაზე. მერსერთა

კრებაზე გადაწყდა, რომ კომპანიის წევრებიდან არავის არა აქვს უფლება გაემგზაუროს ან გააგზავნოს ვინმე თავის საქმეზე ბურგუნდიის ჰერცოგის სამფლობელოში, რათა იყიდოს საქონელი, რადგან ეს მიაყენებდა დიდ ზიანს კომპანიას და ამიტომ თავი უნდა შეეკავებინათ და არ ევაჭრათ, სანამ არ იქნებოდა მეფის მიერ ნებადართული ვაჭრობა. ასევე უნდა აკრძალულიყო საქონლის ყიდვა უცხოელებისაგან ბაზრობებზე, რათა არ მიეყენებინათ ზარალი კომპანიისათვის. ვინც დაარღვევდა ამ წესს, უნდა გადაეხადა კომპანიის ხაზინაში უკანონო ვაჭრობით მიღებულ ყოველ 100 გირვანქა სტერლინგის შემოსავლიდან 20 გირვანქა სტერლინგი (1:284). ხოლო 1466 წლის 9 აპრილს გადაწყდა, რომ კომპანიის არც ერთ წევრს არ უნდა ეყიდა სტილიარდში არც ერთი ნაჭერი ყავისფერი აბრეშუმის ქსოვილი. თუ ვინმეს აღმოუჩენდნენ სახლში ასეთ ქსოვილს, მაშინვე დააჯარიმებდნენ 40 შილინგით კომპანიის ხაზინის სასარგებლოდ (1:280).

როგორც ჩანს, აკრძალვა შეეხებოდა ისევ ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე ყავისფერი აბრეშუმის ყიდვას, ვინაიდან 1466 წელს გამწვავებული იყო სავაჭრო ურთიერთობანი ინგლისის მეფე ედუარდ IV-სა და ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე კეთილს შორის.

1466 წლის 3 ივნისს კომპანიამ მიიღო წერილი ზღვის გაღმა რეზიდენტის უილიამ კექსტონისაგან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მიუხედავად პარლამენტის მიერ დაწესებული აკრძალვისა, ვაჭრები არღვევდნენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას. ამ მიზნით გადაწყდა გაეგზავნათ ავანტიურისტთა კომპანიის ელჩები უილიამ კექსტონთან (1:284).

საინტერესოა იმ წერილის შინაარსი, რომელიც გაეგზავნა ზღვის გაღმა მმართველ იულიამ კექსტონს. მას სწერდნენ: „ერთგულო ბატონო! მოგესალმებით და გიგზავნით ამ წერილს. მაშინვე მიიღეთ თუ არა ჩვენთვის მოწერილი თქვენი წერილი, ამა წლის 27 მაისს, და გაცნობებთ, რომ ჩვენ გვსურს და გთხოვთ ზუსტად შეასრულოთ პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ზუსტად გამოიკვლიოთ დამრღვევნი და შეასრულოთ კანონის ყველა მოთხოვნა. ჩვენ მოვითხოვთ, რათა ჩვენი კომპანიის წევრების მიერ

არ დაირღვეს ამ აქტის არც ერთი პუნქტი, ხოლო თუ ვინმე იქნება შემჩნეული იმაში, რაც აკრძალულია, მაშინვე გამოასწორეთ ეს, ორდონანსის შესაბამისად". წერილს ხელს აწერენ კომპანიის მამასახლისები; ჯონ ტეიტი, ჯონ მარშალი, ედუარდ ბეტე და ჯონ ბრაუნი (1:285).

ზღვის გაღმა მმართველმა უილიამ კექსტონმა გრაფი უარიკისაგან მიიღო წერილი, რომელშიც ჰერცოგი ატყობინებდა მას ინგლისელი ვაჭრების, მათ შორის მერსერების მიერ ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე ვაჭრობის ამკრძალავი პარლამენტის აქტის დარღვევას.

გამოდის, რომ ინგლისელი ვაჭრები, მიუხედავად აკრძალვისა, დაიარებოდნენ ბურგუნდიის ჰერცოგის სამფლობელოებში სავაჭროდ, სძლევდა მათში მოგების ძლიერი სურვილი.

1467 წლის ქორწინებრივი კავშირით ედუარდ IV-ის დის მარგარიტასა და ბურგუნდიის ჰერცოგ შარლ უშიშარს (1467-1477) შორის აღდგენილ იქნა სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის. ვაჭარ ავანტიურისტებმა ნიდერლანდებში მიიღეს ვაჭრობის შეღავათიანი პირობები და მალე ინგლისური მაუდის ექსპორტი ფლანდრიაში და ბრაბანტში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია 15 ათას თოფს წელიწადში, რაც 3,5-ჯერ სჭარბობდა 1461-1466 წლების დონეს (56:28).

1468 წელს, დაბრუნდნენ რა ფლანდრიიდან ლონდონელი ვაჭრები და მაგნატები, რომელნიც ახლდნენ მეფის დას მარგარიტას, მის შარლ უშიშარზე დაქორწინებისას, მოაწყვეს თავდასხმა ფლანდრიელებზე საუსვორკში (ფლანდრიელ ვაჭრებს ფაქტორიები ჰქონდათ საუსვორკში, ლონდონში და სხვა რაიონებში) მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რომლის დროს დაიღუპა ასობით ადამიანი. მიზეზი თავდასხმისა, მემატიანეების მიხედვით იყო ინგლისელთა განაწყენება ფლანდრიის ქალაქის მცხოვრებთა ცუდი დახვედრით. ხოლო 1470 წელს, როცა გრაფი უარიკის აგენტებმა მოაწყვეს ბრძოლა ედუარდ IV-ის წინააღმდეგ ლონდონელებმა და კენტელებმა მიანგრ-მოანგრიეს ფლანდრიელების სამიკიტნოები, ბრძოლა გაგრძელდა შემდგომაც.

1477 წლის შემოდგომაზე ედუარდ IV აწარმოებდა მოლაპარაკებას ბურგუნდიის ჰერცოგის წარმომადგენლებთან ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტები (1:100-101). როგორც ჩანს ინგლისის დიპლომატიის დიდ ყურადღებას იპყრობდა ბურგუნდიის ბაზარი.

შემდგომ პერიოდში კვლავ წყდება სავაჭრო კონტაქტები მათ შორის, რაც განაპირობა იმან, რომ საფრანგეთის მეფემ ლუი XI-მ შეიერთა ბურგონის (ბურგუნდიის) საჰერცოგო, ხოლო ნიდერლანდები და ბურგუნდიის საგრაფო (ფრანშ-კონტე) მოექცნენ ჰაბსბურგების მბრძანებლობაში.

1484 წელს ინგლისელებს აეკრძალათ საქონლის ყიდვა ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებში (1:157), რაც გამოხატავდა წინააღმდეგობას ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

1477 წელს მოკლეს ბურგუნდიის ჰერცოგი შარლ თამამი. მისი ერთადერთი მემკვიდრე და ასული მარი ბურგონელი ცოლად გაჰყვა ავსტრიის ერცჰერცოგს მაქსიმილიანე ჰაბსბურგს. ბურგონი შეუერთდა საფრანგეთს, ხოლო ნიდერლანდები - ავსტრიას. 1484 წელს დაიდო არასის ზავი, რითაც ბურგუნდია შეინარჩუნა საფრანგეთმა, ნიდერლანდები კი — ავსტრიამ.

იმავე წელს მერსერთა კორპორაციიდან 16 კაცმა შეადგინა ინსტრუქციები (სავაჭრო საკითხებზე), რომელიც უნდა წარედგინათ მეფისათვის. შემდეგ, 20 იელისს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაიკითხეს ეს ინსტრუქცია, რომელშიც შეტანილი იყო შემდეგი მუხლები:

1. ეთხოვოს, რომ არც ერთმა ინგლისელმა ვაჭარმა არ უნდა გაგზავნოს თავისი საქონელი ბურგუნდიის ჰერცოგის მიწაზე და იქ არაფერი არ უნდა იყიდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიესჯება საქონლის კონფისკაცია ან სხვა რამ სასჯელი.

2. არავის არ უნდა ჩაეცვა მათი ე.ი. (ბურგუნდიელთა) ტანსაცმელი, მისი ჩამორთმევის მუქარით. გარდა იმ საქონლისა, რომელიც ნაყიდი იყო წმინდა ბართლომეს ღამემდე (1:157).

ბურგონის საჰერცოგოს მიწები 1477 წლიდან ინკორპორირებული იყო საფრანგეთის მიერ და ამ მიწებზე ვაჭრობის

აკრძალვა კიდევ ერთხელ ადასტურებს წინააღმდეგობას ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ხოლო იმავე წლის 4 ნოემბერს გაიმართა მერსერთა კორპორაციის კრება, რომელზედაც განიხილეს, რომ 9 აგვისტოს ორდონანსში (რომლითაც იკრძალებოდა ვაჭრობა ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე) დაარღვია მამასახლისმა ჰიუ კლოპტონმა, რომელმაც იქ შეისყიდა 3 ათას გირვანქა სტერლინგამდე ღირებული საქონელი. კრებაზე განიხილეს, რომ მისთვის 100 გირვანქა სტერლინგი ჯარიმის გადახდა მცირე სასჯელია და უნდა გადაყენებულ იქნას მამასახლისის თანამდებობიდან. მამასახლისმა ჰიუ კლოპტონმა უარყო თავისი დანაშაული, მაგრამ მიუხედავად ამისა, გადაიხადა ჯარიმა, ხოლო მამასახლისის თანამდებობაზე იგი დატოვეს, ეინაიდან კომპანიის წინაშე დადო ფიცი, რომ მომავალში კეთილსინდისიერად შეასრულებდა მოვალეობას. ასევე დაადანაშაულეს კომპანიის წევრები: რიჩარდ ჯონსი, ჯონ ისტონი, ნიკოლას ოლვინი, ჰენრი კანტლოუ, ჯონ რეინოლდი, ტომას უინდოტი და ჯონ სელფორდი ორდონანსის დარღვევაში, რომ მათ შეუსყიდიათ საქონელი ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე. კრებაზე დაადგინეს მათთვის გადაეხდევინებინათ ჯარიმა თითოეულისთვის 100 გირვანქა სტერლინგი (1:163).

1485 წლის 7 აპრილს მერსერთა კომპანიის კრებაზე კვლავ იმსჯელეს მამასახლისის ჰიუ კლოპტონის შესახებ, რომელმაც დაარღვია სავაჭრო ემბარგო. მას არსებული წესის მიხედვით, უნდა გადაეხადა ჯარიმა 100 შილინგის ოდენობით, ხოლო ამის ნაცვლად მან გადაიხადა შემდეგი:

1. 7 ფართო მოვერცხლილი ზარდახშა და ორი სახურავი;
2. 2 ვერცხლის ტაშტი;
3. 3 ვერცხლის შანდალი;
4. 2 ვერცხლის ქოთანი;
5. 2 ვერცხლის ტოლჩა.

გარდა ზემო აღნიშნულისა, მას კიდევ უნდა გადაეხადა 50 მარკა ჯარიმის გადახდის დაგვიანებისათვის (1:175).

როგორც ვხედავთ, კომპანია მამასახლისსაც არ ინდობდა, არ აპატიებდა ემბარგოს დარღვევას - აკრძალულ მიწაზე საქონლის ყიდვას. უფრო მეტიც, მას, მამასახლისს ჯარიმის გადახდის დაგვიანებისთვისაც გადაახდევინეს მეორე ჯარიმა.

იმავე წლის 16 აპრილს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაიკითხეს მეფის რიჩარდ III-ის (1483-1485) ბრძანება, რომლის თანახმად არც ერთი ქვეშევრდომი მეფისა არ გამგზავრებულიყო ქალაქ ბერგოუში და ბრაბანტში. არაფერი არ უნდა გაეყიდათ ან ეყიდათ იქაური მცხოვრებლებისაგან, ჯარიმის გადახდის მუქარით. ნაბრძანები იყო, რომ ყველას, ვინც ესწრებოდა კრებას, უნდა გაეფრთხილებინა კომპანიის სხვა წევრებიც ამის შესახებ (1:177);

როგორც ირკვევა, მეფე უკრძალავდა ინგლისელებს რომის საღმრთო იმპერატორის მიწებზე, ესე იგი გერმანიაში ვაჭრობას, მაგრამ მიუხედავად აკრძალვისა, ისინი მაინც არღვევდნენ მეფის ამ ბრძანებას. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ვაჭრებს არ სურდათ თავიანთი მოგების დაკარგვა.

ჩვენს განკარგულებაშია კიდევ ერთი აქტი, რომელიც გვამცნობს, რომ 1485 წელს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრების დადგენილებით, ბერგოუში, ბრაბანტში ინგლისისათვის აკრძალული იყო ვაჭრობა, ჯარიმის გადახდის მუქარით (1:177). მიუხედავად აკრძალვისა არის შემთხვევები, როცა არღვევენ ემბარგოს.

1485 წლის აპრილის აქტი გვამცნობს, რომ ვაჭარი ჯონ სელფორდი ემბარგოს დარღვევისათვის დაისაჯა, მას უნდა გადაეხადა 100 შილინგი. გარდა ამისა, მას უნდა მიეტანა მამასახლისებისათვის შავი ხავერდის ნაჭერი და ფლანდრიული მაუდი - 38 იარდი, ორი რულონი ბამბაზია. ხოლო 22 აპრილს კიდევ დამატებით უნდა მიეტანა 20 ნაჭერი სხვადასხვა ფერის აბრეშუმი. 5 მაისს კი, ხავერდის ნაცვლად, კიდევ 12 ნაჭერი აბრეშუმის ქსოვილი (1:178).

ამრიგად, 1485 წლის ეს დოკუმენტები გამოხატავდნენ წინააღმდეგობას ინგლისსა და რომის საღმრთო იმპერიას (გერმანიას) შორის, რომლის შემადგენლობაში შევიდა ნიდერლანდები. საფიქრებელია, ამ აკრძალვებს საფუძვლად ედო ტიუდორების

პოლიტიკა, რომელიც ასახავდა წინააღმდეგობას ერთი მხრივ ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ხოლო მეორე მხრივ წინააღმდეგობას, ინგლისსა და რომის საღმრთო იმპერიას შორის.

1486 წელს ავანტიურისტთა კრებაზე გადაწყდა, რომ რადგანაც მეფე ჰენრი VII (1485-1509) აპირებს აწარმოოს მოლაპარაკება კალეში რომის საღმრთო იმპერატორთან მათ სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენისა და გაუმჯობესების შესახებ, ამიტომ ლონდონის ლორდ-მერთან შეთანხმებით, უნდა გაიგზავნონ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წარმომადგენლები ლორდთა პალატაში, რათა იმსჯელონ ვაჭრობის საკითხებზე. მათ მეფესთან და მერთან შეთანხმებით წამოაყენეს კომპანიიდან ორი წევრი ნიკოლას ოლვინი და ჰიუ ბრაუნი და მათი სახელები და გვარები წარუდგინეს მერს. ასევე აირჩიეს თითო წარმომადგენელი სხვა კორპორაციებიდან (1:294).

საინტერესოა 1487 წლის 19 ივლისის წერილი ზღვის გაღმა მმართველის ჯონ პიკერნიგისადი მიწერილი, რომელშიც მოიპოვება ცნობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც მოელოდათ ინგლისელ ვაჭრებს ფლანდრიაში, ესე იგი რომის საღმრთო იმპერატორის მიწა-წყალზე. აი რას ვკითხულობთ წერილში: „პატივცემულო ბატონო! გულითად მადლობას გიცხადებთ თქვენი მუდმივი გულმოდგინებისათვის ღმრთის დიდებისა და ინგლისის ვაჭრობის აყვავებისათვის. გაცნობებთ იმ არასასიამოვნო ხმების შესახებ, რომ ინგლისელებს და მათ საქონელს მოელის დიდი უსიამოვნება დიუნკერკში და ფლანდრიის სხვა ადგილებში, როცა ისინი დააპირებდნენ იქიდან გამომგზავრებას.

ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ თქვენ გეცოდინებათ სიმართლე, ჩვენ გვჯერა თქვენი ავტორიტეტის ძალისა და იმედი გვაქვს გამოიხსნით ხალხს და საქონელს რომის იმპერატორის მიწებიდან. ძალიან გაგვაოცა იმ გარემოებამ რის შესახებაც თქვენ, ალბათ, იცით რომ ჩვენმა მეფემ გაუგზავნა ყველა შერიფს და სხვა მოხელეებს, პროკლამაცია, რომელიც გასულ კვირას წაკითხულ იქნა ლონდონის მოედნებსა და მის გარეუბნებში. პროკლამაციაში ნათქვამი იყო, რომ არავის არ ჰქონდა უფლება დაეტაცა, გაეძარცვა

და ზარალი მიეყენებინა რომის იმპერატორის ქვეშევრდომთათვის (იგულისხმებიან ვაჭრები – ი.ბ) ან დაეპატიმრებინათ სპეციალური ნებართვის ან მეფის წერილობითი ბრძანების გარეშე, სიკვდილის სასჯელის მუქარით. მეფის ამ პროკლამაციის ასლს გიგზავნით წერილთან ერთად. ეს ის დროა, როცა ჩვენს ვაჭრებს ემუქრებოდნენ დიუნკერში.

ჩვენ ვიმედოვნებთ და გულითადად გთხოვთ, რათა იხმაროთ ყოველი ძალ-ღონე და უზრუნველყოთ იქიდან (რომის საღმრთო იმპერატორის მიწებიდან – ი.ბ). ჩვენი გემების მშვიდობიანი გამომგზავრება და გამოაგზავნეთ გასაყიდი საქონლის ტვირთი 4 ან 6 კაცის თანხლებით. არ დააყოვნოთ გემები, დააჩქარეთ მათი გამომგზავრება პირველი ზურგის ქარისთანავე ინგლისის ნებისმიერი ნავსადგურისაკენ. დაე, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

წერილს ხელს აწერდნენ ოლდერმენი და შერიფი ჰიუ კლოპტონი, მერსერთა მამასახლისები-ნიკოლას ოლვინი, ჰენრი კანლოუ და რიჩარდ ჰეინსი (1:298).

წერილს ბოლოში აქვს შემდეგნაირი აღნიშვნა: Z : | : C რაც სავარაუდებელია რომ ხელმოწერაა, ან კომპანიის ნიშანი.

1487 წლის 26 სექტემბრის დოკუმენტიდან კი ირკვევა, რომ მეფემ გამოთქვა უკმაყოფილება იმ ვაჭრების მიმართ, რომლებმაც ნებართვის გარეშე გადაწყვიტეს გამგზავრება რომის იმპერატორის სამფლობელოებში, თუმცა იცოდნენ, რომ არ იყო მეგობრობა და კავშირი, მასსა (ინგლისის მეფესა) და რომის იმპერატორს (გერმანიის მბრძანებელს) შორის.

კრებაზე გამოცხადდა, რომ თუ თუნდაც ერთი ვაჭარი გაბედავდა წასვლას იქ (რომის იმპერატორის მიწებზე – ი.ბ), მეფის სპეციალური ნებართვის გარეშე მოელოდა მკაცრი სასჯელი. ვაჭრებს თავი უნდა შეეკავებინათ წასვლაზე 15 ნოემბრამდე, ხოლო შემდეგ შეიძლება გაცემული ყოფილიყო ნებართვა გამგზავრებაზე (1:303).

გამოდის, რომ ინგლისელ ვაჭრებს სურდათ გამგზავრება რომის საღმრთო იმპერატორის მიწებზე ე.ი. გერმანიაში რასაც მათი მეფე

უკრძალავდა მათ. მაშასადამე, იყო შემთხვევები შეუთანხმებლობისა ვაჭრებსა და მეფეს შორის. ხოლო სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისსა და გერმანიას შორის დაკავშირებული იყო ამ ორ სახელმწიფოს შორის გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებასთან.

1489 წლიდან უკვე ჩანს სავაჭრო კონტაქტები ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის, რომელიც რომის საღმრთო (გერმანიის) იმპერატორის დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. აი, რას ვკითხულობთ „ნიუბოლდის წიგნში“: 1489 წელს დაცვა გემებისა, რომელნიც დაბრუნდნენ ბამასისა და ჩრდილოეთის ბაზრობიდან, ვაჭარ-ავანტიურისტებს დაუჯდათ 335 გირვანქა სტერლინგად, ხოლო ტვირთის გადაზიდვაზე ხარჯები შეადგენდა 251 გირვანქას, 3 შილინგსა და 4 პენსს (1:201-202). მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ინგლისურ გემებს აპატიმრებდნენ ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე რომის საღმრთო იმპერატორის ბრძანებით, ვინაიან ინგლისური გემები არღვევდნენ ნავიგაციის წესებს. გარდა ამისა, ინგლისურ გემებს მოსდევდნენ ლონდონამდე ან ინგლისის სხვა ნავსადგურებამდე დარღვევების გამო და აპატიმრებდნენ. ყოველივე ეს კი იწვევდა ზარალს, ამიტომ კომპანია მზად იყო გადაეხადა გარკვეული თანხაც კი მხოლოდ არ დაეპატიმრებინათ ინგლისური გემები. ზემო ნათქვამს ადასტურებს 1489 წლის 25 თებერვლის დოკუმენტი, რომელიც შემდეგს გვაცნობებს; კომპანიის საერთო კრებაზე განიხილეს: საკითხი იმის შესახებ, რომ დააპატიმრეს ინგლისელთა გემები, რომლებიც გაემართნენ ზელანდიაში და შემდეგ ჩამოვიდნენ ინგლისში, რის გამოც ჩაწვა მათი საქონელი და ბევრი ვაჭარი დაზარალდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად გადაწყდა, რომ თუ ინგლისურ გემს დააპატიმრებდნენ ბურგუნდიის ჰერცოგის მიწაზე, ანდა ლონდონში ან ინგლისურ ნავსადგურში შემოსულ გემს რომის საღმრთო იმპერატორის ხელისუფლების წარმომადგენლები, მაშინ ეს საქმე გულდასმით უნდა შეესწავლათ ლონდონის საერთო კრებაზე და კომპანიის გადაწყვეტილებით, უნდა გადაეხადათ 100 მარკა ვერცხლი. აღნიშნული ზომების გატარება აუცილებელი იყო, რათა არ დაეშვათ ინგლისური გემების დაპატიმრება (1:204).

ზოგჯერ მეფე, საერთოდ, უკრძალავდა ვაჭრებს გამგზავრებას ბაზრობაზე. მაგალითად 1491 წლის 19 მაისს ავანტიურისტთა კრებაზე განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ მეფეს არ სურდა რომელიმე ინგლისური გემი გამგზავრებულიყო სინკსონის ბაზარში იმის გამო, რომ ცუდად მოექცნენ ინგლისურ გემს („გრიფიტსონს") ზელანდიაში. ამიტომ არც ერთ ინგლისურ ხომალდს არ უნდა ჩაეშვა ღუზა ზელანდიაში. გარდა ამისა, როგორც ამას ზღვის გალმა მმართველი აცნობებდა კომპანიას, მოსალოდნელი იყო რომის სალმრთო იმპერატორის დიდძალი ჯარების ჩამოსვლა ბრაბანტში, ჰოლანდიასა და ზელანდიაში (1:216).

ინგლისის მეფე იცავდა თავისი ქვეყნის ვაჭართა ინტერესებს, როცა მათ გემებს ავიწროებდნენ ბაზრობაზე, ან თუ მათ მოელოდა საფრთხე.

საინტერესოა 1493 წლის ლონდონის ლორდ-მერის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ!

„მართლმორწმუნე და ჩვენო ერთგულო მეგობრებო!

მივიღეთ თქვენი წერილი, რომელმაც დაგვარწმუნა თქვენს ჩვენდამი ერთგულებაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს წინადადებას, რომ ვაჭრობის საერთო კეთილდღეობისათვის და ნორმალური ურთიერთობისათვის საჭიროა თავიდან იქნას აცილებული დაბრკოლებანი ბრაბანტში და ბრიუგეში, რისთვისაც მადლობას გიხდით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რადგანაც მეფემ მოამზადა ელჩი ერცჰერცოგთან და მის საბჭოსთან გასაგზავნად, მას სურს შეიტყოს მისი მეშვეობით საბოლოო გადაწყვეტილება, სანამ ჩვენც არა გვაქვს მეფისაგან არავითარი მითითება ამის თაობაზე, არ შეგვიძლია მოგცეთ ზუსტი პასუხი წერილზე. ჩვენ თუ შევიტყობთ, რომ მეფე არ არის წინააღმდეგი, ვაჭრობის განახლებისა ბრიუგესთან და ბრაბანტთან, რა თქმა უნდა, ბაჟისა და მაუდის ქსოვილების ხელუხლებლობის გარანტიით, - მაშინ ჩვენ ვიქნებით მოხარულნი გავაკეთოთ ისე, როგორც თქვენ გსურთ (1:575).

აქედან ისიც ჩანს, რომ ბრაბანტი და ბრიუგე დაინტერესებულნი იყვნენ სავაჭრო ურთიერთობის განახლებით ინგლისთან.

ამის შემდეგ 9 ივლისს გაიგზავნა წერილი ბრიუგეში, რომლითაც სთხოვდნენ ფლანდრიის კაპიტანს ზომიერი ბაჟის დაწესებას ფლანდრიაში შეტანილ ინგლისურ საქონელზე, ხოლო იმავე წლის 5 სექტემბრის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ზღვის გაღმა მხრიდან – ბრიუგედან ჩამოიტანეს კონდუიტის ასლი საქონელზე ზომიერი ტაქსაციისა (ბაჟისა), რომელიც უნდა წარედგინათ ფლანდრიისა და ზელანდიის მმართველებისათვის (1:578).

როგორც ირკვევა საბაჟო გადასახადების აღრიცხვის ჟურნალის ასლი რჩებოდა ინგლისელ ვაჭრებთან. მათ შეეძლოთ ნებისმიერ დროს შეემოწმებინათ, რათა არ დაეშვათ ინგლისურ საქონელზე ბაჟის ოდენობის შეცვლა, ე.ი. გაზრდა:

1493 წლიდან ისევ შეწყდა ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა. ამ წელს ვაჭარ-ავანტიურისტებმა შეიმუშავეს მუხლები, რომელნიც შეიცავდნენ ვაჭრობის შეზღუდვას ზემო აღნიშნულ მიწებზე. აი რას ვკითხულობთ ამ მუხლებში:

1. „ვაჭრობის შეზღუდვა მოგვიტანს ჩვენ დიდ ზიანს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი ვალია დავემორჩილოთ მეფის ბრძანებას და უნდა დავიცვათ მისი კეთილდღეობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ გატარდა თუნდაც ერთი ღონისძიება ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ, ის უნდა შეეხოს თანასწორად ყველა ვაჭარს, როგორც ადგილობრივ-ინგლისელებს, ისე უცხოელებს.

2. არც ერთ ვაჭარს არა აქვს უფლება აწარმოოს ვაჭრობა რომის საღმრთო იმპერატორის მიწებთან. არ უნდა შეიტანოს საქონელი მის სამფლობელოში არსებული კანონის მოქმედების დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრება ამ საქონლის კონფისკაცია. იგივე შეეხება იმ საქონელს, რომელიც ნაყიდია იმ მხარეში ამკრძალავი კანონის მოქმედებამდე.

3. რადგან ჩვენ არ ვიცით როგორ აიძულებენ უცხოელ ვაჭრებს დაიცვან ეს კანონი აკრძალვის შესახებ და რადგან ვფიქრობთ, რომ უცხოელები (არ მიაქცევენ ყურადღებას აკრძალვას) და მაინც იყიდიან საქონელს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა გამოცხადებულ იქნას: მეფის არც ერთმა ქვეშევრდომმა არ უნდა გაბედოს მათგან (უცხოელებისგან) იყიდოს არც აქ, არც ზღვის გაღმა, არც მათი

ფაქტორებისაგან 4 წლის მანძილზე კანონის მოქმედების პირველი დღიდანვე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზუსტებული უნდა იყოს სასჯელად ნაყიდი საქონლის კონფისკაცია.

4. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ ვინმე უცხოელი ვაჭრებიდან შეძლებს მიიღოს ლიცენზია მათი საქონლისათვის კემპენში ან სხვა ადგილას, მაშინ ჩვენც უნდა მოგვეცეს უფლება წავიდეთ იმავე ნავსადგურში ჩვენი საქონლით და მოგვეპყრონ იქ ისე, როგორც ჩვენ ვეპყრობით მათ აქ, ინგლისში.

5. ვფიქრობთ, რომ ყველა ლიცენზია, მითითებები კვლავ უნდა დამტკიცდეს სპეციალური პროკლამაციით. ყოველ ჩვენს ვაჭარს, რომელსაც ექნებოდა ლიცენზია და ზღვაზე გასვლის პასპორტი, მან უნდა იკისროს, რომ არც ის და არც სხვა ვინმე მისი დაავალებით არაფერს არ იყიდის რომის იმპერატორის ქვეყნებში.

6. თუ ინგლისელი ვაჭრების მიმართ იქნება დაწესებული აკრძალვა, მაშინ იგივე აკრძალვა უნდა შეეხებოდეს უცხოელ ვაჭრებსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მიაყენებს უდიდეს ზარალს ინგლისის მეფის ქვეშევრდომებს (ე.ი. ვაჭრებს – ი.ბ).

7. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ დაიწეროს წერილი ჩვენი საწყობების დახურვის შესახებ იქ (რომის იმპერატორის მიწებზე – ი.ბ) და გაეგზავნოს წერილი ზღვის გაღმა მმართველს. მაგრამ ჯერ ის უნდა უჩვენონ მეფეს (1:580-581).

როგორც ჩანს უცხოელი ვაჭრები, აკრძალვის მიუხედავად, ყიდულობდნენ და აგზავნიდნენ საქონელს ნებისმიერ ქვეყნებში და მათ შორის ინგლისშიც. უკეთუ ვაჭრობის ცალმხრივი აკრძალვა მხოლოდ ინგლისელთათვის გაგრძელდებოდა შემდეგშიც, ეს გამოიწვევდა დიდ უწესრიგობას, მოუტანდა დიდ ზიანს და გაკოტრებას ინგლისელ ვაჭრებს. ამიტომაც ინგლისელმა ვაჭრებმა შეიმუშავეს სპეციალური მუხლები და წარუდგინეს იგი ლორდ-კანცლერს.

1493 წლის 16 სექტემბერს ვაჭრები გაემართნენ მეფესთან, თან წაიღეს ყველა წერილი და დეკლარაცია, ასევე ზღვის გაღმა გასაგზავნად სპეციალური წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო ინგლისელთა მიერ საბაჟო კანტორებისა და საწყობების დატოვების

შესახებ, ასევე მათი მმართველის, კლერკების, კაპელანების, კურიერის და სხვა მოხელეების იქიდან გამოწვევის შესახებ.

მეფე კმაყოფილი დარჩა. მან განაცხადა, რომ იგი აპირებდა, ვაჭართა მიერ შედგენილი მუხლების შესაბამისად, სპეციალური პროკლამაციის გამოშვებას რომის საღმრთო იმპერატორის და ავსტრიის ერცჰერცოგის მიწებთან ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ (1:582-583).

ინტერესს მოკლებული არაა 1493 წლის წერილი, რომელიც გაიგზავნა ქალაქ ბრიუგეში ზღვის გაღმა მმართველის ჯონ ეტვილის მიმართ. აი რა ეწერა ამ წერილში: „კეთილშობილო ბატონო! უნდა გაცნობოთ იმ უკმაყოფილების შესახებ, რომელიც მიაყენა მეფეს იმან, რომ ჩვენი კომპანიის წევრები მანდ, თქვენთან, ზღვის გაღმა არღვევენ მეფის კანონს, აგრძელებენ ინტენსიურ ვაჭრობას, ყიდულობენ საქონელს მანდაური ვაჭრებისაგან „შეზღუდვის გარეშე. ამიტომ უნდა მოხდეს მათი საქონლის კონფისკაცია ან უნდა გადაახდევინოთ საქონლის ღირებულება. ასევე უნდა მოექცეთ ყველა იმ საქონელს, რომელიც ნაყიდია, გაყიდულია ან მანდ დატოვებულია.

ყოველგვარი გაუგებრობისა და უხერხული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით უნდა გამოუცხადოთ მეფის ყველა ქვეშევრდომს ზღვის გაღმა, რომ ნუ დაუშვებენ ამ შეზღუდვის დარღვევას. რაც ისე მათთვისაა სასარგებლო და, უმჯობესია, ისინი წამოვიდნენ იმ მხრიდან სახლში და არ დაუშვან მეფის ბრძანების დარღვევა.

ყველაფერი უნდა იღონოთ ამისათვის და დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოთ ჩვენი თხოვნა, უნდა გაათავისუფლოთ ჩვენი პავილიონი, ასევე დაითხოვოთ კაპელანები და სხვა მოხელეები თანამდებობიდან.

განსაკუთრებით, გთხოვთ პირადად ადევნოთ თვალყური გამოგზავნას, ჩვენი ძვირფასეულობისა და სხვა ნივთებისას, რომელთაც ჩვენი კაპელანები იყენებდნენ ღვთისმსახურებისათვის. ასევე იზრუნეთ, რათა შეინახოთ ჩვენი ჩანაწერები სავაჭრო გარიგებების, პრივილეგიებისა და სხვათა შესახებ. იზრუნეთ, რომ შეინახოთ ისინი უსაფრთხო ადგილას.

ამავე დროს გაცნობებთ, რომ ორი ჩვენგანი იყო მეფესთან ნორტჰემპტონში, ვუჩვენეთ მას ჩვენი ორი წერილი და ლიცენზია. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ პირველი დღიდანვე, იგი არავის არ მისცემდა ლიცენზიას ვაჭრობაზე, მაგ., ქვეყნებთან." (1:586).

საბოლოოდ 1494 წლის 2 მაისს უესტმინსტერში შეიკრიბნენ: ლონდონის ლორდ-მერი, ოლდერმენები, ლორდ-კანცლერი, სამეფო-საბჭოს წევრები, მამასახლისები და ასევე უცხოელი ვაჭრები. მიმართა მათ სიტყვით და გამოუცხადა მეფის ბრძანება, რომლის მიხედვით, ყველა მისმა ქვეშევრდომმა ვაჭარმა, ასევე უცხოელებმაც თავი უნდა შეიკავონ ყიდვა-გაყიდვისაგან რომის საღმრთო იმპერატორის მიწებზე. რომ დატოვონ აღნიშნული მიწები თავიანთი საქონლით იმ დღისათვის, რომელსაც მეფე იხსენებდა ზღვის გაღმა მმართველ ჯონ ეტველისა და კალეს ხელისუფალთა მიმართ წერილში, ხოლო ზუსტი თარიღის შესახებ ლორდ-კანცლერი მაშინ არ იყო ინფორმირებული.

ლორდ-მერის მიერ გამოცხადდა, რომ 15 დღის განმავლობაში იმის შემდეგ, რაც ცნობილი შეიქმნება იქ ზღვის გაღმა მეფის წერილის შესახებ, ყოველი ვაჭარი თავისი საქონლით უნდა დაბრუნდეს თავის სახლში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელის მეფის სასჯელი. ყოველივე ამის შესახებ გამოცხადდა კორპორაციაში და თითოეულმა, ვინც კი მოისმინა ეს, უნდა გაეფრთხილებინა სხვები.

როგორც ცნობილია, 1496 წ. ინგლისი გამოვიდა გამარჯვებული: „Intercursus magnus - ის შესაბამისად. ჰენრი VII-მ (1485-1507) მიაღწია ინგლისური მაუდის თავისუფალი შეტანის უფლებას ნიდერლანდებში. ხოლო ნიდერლანდებში წაროქმნილმა რელიგიურმა მღელვარებამ, ფეიქართა ემიგრაციამ ჰერცოგი ალბას მმართველობის ჟამს, განაპირობა ფლანდრიის მრეწველობის დაცემა და ინგლისის მაუდის წარმოების გაფურჩქვნა, რომელმაც XVI-XVII საუკუნეებში მიაღწია დიდ აღმავლობას (78:490).

1496 წლიდან ინგლისელი ვაჭრები ისევ გამოჩნდნენ ნიდერლანდების ბაზრებზე და სავაჭრო ურთიერთობა აღდგენილ იქნა ამ ორ ქვეყანას შორის (75,421) მაგრამ სხვადასხვა ბაზრებზე -

ქ.ბეროუში, მიდლბურგში, ბრაბანტში ადგილი ჰქონდა ინგლისელი ვაჭრების საქონელზე უსამართლო საბაჟო გადასახადის დაწესებას. 1496 წელს ავსტრიის ერცჰერცოგის მიერ ბრაბანტში დაპატიმრებულ იქნა ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის წევრი მრავალი ვაჭარი და მათგან მოითხოვდნენ გერმანული მონეტის წმ. ანდრიას გულდენის გადახდას გასაყიდი ქსოვილის ყოველ ნაჭერზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ საქონლის კონფისკაციით. ამის შესახებ ვაჭრებმა მისწერეს მეფე ჰენრი VII-ს და სთხოვეს დახმარების აღმოჩენა.

ამავე წელს ინგლისელ ვაჭრებს ზღვის გაღმა გაეგზავნათ ჰენრი VII-ის წერილის ასლი. რომელშიც ჩაწერილი იყო: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის (ინგლისის მეფესა და ბურგუნდიის ჰერცოგს შორის) დაიდო შეთანხმება ვაჭრობის შესახებ, ჩვენ შეგვატყობინეს, რომ (ავსტრიის), ერცჰერცოგმა ბრძანა ჩვენი სამეფოდან გატანილი ქსოვილები, დაიბეგროს ახალი ბაჟით - (წმინდა ანდრეას გულდენით). ჩვენ კარგად ვიცით, რომ ახალი გადასახადი ეწინააღმდეგება ჩვენს შორის მეგობრული ურთიერთობის აქტს, ამიტომ ვლებულობთ რა მხედველობაში ვაჭარ-ავანტიურისტთა თხოვნას, გიბრძანებთ არ გადაიხადოთ არც ეს და არც სხვა რომელიმე ბაჟი, გადაიხადეთ მხოლოდ ის ბაჟი, რომელიც დაწესებული იყო ძველი შეთანხმებით (1:601).

მეფე აცხადებდა, რომ ყოველივე ეს ეწინააღმდეგებოდა ძველ წეს-ჩვეულებას, (ე.ი. პრივილეგიებს – ი.ბ) და მის ახლანდელ მოლაპარაკებას ავსტრიის ერცჰერცოგთან და ურჩევდა ინგლისელ ვაჭრებს რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში, თანაც უნდა ემოქმედათ სწრაფად, საიდუმლოდ, ხოლო როდესაც დაბრუნდებოდნენ ვაჭრები, მაშინ მეფე მიიღებდა ზომებს, რაც უზრუნველყოფდა მათ ღირსებას და კეთილდღეობას.

საინტერესოა მეორე წერილი, რომელშიც ვაჭრები წერდნენ იმ ზარალის შესახებ, რაც მიაყენეს მათ ბაჟის ამკრეფებმა ანტვერპენში. ამ ბაზარზე მებაჟეები იღებდნენ ქსოვილის ყოველ ნაჭერზე 0.5-ჯერ მეტს, ვიდრე ისინი იღებდნენ გასულ სეზონში, იმაზე გაცილებით უფრო მეტს ვიდრე ეს ფიქსირებული იყო დადებულ

შეთანხმებაში, ხოლო ხშირად სამჯერ მეტს ვიდრე მათ უნდა გადაეხადათ კანონით. როცა ვაჭრებმა მიმართეს ანტვერპენის მთავრობას, მათ უპასუხეს, რომ არაფრის შეცვლა არ შეეძლოთ და თავი გაიმართლეს იმით, რომ ყველა ეს საქმე იმყოფებოდა ავსტრიის ერცჰერცოგის ხელში, რომლის ხელისუფლება იყო უფრო მაღალი, ვიდრე მათი. ასე, რომ ვაჭრები ამაოდ ეძებდნენ დაცვას ბრაბანტის კანცლერისაგან.

უნდა მიექცეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ინგლისელი ვაჭრების დაბრკოლებით სარგებლობდნენ ბრაბანტის ხელისუფალნი და ცდილობდნენ გამოეძალათ მათგან, რაც შეიძლება მეტი.

როგორც გამოირკვა, ბრაბანტის კანცლერმა ინგლისელ ვაჭრებს გამოუცხადა, რომ ისინი მისულიყვნენ ბრიუსელში და იქ მისცემდნენ მათ საბოლოო პასუხს საბაჟო გადასახადის შესახებ. ბრიუსელში ვაჭრებს განუმარტეს, რომ არ გადაეხადათ ბაჟი იმაზე მეტი, რასაც იხდიდნენ წარსულში და იქიდან აცნობეს ანტვერპენის დიდებულებს, თვალყური ედევნებინათ, რომ მებაჟეებს არ მიეყენებინათ ზარალი და ვაჭრებისგან აეღოთ ბაჟები ძველი წესის მიხედვით. ინგლისელი ვაჭრები ამის შემდეგ გადავიდნენ მიდლბურგში.

ინგლისელ ვაჭრებს უხდებოდათ ბრძოლა და ჩივილი არა მარტო უსამართლო ბაჟების გამო, არამედ იყო შემთხვევები, როცა მათ დიდ მატერიალურ ზარალსაც აყენებდნენ. აპატიმრებდნენ და მოითხოვდნენ მათგან არაკანონიერ გადასახადს. ამ მხრივ საინტერესოა 1496 წელს მეფე ჰენრი VII-ის მიერ ავსტრიის ერცჰერცოგისათვის მიწერილი წერილი, რომელშიაც მეფე აღნიშნავს იმ დიდი ზიანის შესახებ, რომელიც მიაყენეს ინგლისელ ვაჭრებს მის, ერცჰერცოგის მიწებზე. წერილში აღნიშნულია, რომ ინგლისელი ვაჭრები ჩავიდნენ ქსოვილებით და სავაჭრო სხვა საქონლით დატვირთული გემებით, ზელანდიაში და, იქიდან, მდინარით უნდა მიცურებულიყვნენ ანტვერპენში, სადაც ვარაუდობდნენ საქონლის გაყიდვას. მაგრამ ისინი (ინგლისელი ვაჭრები – ი.ბ) ადგილობრივი მოხელეების მიერ დაპატიმრებულ იქნენ და მოითხოვეს მათგან ყოველ ნაჭერზე გადაეხადათ ოქროს ფლორინი.

ეს იყო მოქმედი შეთანხმების დარღვევა, ინგლისელმა ვაჭრებმა არ გადაიხადეს ეს ფლორინი, რის გამოც მებაჟეებმა აუკრძალეს მათ ვაჭრობა, დაუხურეს სავაჭრო სახლები, სადაც ინახებოდა მათი ქსოვილი და ყოველ მათ დუქანზე ჩამოჰკიდეს 2-3 ბოქლომი. გარდა ამისა, უხეშად ესაუბრებოდნენ ინგლისელ ვაჭრებს, ხოლო ბრაბანტის მთავარი პროკურორი აიძულებდა ინგლისელ ვაჭრებს, რომ ქსოვილები მისთვის დაეტოვებინათ, რასაც იმით ასაბუთებდა რომ, თითქოს, ინგლისელი ვაჭრები იხდიდნენ ბაჟს – თითო ფლორინს. ვაჭრები თავს იკავებდნენ ბაჟის გადახდაზე, ხოლო (მებაჟეები) ძალით ახდენდნენ ქსოვილების გემებიდან გადმოტვირთვას. ითვისებდნენ ამ ქსოვილებს და აიძულებდნენ ვაჭრებს ფლორინი გადაეხადათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ უკრძალავდნენ ვაჭრობას, ხოლო როცა ინგლისელმა ვაჭრებმა გაყიდეს თავიანთი საქონელი, იყიდეს სხვა და დაიწყეს მათი დატვირთვა გემებზე თავიანთ ქვეყანაში გასაგზავნად, მაშინ მებაჟეებმა კვლავ მოითხოვეს ამ ვაჭრებისაგან დიდი გადასახადის გადახდა. ემუქრებოდნენ მათ რომ არ მისცემდნენ უფლებას გაეგზავნათ თავიანთი საქონელი სახლში. გარდა ამისა, „ჩვენი ქვეშევრდომნი კიდევ დაბეგრეს ახალი გადასახადებით: ღუზის ჩაშვებისათვის ორი გროტით ტონა ტვირთზე, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება დადებულ შეთანხმებას. უფრო მეტიც, ანტვერპენში დააპატიმრეს ინგლისელი ვაჭრები იმის გამო, რომ არ გადაიხადეს ბაჟი ტყავის და სხვა სახის საქონელზე, რასაც არასოდეს არავინ იხდიდა, ხოლო ამან ძალიან აღელვა ვაჭრები (1:611).

თავის წერილობით პასუხში ერცჰერცოგი აღუთქვამდა ინგლისელ ვაჭრებს მათ მოთხოვნათა შესრულებას, მაგრამ ინგლისურ ქსოვილზე დაწესებულ ბაჟს – ფლორინს, ძალაში ტოვებდა, ამავე დროს ვაჭარ-ავანტიურისტებს გაეგზავნათ ავსტრიის ერცჰერცოგ (ფილიპეს) ბრძანების ასლი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყოველ ვაჭარს რომელიც ჩამოიტანდა ქსოვილებს ინგლისიდან, ირლანდიიდან და შოტლანდიიდან ერცჰერცოგის მიწებში უნდა გადაეხადა დაწესებული ბაჟი, მაგრამ ბევრმა არ გადაიხადა. გააკეთეს რა თავიანთი საქმე წაიღნენ და არ გადაიხადეს ბაჟი, რის გამოც

ერცჰერცოგი უჩივის ინგლისელ ვაჭრებს და ჩამოთვლილია დავალიანებულ პირთა სია:

1. ჯონ ბოუნი იმგზავრა ბეროუში. მას ვალად ედებოდა 1 გირვანქა სტერლინგი, 13 შილინგი და 8 პენსი ფლანდრიულ გროტებში.

2. უილიამ შეიმპიმ არ გადაიხადა 7 ფუთა ქსოვილზე ერთი გირვანქა სტერლინგი, 12 შილინგი და 8 პენსი გროტებში.

3. ჯონ დარპი - არ გადაიხადა 12 ნაჭერზე 2 გირვანქა სტერლინგი და 26 შილინგი.

4. რაუფ ოვერტონი - არ გადაიხადა 52 გირვანქა სტერლინგი და 6 ნაჭერ ბაიკაზე არ გადაიხადა 12 გირვანქა სტერლინგი, 2 შილინგი და 8 პენსი.

5. უილიამ ოვერტონი - 20 ნაჭერ და 9,5 ბაიკის ქსოვილზე არ გადაიხადა 4 გირვანქა სტერლინგი, 8 შილინგი და 1 პენსი.

6. ენდრიუ ჯონსონი - 6,5 ნაჭერზე არ გადაიხადა 1 გირვანქა სტერლინგი, 10 შილინგი და 4 პენსი.

7. რიჩარდ რაუსონი - 13 ნაჭერზე და 2,5 ბაიკაზე არ გადაიხადა 3 გირვანქა სტერლინგი 1 შილინგი და 8 პენსი.

8. არნოლდ კლეისონი - 15 ნაჭერზე და 19 ნაჭერ ბაიკაზე არ გადაიხადა 3 გირვანქა სტერლინგი და 6 პენსი.

საინტერესოა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც თარიღდება 1496 წლის 12 აპრილით. კრებაზე გადაწყდა მეფის ნებართვის შესაბამისად ინგლისური საქონელი გაეგზავნათ ბეროუში იმ გემებით (სულ იყო 4 გემი), რომელნიც სპეციალურად ამ მიზნით იყო ეკიპირებული, ხოლო თუ ვინმე ვაჭრებიდან დაიქირავებდა სხვა გემს და ეაარღვევდა შეთანხმებას, მაშინ მათ დანიშნული გეძების პატრონებისათვის და ხაზინადრებისათვის უნდა აენაზღაურებინათ ზარალი.

დატვირთული გემები ჯერ გაემართებოდნენ კალეში (კალე ხომ ინგლისელთა სასაწყობო ქალაქი იყო), იქიდან კი — ბეროუში, შემდეგ უკან ინგლისში უნდა გამოეგზავნათ იგივე გემები (4 გემი) მხოლოდ მაშინ, როცა მათ სრულად დატვირთავდნენ საქონლით.

კრებამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინგლისელებს თავიანთი ქსოვილები გაეტანათ ბეროუში და ზუსტად დაეცვათ ქარტია საქონლის გატანის შესახებ. მაგრამ თუ ვინმე მათგანი დაარღვევდა ამ პირობას, დაუყოვნებლივ უნდა დაესაჯათ. ამიტომ ვაჭრებს თვალყური უნდა ედევნებინათ, რათა არავის არ დაეტვირთა თავისი საქონელი სხვა გემებზე გარდა სპეციალურად ამ მიზნით დანიშნული გემებისა, (როგორც ამას მოითხოვდა საქონლის გატანის შესახებ კანონი), რომლებიც უნდა ჩასულიყვნენ ქალაქ კალეში, მაგრამ გემები არ უნდა დატვირთულიყვნენ მაუდის ქსოვილებით მათი ავსტრიის ერცჰერცოგის ტერიტორიაზე წასაღებად. ეს ჩაითვლებოდა ვაჭრობის აკრძალვის შესახებ ქარტიის დარღვევად.

ამიტომ მხედველობაში უნდა მიღებულ ყოფილიყო, რათა არც ისინი, არც სხვა გემები არ ყოფილიყვნენ გამოგზავნილნი უკან, სანამ არ იქნებოდნენ დატვირთულნი უკან წამოსვლისას, შეთანხმების შესაბამისად (1:601).

როგორც ჩანს, 1496 წელს საუბარი ისევ ეხებოდა ავსტრიის ერცჰერცოგის მიწებთან ვაჭრობის აკრძალვას.

1497 წელს ავსტრიის ერცჰერცოგი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ნიდერლანდები, ცდილობდა შეეზღუდა ინგლისური მაუდით ვაჭრობა ანტვერპენთან და ბეროუსთან. ამას მტრულად შეხვდნენ ლონდონელი ვაჭრები. იმავე წელს მათ მისწერეს ჰენრი VII-ს წერილი, რომლითაც მიუთითებდნენ, რომ თუ მათ ჩამოერთმეოდათ მათი საქონლის თავისუფალი შეტანის უფლება, ისინი აღმოჩნდებოდნენ ამ ქალაქების (ანტვერპენისა და ბეროუს, მუნიციპალიტეტის სრულ დამოკიდებულებაში (1:632).

ნიდერლანდების მმართველი დაინტერესებული იყო ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით. ამას ადასტურებს 1508 წლის 17 აპრილს ნიდერლანდების მმართველად დანიშნულ მარგარიტა ბურგუნდიელისა ავანტიურისტებისადმი მიწერილი და იმავე წლის 16 მაისს ვაჭარ-ავანტიურისტების მიერ მიდლბურგში ზღვის გაღმა მმართველისადმი მიწერილი წერილები, რომელნიც ქვემოთ იქნება განხილული.

1508 წლის 15 მაისს ვაჭარ-ავანტიურისტთა საერთო კრებაზე წაკითხულ იქნა ერცჰერცოგის მარგარიტა ბურგუნდიელის წერილი, რომელშიც იგი ვაჭარ-ავანტიურისტებს სწერდა: „ძვირფასნო და საყვარელნო! როგორც სხვა წერილებით გაცნობებდით და გიწვევდით გქონოდათ ვაჭრობა ანტვერპენის თავისუფალ იარმარკებზე, ახლაც იმასვე გთავაზობთ. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ თავისუფალი მოქმედების უფლება და პრივილეგიები ყოველგვარი თხოვნის გარეშე. ჩვენ გვესმის, რომ თქვენ ახლა არ მიიღებთ მონაწილეობას ანტვერპენში იარმარკებზე და არ ისურვებთ ვაჭრობას (როგორც ჩანს, ინგლისელებს ადრე სურდათ ანტვერპენთან ვაჭრობა, მაგრამ ახლა მათზე განაწყენებულნი იყვნენ – ი.ბ), მაგრამ ჩვენ, თქვენს ერთგულ და კეთილ მეგობრებს, გვსურს აღვადგინოთ მეგობრული კავშირი ჩვენსა და თქვენს ვაჭრებს შორის, რათა დაიცვიწყოთ ყველა სიძნელე, დაბრკოლება, გაუგებრობა და არაკეთილი სურვილი ჩვენი მხრიდან. ჩვენ გთხოვთ, ამიერიდან ისევ გამოიყენოთ თავისუფალი იარმარკები ანტვერპენში, კვლავ მიიღოთ ჩვენთან ვაჭრობის მოგება. თუ თქვენ ამას გააკეთებთ, მაშინ მოგვანიჭებთ უდიდეს სიამოვნებას და გარწმუნებთ, ანტვერპენი მიგიღებთ კეთილად და მეგობრულად.

თქვენ ისარგებლებთ ყველა პრივილეგიებითა და უფლებებით. თუ თქვენ თანახმა იქნებით, მაშინ პასუხი გადაეცით ავანტიურისტთა კომპანიის წარმომადგენელს, კალეს რევიზორს – ჯონ უოლშირს, რომელსაც შეგიძლიათ საკსებით ენდოთ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

დაწერილია გენტში 1507 წლის 17 აპრილს“.

წერილიდან ჩანს, რომ ნიდერლანდების მმართველი დაინტერესებული იყო ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით. იწვევდა ინგლისელებს ანტვერპენის იარმარკებზე.

როცა წერილი მოისმინეს ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ დაავალა თავის წევრ ვაჭრებს მერსერ ჯონ ალენს, უილიამ ესტლის, მერსერ ჯონ ილინს, მეგალანტერე რობერტ ჰოლდერნესს, ჰენრი ჰილს და უილიამ კემს დაეწერათ წერილი და გაეგზავნათ ზღვის გაღმა მმართველისათვის მიდლბურგში. მართლაც იმავე წლ-

ის 16 მაისს ვაჭარ-ავანტიურისტებმა მისწერეს მას წერილი. აი რას სწერდნენ ისინი:

„1508 წლის 15 მაისს ჩვენ მივიღეთ წერილი მარგარიტა ბურგუნდიელისაგან. მას სურს, რომ ჩვენ კვლავ დავბრუნდეთ ანტვერპენის ბაზრობაზე, სადაც ვაჭრობას ადრე მიჩვეულნი ვიყავით. ის რაც გულწრფელად სურს (ერცჰერცოგინა მარგარიტას – ი.ბ) ამას გაიგებთ მისი წერილიდან. მხოლოდ არა ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ ანტვერპენის ხელისუფლება გამოიჩენს კეთილ დამოკიდებულებას და შეასრულებს ყველაფერს, რის შესახებაც ერცჰერცოგინა გვწერს. ჩვენ არა გვაქვს არავითარი წერილობითი რწმუნება გარდა იმისა, რაც დაწერილია ჰერცოგინას მიერ (1:313).

დოკუმენტიდან ჩანს, რომ ვაჭრები არ იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ანტვერპენის ხელისუფლება შეასრულებდა ყოველივე იმას, რის შესახებაც ერცჰერცოგინა წერდა, და დაიცავდა ინგლისელთა პრივილეგიებს და უფლებებს. იძლეოდა თუ არა ამის გარანტიას? ვაჭრები მოითხოვდნენ წერილობით გარანტიას. ამიტომ ისინი ფიქრობდნენ, რომ არ ღირდა დაბრუნება ანტვერპენში მორიგი რწმუნებისა და თაყდებობის გარეშე ანტვერპენელების მხრიდან. სანამ არ მისცემდნენ ინგლისელ ვაჭრებს იმის გარანტიას, რომ დაიცავდნენ ყველა მათ უფლებებს, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ ადრე. სანამ ანტვერპენის ხელისუფლება არ უზრუნველყოფდა ადგილს, სადაც გამართავდნენ ინგლისელი ვაჭრები მომავალ სინკსონის ბაზარს, სანამ ისინი არ გადაიტანდნენ ბაზრობას მიდლბურგში.

1509 წლიდან უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება ანტვერპენის პენსიონარის (წარმომადგენელს) და ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტებს შორის.

იმავე წლის 9 სექტემბრის დოკუმენტი გვამცნობს, რომ ანტვერპენის პენსიონარი ჩასულა ლონდონში, მისულა კომპანიის ეკლესიაში და განუცხადებია, რომ იგი მზად იყო შეეტყო მათი სურვილი, სახელდობრ, სურდათ თუ არა ვაჭარ-ავანტიურისტებს სავ-

აჭრო ურთიერთობის განახლება ანტვერპენთან. ამის შესახებ კომპანიას აუწყა ჯონ პაუმ.

გადაწყდა და კომპანიის ორი მამასახლისი გაეშურა ტაძარში, სადაც მიიყვანეს პენსიონარი. ანტვერპენის წარმომადგენელი დასვეს მაგიდის ერთ ბოლოში: ტომას მორი, რომელიც იჯდა მაღალ სკამზე ფანჯარასთან გამოვიდა კომპანიის სახელით. მისასალმებელი სიტყვით, რომელიც ლათინურად წარმოთქვა.

პენსიონარმაც საუბარი დაიწყო ლათინურად. მან გამოხატა კმაყოფილება ტომას მორის მიმართ, მისი მისალმების გამო, შემდეგ შეახსენა კომპანიის წევრებს ძველი მოლაპარაკებანი ბეროუში ანტვერპენის კომისიონერებთან, სადაც პრაქტიკულად გადაიჭრა ყველა უთანხმოება. გამონაკლისი იყო მხოლოდ პავილიონებისა და ინგლისური კვარტლის საწყობების საკითხი. როგორც ჩანს, ეს ინგლისელების კუთვნილი ქუჩა იყო ანტვერპენში. ხოლო ანტვერპენი წინააღმდეგი იყო და მის უფლებაში არ შედიოდა ეჩუქებინა ინგლისელებისათვის ეს ქუჩა. მიუხედავად ამისა, ახლა ანტვერპენის მთავრობამ შესთავაზა ინგლისელებს აერჩიათ ნებისმიერი ქუჩა ქალაქში, რომელიც მათ მოეწონებოდათ და მათთვის იქნებოდა გამოსადეგი. ისინი მზად იყვნენ მოეწყოთ იგი საკუთარი ხარჯით. მხოლოდ იმ ვაჭრებისათვის, რომლებიც არ ვაჭრობდნენ ინგლისურ კვარტალში. პენსიონარმა შეახსენა მათ, რომ როცა ინგლისის კომისიონერები იყვნენ ანტვერპენში მათ ვერ ამოირჩიეს ვერც ერთი ქუჩა. ამიტომ მთავარი მიზანი მისი ჩამოსვლისა იყო ინგლისელ ვაჭართა მოსაზრების მოსმენა ამასთან დაკავშირებით, რათა მათ შესძლებოდათ მომზადება იმ ქუჩისა, რომელსაც ინგლისელები დაასახელებდნენ. ხოლო იმისათვის, რომ ვაჭრებს ჰქონოდათ უფრო ზუსტი წარმოდგენა ანტვერპენის ქუჩებზე, მათ თან ჩამოიტანეს ქალაქის გეგმა.

ტომას მორმა ყოველივე ეს გადაუთარგმნა კომპანიას. ამის შემდეგ მორმა სთხოვა პენსიონარს ცოტა ხნით, მარტონი დაეტოვებინათ ისინი, რათა ვაჭრებს შესძლებოდათ საკითხის გადაწყვეტა და პასუხის გაცემა. ამასთანავე კომპანიის მამასახლისებმა, პატივის ნიშნად გააცილეს პენსიონარი.

ხანგრძლივი დებატების შემდეგ გადაწყვიტეს კომპანიიდან გამოეყოთ ნდობით აღჭურვილი პირები. 12 კაცი, რომლებიც შეხვდებოდნენ ელჩს მეორე დღეს 9 საათზე და გადასცემდნენ კომპანიის პასუხს. ვინც არ მივიდოდა დანიშნულ დროს გადაიხდიდა ჯარიმას 8 პენსს.

მეორე დღეს, დილის 9 საათზე დანიშნული პირები შეიკრიბნენ ჰოლში, მაგრამ ვერ მივიდნენ ერთიან გადაწყვეტილებამდე გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ კვლავ შემდეგ ორშაბათს იმავე დროს. ამასთანავე პენსიონარმა განაცხადა, რომ მას თან ჰქონდა წერილი ინგლისის მეფის სახელზე, მაგრამ იგი აყოვნებდა მის გადაცემას, ვინაიდან ელოდებოდა კომპანიის პასუხს და შემდეგ გადასცემდა, მეფეს წერილს. კომპანიამ პენსიონარს მოახსენა, რომ უმჯობესი იყო მას ჯერ გადაეცა წერილი მეფისათვის და როცა დაბრუნდებოდა კომპანიისგანაც პასუხს მიიღებდა (1:333-334).

მართლაც, 13 სექტემბრისათვის ვაჭარ-ავანტიურისტებმა მოამზადეს პასუხი, რომელშიც მადლობა მოახსენეს პენსიონარს გარჯისათვის და ჩამობრძანებისათვის და გამოთქვეს იმედი ანტვერპენში ბამასის ბაზრობაზე თავიანთი ჩასვლის შესახებ, სადაც გადაწყვეტდნენ თუ რომელ ქუჩაზე შეჩერდებოდა მათი ხალხი. ამასთანავე, მათ სავსებით სჯეროდათ ანტვერპენელების დაპირებისა. ბოლოს ბოდიში მოუხადეს, რომ ასე დიდხანს გააჩერეს იგი პასუხის მი ღებისათვის და აღუთქვეს მომავალში დიდი პატივი და მეგობრობა (1:335).

იმ დროს, როცა მიმდინარეობდა სავაჭრო მოლაპარაკებანი ანტვერპენსა და ლონდონს შორის, ადგილი ჰქონდა ანტვერპენში უსამართლო ბაჟების დაწესებას ვინმე ჟერომ ფრისკობალდის მიერ და ინგლისელ ვაჭართა დაპატიმრებას (ალბათ ბაჟის გადაუხდელობისათვის – ი.ბ.) ყოველივე ამას ადასტურებს 1509 წლის 7 დეკემბრის დოკუმენტი, რომელშიც ჩაწერილია:

„ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე გადაწყდა, რომ კომპანიის მამასახლისები მოელაპარაკნენ ლონდონის ლორდ-მერს და სთხოვეს დახმარება, რათა მერს მიეღო ზომები დაპატიმრებული ვაჭრების განთავისუფლებისა და უსამართლო ბაჟების მოხსნისათ-

ვის, ეს ბაჟები დაუწესებია ინგლისელთა საქონელზე ჟერომ ფრისკობალდს, რამაც ვაჭრები ძალიან გაანაწყენა. კომპანიას სურდა ეჩივლა მეფესთან. ეს რომ არ მომხდარიყო კომპანიამ საჭიროდ ჩათვალა მიეწერა წერილი ჟერომისათვის, რათა მას გაეთავისუფლებინა ვაჭრები ბაჟის გადასახადისგან, რათა შემდეგში ადგილი არ ჰქონოდა ასეთ უსამართლო მოპყრობას და არავითარი ახალი გადასახადი არ დაეწესებინა, არც თვითონ ჟერომ ფრისკობალდს და არც მის ხალხს (1:344).

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, კომპანია მტკიცედ იცავდა თავის წევრ-ვაჭრების ინტერესებს ზღვის გაღმა. მეფისადმი წერილის მიწერითაც კი ემუქრებოდნენ ბაჟების ამკრეფ მოხელეს და მის ხალხს, რათა არავის დაეჩაგრა მათი წევრი ვაჭრები.

როდესაც დასრულდა მოლაპარაკება ანტვერპენსა და ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტებს შორის ამის შემდეგ ანტვერპენიდან 1510 წლის აპრილს გამოგზავნილი იქნა წერილი, რომელიც ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაიკითხეს. ანტვერპენელები იწერებოდნენ, რომ მათ შეარჩიეს ინგლისელთათვის გარკვეული ადგილები, სახლი რაც მათ შეისყიდეს და მოაწყვეს თავიანთი სურვილის მიხედვით. ახლა მათ აინტერესებდათ: მიიღებდნენ თუ არა ავანტიურისტებისაგან საიჯარო გადასახადს და ეს უნდა დაემოწმებინათ მეფის ან კომპანიის ბეჭდით. ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ, ისინი ყოველთვის არ დაიკავებდნენ ამ სახლს ან ვერ ჩამოვიდოდნენ, მაინც იყვნენ მოვალენი გადაეხადათ რენტა იმათთვის, ვინც ეს სახლი იყიდა. ბოლოს ისინი ითხოვდნენ ზუსტად დაეცვათ მოლაპარაკების პირობები და მათი წარმომადგენლები ჩასულიყვნენ ქალაქ ანტვერპენში (1:388).

კონფლიქტი ინგლისსა და ანტვერპენს შორის 1517 წელსაც მომხდარა, რასაც ადასტურებს 1517 წლის 27 აგვისტოს დოკუმენტი. ამ დოკუმენტში იხსენიება იმის შესახებ, რომ ავანტიურისტთა კომპანიის მამასახლისმა ჰევსტერმა კომპანიას აცნობა ანტვერპენში სინკსონის უკანასკნელ ბაზრობაზე უსამართლო ბაჟების დაწესების შესახებ, რაც მათი უფლებების დარღვევა იყო.

ამის გამო ზღვის გაღმა მმართველი ჩავიდა ზელანდიაში და იქ ესაუბრა ერცჰერცოგინის ხალხს და მიიღო შემდეგი პასუხი:

1. ყველა ის ქსოვილი, რომელსაც შეიტანდნენ ბეროუდან ანტვერპენში სინკსონის ბაზრობაზე, განთავისუფლებულ იქნებოდა საბაჟო გადასახადებისაგან, როგორც ეს ადრე იყო.

2. სხვა სახის ქსოვილებზე – მაუდზე, რომელსაც ჩამოიტანდნენ ინგლისიდან ანტვერპენში მასზე .უნდა გადაეხადათ გადასახადი. მაგრამ თუ ადრე იხდიდნენ ბაჟს 30 ნაჭერ მაუდზე ახლა უნდა აეღოთ ბაჟის ამკრეფების გადასახადი ყოველ 23 ნაჭერზე (1:448).

გამოდის, რომ საბაჟო გადასახადს კრეფდნენ ანტვერპენში მხოლოდ ინგლისიდან გატანილ მაუდის ქსოვილზე. ამასთანავე, თუ ადრე მათ ყოველი 30 ნაჭერ მაუდზე ახდევინებდნენ, ახლა ყოველ 23 ნაჭერზე იღებდნენ საბაჟო გადასახადს. ამას, როგორც ჩანს, იმიტომ აკეთებდნენ, რომ ინგლისიდან მაუდი ახლა მეტი ოდენობით შემოდიოდა და ცდილობდნენ შემოსავალიც ამ საქონლიდან მეტი დარჩენოდათ.

1520 წლის დოკუმენტში საუბარია ვაჭრობის აკრძალვის შესახებ ანტვერპენში ბამასის ბაზრობაზე, ამ დოკუმენტში ჩაწერილია:

„რაც შეეხება აქტს ვაჭრობის აკრძალვის შესახებ ბამასის ბაზრობაზე ანტვერპენში, მას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან უკვე დანიშნულია შეთანხმების დადების დღე ბრიუგეში სამეფო კომისრებსა და ანტვერპენის წარმომადგენლებს შორის". თქვენ ესე იგი (ვაჭრებმა) მოიფიქრეთო რა მუხლები შეიძლება შეიმუშაოთ - ეწერა აქტში, რაც მოუტანდა კეთილდღეობას და სარგებლობას ჩვენს კომპანიას. რათა კომისრებს შესძლებოდათ წარედგინათ ისინი ანტვერპენის წარმომადგენლებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აქტის მიხედვით აკრძალული იყო ვაჭრობა ნიდერლანდებში ინგლისელი ვაჭრები მაინც ახერხებდნენ მოლაპარაკებას ანტვერპენის წარმომადგენლებთან შემოდგომაზე ბაზრობის გამართვის თაობაზე. მათ არ სურდათ დაეკარგათ მოგება, რასაც ისინი ღებულობდნენ ანტვერპენში მაუდით ვაჭრობის გზით.

1522 წლის 10 იანვარს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე წაიკითხეს ბეროუდან (ნიდერლანდებიდან) გამოგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არ სურდათ დაეშვათ ინგლისური კომპანიის წევრი ვაჭრები მომდევნო სავაჭრო სეზონის ბაზრობებზე, გარდა ამისა, ინგლისის საზღვაო ფლოტი ზელანდიიდან უშიშრად უნდა გაეყვანათ ტემზაში. აღმირალს უნდა უზრუნველეყო მათი გემების დაცვა და უნდა გაეგზავნა მათ დასახმარებლად ჯონ ჰევსტერი, უილიამ ბატრი, ტომას პერპოინტი, უილიამ ფერმონდი და რიჩარდ გრეშემი (1:554).

ხოლო იმავე წლის 13 ივნისის წერილში იხსენიებოდა იმის შესახებ, რომ ახლოვდებოდა საშიშროება ომისა, რომელიც შეიძლება დაწყებულიყო მათ წინააღმდეგ ხმელეთზე და ზღვაზე.

თავისთავად ცხადია, რომ მოსალოდნელი იყო ომის საშიშროება, სავაჭრო ურთიერთობა არც შეიძლება ყოფილიყო ბურგუნდიაში ავსტრიის ერცჰერცოგის მიწაზე.

1523 წლის 24 აპრილს ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის გადაწყვეტილებით კომპანიის წევრ ვაჭარ-ავანტიურისტებს ეკრძალებოდათ ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა ზელანდიასთან, ორდონანსის დამრღვევთ კი მოელოდათ მკაცრი სასჯელი. ხოლო, რაც შეეხება ფლანდრიას და ანტვერპენს მასთან სავაჭრო ურთიერთობანი, მაინც სწარმოებდა, რასაც ადასტურებს 1523 წლის 27 აპრილის დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ გადაწყდა დაენიშნათ ნავიგაცია სინკსონის საზაფხულო ბაზრობაზე ანტვერპენში, რისთვისაც აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირები – ჯონ პარკი, რობერტ პეკინგტონი, ნიკლას სტატომი, რაუფ ალენი, უილიამ ბოიერი და რობერტ შეზარი, რათა მათ გამოეყოთ იმდენი გემი, რამდენსაც ისინი ჩათვლიდნენ საჭიროდ და უნდა დაეტვირთათ საქონელი გამოყოფილ გემებზე და არა სხვებზე. გემების დატვირთვის ბოლო დღე უნდა ყოფილიყო 19 აპრილი, ხოლო არც ერთ ვაჭარს არ უნდა გაებედა საქონლის დატვირთვა ჯარიმის გადახდის მუქარით, როგორც ეს შეტანილი იყო ორდონარსების წიგნში (1:566).

აქ იგულისხმება იტალიური ომები (1459-1559), რომელიც მიმდინარეობდა იმპერატორ კარლ V-სა (1519-1559) და საფრანგეთ-

ის მეფის ფრანსუა I-ს (1515-1547) შორის. ინგლისი კარლოსის მხარეზე იყო, ხოლო პავიასთან (1525) საფრანგეთის დამარცხების შემდეგ გადავიდა საფრანგეთის მხარეზე.

როგორც ირკვევა, სავაჭრო სეზონში ბაზრობებზე გამგზავრების წინ ვაჭარ-ავანტიურისტები ნიშნავდნენ პირებს, რომლებსაც ევალებოდათ გემების გამოყოფა ამ ბაზრობისათვის. საქონელი უნდა დატვირთულიყო მხოლოდ გამოყოფილ გემებზე. ინიშნებოდა გემების დატვირთვის დღე. ხოლო ამის შემდეგ არ შეიძლებოდა გემზე საქონლის დატვირთვა. აი, ასეთი ორგანიზებული იყო მათი ნავიგაცია ანტვერპენში.

არის მეტად საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისის მეფის გემები, რომლებიც იმყოფებოდნენ ფლანდრიაში, ყაჩაღობას ეწეოდნენ და მათი დიდი ესკადრა მიუახლოვდა ფლანდრიის ნაპირებს. ამ საკითხზე 1523 წ. იმსჯელა კომპანიამ. გადაწყდა რომ ეცნობებინათ მეფისათვის ყოველივე ამის შესახებ და გაეგოთ, ამასთან დაკავშირებით მისი აზრი, ხოლო მმართველებს ჯონ პარკს, რაუფ ალენს და ტომას კიტსონს კი უნდა ეცნობებინათ კომპანიისათვის მეფის პასუხი (1:567).

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კომპანია არ უშვებდა გემების მიერ ყაჩაღობის ჩადენას, ვისიც არ უნდა ყოფილიყო ეს გემი (ზემო აღნიშნულ შემთხვევაში მეფის გემებზე არის საუბარი – ი.ბ.). ეს რომ დაეშვათ მაშინ შეიძლება ყველა გემს დაეწყო ყაჩაღობა. ესეც მეტყველებს მათი ვაჭრობის სწორ ორგანიზებულობაზე.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია ზრუნავდა კომპანიის საერთო კეთილდღეობაზე, რისთვისაც ღებულობდა გადაწყვეტილებას საორგანიზაციო საკითხებზე: ზღვის გაღმა მოვალეობაზე, შეგირდების ვალდებულებებზე და ა.შ.

ამ მხრივ საინტერესოა ჩვენთვის 1525 წლის 5 მარტის კრებაზე მიღებული ათი პუნქტიდან სამი პუნქტი.

1. საჭირო იყო ზრუნვა იმაზე, რომ ჩვენი კომპანიიდან არც ერთ ვაჭარს საგაზაფხულო და საზამთრო ბაზრობის ვადის დამთავრების შემდეგ არ გაებედა საქონლის ყიდვა ან გაყიდვა ანტვერპენში, გარდა საკვები პროდუქტებისა.

2. საჭირო იყო უზრუნველყოფა, რათა გაყიდულ საქონელზე ბაჟი აეღოთ ინგლისში დაბრუნებამდე რვა დღით ადრე. გარდა ამისა, არავის არ უნდა აეღო თავის საქონელში დაწესებულ ფასზე მეტი (ე.ი. იკრძალებოდა ზედმეტ ფასებში საქონლის გაყიდვა – ი.ბ.).

3. უნდა დაკლებულიყო ის ჯარიმები, რომელთაც ახდევინებდნენ ორდონანსის დამრღვევთ (1:716).

ვაჭრები სწორად ახდენდნენ ვაჭრობის ორგანიზებას ზღვის გალმა. ისინი აკონტროლებდნენ, რომ ბაზრობის დამთავრების შემდეგ ადგილი არ ჰქონოდა საქონლის ყიდვა-გაყიდვას, ე.ი. მათ უნდა დაეცვათ ბაზრობის ვადები. ვაჭრებს გაყიდულ საქონელზე ფული უნდა აეღოთ თავის დროზე და არ უნდა დარჩენოდათ ზღვის გალმა ასაღები ფული. და ბოლოს, სასტიკად იკრძალებოდა სპეკულაცია, რათა მათ არ დაეკარგათ მუდმივი მუშტარი.

ვაჭარ-ავანტიურისტები ზრუნავდნენ არა მარტო ზღვის გალმა ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხებზე, არამედ ვაჭართა მიერ თავისუფალი დროის ზომიერ გატარებაზეც და მათ დისციპლინაზე. აი, რას ვკითხულობთ 1526 წლის დოკუმენტში: კომპანიამ გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მას ეყოლებოდა ანტვერპენის და ბეროუს ინგლისურ სამიკიტნოებში 6 ნდობით აღჭურვილი პირი – სამიკიტნოს მეპატრონეები, რომელთაც ჰქონდათ კარგი რეპუტაცია და წარმოშობით იქნებოდნენ ერცჰერცოგის მიწებიდან (ალბათ იქ დაბადებული ინგლისელი მოსახლეები – ი.ბ.).

კომპანიის არც ერთ წევრს უფლება არ ჰქონდა ესადილა სადმე, გარდა აღნიშნული ექვსი სამიკიტნოსი. დაწესდა, რომ ჰოლანდიურ ლუდზე უნდა გადაეხადათ 4 გროტი, ინგლისურ ლუდზე – 4,5 გროტი. სამიკიტნოების მეპატრონეების ღვინო უნდა მიეცათ მხოლოდ მითითებულ 6 ინგლისური სამიკიტნოსათვის. არ შეიძლებოდა იქ ბანქოს თამაში და საერთოდ აზარტული თამაშობანი, ან უნდა ეცეკვათ და არ უნდა დარჩენილიყვნენ სამიკიტნოში ს.ღამოს 9 საათის შემდეგ, ჯარიმის გადახდის მუქარით (1:725).

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ვაჭრებს ზღვის გალმა გააჩნდათ თავიანთი სამიკიტნოები და მათი მეპატრონეები

იყვნენ ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთაგანაც ვაჭარ-ავანტიურისტებს შეეძლოთ შეეტყოთ ის, თუ როგორ იქცეოდნენ მათი ვაჭრები ზღვის გაღმა, როგორ ატარებდნენ თავისუფალ დროს. თამაშობდნენ თუ არა აზარტულ თამაშობებს, რჩებოდნენ თუ არა სამიკიტნოებში გვიანობამდე, სადილობდნენ თუ არა მხოლოდ ინგლისურ სამიკიტნოებში.

იგივე დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კომპანიის გადაწყვეტილებით, საჭირო იყო ყოველწლიურად გაეგზავნათ ლონდონის ნავსადგურიდან ზღვის გაღმა გემების სამი ან ოთხი ქარავანი (1:725).

ყოველწლიურად გემების ქარავანის გაგზავნა ლონდონიდან ზღვის გაღმა მიუთითებს ინგლისის ვაჭრობის ინტენსიურობაზე, რასაც ინგლისისათვის მოჰქონდა კეთილდღეობა.

1527 წლის ინგლისის მღელვარებათა აღწერა იძლევა ნათელ სურათს იმისას, რომ ინგლისსა და კარლ V ჰასბურგს შორის ჩამოვარდნილმა განხეთქილებამ დააზიანა ინგლისური ვაჭრობისათვის ის რაიონები, რომლებიც ეკუთვნოდა ჰასბურგებს, ესე იგი ნახევარი ევროპა. დაიწყო კრიზისი: საწყობები სავსე იყო მაუდით, რომელიც არ საღდებოდა (102:483).

თავისთავად ცხადია, 1527 წელს დაიხურებოდა ინგლისისათვის ბაზრობები ნიდერლანდებში და, ამდენად, აღარ იწარმოებდა სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის.

ამრიგად, ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტების" („ნიუბოლდის წიგნის") საფუძველზე საშუალება მოგვეცა დაწვრილებით გაეცნობოდით სავაჭრო ურთიერთობას ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში.

ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის სავაჭრო ურთიერთობაზე დიდად იყო დამოკიდებული მაუდით ვაჭრობის ორგანიზება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. „წარმოდგენაც კი ძნელია იმ უდიდესი რაოდენობის შალის ნაწარმისა, რომელსაც ინგლისელები აგზავნიდნენ ნიდერლანდებში!" - წერს იტალიელი ისტორიკოსი ჰუმანისტი გვიჩარდინი (74:90).

სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის ყოველთვის არ იყო ერთნაირი. ინგლისის პოლიტიკურ მესვეურთა დიპლომატიურ

ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნიდერლანდებს. ინგლისის სახელმწიფო დაინტერესებული იყო ამ ქვეყანასთან ყოველთვის ჰქონოდათ ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ ნიდერლანდებში ხშირად ადგილი ჰქონდა ინგლისელთა სავაჭრო უფლებების შელახვას: აწესებდნენ უსამართლო ბაჟებს, აკავებდნენ მათ გემებს, შეურაცხყოფას აყენებდნენ ინგლისელ ვაჭრებს, რაც ამ ვაჭართა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

როდესაც ინგლისის მეფე კრძალავდა საქონლის შეტანას ნიდერლანდებში, ინგლისელი ვაჭრები მაინც ცდილობდნენ არ დაეკარგათ შემოსავალი და, ნებართვის გარეშე, მიემართებოდნენ იქ სავაჭროდ, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე სასჯელი: ჯარიმა, საქონლის კონფისკაცია და ა.შ. მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის კრებებზე არაერთხელ განუხილავთ ვაჭრობის ამკრძალავი კანონის დარღვევის შემთხვევები.

1419-1434 წლებში ვაჭრობა ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის რეგულარული იყო. 1434 წელს ინგლისელებს აეკრძალათ ვაჭრობა ნიდერლანდებში. ხოლო შემდეგ ისევ განახლდა სავაჭრო ურთიერთობა.

1464 წლიდან 1467 წლამდე ე.ი. ოთხი წლის მანძილზე აკრძალული იყო საქონლის შემოტანა ნიდერლანდებიდან ინგლისში, რაც დაკავშირებული იყო ბურგუნდიის ჰერცოგის მიერ ინგლისური მაუდის იმპორტის აკრძალვასთან. 1467 წელს ისევ აღდგენილ იქნა სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის იმის წყალობით, რომ ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო ქორწინებრივი კავშირი: ედუარდ IV-ის და მისთხოვდა ფილიპე კეთილის ვაჟს ბურგუნდიის ჰერცოგ შარლ გულადს. ამ დაახლოებამ, საკმაო ხანს გასტანა, თითქმის 1477 წლამდე.

1477 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბურგუნდიის ჰერცოგის წარმომადგენლებსა და ედუარდ IV-ს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების თაობაზე. ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ წელს შეწყდა მათ შორის სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ „ნიუბოლდის წიგნიდან“ ირკვევა, რომ 1485 წლიდან ინგლისელებს აკრძალული ჰქონდათ საქონლის შეტანა ნიდერლანდების ზოგიერთ

ადგილებში: ბეროუში, ბრაბანტში, ე.ი. 1485-1487 წლებში ინგლისელებს არ ჰქონდათ რეგულარული ვაჭრობა ნიდერლანდებთან. სავაჭრო ურთიერთობა არ ჩანს არც 1493 წელს. მხოლოდ 1496 წლიდან გამოჩნდნენ ინგლისელი ვაჭრები ნიდერლანდების ბაზრობებზე: ბეროუში, ბრაბანტში და მიდელბურგში. აღნიშნულ ადგილებში ხშირად ადგილი ჰქონდა ინგლისელი ვაჭრების საქონელზე უსამართლო ბაჟების დაწესებას.

1496 წ. მეფე ჰენრი მეშვიდე ითხოვდა ავსტრიის ერცჰერცოგისაგან, რომ შეეცვალა მოთხოვნა ბაჟების გადახდის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ შეთანხმებას. მიუხედავად მაღალი ბაჟებისა, მეფეს სურდა, რომ ვაჭრებს გაეგზავნათ იმ მხარეში მაუდის ქსოვილის გარდა სხვა საქონელიც, ხოლო იქიდან შემოეტანათ და გაეყიდათ ნებისმიერი საქონელი. გარკვეულ დროს ინგლისელ ვაჭრებს შეეძლოთ გაეგზავნათ თავიანთი საქონელი სხვა ადგილას, მაგალითად, იმჟამად, მათ კუთვნილ კალეში. იმისათვის, რათა თავიდან აეშორებინათ კვლავ ნიდერლანდების ხელისუფალთა მიერ უსამართლო ბაჟების დაწესება; ნდობით აღჭურვილმა პირებმა სპეციალური მუხლებიც კი შეიმუშავეს (1:603).

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ისიც ირკვევა, რომ ლონდონელ ვაჭრებს ხშირად უკრძალავდნენ საქონლის შეტანას ნიდერლანდების ქალაქებში - ანტვერპენსა და ბეროუში. სწორედ იმიტომ 1508-1509 წლებში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ანტვერპენის მთავრობასა და ლონდონს შორის სავაჭრო ერთიერთობების აღდგენის თაობაზე.

1508 წლიდან 1517 წლამდე არ შეწყვეტილა სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის, შესაძლებელია, ეს ურთიერთობა გაგრძელდა 1520 წლამდეც. ხოლო 1520 წლის დოკუმენტში კი კვლავ საუბარია ინგლისელთა ვაჭრობის აკრძალვის შესახებ ანტვერპენში.

1522 წელს ინგლისელი ვაჭრები თავს იკავებდნენ ვაჭრობაზე ნიდერლანდებში, ვინაიდან მოსალოდნელი იყო ომის საშიშროება, რომელიც შეიძლება დაწყებულიყო ინგლისის წინააღმდეგ ხმელეთზე და ზღვაზე.

ხოლო 1523 და 1525 წლებში ჩანს სავაჭრო ურთიერთობანი, რასაც ადასტურებდნენ აღნიშნული პერიოდის დოკუმენტები. ხოლო 1527 წელს სავაჭრო ურთიერთობა აღარ სწარმოებს, რადგან კარლ V-სა და ინგლისის მეფე ჰენრი VIII-ს შორის გამწვავდა ურთიერთობა, ვინაიდან 1525 წ. პავიასთან საფრანგეთის მეფის ფრანსუა I-ის დამარცხების შემდეგ ინგლისი გადავიდა საფრანგეთის მხარეზე და ამიტომ, ცხადია, 1527 წელს არ იქნებოდა სავაჭრო კონტაქტები ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის.

ამრიგად, ინგლისის ეკონომიური განვითარებისათვის ხელსაყრელი იყო ნიდერლანდებთან კარგი ურთიერთობა, ვინაიდან ინგლისური მაუდი ძირითადად გაჰქონდათ ნიდერლანდებში და დიდძალი მოგება მოდიოდა სწორედ მაუდით ვაჭრობის წყალობით, მაუდით ვაჭრობის ფართო მასშტაბებზე მეტყველებს ის აურაცხელი თანხები და ხარჯი, რაც დაკავშირებული იყო ზღვის გაღმა სამხედრო გემების დაქირავებასა და საქონლის გატანასთან.

5. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ჰანზასთან

მერსერთა „საბჭოს აქტები“ („ნიუბოლდის წიგნი“) შეიცავს საყურადღებო ცნობებს ინგლისის და ჰანზის სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე.

ჰანზა იყო ქალაქების კავშირი, რომელშიც შედიოდა არა მარტო გერმანიის, არამედ ნიდერლანდებისა და ბალტიისპირეთის ქალაქები: ლიუბეკი, ჰამბურგი, ბრემენი, ნიმვეეგენი, გრენინგენი, დორტრესტი, ამსტერდამი, უტრესტი, მიდლბურგი, დანცინგი, ფლისინგენი, რიგა, რეველი, დერპტი, ვისმარი, როსტოკი, შტარლზუნდი, გრაიფსვალდი, კოენიგსბერგი და სხვანი. (197:474). ჰანზა არ იყო ვაჭართა კაპიტალის გაერთიანება და იგი არ წარმოადგენდა სამეურნეო კორპორაციას (145:331). ჰანზის დედაქალაქი იყო ლიუბეკი, სადაც მოქმედებდა უმაღლესი სასამართლო და ლიუბეკელი ვაჭრები ასრულებდნენ წამყვან როლს ჰანზის სავაჭრო ოპერაციებში.

ინგლისსა და ჰანზას შორის სავაჭრო ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა ედუარდ პირველის მმართველობის ხანაში (1272-1307), როცა ჰანზას მიანიჭეს თავისუფალი ვაჭრობის უფლება ინგლისში.

რიჩარდ II-ის დროს (1377-1399), რამდენსამე წლის მანძილზე შეწყდა ურთიერთობა ჰანზასთან. ხოლო 1403 წელს დაიწყო მოლაპარაკება ინგლისსა და ჰანზას შორის სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის შესახებ. შეთანხმების მთავარი შედეგი იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ ბოლო მოღებოდა უსამართლო მძარცველობას ზღვაზე. თუ ინგლისელი მეკობრეების მიერ იქნებოდა რაიმე დატაცებული პრუსიელებისაგან და ნაძარცვს ჩაიტანდნენ ინგლისის რომელსამე ნავსადგურში. ინგლისის სამეფო ხელისუფლება ვალდებული იყო საქონელი ჩამოერთმია და გადაეცა იგი პატრონისათვის. თუ ინგლისელები ამას არ შეასრულებდნენ თვითონ უნდა აენაზღაურებინათ ზარალი ან, პირიქით, თუ პრუსიის ქალაქებში დაიტაცებდნენ ინგლისურ საქონელს, იგი უნდა დაებრუნებინათ პატრონისათვის.

ინგლისელები ვაჭრობდნენ ჩრდილოეთში, პრუსიაში და ჰანზის ქალაქებში, სადაც ვერ ღებულობდნენ დიდ მოგებას და, ამავე დროს, მათ არ ჰყავდათ იქ ხელისუფლების წარმომადგენლები. ასეთი მხოლოდ 1391 წ. აირჩიეს. ხოლო 1404 წელს ჰენრი IV-ის დროს ინგლისელ ვაჭრებს, რომლებიც რომის საღმრთო იმპერიაში შემავალ ქვეყნებში ვაჭრობდნენ, მიეცათ უფლება გაერჩიათ უკმაყოფილება, რომელიც ჩამოვარდებოდა არა მარტო ინგლისელ ვაჭრებს შორის, არამედ ინგლისელებსა და სხვა უცხოელებს შორისაც. შემდეგ, 1407 წელს ასეთი პრივილეგია მიანიჭეს ინგლისელ ვაჭრებს ჰოლანდიაში, ზელანდიაში, ბრაბანტში და ფლანდრიაში. 1408 წ. კი ნორვეგიაში, შვედეთში და დანიაში (71:356).

XIV-XV საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთის ვაჭრობაში წამყვანი როლი ეკუთვნოდა ჩრდილო გერმანიის ქალაქებს ლუბეკს, ჰამბურგს, ბრემენს, რომლებიც მდებარეობდნენ მდინარეების ელბას, ოდერის და ვეზერის აუზში. ეს ქალაქები განლაგებული იყვნენ ჩრდილო სკანდინავიასა და სამხრეთ ევროპას შორის, დასავლეთით - ფლანდრიასა და ინგლისის ქალაქებს და

სლავურ აღმოსავლეთს (ნოვგოროდი, პოლონეთი) შორის, რაც განაპირობებდა მათი საშუამავლო ვაჭრობის დიდ მნიშვნელობას.

XIV-XV საუკუნეებში ჰანზელი ვაჭრები ეწეოდნენ ბეწვეულით ვაჭრობას დაწყებული ნოვგოროდიდან-ბრიუგემდე და ლონდონამდე. ბეწვეულის სხვადასხვა სახით (მელა, თეთრი მელა, თახვი, ციყვი, კურდღელი, კვერნა, წავი, წაულა, სიასამური) ვაჭრობდნენ ისინი. აღმოსავლეთ ბალტიისპირეთში, სადაც ყიდულობდნენ დაუმუშავებელ ბეწვეულს, რომლის დამუშავებას ახდენდნენ რეველში, დანციგში, რიგაში, ლუბეკში, ბრიუგეში, კოლნში, (125:62-72).

ჰანზელი ვაჭრები უჩიოდნენ ინგლისელებს, ისინი წერენ, რომ 1404 წ. ივლისში ინგლისელებმა, მათი სამი ხომალდი უსამართლოდ დააკავეს და გაძარცვეს. ჰანზამ მოითხოვა ზარალის ანაზღაურება, რაც შეადგენდა 8037 გირვანქა სტერლინგს, 12 შილინგსა და 7 პენსს. ამასთანავე, 250 კაცი ინგლისელებს ზღვაში „ბარბაროსულად" დაუხრჩვიათ.

აქედან ირკვევა, რომ ინგლისელთა მხრივ ადგილი ჰქონია უსამართლო მოპყრობას ჰანზის ვაჭართა მიმართ.

ამავე დროს ჰანზელი ვაჭრები ჩიოდნენ, რომ ინგლისის საბაჟო მოხელეები მათ ორჯერ მეტ გადასახადს ახდევინებდნენ.

არანაკლებ საყურადღებოა ინგლისელთა საჩივარი ჰანზის ქალაქების ვისმარისა და როსტოკის მიმართ, რომელთაც, ინგლისელთა სიტყვით, გაძარცვეს ინგლისელთა გემები: ნიუკასლის - ერთი, ჰალეს – ხუთი. იორკის – ორი, ლონდონის – ორი, კოლჩესტერის და ნორიჯის – თითო.

მიმდინარეობდა მოლაპარაკება ჰანზასა და ედუარდ IV-ს შორის. ეს მოლაპარაკება დასრულდა უტრეხტის უნიის დადებით 1474 წელს. ჰანზამ აღმოუჩინა დახმარება ედუარდ IV-ს (გრაფი უარიკის, დედოფალ მარგარეტისა და ლანკასტერების წინააღმდეგ). ამ დახმარებისათვის ედუარდმა უბოძა მათ სამი ფაქტორია ლონდონში, ბოსტონში და ლინში. გარდა ამისა, 10 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა ჰანზელებს ინგლისელების მხრივ მათგან უსამართლოდ აკრეფილი ბაჟების ასანაზღაურებლად. ასევე დართო მათ ნება გაეყიდათ ინგლისში რაინის ღვინო საცალოდ (77:361).

როგორც ირკვევა, ჰანზელ ვაჭრებს ბალტიისპირეთიდან ბეწვეული შემოჰქონდათ ფლანდრიასა და ინგლისში, კერძოდ, ლონდონში. 1417 წელს დანციგიდან ინგლისში გაუგზავნიათ 90 მარკის ღირებულების ბეწვეული (125:92); ხოლო ინგლისიდან ჰანზას გაჰქონდა მატყლი, მაუდი, ტყვია, თაფლი. ჰანზელები ჩადიოდნენ სავაჭროდ ლონდონის გარდა ბიშოპს – ლინში XV საუკუნეში (30:156-7).

რამდენადაც გაბატონებული იყო ბალტიის ზღვაზე ჰანზა, იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ნოვგოროდსა და დასავლეთი ევროპის ქალაქებს.

ნოვგოროდისა და ჰანზის ურთიერთობა სათაეს იღებს XII-XIII საუკუნეებში. 1346 წლის 22 თებერვლის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ნოვგოროდში გერმანელ ვაჭრებს უფლება ჰქონდათ ემოგზაურათ წელიწადში მხოლოდ ერთხელ. ასევე იყო საერთოდ შეზღუდული მათი ვაჭრობა ბალტიისპირეთთან. მათ უფლება ჰქონდათ ემოგზაურათ ხომალდებით მხოლოდ გარკვეულ ქალაქებში: რიგაში, რეველსა და პერნოვში. ჰანზის ვაჭრებს ამ დროისათვის ვხვდებით ნოვგოროდის გარდა ფსკოვში, პოლოცკში, დერპტში, ფელინში, კუნძულ გოტლანდზე. გერმანელ ვაჭრებს უფლება არ ჰქონდათ შეესყიდათ ნოვგოროდში ცალობით ან ბითუმად მაუდი, სხვადასხვა ქსოვილი ან რუსული წარმოების ბეწვეული. შეეძლოთ შეესყიდათ მხოლოდ პური და სხვა პროდუქტები (197:470-471).

ამდენად, თუ 1346 წლის დოკუმენტით ჰანზელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ ნოვგოროდიდან ბეწვეულის და სხვადასხვა ქსოვილის გატანა, მოგვიანებით 1415, 1416, 1424 წლებში მათ ნება დართეს შეესყიდათ ნოვგოროდში ბეწვეული და ცვილი, ხოლო იქ შეეტანათ გასაყიდად მარილი, თაფლი, ღვინო და მაუდი. 1450 წელს დაიდო ნოვგოროდსა და ჰანზას შორის უკანასკნელი სავაჭრო ხელშეკრულება. შემდეგ კი ნოვგოროდში დაიხურა ჰანზელების ფაქტორია და რუსეთი იწყებს ბრძოლას ბალტიის ზღვაზე გასვლისა და დასავლეთ ევროპასთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარებისათვის (100:121-126-131).

რაც შეეხება ინგლისელებს, მათ უხდებოდათ ბრძოლა თავიანთი პოზიციების დასაცავად ჰანზის კონკურენციისაგან (83-291).

ჰანზის პრივილეგიების შესახებ ინგლისში მოწმობდნენ სტატუტებში შემონახული ცნობები. (7:666).

ინგლისელთა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებანი ჰანზასთან დაიწყო ედუარდ IV-ის დროს და 1472 წელს ინგლისის მეფის მიერ დამტიცებულ იქნა უტრეხტის ტრაქტატი, რომლითაც ჰანზას მიენიჭა დიდი პრივილეგიები ინგლისში. ხოლო ინგლისელებმა კი ამით არაფერი მოიგეს. საქმე ისაა, რომ ედუარდ IV წავიდა დათმობაზე, რაც აიხსნებოდა შემდეგი გარემოებით; როცა 1470 წელს გრაფმა უარიკმა მიიღო მხარდაჭერა საფრანგეთისაგან დედოფალი მარგარიტასა და ლანკასტერების სასარგებლოდ, ჰანზის ქალაქებმა საჭიროდ ცნეს ჩარეულიყვნენ ინგლისის საშინაო საქმეებში. თუ საფრანგეთის გავლენა ლონდონში გაბატონდებოდა, მაშინ მათ პრივილეგიებს ბოლო მოეღებოდა. ამიტომ მათ დახმარება გაუწიეს ედუარდ IV-ს. ახლა საჭირო შეიქნა სამაგიეროს გადახდა. უტრეხტის ტრაქტატით ჰანზელებმა მიიღეს სამი ფაქტორია ინგლისში: ფოლადის ეზო (teel yard) ლონდონში, ბოსტონში და ლინში. ამ შეთანხმებით ჰანზელმა ვაჭრებმა მოიპოვეს უდიდესი წარმატება.

ჰენრი მეშვიდის და ჰენრი მერვეს დროს ჰანზა სუსტდება, ხოლო დედოფალმა ელისაბედმა მიაყენა უკანასკნელი დარტყმა მათ პრივილეგიებს (20:191).

მერსერთა „საბჭოს აქტების“ საფუძველზე ირკვევა, რომ ინგლისსა და ჰანზას შორის სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა 1472-1523 წლებშიც.

ინგლისელები ვაჭრობდნენ ჩრდილოეთის ბაზრებზე პრუსიაში და ჰანზის ქალაქებში, თავიანთი საქონლის უსაფრთხოდ ჩამოტანისათვის ისინი იყენებდნენ სამხედრო დაცვას. ზოგჯერ არღვევდნენ კიდევაც სანავიგაციო აქტს, რომელიც ინგლისელებს უკრძალავდა უცხოური (ამ შემთხვევაში ჰოლანდიური) გემებით საქონლის შემოტანას ინგლისში.

1472 წლის 15 იანვრის დოკუმენტი ადასტურებს ინგლისელთა ვაჭრობას ჩრდილოეთის ბაზარზე. ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე გამოცხადდა, რომ ინგლისელმა ვაჭრებმა ბოლო ნავიგაციის დროს ჩრდილოეთის ბაზარზე შეისყიდეს საქონელი და სურდათ მისი ჩამოტანის დროს დაექირავებინათ თავიანთი გემების დაცვისათვის ორი გალეონი და ჰოლანდიური გემები (1:65).

საქმე ისაა, რომ ვაჭრებს ჰანზელები არაკეთილსინდისიერად ეპყრობოდნენ: იყო ისეთი შემთხვევები, როცა ისინი აპატიმრებდნენ ინგლისურ გემებს.

1473 წლის 1 მაისს ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის კრებაზე განიხილეს საკითხი ჰანზელების მიერ ინგლისური გემების დაპატიმრების შესახებ. კრებაზე გამოცხადდა, რომ იმ ღამეს ჰანზელებმა ზელანდიაში დააპატიმრეს ორი გალეონი, რომლებიც დატვირთულები იყვნენ ინგლისელი ვაჭრების (შესაძლებელია არა მარტო ინგლისელი ვაჭრების) საქონლით.

კომპანიამ გამოყო გარკვეული პირები, რომლებიც მამასახლისებთან ერთად, გაიგზავნენ ჰანზელების მეთაურთან – ჟერარ კანიზენთან მოსალაპარაკებლად, რათა მოეწესრიგებინათ ეს საქმე.

კომპანიის მიერ ამ წარგზავნილმა პირებმა პასუხად წერილობით აცნობეს კომპანიას, რომ ისინი იყვნენ ჟერარ კანიზენთან, ესაუბრნენ მას და გააგზავნინეს კაცი ბრიუგეში ტომას პორტინართან, რომელთანაც თქვენ ადვილად შეგიძლიათ გამონახოთ საერთო ენა. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს, ვიმედოვნებთ, რომ გაარკვევთ რომელი ინგლისური საქონელია წაღებული ხომალდებიდან და გვაცნობეთ ამის შესახებ. გთხოვთ, უზრუნველყოთ, რათა საქონელი არ გააფუჭონ და არ დააზიანონ (1:69).

დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ჰანზელებმა უხეშად დაარღვიეს სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან და შეიპყრეს მათი გემები. ამ საკითხზე იმსჯელა კომპანიამ. გააგზავნეს ნდობით აღჭურვილი პირები ჰანზელების მეთაურთან, დაარწმუნეს იგი თავიანთ სიმართლეში და მოითხოვეს მისგან მოლაპარაკებოდა ვინმე პორტინარს, (შესაძლებელია, სწორედ მან დააპატიმრა ინგლისელთა გემები) და დაეცვა ინგლისელი ვაჭრების უფლებები და საქონელი.

იმავე წლის მეორე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კომპანიას აცნობეს ხომალდზე არსებული მდგომარეობა. ერთი ხომალდი დაპატიმრებულია ჰანზელების მიერ, მეორე ხომალდი უნდა გასულიყო ტემზაზე, მაგრამ ზღვაზე მომხდარი უსიამოვნების გამო (იგულისხმება ჰანზელების თავდასხმა – ი.ბ.) იძულებული იყო შეეცვალა თავისი კურსი და ჩასულიყო საუტჰემპტონში, სადაც, ღმერთის წყალობით, ჩავიდა მშვიდობით, ხოლო გემის მეპატრონე მოიქცა უცნაურად: იგი არ ჩავიდა დათქმულ დროს, როგორც იყო შეთანხმებული ჟერარ კანიზენთან. საბოლოოდ გადაწყდა ხომალდი გადმოეტვირთათ საუტჰემპტონში. უნდა მოეხდინათ ყველა საქონლის აღწერა, რათა დაედგინათ დაიკარგა თუ არა რაიმე, ხომალდის მეპატრონის მიზეზით. გარდა ამისა, კომპანიის მიერ გაიგზავნა ხალხი საუტჰემპტონში, რათა ეთხოვათ ჯონ პიკერინგისა და ჯონ კოლეტისათვის (როგორც ეტყობა, გავლენიანი პირები იყვნენ – ი.ბ.) ჩასულიყვნენ მეფესთან ნოტიგემში ორი თხოვნით:

რათა მეფეს გაეთავისუფლებინა ისინი ბაჟის - 200 მარკის გადახდისაგან იმ საქონლის გადაზიდვისათვის, რომელიც გაიტანეს უცხოური გემებით.

2. დახმარებოდა მათ ჰანზელების მიერ შეპყრობილი ხომალდის ვამოხსნაში. იმავე წლის მესამე დოკუმენტში კი მოცემულია ინგლისის მეფის ინსტრუქციები. აი, რას ვკითხულობთ მასში:

„უნდა ეცნობოს ჰერცოგს: (ლაპარაკია ბურგუნდიის ჰერცოგის შარლ გულადის შესახებ - ი.ბ.) მეფემ (ინგლისის მეფემ – ი.ბ.) იცის იმის შესახებ, რომ ახლახან ერთი ხომალდი, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ფლორენციას, დატვირთულ იქნა ჰერცოგის ტერიტორიაზე ძვირფასი საქონლით, მისი ტიტულის ქვეშ შეიყვანეს იგი იქ და იმყოფებოდა მის სამფლობელოში. ეს გალეონი იწოდება „ბურგუნდიად“.

ამ ხომალდმა დატოვა ჰერცოგის ტერიტორიული წყლები. ჰერცოგმა გააფრთხილა ჰანზელები, რომლებიც მის ქვეყანაში იმყოფებოდნენ, რათა ხელი არ შეეშალათ გემისათვის ცურვაში და მათ სამხედრო გემებს არ წამოეწყოთ მასთან ზღვაში ბრძოლა.

გაფრთხილების მიუხედავად ჰანზელები თავს დაესხნენ გემს და შეიპყრეს იგი. შეექმნა საფრთხე ჩვენსა და თქვენს ხალხს (იგულისხმებიან ინგლისელები და ნიდერლანდელები), რომელთა საქონელი იმყოფებოდა გემზე, ხოლო საქონელი დაიტვირთა თქვენი პასუხისმგებლობით.

ეს ჰანზელები იმდენად სულელები და ხეპრეები არიან, რომ მოქმედებენ თავიანთი სიტყვის საწინააღმდეგოდ და ჰერცოგის სურვილის წინააღმდეგ.

შეთანხმების თანახმად ინგლისის ჰერცოგს უნდა ეცნობოს, რომ თუ საქონელი, რომელიც ხელთ იგდეს სამხედრო გემებმა ან ზღვის მეკობრეებმა და გადმოტვირთულ იქნა ჰერცოგის ქვეყანაში, დამტაცებელნი დაუყოვნებლივ უნდა დაპატიმრებულ იქნან, საქონელი კი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს, ხოლო თუ ჰანზელები წაიყვანენ გალეონს თავიანთ სამფლობელოში და იქ გადმოტვირთავენ, მაშინ ჰერცოგმა უნდა აიძულოს ჰანზელები, რათა გადაუხადონ რეპარაცია საქონლის მფლობელებს. ბურგუნდიის ჰერცოგის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს ინგლისის მეფეს. (1:69).

ასევე საყურადღებოა 1480 წლის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ცნობებს ჰანზელების მიერ ინგლისელ ვაჭართა შევიწროების შესახებ, რის გამოც ინგლისელმა ვაჭრებმა იჩივლეს კიდეც მეფესთან ედუარდ IV-სთან.

დოკუმენტის თანახმად, კომპანიის ორი მამასახლისი მისულა გრინვიჩში მეფესთან და მოუხსენებიათ იმის შესახებ, რომ ჰანზელები ყიდულობდნენ ინგლისში დიდი ოდენობით აბრეშუმის ქსოვილს, ინგლისელი ვაჭრების საზიანოდ. საერთოდაც, ინგლისში ჰანზელები სარგებლობენ მეტი უფლებებითა და თავისუფლებით, ხოლო მათ ქვეყანაში (გერმანიაში – ი.ბ.) ინგლისის მეფის ვაჭრებს არ ჰქონდათ უფლება გაეკეთებინათ რაიმე. მათ მიერ ნაყიდი საქონლის ოდენობა განსაზღვრული იყო საბაჟო ხელისუფლების მიერ.

როდესაც ინგლისის მეფემ მოისმინა ვაჭართა საჩივარი ამის შემდეგ, მისმა უდიდებულესობამ ითხოვა, რომ ვაჭრებს შეედგინათ

თავიანთი წინადადებები. ამისათვის კრებამ აირჩია ოთხი ნდობით აღჭურვილი პირი - ნიკლას ოლვინი, ჰიუ ბრაუნი, ნიკლას მორტონი და ჯონ პიკერინგი, რომელთაც დაევალათ ვაჭართა მოთხოვნების შედგენა (1:137).

ამრიგად, ირკვევა, რომ ჰანზელები აეიწროებდნენ ინგლისელებს ზღვის გაღმა ბაზრობაზე, სადაც ისინი იძენდნენ აბრეშუმის ქსოვილს უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე ინგლისელი ვაჭრები, რომელთა ვაჭრობას ზღუდავდნენ. ედუარდ IV-მ მხარი დაუჭირა ინგლისელი ვაჭრების მოთხოვნებს, რადგან მის ინტერესებში შედიოდა ინგლისის ვაჭრობის განვითარება და, ამიტომ, დაავალა კომპანიას შეედგინა მოთხოვნები, რომლითაც დაცული იქნებოდა ინგლისელ ვაჭართა ინტერესები და ისინი შეძლებდნენ კონკურენცია გაეწიათ ჰანზელი ვაჭრებისათვის.

ამავე დროს ინგლისელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჰქონოდათ უცხოელ ვაჭრებთან, კერძოდ, ჰანზელებთან. ამ მხრივ საინტერესოა 1480 წლის დოკუმენტი:

1480 წლის 16 მაისს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე გამოცხადდა: ჩვენი მოქმედებით უკმაყოფილოაო მილორდ-ჩენსლორი, რადგან ჩვენ არ ვაძლევთ ზუსტ ინფორმაციას (გადასახადის გადახდის შესახებ) და მან გამოაგზავნა ჩვენთან თავისი კანცელარიიდან ორი კლერკი დავალებით, რათა მათ კანცელარიისათვის გაეგზავნათ სია და ეთხოვათ პატიება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დანიშნავს კომისიას, რომელიც გამოიტანს განაჩენს ჩვენს წინააღმდეგ.

შემდეგ წაიკითხეს იმ დავალიანებულ პირთა სია, რომელიც უნდა წარედგინათ ხაზინაში. ამასთანავე, გამოცხადდა, რომ ყოველმა ვაჭარმა, რომელმაც მიიღო პატიება (მეფის სუბსიდიის გადაუხდელობასთან დაკავშირებით) უნდა დადოს შემდეგი ფიცი: „ფიცსა ვდებ, რომ თავს შევიკავებ ცუდი საქციელისაგან, როგორიც ჩავიდინე წარსულში". და ა.შ. (1:138).

ამრიგად, იმისათვის რომ ინგლისის ვაჭრობას ჰქონოდა სწორი ორგანიზება, არ ჰქონოდათ მის ვაჭრებს ზარალი და ჰყოლოდათ

მუდმივი მყიდველი, ამისათვის ინგლისელ ვაჭრებს არ უნდა დაერღვიათ ვაჭრობის წესები ჰანზელებთან, თავი უნდა შეეკავებინათ „ცუდი საქციელისაგან“ (ჰანზელთა საქონლის უსაფუძვლოდ დაწუნება, დაზიანება), მათ წინააღმდეგ აჯანყების მცდელობა და უნდა დაეცვათ ყიდვა-გაყიდვის ნორმები. არ უნდა აეძულებინათ ჰანზელები, რომ ეყიდათ დიდი რაოდენობით ინგლისელთა საქონელი, იმაზე მეტი, რასაც ინგლისელები იყიდდნენ მათგან. ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიას ყოველივე ამის ცხოვრებაში გატარება სურდა, გამომდინარე თავისი ქვეყნის სავაჭრო ინტერესებიდან.

1484 წელს აიკრძალა ინგლისელთა ვაჭრობა ჰანზასთან სპეციალური ძალით. დამრღვევს უნდა გადაეხადა ჯარიმა (1:158), ხოლო 1489 წელს ინგლისელი ვაჭრები ჩანან ჩრდილოეთის ბაზარზე – პრუსიაში და ჰანზის ქალაქებში.

1489 წლის 25 თებერვლის დოკუმენტში საუბარია იმის შესახებ, რომ ინგლისური გემები დაბრუნდნენ ჩრდილოეთის ბაზრობიდან (1:202). იმავე წლის მეორე დოკუმენტი გადმოგვცემს, რომ აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ბაზრობაზე დანიშნულ გემებს, ასევე ზელანდიიდან დაბრუნებულ გემებს უნდა ჰქონოდა კონდუიტი (1:199), რაც ადასტურებს ინგლისელთა ვაჭრობას ჩრდილოეთის ბაზრობაზე ჰანზასთან.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთის ბაზრობაზე ლონდონელ ვაჭარ-ავანტიურისტთა გამგზავრება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან ხშირად მათი მტერი დათარეშობდა იმ ადგილებში. ამიტომ ავანტიურისტებმა აღნიშნულ საკითხზე მოიწვიეს 1490 წლის დეკემბერში ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის საერთო კრება, სადაც გამოაცხადეს, რომ მათი სამი გემი „ჟოფრე გოფჰემი“, „გრიფიტსი“ და „პასტრიცია“ მიემგზავრება ჩრდილოეთის ბაზრობაზე, მაგრამ საეჭვოა მათი უსაფრთხოება იმის გამო, რომ დათარეშობს მტერი განსაკუთრებით (ნიდერლანდებში) ამიტომაც უნდა ემსჯელათ თუ როგორ მოქცეულიყვნენ.

გადაწყდა, რომ კომპანიის რწმუნებულნი, რომლებიც დანიშნეს ამ სამ გემზე, მეორე დღესვე უნდა მოთათბირებოდნენ გემების მე-

პატრონებს და მეხანიზადრებს იმის შესახებ, რომ მათ ეწარმოებინათ მოლაპარაკება იმ პირებთან, ვინც ითხოვდა სადაზღვევო გადასახადის გადახდას (ყოველ ფუთა ტვირთზე – 10 პენსი). თუ კომპანია თანახმა იქნებოდა, მაშინ საჭირო იყო დაედოთ ახალი ხელშეკრულება: უნდა მიეცათ მათთვის მეტი ხალხი გემების დასაცავად და გაეღიდებინათ სადაზღვევო გადასახადი 12 პენსის ოდენობით ყოველ ფუთა ტვირთზე (1:209).

გამოდის, რომ ვაჭრები მზად იყვნენ გადაეხადათ მეტი ოდენობით სადაზღვევო გადასახადი და აგრეთვე ითხოვდნენ გემების დაცვის გაძლიერებას; მეტი ადამიანის გამოყოფას გემების დასაცავად ჩრდილოეთის ბაზარზე მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ზოგჯერ ინგლისელ ვაჭრებს დავალიანება რჩებოდათ ჩრდილოეთის ბაზრობაზე წასვლის შემდეგ. სწორედ ამის შესახებაა საუბარი 1490 წლის 5 მაისის ოქმში, საიდანაც ირკვევა, რომ შემოწმების შედეგად გამოვლინდნენ დავალიანებული ვაჭრები, რომელთაც დარჩენოდათ ვალი სინკსონის ბაზრობაზე ვაჭრობის შემდეგ 1487 წელს და ჩრდილოეთის ბაზრობაზე ვაჭრობის შემდეგ – 1489 წელს.

დავალიანებულ პირთა შორის მოხსენიებულნი არიან, რკინაკაკვეულით მოვაჭრენი რიჩარდ უინტერი, ტომას ბილსდონი და ფილიპ ბოლი, ასევე ტყავით მოვაჭრე ჯონ პასმერი, რომლის ვალი შეადგენდა 13 გირვანქა სტერლინგს (1:208-210).

გამოდის, რომ ინგლისელი ვაჭრები ზოგჯერ არაკეთილსინდისიერად იხდიდნენ საბაჟო გადასახადს, რის გამოც რჩებოდათ დავალიანება. გარდა ამისა, ისიც ირკვევა, რომ მათ გაჰქონდათ მატყლის გარდა ტყავი, რკინა და კაკვეული.

ჩრდილოეთის ბაზრობაზე გამგზავრება ვაჭრებს იაფი როდი უჯდებოდათ. მაგალითად, 1491 წლის 11 იანვრის დოკუმენტიდან ჩანს თუ რა დიდი დაბეგვრა მოელოდა იმ ვაჭრების საქონელს, რომელიც ჩამოიტანეს გემებმა ბოლო ნაოსნობის შედეგად ჩრდილოეთის ბაზრობიდან. ეს ნაოსნობა მათ დაუჯდათ დაახლოებით 12-13 ათასი გირვანქა სტერლინგი (1.223).

იმისათვის, რომ ნაოსნობის ხარჯები დაეფარათ, კომპანია ითხოვდა, რათა გაედიდებინათ საბაჟო გადასახადი მათ მიერ ჩამოტანილ საქონელზე, რაზეც უარს ვერ იტყოდნენ ვაჭრები.

ინგლისელთა სავაჭრო ურთიერთობას ჰანზასთან ასახავენ 1493 წლის 14,15 და 17 ოქტომბრის დოკუმენტები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ჰანზელები ავიწროებდნენ ინგლისელ ვაჭრებს, რისი შედეგიც იყო ინგლისელთა პროტესტი და ზოგჯერ ჯანყიც.

1493 წლის 14 ოქტომბერს მოწვეულ ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე გამოცხადდა, რომ ჰანზელები ქირაობენ და ტვირთავენ გემებს მაუდით და სხვა ქსოვილებით. ემზადებიან თავიანთ ქვეყნებში გასამგზავრებლად და რომ მათ შორის არიან ისეთი ვაჭრებიც, რომელთაც ინგლისის მეფემ ახლახან აუკრძალა რაიმე საქონლის გატანა ან შემოტანა რომის საღმრთო იმპერატორისა და ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე (საკითხი ეხებოდა ვაჭრობის აკრძალვას ბურგუნდიის ჰერცოგის მიწებზე). მაშინ ინგლისელმა ვაჭრებმა გადაწყვიტეს, რომ უცხოელების თანაბრად, მათაც აქვთ უფლება დატვირთონ გემებზე თავიანთი საქონელი. მიჰყიდონ ჰანზელებს ან იყიდონ მათგან საქონელი და დადონ მათთან სავაჭრო შეთანხმება.

გარდა ამისა, კრებაზე გამოცხადდა, რომ ინგლისელი ვაჭარი სტივენ ბული აპირებდა გამგზავრებას თავისი გემებით ჰანზელებთან ერთად და ითხოვდა ნებართვას თუ შეიძლებოდა მასაც დაეტვირთა გემები (1:587).

ამ დოკუმენტიდან არ ჩანს რა პასუხი მიიღო ინგლისელმა ვაჭარმა სტივენ ბულმა ჰანზელებთან ერთად გემების საქონლით დატვირთვისა და ზღვის გაღმა გამგზავრების შესახებ. ერთი რამ კი ცხადია, რომ ინგლისელი ვაჭრები პროტესტს გამოთქვამდნენ ჰანზელების მიმართ, რომლებსაც ყოველგვარი ნებართვის გარეშე გაჰქონდათ გასაყიდად ბურგუნდიის საპერცოგოს სამფლობელოებში, ესე იგი იმ ოლქებში, რომლებთანაც ვაჭრობა აკრძალული იყო.

ინგლისელ ვაჭართა უკმაყოფილება ჰანზელი ვაჭრების მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ ზოგჯერ ის შეიარაღებულ ჯანყშიც კი გადაზრდილა. ამას ადასტურებს 15 ოქტომბრის დოკუმენტი.

1493 წლის 15 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ დილით მოხდა დიდი ჯანყი ჰანზელების წინააღმდეგ. ამ ჯანყს უფრო მძიმე შედეგებიც მოჰყვებოდა ლონდონის ლორდ-მერსა და მაღალი თანამდებობის პირებს, რომ არ შეეჩერებინათ იგი.

გადაწყდა. რომ მერს, ოლდერმენს და შერიფს მათი დაცვის მიზნით, თან უნდა ხლებოდა 12 შეიარაღებული კაცი, რათა მათ უზრუნველეყოთ სიტიში მშვიდობა და წესრიგი.

იმავე დღეს შუადღისას ილდ ჰოლში მერთან და ოლდერმენთან გამოძახებულ იქნა ყველა კორპორაციის მამასახლისი, კონეტაბლებთან ერთად და მოითხოვეს მათგან დაეცვათ ქალაქში მშვიდობა. სახლებშიც კი არ უნდა გაეჩერებინათ ვინმე, გარდა თავიანთი მსახურებისა, რომელთა ყოფაქცევაზე მათ თვითონ უნდა ეგოთ პასუხი და უნდა ეკისრათ მშვიდობის დაცვა.

ხოლო მამასახლისებს და სხვა პირებს უნდა გამოეყოთ ღამის გუშაგები, რომელნიც დარჩებოდნენ ოლდერმენებთან დანიშნულ დროს სამორიგეოდ (1:590).

როგორც ირკვევა, უცხოელებთან ჯანყებისა და ქალაქში უწესრიგობის თავიდან აცილებისა და მშვიდობის დაცვის მიზნით კომპანიის მიერ გამოიყო დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში წესრიგის დაცვისათვის გამოიყო დაცვა ინგლისელთა მხრივ ჰანზელების წინააღმდეგ, მაინც ჰქონდა ადგილი აჯანყების მოწყობის მცდელობას, რასაც ადასტურებს 1493 წლის 17 ოქტომბრის ოქმი, რომელშიაც ვკითხულობთ: მამასახლისებმა ჯონ ბრაუნმა, უარდმა და ოლდერმენმა რობერტ ტეიტიმ მერის რჩევით გუშინ მილორდ-ჩენსლორს (კანცლერს) მოახსენეს იმ პირების ყოფაქცევის შესახებ, რომელთაც დააპირეს დიდი ჯანყის მოწყობა ჰანზელების წინააღმდეგ. ქალაქის უსაფრთხოებისა და ჯანყების თავიდან აშორების მიზნით დანიშნულ იქნა ღამის დაცვა.

მოისმინა რა ყოველივე ამის შესახებ, ჩაწერილია ოქმში – მილორდ-ჩენსლორი დარჩა კმაყოფილი. ამის შემდეგ ჩვენ (ვაჭრებმა – ი.ბ.) ჩავუნერგეთ მას იდეა იმის შესახებ, რომ თუ წავიღებდით საქონელს გემებით ჰანზელებთან ერთად, ეს მოგვიტანდა დიდ

მოგებასა და სარგებლობას. მაგრამ მილორდ-ჩენსლორმა არ გვირჩია ჰანზელებთან ერთად საქონლის წაღება. გარდა ამისა, ჩვენს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. ზოგიერთი ამბობდა, რომ არც ერთ ინგლისელს არ ჰქონდა ლიცენზია ვაჭრობაზე მაშინ, როდესაც ჩვენ ვალდებულნი ვიყავით დავმორჩილებოდით მეფის ყველა ბრძანებას, ხოლო უცხოელები მოქმედებენ პირიქით და ღებულობენ კიდეც მოგებას. მათ შეისყიდეს დიდი ოდენობით მაუდის ქსოვილები და აპირებენ გაიტანონ ისინი თავიანთ ქვეყნებში, რაც იქნება მეფის ყველა ბრძანების დარღვევა და ზარალის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის. გარდა ამისა, ოქმში ნათქვამი იყო, რომ ჰანზელები უკვე ტვირთავენ მაუდს საფრანგეთში გასატანად, ხოლო ნაწილს — ბურგუნდიის საპერცოგოს სამფლობელოებში. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ზომები ამის წინააღმდეგ.

გადაწყდა, რომ კომპანიას უნდა გაეტარებინა ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად და შემდეგ მოეხსენებინა ამის შედეგები ლორდ-მერისათვის, ხოლო მერს კი უნდა ეცნობებინა ყოველივე მილორდ-ჩენსლორისათვის (1:590).

ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში საუბარია, ჰანზელების წინააღმდეგ ჯანყების მოწყობის მცდელობის თავიდან ასაცილებლად კომპანიამ გამოყო ღამის დაცვა. დოკუმენტში ასევე მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ჰანზელები არღვევდნენ ინგლისის მეფის ბრძანებას და გაჰქონდათ საქონელი საფრანგეთში და ბურგუნდიის საპერცოგოს სამფლობელოებში, რის გამოც ჩიოდნენ ინგლისელი ვაჭრები. ისინი მოითხოვდნენ, რომ ჰანზელები უკვე ტვირთავენ მაუდს საფრანგეთში გასატანად, ხოლო აკრძალვა უნდა შეხებოდა უცხოელ ვაჭრებსაც. ხოლო თუ ამას არ განახორციელებდნენ, მაშინ ინგლისელი ვაჭრები ჩავარდებოდნენ ზარალში.

1494 წელს, პოლიტიკური გართულების გამო, რომელთა შორის მთავარი იყო ბურგუნდიის მთავრობის მიერ მხარდაჭერა ჰენრი VII ტიუდორის წინააღმდეგ იორკთა დინასტიის ფეოდალური ჯგუფისა, ვაჭრობა ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის, როგორც 30 წლის წინათ, დაირღვა. ამ დროს ერთადერთ შემომტანად საქონლისა ნიდერლანდებიდან და გერმანული მიწებიდან ინგლისის ბაზარ-

ზე რჩებოდნენ ჰანზელები, რომლებმაც ხელიდან არ გაუშვეს ხელსაყრელი მომენტი გამდიდრებისათვის. და ამიტომაც ეწეოდნენ ამ დროს გაცხოველებულ ვაჭრობას ინგლისთან, არ ერიდებოდნენ ინგლისის მეფის ბრძანების დარღვევას და ინგლისელი ვაჭრების ზარალში ჩაგდებას.

ინგლისისათვის თეთრეული ქსოვილების ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ ჰანზელები, რასაც ადასტურებს 1502 წლის 7 დეკემბრის დოკუმენტი. ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში თუ დაიწყებოდა ომი ინგლისსა და ჰანზას შორის, მაშინ თეთრეულის ქსოვილი - ბატისტი და მაქმანი - დროებით არ შემოვიდოდა სტილიარდში, ხოლო ქსოვილის მზომავს (ეს, როგორც დავინახეთ, ვაჭართა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო ლონდონში), რომელსაც ყოველწლიურად უხდიდნენ 16 გირვანქა სტერლინგს, ახლა გაცილებით უფრო ნაკლებს მხოლოდ 4 პენსს (1:259), ვინაიდან შეწყდებოდა თეთრეული ქსოვილით ვაჭრობა.

ზოგიერთ შემთხვევაში ჰანზელი ვაჭრები საჩივარს აღძრავდნენ ხოლმე ინგლისელი ვაჭრების მიმართ, ვინაიდან, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, ქსოვილის მზომავი უხეშად არღვევდა ვაჭრობის წესებს, რითაც ზარალდებოდნენ ჰანზელი ვაჭრები, აი, რას ვკითხულობთ 1508 წლის 12 აგვისტოს ოქმში: ჰანზელები უჩიოდნენ ქსოვილის მზომავ ჯონ ჰუსს, თან მოიტანეს საჩივარი, რომელიც წაკითხულ იქნა კრებაზე. ამ საჩივრის თანახმად, ჯონ ჰუსს ჰქონია ყალბი საზომი, რითაც მან ერთხელ გაუზომა მათ ქსოვილი და მოიპარა 3 გირვანქა სტერლინგის, 13 შილინგისა და 8 პენსის ღირებულების ქსოვილი. საჩივარში წამოყენებულია მოთხოვნა გაანთავისუფლონ იგი ამ მოვალეობისაგან, რომელიც მას ეკავა 7 წლის მანძილზე. ადვილი წარმოსადგენია რამდენ ზარალს მიაყენებდა იგი მყიდველს ამ 7 წლის მანძილზე, თუ ყოველთვის ასეთი ყალბი საზომით ზომავდა! კრებამ დაადგინა, რომ ქსოვილის მზომავი ჯონ ჰუსი გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან და დალოდებოდნენ მამასახლისების შემდეგ განკარგულებას (1:316), სანამ არ დაინიშნებოდა ვინმე აღნიშნულ თანამდებობაზე.

როგორც ირკვევა, ჰანზასა და ინგლისს შორის ვაჭრობა რეგულარული ხასიათის არ ყოფილა. ზოგჯერ იგი წყდებოდა, რაც დაკავშირებული იყო გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებასთან.

1509 წლიდან, როგორც ეტყობა ინგლისსა და ჰანზას შორის სავაჭრო ურთიერთობა აღდგენილ იქნა, რასაც ადასტურებს 1509 წლის დოკუმენტი, რომელშიც არის ცნობები მათ შორის საქონლის ფასებზე, სავაჭრო მოლაპარაკების წარმოების შესახებ.

1509 წლის 17 დეკემბერს შედგა მამასახლისთა ასისტენტების კრება. აქ გამოცხადდა, რომ ერთ-ერთ მამასახლისს სურს შეიტყოს კომპანიის აზრი: არის თუ არა საჭირო მოლაპარაკება კომპანიის წევრებთან და კალეს მერთან იმის თაობაზე თუ რამდენი გადაუხადონ გერმანელ ვაჭრებს (ე.ი. როგორ ფასებში იყიდონ მათგან საქონელი – ი.ბ.) კომპანიამ გადაწყვიტა, რომ მამასახლისები უნდა მოლაპარაკებოდნენ კალეს მერს ბატონ ტეიტომს გერმანელების საქონლის ფასების შესახებ და წერილობით წარმოედგინათ თავიანთი მოთხოვნების ყველა პუნქტი. შემდეგ უნდა განეხილათ ეს საკითხი ავანტიურისტთა კრებაზე და შეთანხმებულიყვნენ ერთიან მოქმედებაზე (1:345).

ოქმიდან ჩანს, რომ ჰანზელ ვაჭრებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება გასაყიდი საქონლის ფასების შესახებ. როგორც ირკვევა, მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდა კალეს მერიც. შესაძლებელია, იგი შუამავლობდა კიდეც ჰანზელ ვაჭრებსა და ინგლისელებს შორის. ახლა, კომპანიასთან ერთად, ვაჭრები უნდა შეთანხმებულიყვნენ ერთიან ფასზე.

1551 წელს ვაჭარ-ავანტიურისტები მოითხოვდნენ საიდუმლო საბჭოსაგან, რომ რადგან ჰანზელები ბოროტად იყენებდნენ თავის პრივილეგიებს, ამიტომ მათ უნდა ჩამოერთმიათ ბოძებული უფლებები და პრივილეგიები. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მათ ჩამოერთვათ პრივილეგიები და ჩააყენეს ისეთსავე მდგომარეობაში, როგორც სხვა უცხოელი ვაჭრები (77:421).

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ჰანზა კარგავს თავის წინანდელ უფლებებს ინგლისის საგარეო ბაზარზე. ედუარდ VI-მ (1547-1553 წწ) 1552 წელს ჩამოართვა ჰანზას თავისი ძველად ბოძებული პრივილეგიები.

ჰანზის კავშირი 1590 წელს ჩიოდა, რომ ინგლისის მიერ ესპანეთის ე.წ. „უძლეველი არმადის“ 1588 წელს დამარცხების შემდეგ ინგლისი არა მარტო გერმანიაში, არამედ თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში ამყარებს თავის უფლებებს და ხელთ იგდებს მთელ ვაჭრობასა და მოგებას.

პ.პ. შჩეგოლევის მიხედვით, 1578 წ. ლონდონში ჰანზელების „ფოლადის ეზო“ დაიხურა (186:264), ხოლო მ.ნ. სობოლევი (164:58) და ა.მორტონი (126:174) ამტკიცებდნენ, რომ ინგლისელ და ჰანზელ ვაჭრებს შორის ბრძოლა დასრულდა ამ უკანასკნელის გაძევებით ლონდონიდან, უკანასკნელი დარტყმა მათ მიაყენა დედოფალმა ელისაბედმა 1598 წელს, როცა ლონდონში დაიხურა მათი „ფოლადის ეზო“.

ამრიგად, მერსერთა „საბჭოს აქტების“ საფუძველზე შეიძლება წარმოვადგინოთ სავაჭრო ურთიერთობა ჰანზასა და ინგლისს შორის ლონდონის მაგალითზე.

როგორც გაირკვა, 1403 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკება გერმანელ და ინგლისელ ვაჭრებს შორის. თუ ადგილი ექნებოდა საქონლის მიტაცებას რომელსამე მხრივ. მაშინ მათ იკისრეს ვალდებულება ან დაებრუნებინათ პატრონისათვის უკან საქონელი, ან აენაზღაურებინათ ზარალი.

ხოლო 1472 წელს მოლაპარაკება ედუარდ IV-სა და ჰანზას შორის დასრულდა უტრეხტის ტრაქტატის დადებით, რომელიც ფართო პრივილეგიებს ანიჭებდა ჰანზელებს, რომელთაც მიიღეს ინგლისში სამი ფაქტორია: „ფოლადის ეზოები“ ლონდონში, ბოსტონსა და ლინში.

ჰანზელი ვაჭრები ხშირად უხეშად არღვევდნენ ინგლისთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების პირობებს, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ ინგლისური გემების დაპატიმრებაში (1473), ინგლისელი ვაჭრების შევიწროებაში (1480), თავიანთი გემების უნება-რთვოდ საქონლით დატვირთვაში (1493), თავიანთ სამფლობე-ლოებში უსამართლო საბაჟო გადასახადების დაწესებაში და ა.შ.

ყოველივე ამის გამო, ინგლისელი ვაჭრები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას გერმანელი ვაჭრების მიმართ და უფრო მეტიც,

ადგილი ჰქონდა ჯანყების მოწყობის მცდელობას ჰანზელთა წინააღმდეგ (1493).

ირკვევა ისიც, რომ 1494 წელს დაირღვა ინგლისსა და ბურგუნდიას შორის სავაჭრო ურთიერთობა პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავებასთან დაკავშირებით საქონლის ერთადერთი შემომტანი ინგლისში ნიდერლანდებიდან და გერმანული მიწებიდან იყვნენ ჰანზელები.

ჰანზას ინგლისში შეჰქონდა მომეტებულად თეთრი ბატისტი და ბეწვეული, ხოლო ინგლისიდან გაჰქონდა მატყლი, მაუდი, ტყვია და თაფლი.

ჰანზის პრივილეგიები ინგლისში შესუსტდა ჰენრი VII-სა (1485-1509) და ჰენრი VIII-ის (1509-1547) ხანაში, ხოლო დედოფალმა ელისაბედმა ბოლო მოუღო მათ ვაჭრობას ინგლისში და დახურა მათი ფაქტორები.

6. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან

[ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან დაიწყო ძალიან ადრე, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ნორმანდიული დაპყრობის შემდეგ] (1066) გუიენისა და მისი დედაქალაქი ბორდოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისის ბაზარს. ბრიტანეთსა და გუიენს შორის მჭიდრო კავშირი განპირობებული იყო იმით, რომ საფრანგეთის ეს ნაწილი წარმოადგენდა ინგლისის მეფის კუთვნილებას. ბორდოდან ინგლისში შეჰქონდათ ღვინო, ხილი, რკინა, იარაღი და ა.შ.

XV საუკუნის შუა ხანებში გუიენი ჩამოშორდა ინგლისს და, ამიტომ, ინგლისისა და გუიენის სავაჭრო ურთიერთობაში მოხდა ცვლილება. ბორდოს ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაეიდა ნორმანდიელებისა და ჰანზელების ხელში. ლუი XI-ის დროს (1461-1483) 1476 წელს საფრანგეთის მეფესა ლუი XI-ს და ედუარდ IV-ს შორის, 1476 წელს დაიდო შეთანხმება, რომლის ძალით ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა აღდგენილი იქნა.

ინგლისში ბორდოდან შემოდიოდა ღვინო, ბრეტანიდან — ბატისტი, ტილო, მარილი და ღვინო. ხოლო XVI საუკუნეში კი ამას დაემატა აბრეშუმის და ხალიჩის შემოტანა.

1491 წელს ბრეტანის საჰერცოგოს საფრანგეთთან შეერთებამ შეცვალა ინგლის-ბრეტანის ვაჭრობის ხასიათი, რაც ინგლისისათვის ხელსაყრელი არ აღმოჩნდა (91:193).

მერსერთა სავაჭრო კომპანიის „საბჭოს აქტების" საფუძველზე ირკვევა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის სწარმოებს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობანი 1465 წლიდან 1525 წლამდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ შემთხვევას, როცა ირღვეოდა ეს ურთიერთობანი.

1465 წლის 16 აგვისტოს დოკუმენტში შემონახულია საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ თეთრი და ყავისფერი ბატისტის ქსოვილები ინგლისში შემოდიოდა საფრანგეთიდან. იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მერსერთა კომპანიის კრებაზე განუხილიათ საკითხი თეთრი და ყავისფერი ბატისტის ქსოვილების სიგრძისა და სიგანის არასწორი ზომების შესახებ. კომპანიამ წამოაყენა წინადადება, რათა მიეწერათ წერილი ზღვის გაღმა მმართველის უილიამ კექსტონისათვის, რათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრილიყო ეს ნაკლოვანება.

წერილი მისწერეს ზღვის გაღმა მმართველს ჰენრი ბომსტედს 1465 წლის 4 სექტემბერს, ხოლო მოგვიანებით ქსოვილის მზომავის თანამდებობაზე აირჩიეს ინგლისელი, რათა უცხოელებს არ მოეტყუებინათ ინგლისელი ვაჭრები (არ დაეკლო ქსოვილისათვის სიგრძე და სიგანე) (1:277).

გამოდის, რომ უცხოელ ვაჭრებს და მომეტებულად ფრანგებს დაკარგული ჰქონდათ ინგლისელთა ნდობა, ვინაიდან მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა სავაჭრო წესების დარღვევას, ქსოვილის არასწორი გაზომვის შემთხვევებს, ამიტომ ისინი ცდილობდნენ არ დაეშვათ უცხოელების მიერ ქსოვილის ზომების უხეშად დარღვევა.

1477 წლის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იმ დროს ინგლისსა და საფრანგეთს შორის სწარმოებდა აქტიური სავაჭრო ურთიერთობა. ამას ადასტურებს იმავე წლის 27 ივნისის დოკუმენტიც, რომელ-

შიც საუბარია იმის შესახებ, რომ საფრანგეთიდან ჩამოდიან ელჩები ინგლისში, ამასთან დაკავშირებით კომპანიამ მიიღო სპეციალური ორდონანსები და განსაზღვრა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ინგლისის მეფის გუშაგთა ჩაცმულობა, ხოლო ორდონანსის დარღვევისათვის დაწესებული იყო ჯარიმა.

აი, რას ვკითხულობთ ამ დოკუმენტში: რადგან ჩამოვიდნენ საფრანგეთისა და შოტლანდიის ელჩები, (ინგლისის) მეფეს სურს ჰყავდეს დიდი დაცვა მშვილდოსნებისაგან შემდგარი და კარგად ჩაცმული. ლორდებმა უბრძანეს კომპანიის მმართველებს, რომ მოსულიყვნენ მშვილდოსნებთან ერთად, ერთნაირ ცისფერ კანზოლებში გამოწყობილნი, მაგრამ, რადგანაც მკერავებმა მათ კომპანიის მმართველებს შეუკერეს ვარდისფერი კანზოლები, მათ იგი უნდა ჩაეცვათ, ხოლო დანარჩენები უნდა ყოფილიყვნენ ცისფერ კანზოლებში გამოწყობილნი.

იმავე წელს მიიღეს სპეციალური ორდონანსი, რომელშიც ჩაწერილი იყო:

1. გილდიის ყველა წევრი, ვინც კი დანიშნეს მცველად მეფის საპატიო ყარაულში, უნდა გამოცხადდნენ პრინც უორდროპთან საღამოს 8 საათზე. გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაჯარიმდებიან 20 შილინგით.

2. გილდიის არა წევრი, ვინც დანიშნეს საპატიო ყარაულში უნდა გამოცხადდეს იქ იმავე დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას – 20 შილინგს.

3. არავინ არ უნდა გამოცხადდეს თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი.

4. არავისი ჩაცმულობა არ უნდა გამოირჩეოდეს მამასახლისების ჩაცმულობისაგან, ჯარიმა 20 შილინგი.

5. არავინ არ უნდა წაართვას შერიფს საჭურველიანი ადამიანი, ჯარიმა 20 შილინგი.

6. მამასახლისები დააკისრებენ გადასახადის გადახდას კომპანიის იმ წევრებს, რომლებიც არ იქნებიან დაცვაში 20 პენსის ოდენობით.

7. ხოლო კომპანიის არა წევრები, რომლებიც არ გამოცხადდებოდნენ დაცვაში, გადაიხდიდნენ ჯარიმას, ყოველი მათგანი – 12 პენსს.

საფიქრებელია, რომ რადგანაც საფრანგეთის ელჩები ჩამოდიოდნენ, სავაჭრო ურთიერთობაც ინგლისსა და საფრანგეთს შორის იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისის მეფე მშვილდოსნებისაგან შემდგარი, ცისფერ და ვარდისფერ კანზოლებში გამოწყობილი სპეციალურად გამოყოფილი და კარგად ორგანიზებული, სადღესასწაულოდ მორთული დაცვით არ შეხვდებოდა საფრანგეთის ელჩებს.

ჩვენ არ შეგვიძლია მივუთითოთ ზუსტი თარიღი 1477 წლის შემდეგ თუ როდის შეწყდა ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა, მაგრამ 1482 და 1485 წლების დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საფრანგეთთან გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობის გამო სავაჭრო კონტაქტი მათ შორის აღარ არსებობდა.

1482 წელს ინგლისის მეფემ აუკრძალა თავისი ქვეყნის ვაჭრებს საფრანგეთში ჩასვლა ქონების კონფისკაციის მუქარით, ვინაიდან საფრანგეთთან შეიქმნა გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობა (საფრანგეთის მეფემ ხომ დაარღვია ხელშეკრულება) გამონაკლისი იქნებოდა დაშვებული მხოლოდ იმათთვის, ვისაც ექნებოდა სპეციალური ნებართვა საფრანგეთში ჩასვლისა. ყოველივე ამის შესახებ ლონდონის ლორდ-მერმა გამოუცხადა კომპანიის მამასახლისებს ილდ ჰოლში.

ხოლო 1485 წლის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ინგლისის მეფემ რიჩარდ III-მ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ მის სამეფოში მეამბოხეებს ფულით ამარაგებდა საფრანგეთის მეფე შარლ VIII (1483-1498) თანაც, ამავე დროს, ის აპირებდა ინგლისში დიდი ჯარით შემოჭრას.

კრებაზე გამოცხადდა, რომ „ჩვენმა მეფემ, რომელმაც ვაჟკაცობითა და სიბრძნით მოიპოვა ძალაუფლება, ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომ შეაჩეროს საფრანგეთის მეფის გადაწყვეტილება, ეს კი მოითხოვს დიდ სახსრებს“. ამიტომ მეფე არა მარტო ქალაქის მერისა და ოლდერმენებისაგან, არამედ ყველა თავისი ქვეშე-

ვრდომისაგან (ცხადია, ეს შეეხებოდა ვაჭრებსაც) ფულად დახმარებას მოითხოვდა, რომ ყველას მოემზადებინა იარაღი, არ გაეყიდა იგი ქვეყნის გარეთ და მზად ყოფილიყო მეფის დასაცავად. (1:180).

ამრიგად, 1482-1485 წლებში სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის აღარ იყო. უფრო მეტიც, 1485 წელს საფრანგეთის მეფე აპირებდა ინგლისში დიდი ძალებით შემოჭრას, რისთვისაც მერსერთა და სხვა კომპანიის ვაჭრებს, მეფის ყველა ქვეშევრდომთან ერთად უნდა გაეწიათ მეფისათვის ფულადი დახმარება და ამავე დროს, მზად უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი თავიანთი ქვეყნის დასაცავად. (1:180).

ამრიგად, 1482-1485 წლებში სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის აღარ იყო. უფრო მეტიც, 1485 წელს საფრანგეთის მეფე აპირებდა ინგლისში დიდი ძალებით შემოჭრას, რისთვისაც მერსერთა და სხვა კომპანიის ვაჭრებს, მეფის ყველა ქვეშევრდომებთან ერთად უნდა გაეწიათ მეფისათვის ფულადი დახმარება და ამავე დროს, მზად უნდა ყოფილყვნენ შეიარაღებულნი თავიანთი ქვეყნის დასაცავად.

აი, რა ცნობას გვაწვდის 1488 წლის 6 სექტემბრის კომპანიის ოქმი: ლორდ-მერმა გააფრთხილა კომპანიის მამასახლისები: პენრი კოლეტი, ჯონ პიკტონი, რიჩარდ გოლოფერი და რიჩარდ ფილდინგი, რომ, რადგან საფრანგეთის მეფე დიდძალი არმიით იმყოფება კალეში და ემუქრება ინგლისს, ნაბრძანებია ქალაქის ყველა კომპანიისათვის, რომ არც ერთმა მათმა წევრმა ამ საშიშ და სახიფათო დროს, სიკვდილის მუქარით, არაფერი თქვას მეფეზე ცუდი. პირიქით, უნდა ილაპარაკონ მის სასარგებლოდ და მისი ღირსების დასაცავად.

მათ ასევე უნდა გაეფრთხილებინათ ყველა ის, ვინც არ ესწრებოდა კრებას (1:182).

ზემოთ მოყვანილი დოკუმენტი ადასტურებს, რომ 1488 წელს არ შეიძლება ყოფილიყო ინგლისის რაიმე სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან, ვინაიდან საფრანგეთის ჯარი თავმოყრილი იყო ქალაქ კალეში და მოსალოდნელი იყო ინგლისში მისი შემოჭრა, ე.ი. შექმნილი იყო გამწვავებული პოლიტიკური ვითარება ამ ორ

სახელმწიფოს შორის, ამიტომ სავაჭრო კონტაქტებზე ამ დროისათვის ზედმეტია საუბარი.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის 1493 წლის 17 ოქტომბრის ოქმი იძლევა ცნობას, რომ მიუხედავად აკრძალვისა, გემებს ტვირთავდნენ მაუდით საფრანგეთში გასაგზავნად და კომპანია ცდილობდა გამოენახა საწინააღმდეგო ღონისძიებანი (1:590).

ამრიგად, 1485 წლიდან დაწყებული 90-იანი წლების განმავლობაში არ ჩანს სავაჭრო კონტაქტები ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ამასთან დაკავშირებით „ნიუბოლდის წიგნი" არავითარ ცნობას არ შეიცავს. ხოლო 1485 წლიდან კი აღსდგა სავაჭრო ურთიერთობანი ამ ორ ქვეყანას შორის.

1495 წლის 21 იანვარს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე ყველა დამსწრეს გამოუცხადეს: ჩვენთან მალე ჩამოვლენ ელჩები საფრანგეთიდან სავაჭრო საკითხებზე მოსალაპარაკებლადო. ამიტომ საჭირო იყო კომპანიის წევრების შეკრება ასამბლეაზე, რათა მოემზადებინათ თავიანთი წინადადებები.

დაინიშნა სპეციალური კომისია 12 კაცის შემადგენლობით, რათა ამ კომპანიას თვალყური ედევნებინა და აღდგენილიყო ის პრივილეგიები, რომელთაც ფრანგები ანიჭებდნენ ძველად ინგლისელ ვაჭრებს. ინგლისელ ვაჭრებს საჭიროდ მიაჩნდათ არა მარტო გაეხსენებინათ იმ პრივილეგიების შესახებ, არამედ გაეხსენებინათ ყველა იმ წყენისა და ზარალის შესახებაც, რომელიც ადრე მიაყენეს საფრანგეთის ქვეშევრდომებმა ინგლისელ ვაჭრებს. ამიტომ საჭირო იყო შეემუშავებინათ ღონისძიებები ამის აღსაკვეთად. (1:594).

ამრიგად, 1495 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობას ადასტურებს ცნობა სავაჭრო ურთიერთობის საკითხებზე მოსალაპარაკებლად ფრანგი ელჩების ინგლისში ჩამოსვლის შესახებ.

როგორც ირკვევა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამის შემდეგ არ შეწყვეტილა სავაჭრო ურთიერთობა, რასაც ადასტურებს 1505 წლის დოკუმენტი.

1505 წლის 21 იანვრის კრებაზე განიხილეს, რომ კომპანიის მამასახლისთა გადაწყვეტილებით დაინიშნა ინგლისელი ვაჭარი ჯონ ჰუსი თეთრეულის ქსოვილის გამზომავის თანამდებობაზე. მას დაენიშნა ყოველწლიურ ჯამაგირად 10 გირვანქა სტერლინგი, რაც უნდა გადახდილიყო კვარტალურად, ე.ი. წელიწადში ოთხჯერ. გამონაკლისი იყო ის შემთხვევა, როცა გამწვავდებოდა ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. მაშინ თეთრეულის მზომავი მიიღებდა სამუშაოს შესრულების ჟამს ხუთ შილინგს ყოველ წელს კვარტალურად (1:207).

თეთრეულის ძირითადი მიმწოდებელი ინგლისისათვის იყო საფრანგეთი და ჰანზა. როცა გამწვავდებოდა ინგლისის პოლიტიკური ურთიერთობა ამ ქვეყნებთან, მაშინ საქონლის შემოტანა იქიდან წყდებოდა და ქსოვილის მზომავი დაუსაქმებლად რჩებოდა.

საინტერესოა საფრანგეთის რომელ ქალაქებში ვაჭრობდნენ ინგლისელი ვაჭრები. წყაროში პირდაპირაა მოცემული ცნობა მათ მიერ ქალაქ ბორდოში საქონლის შეტანის შესახებ, ხოლო სხვა ქალაქები სრულიად არ იხსენიებიან.

1511 წელს ინგლისელი ვაჭრები მიემგზავრებოდნენ სავაჭროდ ქალაქ ბორდოში. მაგრამ 1511 წლის 6 სექტემბრის მერსერთა კორპორაციის კრებაზე მამასახლისებმა, ლონდონის ლორდ-მერისაგან მიღებული ცნობის თანახმად, განუცხადეს ვაჭრებს, რომ ზღვაზე გამოჩნდნენ შოტლანდიელების სამხედრო გემები, რომლებიც ეუფლებოდნენ ინგლისელთა სავაჭრო გემებს, ხოლო ვაჭრებს კი ზღვაში ყრიდნენ. მერმა ყოველივე ამის შესახებ აცნობა მეფეს. მეფე მოითხოვდა ინგლისელი ვაჭრებისაგან, რომ კომპანიის არც ერთ წევრს არ გაებედა ბორდოში და არც საფრანგეთის სხვა რომელსამე ქალაქში გამგზავრება მეფის სპეციალური ნებართვის გარეშე (1:394).

1511 წლის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ:

1. ინგლისელი ვაჭრები მიემგზავრებოდნენ საფრანგეთის ქალაქ ბორდოში სავაჭროდ.

2. შოტლანდიელთა სამხედრო გემები ეწეოდნენ მეკობრეობას ინგლისელი ვაჭრების წინააღმდეგ, ეუფლებოდნენ მათ გემებსა და

საქონელს, ხოლო ვაჭრებს ფიზიკურად ანადგურებდნენ. სწორედ ამიტომ ვაჭარ-ავანტიურისტების გამგზავრება ზღვის გაღმა დიდად სახიფათო და სარისკო იყო. ვაჭართა და მათი საქონლის უშიშროების უზრუნველსაყოფად შემდეგში კომპანია გამოყოფდა ხოლმე მათთვის სამხედრო გემებს, რომლებიც აცილებდა კომპანიის წევრ ვაჭრებს, რის შესახებაც ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი.

1517 წლის დოკუმენტი კი გვაუწყებს ინგლისსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის მოლაპარაკების შესახებ.

1517 წლის 20 ივნისს კრებაზე გამოცხადდა, რომ დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ცნობილი ჰუმანისტი ტომას მორი უნდა წასულიყო ელჩად საფრანგეთში და ამიტომ კომპანიის იმ წევრებმა, რომელთაც ფრანგებმა ადრე მიაყენეს რაიმე უკანონობა და ზარალი უნდა უამბონ ამის შესახებ ტომას მორს, რათა მან დაიცვას საფრანგეთში ინგლისელი ვაჭრების ინტერესები (1:446).

ამრიგად, 1517 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკება ინგლისსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ, სადაც ინგლისის მხრიდან ელჩად გაიგზავნა ტომას მორი, რომლის მიზანი იყო ინგლისელი ვაჭრების უფლებების დაცვა.

1520 წლის დოკუმენტებში კი პირდაპირაა მითითებული საფრანგეთიდან ქსოვილების შემოტანაზე, ე.ი. გამოდის, რომ ამ პერიოდში აღდგენილი იყო ინტენსიური ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის.

1520 წლის 20 სექტემბერს კომპანიის კრებაზე წაკითხულ იქნა კომპანიის საბჭოს აქტი, რომელიც დაამტკიცა ლონდონის ლორდ-მერმა უილიამ ბატლერმა. ამ აქტის თანახმად, აბრეშუმის მზომავს უნდა გაეზომა როგორც აბრეშუმი, ისე სხვა ქსოვილები, როგორც თეთრი, ისე ყავისფერი, რომელშიც ჩამოჰქონდათ სიტიში ნებისმიერი გზით უცხოელ ვაჭრებს და რომელსაც ყიდულობდა სიტის ნებისმიერი მოქალაქე უცხოელი ვაჭრებისაგან. ყოველივე ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ იმ პერიოდში უცხოელი ვაჭრები და ხელოსნები მიეჩვივნენ თავიანთი ქსოვილის სიგრძის და სიგანის ფარულად დაკლებას. ამის გამოსასწორებლად ამ აქტით დაკანონდა, რომ ყველა სახის ქსოვილი ფარჩისა, აბრეშუმისა,

მაუდისა, სელისა და ა.შ. თეთრი და მუქი ფერისა, დამზადებული საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ფლანდრიაში, ზელანდრიაში, ბრაბანტში, გენუაში და სხვა ადგილებში შემოტანილი ლონდონის სიტიში უცხოელების მიერ, ლორდ-მერის მიერ დაწესებული ეტალონის მიხედვით უნდა გაეყიდათ მათ ჯარიმის გადახდის მუქარით. ჯარიმის ნაწილი გადაეცემოდა ლონდონის მერის კანცელარიას, ხოლო ნაწილიც იმათ, ვინც შეამჩნევდა დარღვევას და აცნობებდა ამის შესახებ. (1:508).

„ნიუბოლდის წიგნიდან" ნათლად ჩანს, რომ 1520 წელს ინგლისში საფრანგეთიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა ფერისა და სახის ქსოვილები, რაც ადასტურებს მათ შორის სავაჭრო ურთიერთობის არსებობას.

1522 წელს ისევ წყდება სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე ფრანგები მოხსენიებულნი არიან, როგორც ინგლისელთა მტრები. გამოდის, რომ 1522 წელს გამწვავებული უნდა ყოფილიყო პოლიტიკური ურთიერთობა საფრანგეთთან, ამიტომ ინგლისელ ვაჭრებს თავი უნდა შეეკავებინათ საფრანგეთში ვაჭრობისაგან, ვინაიდან იმჟამად შეუძლებელი იყო სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

აი, რას ვკითხულობთ „ნიუბოლდის წიგნში":

1522 წლის 2 სექტემბერს ვაჭარ-ავანტიურისტთა კრებაზე გამოცემულ იქნა ბრძანება ლონდონის სიტის ვაჭრების მიმართ გემ „უინდსოევის" ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც „მათმა მტრებმა" — ფრანგებმა შეიპყრეს. ეს გემი დატვირთული ყოფილა ინგლისელი ვაჭრების საქონლით. კომპანიამ დაასახელა ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთაც ამ გემზე ჰქონდათ საქონელი, რომ ისინი წასულიყვნენ კარდინალ უოლსისთან ზარალის ასანაზღაურებელ რაიმე კომპენსაციის თხოვნით, ამასთანავე, საქონლის ყოველ მეპატრონეს შუადღემდე უნდა მოეტანა თავისი საქონლის სია და ცნობები მის შესახებ. სულ დასახელებული იყო 6 კაცი: რიჩარდ გრეშემი, უილიამ ლოკი, უალტერ მარში, ტომას აბრაზამი, რიჩარდ კოლიური და ჯონ მეიდენდი (1:544).

1525 წელს კი უკვე აღდგენილია სავაჭრო ურთიერთობა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რასაც ადასტურებს შემდეგი დოკუმენტი: მერსერთა კომპანიის 1525 წლის კრებაზე ქსოვილით მოვაჭრე მერსერმა ჯონ გრეშემმა ითხოვა ნებართვა, რათა დაეტვირთა გემი „Valentine of London" 24 თოფი ქსოვილით იმჟამინდელ ბაზრობაზე გასატანად. გემი დაქირავებული იყო ბორდოში გასამგზავრებლად. მაგრამ ეს გემი, რომელსაც მიჰქონდა ბორდოში საქონელი, იგი გაიტაცა ქარიშხალმა და დაიმსხვრა, ხოლო ქსოვილები დასველდა და მარილიანმა წყალმა გააფუჭა. ჯონ გრეშემი ითხოვდა ნებართვას, რომ ედროვებინათ მისთვის, რათა მოემზადებინა გემი გასამგზავრებლად საზამთრო ბაზრობაზე.

კომპანიამ გადაწყვიტა მიეცათ გრეშემისათვის ვადა გემის მოსამზადებლად საზამთრო სეზონზე სავაჭროდ.

დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ ინგლისელი ვაჭრები დაიარებოდნენ სავაჭროდ საფრანგეთში, უმთავრესად ფრანგულ ქალაქ ბორდოში. საინტერესოა, აგრეთვე, ისიც, რომ ვაჭართა გამგზავრება ზღვის გაღმა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ზემოთ მოყვანილი ცნობებით ირკვევა, რომ ქარიშხალმა დააზიანა გემი და ვაჭართა საქონელი, ვინაიდან მარილიან წყალში დასველებული მაუდის ქსოვილის გაშრობა შეუძლებელი იყო. გამოდის, რომ ვაჭრები ზოგჯერ დიდად ზარალდებოდნენ კიდეც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვაჭარ-ავანტიურისტები მაინც მიდიოდნენ რისკზე, იმდენად დიდი იყო მოგების მიღების სურვილი.

ამრიგად, ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტების" მიხედვით, საფრანგეთ-ინგლისის სავაჭრო ურთიერთობის შესწავლამ ნათელყო, რომ სავაჭრო ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის არსებობდა 1465-1525 წლებში.

ირკვევა, რომ 1465 წლიდან 1482 წლამდე სავაჭრო ურთიერთობა სისტემატურ ხასიათს ატარებდა, ხოლო 1482 და 1485 წლებს შორის იგი შეწყვეტილი იყო, ვინაიდან მეტად გამწვავებული იყო ინგლისსა და საფრანგეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობა, ასევე სავაჭრო ურთიერთობა არ უნდა ყოფილიყო არც 1488 წელს.

1495 წლიდან 1522 წლამდე კვლავ აღდგა ამ ორ ქვეყანას შორის საეაჭრო ურთიერთობა, ხოლო 1522 წლიდან 1525 წლამდე სამი წლის განმავლობაში, კვლავ შეწყდა ყოველგვარი კავშირი, რომელიც 1525 წელს ისევ აღდგა.

ინგლისის ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა მაუდი, ხოლო ბორდოდან ინგლისში შემოჰქონდათ ყავისფერი და თეთრი ბატისტი, აბრეშუმი და ღვინო.

ასეთი იყო ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში.

ამრიგად, მერსერთა „საბჭოს აქტები" ადასტურებს ინგლის-საფრანგეთის სავაჭრო ურთიერთობას XV-XVI საუკუნეებში და, შესაძლებელია, ეს ურთიერთობა გაგრძელდა 1649 წ. აქტის გამოცემამდე, რომლითაც საფრანგეთიდან ინგლისში აიკრძალა აბრეშუმის ქსოვილის შეტანა.

7. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა იტალიასთან

თავდაპირველად იტალიელები, როგორც ფისკალური მოხელეები, ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში გამოჩნდნენ ინგლისში. XIII საუკუნის შუა ხანებში იტალიელი ვაჭრები შეადგენდნენ მნიშვნელოვან კონტინგენტს ინგლისური შალის შემსყიდველებისას, ხოლო ამ საუკუნის დამლევს ედუარდ პირველის მმართველობის ჟამს (1272-1307) მაუდის ოპერაციებში იტალიელებმა დააბანდეს 30 ათასი ლივრი (20:190).

ინგლისის ბაზარზე იტალიიდან უპირატესი ვაჭრები იყვნენ ფლორენციელები, გენუელები და ვენეციელები. იტალიის ქალაქ-რესპუბლიკებს სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ ლონდონში, საუტჰემპტონსა და სენდვიჩში (165:54).

პირველი ხარისხის ქსოვილებს შორის, რომელთაც ყიდულობდნენ გენუელები, გვხვდება როგორც შეუღებავი, ისე შეღებილი ინგლისური მაუდი – მწვანე, ყვითელი, წითელი, შავი ან ყავისფერი

(174:142-144). გენუელი ვაჭრები ყიდულობდნენ ინგლისურ მაუდს ასევე არასელი და იპრელი ვაჭრებისაგან (174:142).

გენუელები ინგლისში ჩამოვიდნენ ფლორენციელებზე და ვენეციელებზე უფრო ადრე და შეინარჩუნეს უპირატესი მდგომარეობა XIV საუკუნის ბოლომდე. აქ იყო პოლიტიკური მიზეზიც. ინგლისის მეფე ჰენრი V (1413-1422) მიდიოდა მათ წინაშე დათმობაზე, რათა „ასწლიანი ომის" დროს საფრანგეთთან ჰქონოდა გენუის რესპუბლიკის მხარდაჭერა. გენუელებს გაჰქონდათ ინგლისიდან დიდი რაოდენობით მატყლი, რომლითაც როგორც სამრეწველო ნედლეულით ამარაგებდნენ იტალიის სამრეწველო ქალაქებს.

ჰენრი VI-მ (1422-1461) იმისათვის, რათა უზრუნველეყო ინგლისისათვის გენუის რესპუბლიკის მხარდაჭერა ედუარდ IV-ის წინააღმდეგ, დასავლეთის ქვეყნებში და მათ შორის ინგლისში, 1470 წელს მიანიჭა მათ – გენუელებს დიდი პრივილეგიები (90:190). ისინი ეზიდებოდნენ აღმოსავლურ სანელებლებსა და ფუფუნების საგნებს, ხოლო აღმოსავლეთში გაჰქონდათ დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებიდან მაუდი და ტილო. გენუელი ვაჭრები თავიანთი საქმიანობის კონცენტრიტებას ახდენდნენ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ რაიონებში. ისინი ვაჭრობდნენ სანელებლებით. ჰყიდდნენ სირიაში ტილოს და ინგლისურ მაუდს.

XIII საუკუნეში გენუელებს გაჰქონდათ მნიშვნელოვანი რაოდენობით ქსოვილები, კერძოდ; სტამფორდის ინგლისური მაუდი (177:144), შამპანური და გერმანული ტილო.

პირდაპირი ცნობები გენუელების მიერ ინგლისში მაუდის ქსოვილების შესყიდვის შესახებ XII-XIII საუკუნეებში არ ჩანს. როგორც ეტყობა ამ დროს ისინი სხვებისაგან ყიდულობდნენ მაუდს ფლანდრიაში და შამპანის იარმარკებზე (177:150).

გენუელებმა დიდხანს ვერ ისარგებლეს ედუარდ IV-ის მიერ მინიჭებული უფლებებით ინგლისში. მათი ადგილი დაიკავეს ვენეციელმა ვაჭრებმა.

პირველი ცნობა ვენეციელების ინგლისში გამოჩენის შესახებ, მიეკუთვნება 1201 წელს, მაგრამ რეგულარულად ისინი იწყებენ ინგლისში ჩასვლას, პირენეის ნახევარკუნძულის შემოვლით,

მხოლოდ XIV საუკუნიდან. ხოლო ანტვერპენში ვენეციელი ვაჭრები პირველად ჩავიდნენ 1318 წელს (136:317).

ვენეციელებს ინგლისში შეჰქონდათ 70-ზე მეტი დასახელების სატრანზიტო საქონელი, რომელიც შესყიდული ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის ბაზრებზე. ეს იყო აღმოსაელური ფუფუნების საგნები, იარაღი, ღვინო, ხილი, ტკბილეული, შაქარი, ქიშმიში, ბამბა, აბრეშუმი, ქაღალდი. ვენეციური წარმოების აბრეშუმის ქსოვილი, შალი, შუშის ნაწარმი, ატლასი, საიუველირო ნაწარმი და წიგნები. მთავარი საგანი მათი იმპორტისა ინგლისში იყო აბრეშუმის ქსოვილები და სანელებლები (77:365).

ინგლისის მთავრობამ გამოსცა ახალი ბრძანება, რომ უცხოელ ვაჭრებს შემოეტანათ ინგლისში მხოლოდ თავიანთი ქვეყნის საქონელი (77:366) ასეთი ღონისძიება, როგორც ჩანს, განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ვენეციელებს უხვად შეჰქონდათ ინგლისში თავიანთი ქვეყნის საქონელთან ერთად სხვა ქვეყნების მრავალფეროვანი საქონელი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა იტალიელ ვაჭრებს ინგლისში შეჰქონდათ ქუდები, მაქმანი, კორსაჟები, ბაფთები, დაქარგული აბრეშუმი, შუშის ნაწარმი, ქაღალდი, ბოქლომები, ქისები, ქამრები, ხელთათმანები, ჩექმები, დანები, ხანჯლები, სათამაშო ბანქო, ქინძისთავები, ნემსები, კოლოფები, სპილენძის ან თითბრის ბეჭდები, ეკლესიის ზარები, დოქები, ჯაგრისები, შალის საჩეჩები, თეთრი ლითონის მავთული და სხვა (77:369). მათ ჩამოჰქონდათ ნაკლები რაოდენობის საქონელი და ჰყიდდნენ მას ძვირად, საბაჟო გადასახადს კი ცოტას იხდიდნენ, რაც ზიანს აყენებდა ინგლისს და სხვა სახელმწიფოს.

ვენეციასა და ინგლისს შორის თანასწორი სავაჭრო ურთიერთობის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო ედუარდ II-ის (1307-1327) მეფობის დროს, ხოლო ედუარდ III-მ (1327-1377) შეინარჩუნა და განიმტკიცა ვენეციის კავშირი საფრანგეთის წინააღმდეგ. მხოლოდ რიჩარდ II-ის მეფობის დროს (1377-1399) გაიზარდა ინგლისში ვენეციური ფაბრიკატების შეტანა და ინგლისური შალის გატანა ვენეციური ხომალდებით, ვენეციელთა ვაჭრობას ემსახურებოდა მათი 200 ხომალდი.

XIV საუკუნეში ვენეციის ფლოტი ითვლიდა 3 ათას სავაჭრო გემს. სამხედრო ხომალდების ეკიპაჟი შედგებოდა 180-300 კაცისაგან. ვენეციის საზღვაო ფლოტში მსახურობდა მისი აყვავების ჟამს 25-30 ათასი კაცი (145:314-315).

ამ დროისათვის წელიწადში ერთხელ იგზავნებოდა სავაჭრო ფლოტილია ფლანდრიის და ინგლისის ნაპირებზე. იგი ცურავდა სამხედრო ხომალდების დაცვით. დასავლეთისაკენ ფლოტილია ცურავდა ხოლმე: ისტრს, კორფუს, ოტრანტოს, სირაკუზს, მესინას, ნეაპოლს, მალორკას, ესპანეთსა და მაროკოს. შემდეგ ხომალდების ნაწილი მიემართებოდა ინგლისში. დანარჩენი კი მიცურავდნენ სლეისში (ეკლუზში), ბრიუგეში, მიდერლბურგში და ანტვერპენში (145:318).

XV საუკუნეში საუტჰემპტონი და ბრიუგე იყვნენ მთავარი საშუამავლო ცენტრები ვენეციის ვაჭრობისა ჩრდილოეთ ევროპასთან (35:367).

ვენეციელები ჩადიოდნენ ინგლისის სამ ნავსადგურში: ლონდონში, საუტჰემპტონსა და სენდვიჩში (71:398). ხოლო შემდეგ, ინგლისური საქონლით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ ადრიატიკაში.

1445 წელს ინგლისელმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა წარუდგინეს თავიანთ მეფეს საჩივარი, რომ ვენეციელებსა და ფლორენციელებს აღარ ჩამოჰქონდათ ადრინდელსავით კარგი აბრეშუმის ნედლეული, რაც ინგლისის სახელოსნოების დახურვის საშიშროებას ქმნიდა. გარდა ამისა, ინგლისელი ვაჭრები ითხოვდნენ, რომ იტალიელებს ინგლისური საქონელი (შალის ქსოვილები, ნართი, ტყვია და სხვ.) ეყიდათ ბითუმად იმ ნავსადგურებში, სადაც შედიოდნენ მათი გემები და, ამავე დროს, მათ უნდა მისცემოდათ მხოლოდ სამი თვის ვადა, რომლის განმავლობაში უნდა გაესაღებინათ თავიანთი საქონელი (77:367-368).

ვენეციელი ვაჭრების უფლებრივმა გათანაბრებამ ინგლისელებთან განაპირობა ლონდონელი ვაჭრებისა და ქალაქელების გამოსვლები 1456-1457 წლებში და ვენეციელთა სახლების დანგრევის ცდა (168:57).

ინგლისელ ვაჭართა უკმაყოფილება ვენეციელი ვაჭრების მიმართ აისახა ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტებშიც“.

1457 წლის 5 აგვისტოს ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება დამატებითი საბაჟო გადასახადი დაეწესებინა უცხოური საქონლის ინგლისში შეტანაზე. თუმცა მოგვიანებითაც ჰენრი VII-ისა (1485-1509) და ჰენრი VIII-ის (1509-1547) მეფობის ხანაში ვენეციელი ვაჭრები მნიშვნელოვანი უფლებებით სარგებლობას განაგრძობდნენ (90:190).

იტალიელებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ლონდონი, რომელიც იყო მათი საქონლის მთავარი შემსყიდველი და მაუდის ქსოვილების ექსპორტიორი. ამიტომ აქ იყრიდნენ თავს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და პროფესიის იტალიელები: ვაჭრები, ლუდხანის პატრონი მედუქნეები, მაკლერები, სხვადასხვა მოსამსახურენი.

ზოგიერთი იტალიელი ღებულობდა ინგლისის მოქალაქეობას და ხდებოდა ადგილობრივი სავაჭრო ან სახელოსნო „ძმობის“ (გილდიის) წევრი. ვენეციელი ვაჭარი მარკონოვი მიიღეს მებაკალეთა გილდიაში. ზოგნი ვაჭრებად რჩებოდნენ, ანდა მეაფთიაქენი, ბანკირები და ა.შ. იყვნენ. 1485 წელს ლონდონში თავმოყრილი იყო 1596 უცხოელი, ხოლო 1501 წელს – 3 ათასი. მათ შორის იყვნენ იტალიელი ვაჭრები და ბანკირები. (75:50).

მერსერთა „საბჭოს აქტებში“ წავაწყდით საინტერესო ცნობას იმის შესახებ, რომ გენუელი ვაჭრები ჩამოდიან ლონდონში სავაჭროდ XVI საუკუნის პირველ ნახევარშიც.

1520 წლის 20 სექტემბრის კრებაზე წაკითხულ იქნა მერსერთა კომპანიის საბჭოს აქტი, რომელიც დაამტკიცა ლონდონის ლორდ-მერმა უილიამ ბატლერმა. ამ აქტის თანახმად აბრეშუმის მზომავს უნდა გაეზომა როგორც აბრეშუმი, ისევე მაუდი და სხვა ქსოვილები, როგორც თეთრი, ისე სხვა ფერისა, რომელიც შემოჰქონდათ სიტიში სხვადასხვა გზით უცხოელ ვაჭრებს და რომელსაც ყიდულობდა სიტის ნებისმიერი მოქალაქე უცხოელი ვაჭრებისაგან. ამ აქტის თანახმად, ყოველივე ეს აუცილებელი იყო იმიტომ, რომ „ახლანდელ პერიოდში უცხოელი ვაჭრები და ხელოსნები სა-

იდუმლოდ მიეჩვივნენ თავიანთი ქსოვილების სიგრძისა და სიგანის დაკლებასო“ – ნათქვამია აქტში. ამის გამოსასწორებლად, ამ აქტით, დაკანონდა, რომ ყოველი ქსოვილი – ფარჩის, აბრეშუმის, მაუდის სელისა და ა.შ., თეთრი თუ მუქი ფერისა, დამზადებული გენუაში და სხვა ადგილებში და შემოტანილი გენუელების მიერ ლონდონის სიტიში გაზომილი უნდა იქნას კომპანიის მზომავის მიერ დაწესებული ეტალონის მიხედვით, რომელსაც მოისურვებსო ლორდ-მერი, დამრღვევს უნდა გადაეხადა ჯარიმა, რომლის ნაწილი უნდა გადასცემოდა ლორდ-მერის კანცელარიას, ნაწილიც იმათ, ვინც შეამჩნევდა დარღვევას და განაცხადებდა (1:508).

„ნიუბოლდის წიგნიდან“ ჩანს, რომ ინგლისში გენუელებს შეჰქონდათ სხვადასხვა ფერის ქსოვილები.

ხოლო, რაც შეეხება ფლორენციელებს, ისინი ჯერ კიდევ ედუარდ III-ის დროს (1327-1377) გვეველინებიან როგორც პრივილეგირებული ვაჭრები და ბანკირები, ფლორენციელი ბანკირები ფრეს კობალდი, ბარდი და პერუცი ძალიან დაახლოებულნი იყვნენ მეფესთან (77:362). კარგადაა ცნობილი, რომ ე. წ. „ასწლიანი ომის“ დასაწყისში, 1346 წელს ედუარდ III-მ ისესხა იმ დროის კვალობაზე უზარმაზარი თანხა – 1.365.000 ოქროს ფლორინი ბარდისა და პერუცისაგან.

XV საუკუნეში ფლორენციელებს თავიანთი გემებით შემოჰქონდათ ლონდონში ფუფუნების საგნები. ისინი ასევე დიდ მოგებას ღებულობდნენ ნიდერლანდებთან ვაჭრობით. 1485 წელს ფლორენციელი ლორენცო სტროცი დაინიშნა ინგლისის კონსულად პიზაში (77:356). ეს ფაქტი მეტად საინტერესოა, ვინაიდან თანამდებობის პირი, თანაც უცხოელი ხმელთაშუა ზღვისპირეთში ინგლისელი ვაჭრების ინტერესების დაცვას, პასუხისმგებლობას კისრულობდა.

ამრიგად, XII-XIII საუკუნეებში ინგლისური მაუდის ძირითადი შემსყიდველები იყვნენ იტალიელი ვაჭრები, გენუელები, ვენეციელები, ფლორენციელები, რომელთაც სავაჭრო ფაქტორიები ჰქონდათ ლონდონში, საუტჰემპტონში და სენდვიჩში.

XIV-XV საუკუნეებში იტალიელი ვაჭრები რეგულარულად ჩადიოდნენ ინგლისში. გენუელმა ვაჭრებმა მიიღეს პრივილეგიები

ჰენრი V-ისა და ჰენრი VI-ის მმართველობის ხანაში და შეინარჩუნეს ეს პრივილეგიები XV საუკუნის დამლევამდე. ხოლო ვენეციელებმა ჯერ კიდევ რიჩარდ II-ის მმართველობის დროს (1377-1399) მოიპოვეს სავაჭრო პრივილეგიები, რითაც დიდად უკმაყოფილო შეიქმნა ლონდონის მოსახლეობა, რომელმაც ეს თავისი უკმაყოფილება გამოხატა ვენეციელ ვაჭრებზე თავდასხმებში (1456-1457). თუ იორკთა დინასტიის პერიოდში ნაწილობრივ შეიზღუდა იტალიელი ვაჭრების პრივილეგიები (1484), ტიუდორების დროს ეს მათი პრივილეგიები კვლავ აღდგენილ იქნა.

ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტებიდან" ირკვევა, რომ ლონდონში სავაჭროდ ჩამოდიოდნენ იტალიელები. დოკუმენტში არიან მოხსენიებული ლომბარდიელი და გენუელი ვაჭრები, თუმცა ლომბარდიელი ვაჭრების სახელით ხშირად მოქმედებდნენ ფლორენციელი და ვენეციელი ვაჭრები.

ირკვევა, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარშიც კი განსაკუთრებით 20-იან წლებში იტალიელებს ინგლისთან საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ.

8. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ესპანეთთან და ახლად აღმოჩენილ მიწებთან

ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ესპანეთთან ოფიციალურად ჩანს 1403 წლიდან, როცა დაიდო შეთანხმება ინგლისსა და კასტილიას შორის, რითაც ესპანელებს მიენიჭათ ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობის უფლება, შეეძლოთ უშიშრად და მშვიდობით, თავიანთი საქონლით ინგლისში გამგზავრება და შინ დაბრუნება, როგორც ხმელეთით ისე ზღვით (77:356). ე.ი. სავაჭრო ურთიერთობა მათ შორის გარანტირებული იყო.

ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტები" შეიცავს ცნობებს ინგლისელების ესპანეთთან ურთიერთობის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა 1489 წლის 16 თებერვლის აქტი. ამ დოკუმენტში

მოხსენიებულნი არიან ესპანელები, რომელნიც თავიანთი სამხედრო გემებით მონაწილეობას ღებულობდნენ ინგლისელებთან ერთად ჩრდილოეთისა და ბამასის ბაზრობაზე და მათ გუშაგობისათვის ინგლისელებმა გადაუხადეს გარკვეული გასამრჯელო.

აქტში ჩაწერილია: „ღმრთის წყალობით სპეციალური დანიშნულების გემები მშვიდობით დაბრუნდნენ ბამასიდან და ჩრდილოეთის ბაზრობიდან, ხოლო კონდუიტის მიხედვით მათ საქონელზე გადასახადი შეადგენდა 355 გირვანქაზე მეტს, ასევე საქონელზე, რომელიც ჩამოიტანეს გემებით, მათთან ერთად, აღნიშნული ბაზრობებიდან, ხოლო ამ გემებზე იყვნენ მერსერები იულიამ პეტრონი და მისი დამხმარე საბაკალეოთი მოვაჭრე ჰიუ რიდინგი.

ჩვენი გემების მეზღვაურებმა, რომელნიც დიდი ხანია გემებზე მსახურობენ და იყვნენ რეისში, ხარჯი გასწიეს, ამიტომ თითოეულს უნდა გადაუხადონ ჯილდო 2 შილინგი ვერცხლი, ასევე, დაწესებული წესის მიხედვით, ოფიცრებს, კაპიტნებსა და გემების სხვა წევრებს მიეცეს ჯილდო.

ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ უილიამ ვამპეიჯს (როგორც ჩანს ის იყო ერთ-ერთი სამხედრო გემის კაპიტანი – ი.ბ.) გულმოდგინების გამოჩენისათვის და გემების მშვიდობით ჩამოყვანისათვის მიეცეს ჯილდოდ 100 მარკა ვერცხლი.

ამავე კრებაზე დაწესდა ტვირთის გადაზიდვაზე შემდეგი ანაზღაურება:

1. ესპანელებს – თითოეულს 11 შილინგი,
2. მიშელს (ფრანგი) – 23 გირვანქა სტერლინგი, 12 შილინგი და 4 პენსი,
3. ანსელის (ფრანგი) – 11 გირვანქა სტერლინგი, 12 შილინგი და 4 პენსი,
4. ვამპეიჯს – 100 მარკა.
5. მეზღვაურებს – 30 გირვანქა სტერლინგი,
6. ზელანდიის კარჭაპებს – 4 გირვანქა სტერლინგი,
7. 8 კარჭაპს – 5 გირვანქა სტერლინგი, 6 შილინგი და 8 პენსი (1:202).

რადგან სიაში მეზღვაურები ცალკე არიან მოხსენიებულნი, საფიქრებელია, რომ უცხოელები (ესპანელები, ფრანგები) ალბათ იყვნენ ოფიცრები, ვინაიდან კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უნდა დაეწესებინათ გასამრჯელო ოფიცრებისა და კაპიტნებისათვის. კაპიტანი უილიამ ვამპეიჯი სიაში ცალკეა ნახსენები, მაშასადამე, ესენიც, მოხსენიებული ესპანელებიც, ალბათ ოფიცრები იყვნენ და მსახურობდნენ ესპანელთა სამხედრო გემზე.

1526 წლის წერილში შეტანილია ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისელები ეწეოდნენ ვაჭრობას ესპანეთში, ასევე ესპანელებიც ჩამოდიოდნენ სავაჭროდ ინგლისში, ამასთანავე, უცხოელი ვაჭრები თურმე ზოგჯერ არაკეთილსინდისიერად ეპყრობოდნენ ინგლისელ ვაჭრებს და ამიტომ, იყო შემთხვევები, როცა ინგლისელები მათ ბოიკოტს უცხადებდნენ. სწორედ ასეთი შემთხვევაა აღწერილი ამ წერილში.

თურმე 1526 წელს ზღვის გაღმა მხრიდან გამოუგზავნიათ ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიისათვის ეს წერილი, რომელშიც ეწერა: „კეთილშობილო ბატონებო! გაცნობებთ იმ დიდ შეურაცხყოფათა და უსიამოვნებათა შესახებ, რაც მიაყენეს ჩვენი კომპანიის ვაჭრებს: ჯონ ლოკს, გრეშემს, ტომას პერნოინტუს, პიტერსა და სხვებს ესპანელებმა – მარტინ, პიტერ და ლუის ლოპესებმა“. და შემდეგ აღწერილია ეს „შეურაცხყოფა“ და „უსიამოვნება“.

ამასთან დაკავშირებით კომპანიის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინგლისელ ვაჭრებს ეკრძალებოდათ რაიმე ეყიდათ ან ეწარმოებინათ გარიგებები ესპანელებთან, არც მათ ქვეყანაში და არც ინგლისში, 40 გირვანქა სტერლინგის ჯარიმის მუქარით. „ჩვენმა ძმებმა უნდა იცოდნენ ამის შესახებ და ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ ამ ბოროტმოქმედებასო“ – ნათქვამი იყო კომპანიის დადგენილებაში (1:733).

იმავე წლის 6 აგვისტოს ჩატარდა მერსერთა კორპორაციის კრება, რომელზედაც გამოაცხადეს: „მილორდ-მერისა და სიტის თემთა საბჭოს ოლდერმენების ბრძანებითა და თემთა საბჭოს აქტით ჩვენი კორპორაციის ყველა თავისუფალმა ვაჭარმა არ უნდა

გაყიდოს, იყიდოს, ისესხოს ფული, აწარმოოს რაიმე გარიგება ესპანელებთან ჯარიმის მუქარით". (1:734).

ეს არის სავაჭრო ბოიკოტი, გამოცხადებული ამ უცხოელებისათვის.

როგორც ირკვევა, ინგლისელთა სავაჭრო ურთიერთობა ესპანეთთან არ იყო ისეთი სისტემატური ხასიათის, როგორიც ნიდერლანდებთან და სხვა ქვეყნებთან, მაგრამ, ცხადია, მათ შორის სავაჭრო ურთიერთობა იქნებოდა XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში.

მეტად საინტერესოა ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ახლად აღმოჩენილ მიწებთან, კერძოდ, ნიუფაუნდლენდთან, რაც ასახულია მერსერთა „ საბჭოს აქტებში". ნიუფაუნდლენდი აღმოაჩინა 1497 წელს ინგლისელმა ჯონ კაბოტმა (29:37).

1520 წლის 7 მარტს ვაჭარ-ავანტიურისტთა საერთო კრებაზე კომპანიის მამასახლისებმა გამოაცხადეს იმის შესახებ, რომ ლორდ-კარდინალმა (უოლსიმ) კომპანიის მმართველს ჯონ ჰევსტერს გადასცა მეფის ბრძანება, რათა ლონდონისა და სხვა ქალაქების (იორკის, ნორიჯის – ი.ბ.) ავანტიურისტებმა განახორციელონ მოგზაურობა ნიუფაუნდლენდზე. ამიტომ სხვადასხვა კორპორაციის მამასახლისები შეიკრიბნენ მათ ჰოლში და წაიკითხეს მეფის ინსტრუქცია. აი, რა ეწერა მასში:

1. „მეფე და მილორდ-კარდინალი, სამეფო საბჭოს თანხმობით თვლის, რომ მეფის დიდებისა და ქვეყნის საერთო კეთილდღეობისათვის უნდა განხორციელდეს მოგზაურობა ნიუფაუნდლენდზე (New found lland) .

2. მეფეს სურს, რომ ეს მოგზაურობა წამოიწყონ ლონდონელმა ვაჭარ-ავანტიურისტებმა და აღჭურვონ 5 გემი. მეფე კი გასცემს განკარგულებას მათი ეკიპირების შესახებ, ხოლო გემების შემადგენლობის ხარჯები (იგულისხმება მეზღვაურთა ჯამაგირი – ი.ბ.) ერთი წლით უნდა იკისროს კომპანიამ.

3. მეფეს ასევე სურს, რომ ლონდონის სიტიმ, როგორც დედაქალაქმა უნდა წააქეზოს სხვა ქალაქებიც, რათა მათ მოამზადონ გემები ამ მოგზაურობისათვის, სწორედ ისევე როგორც ქალაქმა ბრი-

სტოლმა, რომელმაც გვაუწყა მის მიერ ორი გემის მომზადების შესახებ.

4. და უკეთუ მეფის სურვილი შესრულდება, მაშინ მეფე ჰპირდება მათ (კომპანიის ვაჭრებს), რომ იქ (ნიუფაუნდლენზე – ი.ბ.) 10 წლის განმავლობაში არავინ, არც ერთი ეროვნება არ ივაჭრებს, გარდა ინგლისელებისა.

5. კომპანიის მამასახლისებმა უნდა მოიტანონ მათი პასუხი მომდევნო ოთხშაბათისათვის (1:525).

იმავე წლის 23 მარტს ჩატარდა მერსერთა კორპორაციის საერთო კრება, რომელზეც განიხილეს საკითხი მათთვის მინდობილი გემების უზრუნველყოფისა და მომზადების შესახებ ახალაღმოჩენილ მიწებზე მოგზაურობისათვის. გადაწყდა რომ ნდობით აღჭურვილი რვა პირი – ტომას სეიმური (ოლდერმენი), მაიკლ ინგლიში (ოლდერმენი), ჰიუ კლოპტონი, ტომას ჰინდი, რიჩარდ გრეშემი, ალექსანდერ პლიმლი, როლანდ ჰილი და რობერტ კოლერი უნდა მოლაპარაკებოდნენ ჰოპტონს და უილიამ გონსტონს, რომელთაც ჰქონდათ გამოცდილება თუ რამდენი სურსათის და ხარჯების (ფულის) მარაგი იყო საჭირო ერთი წლის მანძილზე მეზღვაურთათვის. ხოლო, როდესაც ეს ნდობით აღჭურვილი პირები ამას გაარკვევენ, მაშინ მათ ექნებოდათ სრული უფლება დაებეგრათ კორპორაციის თითოეული წევრი გადასახადის იმ რაოდენობით, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიდნენ (1:527).

ხოლო იმავე წლის 10 აპრილს მერსერთა კორპორაციამ თანხმობა განაცხადა მეფისა და ლორდ კარდინალის თხოვნაზე და მზად იყო გადაეხადა 200 მარკა იმ ხარჯისათვის, რაც საჭირო იყო ახლად აღმოჩენილ მიწებზე მოგზაურობისათვის (1:527).

ამრიგად, 1520 წლის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ინგლისელი ვაჭრები აწყობდნენ ვაჭრობას ახალაღმოჩენილ მიწებზეც. მეფე ითხოვდა ვაჭარ-ავანტიურისტებისაგან გემების მომზადებას, რაზეც ლონდონელმა ავანტიურისტებმა თანხმობა განაცხადეს, ასევე მერსერთა კორპორაცია, რომელიც შედიოდა ავანტიურისტთა ჯგუფში მზად იყო გაეღო სახსრები მეზღვაურთა სურსათის მარაგისა და ჯამაგირისათვის. ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ

ბრისტოლელმა ვაჭრებმა უკვე მოამზადეს გემები მოგზაურობისათვის. სამაგიეროდ, მეფის ხელისუფლება ჰპირდებოდა ვაჭრებს, რომ უზრუნველყოფდა 10 წლის განმავლობაში იქ, ახლად აღმოჩენილ მიწებში მხოლოდ ინგლისელების ვაჭრობას.

როგორც ვხედავთ, ინგლისის მეფე დაინტერესებული იყო ინგლისელთა ვაჭრობით ნიუფაუნდლენდზე. თუ XVI საუკუნის ბოლომდე ინგლისელი მეზღვაურები და მეკობრეები კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ ძარცვავდნენ ესპანელი კოლონიზატორების გემებს საზღვაო გზებზე და დროდადრო ძარცვავდნენ მათ კოლონიებს ახალ აღმოჩენილ მიწებზე, შემდგომ პერიოდში ინგლისელთა მთავარ მიზნად იქცევა დაპყრობა ახლად აღმოჩენილი მიწებისა, სადაც მათ შეეძლოთ კაპიტალისტური მანუფაქტურის პროდუქციის გასაღება და კოლონიების დაარსება (181:153).

პირველი ცდა ინგლისელების დაფუძნებისა ჩრდილოეთ ამერიკაში დაკავშირებულია ფრობიშერისა და გილბერტის სახელთან, რომელთაც 1574-1583 წლებში დაიპყრეს კუნძული ნიუფაუნდლენდი, ხოლო ერთი წლის შემდეგ უოლტერ რელიმ დააარსა ჩრდილოეთ ამერიკაში ვირჯინიის კოლონია (186:266). 1616 წელს უოლტერ რელიმ მიიღო უფლება ექსპედიცია მოეწყო სამხრეთ ამერიკაში ოქროს საძებნელად, მაგრამ იგი იქიდან ხელცარიელი დაბრუნდა და მას თავიც მოკვეთეს (126:178).

ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტების მიერ ნიუფაუნდლენდზე 1520 წლის მოგზაურობამ ნიადაგი მოამზადა ინგლისის შემდგომი კოლონიური დაპყრობებისათვის.

თავი IV. ინგლისელ ვაჭართა ქველმოქმედებანი

1 კომპანიისათვის ანდერძით ქონების გადაცემა და შეწირულობანი

XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დამდეგს ინგლისის ხელში გადავიდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და საავაჭრო ურთიერთობა დაამყარა თექვსმეტამდე სახელმწიფოსთან (47:163-191), რამაც საშუალება მისცა ინგლისელ ვაჭრებს გასცნობოდნენ სხვადასხვა ხალხის კულტურას, გადმოეტანათ და ესწავლათ მათგან ბევრი რამ.

ინგლისელმა მდიდარმა ვაჭრებმა დატოვეს მშვენიერი არქიტექტურით ნაგები დიდი ქვითკირის სახლები, ლამაზი ქვითკირის ეკლესიები, სკოლები და ბიბლიოთეკები (105:90-91).

XV საუკუნეში ვაჭართა კლასს მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი ეჭირა ინგლისის ქალაქების ცხოვრებაში. მატერიალური ცხოვრების მაღალი დონე და მდიდრულად მოწყობილი სახლები საშუალებას აძლევდა ვაჭრებს მიეღოთ საპატიო სტუმრები. ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ 1461 წელს მეფე ედუარდ IV-ს ბრისტოლში მოუწყეს საზეიმო შეხვედრა. იგი, როგორც საპატიო სტუმარი, მიიპატიჟა ვაჭარმა უილიამ კენინგემმა. მისი სახლი მდებარეობდა ქალაქის გარეთ. აუშენებიათ XIV საუკუნის ბოლოს და მოწყობილი ყოფილა თანამედროვეობის კვალობაზე: ქვედა სართულის იატაკი მიწისა იყო, სახურავი – კრამიტისა, მეორე სართულის ფანჯრები ფერადი შუშისა ყოფილა. ვაჭარს ჰქონია უამრავი ძვირად ღირებული ჭურჭელი. განსაკუთრებით ძვირფასი ყოფილა მისი სახლის კედლების მოხატულობა და შუშები (77:332).

ამასთანავე, ვაჭართა საქმიანობა დაკავშირებული იყო კაპიტალისტური წარმოების პირველ ელემენტებთან. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიის შეგნებაში დიდი ცვლილებები ხდებოდა, რაც მათ მრავალმხრივ საქველმოქმედო საქმიანობაშიც გამოიხატებოდა.

ლონდონის მერსერთა „საბჭოს აქტები“ შეიცავს ცნობებს ვაჭართა ქველმოქმედების შესახებ.

ლონდონის მერსერთა კომპანიის ვაჭრები ანდერძით გადასცემდნენ ხოლმე კომპანიას: ძვირფას ნივთებს, ფულს, საცხოვრებელ სახლებს, მიწებს. გამოყოფდნენ მატერიალურ სახსრებს ქალაქში სახლის, ეკლესიის თუ გალავნის მშენებლობასთან დაკავშირებით. მათი უშუალო მფარველობის ქვეშ შეიქმნა დავრდომილთა თავშესაფარი (მოხუცებულთა სახლი) ე.წ. უიტინგტონის კოლეჯი, რომელიც დახმარებისათვის ყოველთვის მიმართავდა ვაჭართა კომპანიას. ხოლო ეს უკანასკნელი არაერთგზის იხილავდა მათ საკითხებს თავის კრებებზე. ლონდონელი ვაჭრები დიდ დახმარებას უწევდნენ ავადმყოფებს, ობლებს, მარტოხელებს და კომპანიის მძიმე მდგომარეობაში მყოფ წევრებს. მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვაჭრები დახმარებას უწევდნენ არა მარტო თავიანთი კომპანიის წევრებს, არამედ, საერთოდ გაჭირვებაში მყოფ ქალაქის მოსახლეობასაც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვაჭართა დაინტერესება სწავლა-განათლების საქმით. ამ მხრივ საინტერესოა 1510 წლის დოკუმენტი: ამ წლის 15 აპრილს მამასახლისთა და ასისტენტთა კრებაზე მამასახლისებმა ტომას სეიმურმა და ტომას ბოლდრიმ განაცხადეს, წმინდა პაველს დეკანთან თავიანთი მოლაპარაკების შესახებ, რომელიც შეეხებოდა გრამატიკული სკოლის დაარსებას წმინდა პაველს ეკლესიის ეზოში. წმინდა პაველს დეკანი მოხარული იყო კომპანიასთან კავშირით და სურდა დაერწმუნებინა ვაჭრები, რომ სკოლის დაარსება კარგი საქმე იქნებოდა. მან მოითხოვა სია იმ მიწებისა მათი წლიური შემოსავლის აღნიშვნით, რომელთა გადაცემას ითხოვდა სკოლისათვის. აი ასლი ამ ბილისა. მიწებია ბეკინ გემშირში:

1. უესტონ ტიურვილი, წლიური შემოსავალი 21 გირვანქა, 11 პენსი.

2. ასტონ კლინტონი – 6 გირვანქა, 10 შილინგი.

3. შირინგტონი – 7 გირვანქა, 17 შილინგი, 6 პენსი.

კემბრიჯშირში: 4 ბარტონი – 6 გირვანქა, 17 შილინგი, 6 პენსი.

ჰერტფორდშირში: 5 ბარტონი – 8 გირვანქა, სულ 35 გირვანქა, 11 შილინგი და 9 პენსი.

ზემოთ მოყვანილ ბილში ჩამოთვლილი იყო მიწები, მათი წლიური შემოსავლის მითითებით.

ვაჭართა კომპანიის ნაკისრი ვალდებულება შემდეგია:

1. ჩვენ, – წერდნენ ვაჭრები, – უნდა ეუხადოთ წლიურად 50 გირვანქა.

2. 20 გირვანქა უნდა გადაეიხადოთ ლონდონში არსებულ მიწებზე.

3. უნდა დაეიცვათ მიწები შაირებში რეპარაციის გადახდისაგან, უკეთუ მას მოითხოვენ მერსერებისაგან.

4. თავის მხრივ დეკანი უმატებს: 10 მარკა ყოველწლიურად მათი მიწების შენახვისათვის შაირებსა და ლონდონში.

როცა კომპანია დარწმუნდა, რომ წმინდა პაულეს დეკანი მათ მიმართ კარგად იყო განწყობილი, ყოველივე ამაზე დათანხმდა (1:363).

როგორც ირკვევა, ვაჭრები დაინტერესდნენ სკოლის დაარსების საკითხით, ხოლო 1512 წელს წმინდა პაულეს ტაძართან გაიხსნა კიდეც სკოლა 153 ბაეშვისათვის, სკოლის ორგანიზება და მისი მფარველობა იკისრეს მერსერებმა.

ლონდონელ ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობა დაკავშირებული იყო მათ შეგნებაში მომხდარ ღრმა სოციალურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებთან. ისინი კომპანიას ანდერძით უტოვებდნენ ძვირფას ნივთებს.

1474 წელს ლედი უიჩმა ანდერძით კომპანიას დაუტოვა ძვირფასი ლანგარი. ხოლო მის მეუღლეს ყოველ წელს უნდა გაემართა სადილი მისი სულის მოსახსენებლად, 40 წლის მანძილზე. ამასთანავე, ყველა ამ ღვთისმსახურებას უნდა დასწრებოდნენ კომპანიის მამასახლისები. გარდა ამისა, ლედი უიჩის სურვილით, კომპანიის ორ თაობას უნდა მოეხსენებინა მისი სახელი ყოველწლიურ ლოცვებში. ლანგარი კომპანიას უნდა შეენახა სამუდამოდ და არავითარ შემთხვევაში (შესაძლებელია ეს ლანგარი იყო კეთილშობილი ლითონისა – ი. ბ). არ უნდა გაეყიდა. გარდა ლანგარისა საჩუქრებს შორის მოხსენიებულია: ორი ვერცხლის თასი მოოქრული თაესახურავით, რომელიც მორთული იყო სხვადასხვა

ორნამენტებით (ძვირფასი ინკურსტაციით), ორი მოოქრული ვერცხლის ტოლჩა, ორი ვერცხლის მოოქრული ტაშტი, სუფთა ვერცხლის გარნიტური – ნაყიდი ზღვის გაღმა, რომელშიც შედიოდა: ორი საწვენე, დიუჟინი ლანგარი და დიუჟინი კოვზი.

გარდა ამისა, კომპანიის მამასახლისები უნდა მოლაპარაკებოდნენ ლედი უიჩს მისი სახლის კომპანიისათვის გადაცემის თაობაზე, მაგრამ თუ მას სახლის აშენება არ ჰქონდა დასრულებული, მაშინ არაფერს ეტყოდნენ მას ამის თაობაზე (1:80).

დოკუმენტში არ ჩანს როგორ გადაწყდა კომპანიისათვის სახლის გადაცემის საკითხი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მერსერთა კომპანიამ მიიღო ლედი უიჩისაგან დიდძალი ძვირფასი ნივთები, ხოლო სანაცვლოდ, ლედი უიჩი მოითხოვდა მხოლოდ მისი სულის მოხსენიებას ლოცვებში.

მერსერები პუნქტუალურად იცავდნენ ანდერძის პირობის შესრულებას. უკეთუ ანდერძის მიხედვით კომპანიას ევალებოდა გარდაცვლილის პატივსაცემად წირვის გადახდა, მაშინ ხაზინა გამოუყოფდა, ხოლმე ყოველწლიურად სახსრებს ანდერძის აღმსრულებელს, რათა შეესრულებინა წირვა. წინააღმდეგ შემთხვევაში წირვას იხდიდა ანდერძის აღმსრულებელი თავისი ხარჯით.

1475 წლის 14 მარტს კომპანიის მმართველთა კრებაზე გამოცხადდა, რომ უილიამ ჰინდი კომპანიის მამასახლისებისაგან ყოველწლიურად ღებულობდა გადასახადს – 6 შილინგისა და 6 პენსის ოდენობით ჯონ აბოტის სულის მოსახსენებლად გამართული წირვისათვის. გადაწყდა, რომ ამიერიდან „არაფერი არ მიიცემა ჩვენგან". არამედ მან თავის ხარჯით უნდა ჩაატაროს ყველა წირვა, როგორც ანდერძის აღმსრულებელმა.

კრებაზე გადაწყდა, კვლავ შეისწავლონ უონ აბოტის ანდერძი. თუ მასში იქნებოდა დაწერილი იმის შესახებ, რომ კომპანიამ მიცვალებულს (თავისი ხარჯით) უნდა გადაუხადოს წირვა, მაშინ კომპანია გადაიხდიდა სინდისიერად, მაგრამ თუ იქნებოდა მოხსენიებული, მაშინ უილიამ ჰინდის უნდა გადაეხადა წირვა თავისი ხარჯით (1:93).

იმავე წლის 22 მარტის დოკუმენტი კი გვაუწყებს ანდერძით ფულის გადაცემას კომპანიისათვის.

კრებაზე ჯონ დონმა, მიღებული წესის შესაბამისად, კომპანიას წარმოუდგინა თანხა 240 გირვანქა სტერლინგის ოდენობით, რომელიც გარდაცვლილმა მერსერმა რობერტ გრეგორიმ ანდერძით დაუტოვა კომპანიას, რათა ეს თანხა გადასცემოდა მამასახლისებს, რომელთაც უნდა დაეხარჯათ ამ თანხიდან ყოველწლიურად ფული შემდეგი საჭიროებისათვის:

1. მამასახლისებმა უნდა ნახონ წესიერი მღვდელი, მისი სულის მოსახსენებლად, ანდერძის აგებისათვის ოლდერმენბერის ეკლესიაში და უნდა გადაუხადონ მას ყოველწლიურად 6 გირვანქა, 13 შილინგი და 6 პენსი.

2. ყოველწლიურად რობერტ გრეგორისათვის უნდა გადაიხადონ ამ ეკლესიაში წირვა და დახარჯონ ამისთვის 33 შილინგი და 4 პენსი, რომელიც უნდა მისცენ მღვდელს და კლერკს, უნდა იყიდონ პური, ლუდი, ღვინო და რომ გაუმასპინძლდნენ მღვდელს, კლერკს, მერს, ლონდონის კამერჰერს და კომპანიის იმ წევრებს, რომლებიც მივიდნენ წირვაზე.

3. ზარების მრეკავისათვისა და სანთლებისათვის, რომელთაც გამოიყენებდნენ, უნდა გაეღოთ 20 შილინგი.

4. მერისათვის უნდა გადაეხადათ მისი წირვაზე დასწრებისათვის 6 შილინგი და 8 პენსი.

5. ქალაქის ციხისათვის ჩემბერლენისათვის უნდა მიეცათ 3 შილინგი და 4 პენსი.

6. კომპანიის კურიერისთვის უნდა მიეცათ 20 პენსი.

7. ღარიბ-ღატაკთა დახმარებისათვის უნდა გამოეყოთ ყოველწლიური დახმარება 20 შილინგის ოდენობით (1:93).

ამრიგად, მერსერები კომპანიას ანდერძით გადასცემდნენ, ხოლმე ფულს, სანაცვლოდ კი ისინი ითხოვდნენ თავიანთი სულის მოხსენებას და წირვის გადახდას. კომპანია ანდერძით დატოვებულ თანხას ანაწილებდა საჭიროებისამებრ, მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ისინი ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ ქალაქ-

ის ღარიბ-ღატაკ მოსახლეობასაც, რომლისთვისაც გამოყოფდნენ ხოლმე სახსრებს მათთვის ყოველწლიური დახმარებისათვის.

ლონდონის მერსერთა კომპანია დიდ ყურადღებას უთმობდა რელიგიურ დღესასწაულებზე ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე მის წევრ ვაჭართა დასწრებას.

1476 წლის 18 დეკემბერს კრებაზე გადაწყდა, რომ ძველი ათად-წესის მიხედვით, კომპანიის ყოველი წევრი თან უნდა ხლებოდა მამასახლისებს, რათა ქალაქის მერთან ერთად წასულიყო წმინდა პავლეს ეკლესიაში შობის, მე-12 და სხვა დღესასწაულებში. აბრეშუმის მანტიებში გამოწყობილ მამასახლისებს, თვალყური უნდა ედევნებინათ, რათა წესის მიხედვით შესრულებულიყო ყველაფერი რელიგიურ დღესასწაულებზე, რომლებზეც დასწრება სავალდებულო იყო, ჯარიმის მუქარით. აი, როგორი მნიშვნელოვანი იყო ვაჭრებისათვის ღვთისმსახურება.

ლონდონელი ვაჭრები განსაკუთრებით თაკილობდნენ, როცა გარდაცვლილ ვაჭარს, მისი ხელმოკლეობის გამო არ მიასვენებდნენ ეკლესიაში და ისინი აკეთებდნენ ყველაფერს, იმისათვის, რომ კომპანიის ყოველი გარდაცვლილი წევრისათვის ღირსეულად აეგოთ წესი, წესიერად დაეკრძალათ იგი. ეს კარგად ჩანს იმავე დოკუმენტიდან, რომელშიაც აი, რა წერია:

გადაწყდა, რომ თუ ვინმე მოკვდებოდა კომპანიის წევრთაგან, იგი უნდა წაესვენებინათ ეკლესიაში წესის აგებისათვის; „რადგან ახლა არის შემთხვევები, როცა სიღარიბის გამო გარდაცვლილს არ მიასვენებდნენ ეკლესიაში, რაც არცხვენდა ჩვენს კომპანიას, ამიტომ გადაწყდა (ასეთი რამ რომ არ მოხდეს), როცა კომპანიის წევრთაგან, ვინმე მოკვდება, იგი აუცილებლად უნდა წაასვენონ ეკლესიაში. ხოლო, ვინც შეაფერხებს (მის გადასვენებას ეკლესიაში) — მან უნდა გადაუხადოს მამასახლისებს, ანდა ერთ-ერთ მათგანს 3 შილინგი და 4 პენსი. ხაზინაში მას უნდა შეეტანა 20 პენსი, ხოლო ეს თანხა კი უნდა დარიგებოდა იმათ, ვინც წაასვენებდა მიცვალებულს ეკლესიაში (1:95).

ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კომპანია არ დაუშვებდა თავისი გარდაცვლილი წევრის ეკლესიის გარეთ დატოვებას. ეს მიაჩნდათ დიდად სამარცხვინო საქმედ.

ეკლესიის გარეთ მიცვალებულის დატოვების ასეთი მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა კომპანიას იმათ მიმართ, ვინც ვალმოუხდელი მოკვდებოდა, თუნდაც იგი მამასახლისი ყოფილიყო.

ერთ-ერთ მამასახლისს როჯერ ბეისფორდს ჰქონდა ვალი 20 მარკის ოდენობით. მან ეს თანხა თავის სიცოცხლეში ვერ გადაიხადა. გარდაიცვალა და დარჩა ვალი. მისმა მეუღლემ საერთოდ, უარყო ამ ვალის არსებობა. მაშინ მერსერთა კორპორაციამ გამოიტანა გადაწყვეტილება, ვინც თავის დროზე არ გადაიხდიდა ვალს, დააჯარიმებდნენ ორმაგად, ხოლო ბეისფორდის ცხედარი არავის არ უნდა შეეტანა ეკლესიაში და არ მიეცილებინა საფლავამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამრღვევს დააჯარიმებდნენ 10 გირვანქა სტერლინგით. მაშინ ბეისფორდის ანდერძის ერთ-ერთი შემსრულებელი და მისი სიძე მივიდნენ და გარდაცვლილის სახელით დაჰპირდნენ, რომ გადაიხდიდნენ 20 მარკას (ვალს). კორპორაციამ მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება თავის წევრებს დაესაფლავებინათ იგი (1:436).

ამ შემთხვევის შესახებ ზემოთ იყო მოხსენიებული: როგორც ჩანს, ვაჭრებისათვის ძალიან დიდი სასჯელი იყო ეკლესიის გარეთ მიცვალებულის დატოვება, რასაც მიმართავდნენ უკიდურეს შემთხვევაში, მაგალითად, თუ მისი ვალი არ იქნებოდა დაფარული. ამიტომ ყველა ღონეს ხმარობდნენ გარდაცვლილის ახლობლები იმისათვის, რომ მიცვალებულისათვის, როგორც წესი იყო, ისე მიეგოთ პატივი.

მოყვანილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გარდაცვლილის მიერ დატოვებულ ვალს დაფარავდა სხვა ვინმე, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მისი გადასვენება ეკლესიაში.

ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, რომ კომპანია სამარცხვინო საქმედ მიიჩნევდა მიცვალებულის ეკლესიის გარეთ დატოვებას; ამავე დროს ისიც ჩანს, რომ კომპანიას გამოჰქონდა მკაცრი განაჩენი – ეკლესიის გარეთ მიცვალებულის დატოვება, სანამ არ იქნებოდა დაფარული გარდაცვლილის ჭირისუფლის მიერ მიცვალებულის გადაუხდელი ვალი. ვაჭრებს კარგად ესმოდათ, რომ არავინ მორწმუნეთაგანი არ დატოვებდა თავის მიცვალებულს დაუს-

აფლავებელს და იძულებული იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს, (შეესრულებინა კომპანიის მოთხოვნა;).

1481 და 1501 წლების დოკუმენტები გვაუწყებენ მერსერთა მიერ, ანდერძით, ძვირფასი ნივთებისა და ფულის დატოვებას კომპანიისათვის.

1481 წლის 18 მარტის მემორანდუმიდან ირკვევა, რომ ლონდონის ყოფილი ოლდერმენი და მერსერი ტომას ილომი გარდაიცვალა და კომპანიას ანდერძით დაუტოვა 5 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ძვირფასი თასი საკურთხეველის მოსართავად, თავისი საფლავის ზემოთ მერსერთა კუთვნილ წმინდა ტომასის სამლოცველოში. ანდერძის აღმსრულებლებს მაისის ბოლო დღეს უნდა გადაეცათ ეს ნაანდერძევი ოლდერმენ ტეიტუსისათვის, შერიფ ოლდერმენ ჯონ ფიშერისა და მამასახლისებისათვის – ნიკლასს ოლვინ ტეიტუსისა და ტომას ჰორუსათვის შემდეგი ნივთები: ვერცხლის თასი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი 26 უნცია წონის ვერცხლის ჯვარი, რომლის თითო უნციის ღირებულება იყო 4 შილინგი.

გარდა ამისა, ანდერძის აღმსრულებლებმა, თავიანთი ნებით მიართვეს მამასახლისებს მღვდლისათვის გადასაცემად: წითელი სატინის სამოსლის კომპლექტი, რომელიც უნდა ჩაეცვა მღვდელს გარდაცვლილის პატივსაცემად გადახდილი პანაშვიდის დროს. სამოსელი, როგორც სხვა ნაანდერძევი, უნდა შეენახათ სამლოცველოში. სამოსლის ღირებულება შეადგენდა 5 მარკას. ანდერძის აღმსრულებლებმა გადასცეს მამასახლისებს სამოსლის კარგად შენახვისათვის 26 შილინგისა და 11 პენსის ღირებულების ყუთი.

მემორანდუმის ასლი გადაეცა ანდერძის აღმსრულებლებს (1:286)

მერსერები ანდერძით დატოვებული თანხიდან გარკვეულ სახსრებს გამოყოფდნენ ხოლმე მიცვალებულის კატაფალკის მოსართავად. უფრო მეტიც, როცა დაამზადებდნენ ახალ მდიდრულ კატაფალკს ძველს გადასცემდნენ-ხოლმე სხვებს, კომპანიის გარე მყოფ პირებს, რომელთაც არ ჰქონდათ კატაფალკის შეძენის საშუალება. ამას ისინი აკეთებდნენ უსასყიდლოდ.

1501 წლის 25 სექტემბრის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ოსტატმა გარდინერმა გარდაცვალების წინ დაუტოვა კომპანიას, ანდერძით 20 მარკა.

კომპანია დათანხმდა და შეატყობინა მის ცოლს, რომ მამასახლისები შეასრულებდნენ ანდერძს: უნდა ეყიდათ შავი მდიდრული კატაფალკის გადასაფარებელი, რომელზედაც უნდა დაედოთ მიცვალებულის იარაღი. ასევე გადაწყდა, რომ როცა დაამზადებდნენ ახალ კატაფალკს, მაშინ ძველი მიეცათ დასაკრძალავად კომპანიის არაწევრებისათვის, საფიქრებელია, ღარიბებისათვის (1:249).

მერსერები იმდენად მდიდარი ვაჭრები ყოფილან, რომ კომპანიას ანდერძით სახლსაც კი უტოვებდნენ, მაგრამ ამავე დროს ითხოვდნენ გარკვეული პირობების შესრულებას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს 1505 წლის 18 ივნისით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც გვაცნობს, რომ მერსერები ჯონ უენდი კომპანიას ანდერძით უტოვებს თავის სახლს ჩიპსაიდში (ლონდონის რაიონი), რომელშიც ამჟამად ცხოვრობდა მებაკალეე ბატერი. ანდერძის პირობით, კომპანიამ უნდა უხადოს უენდის ვაჟს ყოველწლიურად პენსია მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში კომპანიამ ანდერძის პირობა შეასრულა (1:266).

1508 წლის 12 აგვისტოს დოკუმენტში კი საუბარია იმის შესახებ, რომ მერსერთა მამასახლისმა ჯონ ტეიტმა აცნობა კომპანიას შემდეგი: არის ერთი ახალგაზრდა, რომელიც ფიქრობს მერსერთა კორპორაციას გადასცეს თავისი საცხოვრებელი სახლი, იმ პირობით, თუ კომპანია მისი გარდაცვალების შემდეგ ჩაატარებს ყოველწლიურად მის მოსაგონად და პატივისცემად წირვას, რისთვისაც დაიხარჯებოდა 30 შილინგი. ამ საკითხის შესახებ გადაწყდა, რომ ნდობით აღჭურვილი პირები: ჯონ ალენი, რიჩარდ ბერნი, უილიამ ბურვილი, ჯონ კიმი და ბერჯემინ დიგბი უნდა მისულიყვნენ ამ სახლის სანახავად და ყოველივე უნდა მოეხსენებინათ კომპანიის მამასახლისებისათვის (1:316).

ზემოთ მოტანილი დოკუმენტები გვაუწყებენ მერსერთა მიერ ანდერძით სახლის გადაცემის შესახებ, რაც კიდევ ერთხელ

მეტყველებს მათ სიმდიდრეზე. ხოლო, რაც შეეხება გარკვეულ პირთა გაგზავნას საცხოვრებელი სახლის სანახავად ეს იმის მაჩვენებელია, რომ კომპანია წინდახედულად მოქმედებდა, მას აინტერესებდა როგორ მდგომარეობაში იყო სახლი და რას წარმოადგენდა იგი. მხოლოდ ამ შემოწმების შემდეგ მიიღებდნენ ისინი ანდერძის პირობებს;

ხშირ შემთხვევაში, როდესაც მერსერები ანდერძით უტოვებდნენ თავიანთ კომპანიას ძვირფას ნივთებს, ანდერძის აღმსრულებელნი მიუტანდნენ, ხოლმე ამ ნივთებს კომპანიას და ამარაგებდნენ საცავში მამასახლისებს. სწორედ ზემოთ აღნიშნულს ადასტურებს 1512 წლის ერთი დოკუმენტი.

1512 წლის 21 მარტს რობერტ იმბერმა ანდერძით დაუტოვა კომპანიას ვერცხლის სამარილე და მოოქრული თავსახურავიანი, ვერცხლის თასი 63 უნციის წონისა, თასი მოიტანა ანდერძის აღმსრულებელმა, მერსერმა ჯონ ალენმა და ჩააბარა მერსერთა კომპანიის საცავში მამასახლისებს (1:409).

1521 წლის 29 აპრილის დოკუმენტში საუბარია მერსერთა მიერ კომპანიისათვის ანდერძით ფულის გადაცემის შესახებ. ამ დოკუმენტში ჩაწერილია: მამასახლისებმა გააცხადეს: კორპორაციის წევრი ითხოვს გაცნობოთ იმის შესახებ, რომ იგი უძღვნის საჩუქრად კომპანიის ხაზინას 300 გირვანქა სტერლინგის ოდენობის თანხას შემდეგი პირობით: კაპელანმა წესი უნდა აუგოს მის სულს: სია მისი მეგობრებისა, რომლებიც ჩაწერილნი იქნებოდნენ მოსახსენებელთა შორის, უნდა დადონ იქ, სადაც აწარმოებს კაპელანი ღმრთის მსახურებას; კაპელანს ჯამაგირი უნდა დაუწესდეს 6 გირვანქის, 13 შილინგისა და 4 პენსის ოდენობით. წირვა უნდა ჩატარდეს მერსერთა სამლოცველოში, ხოლო ვინც დაესწრება ამ ღმრთის მსახურებას, უნდა დაურიგდეს და გაუნაწილდეს მათ 10-10 შილინგი.

უიტინგტონის კოლეჯის (დავრდომილთა თავშესაფარი) ღარიბებს, რომელნიც ილოცებენ, გარდაცვლილის სულისათვის უნდა მიეცეს შეწირულობა 6 შილინგი და 8 პენსის ოდენობით.

გადაწყდა, რომ ეს ანდერძი დაემტკიცებინათ საერთო კრებაზე (1:529).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მერსერთა კორპორაციის წევრი ვაჭარი ანდერძით უტოვებდა ფულს კომპანიას მისი გარდაცვალების შემდეგ გარკვეული პირობის შესრულების მოთხოვნით: საინტერესოა, რომ ანდერძში გათვალისწინებულია დახმარება (10 შილინგი) იმათ მიმართ, ვინც დაესწრებოდა მის პატივსაცემად გამართულ წირვა-ლოცვას და ასევე ყურადღების გარეშე არ არიან დატოვებულნი დავრდომილთა თავშესაფრის ღარიბები, რომელთაც უნდა მისცემოდათ გარკვეული თანხა (6 შილინგი და 8 პენსი). ვაჭართა მზრუნველობა ღარიბთა მიმართ, ეს უკვე მათ ქველმოქმედებაზე მეტყველებს.

მერსერები შეწირულობას გასცემდნენ ხოლმე არა მარტო თავისი კომპანიის წევრებზე, არამედ ქალაქის მოსახლეობაზეც.

1520 წელს პურის მოუსავლიანობის გამო, როცა სიტიში მოსალოდნელი იყო შიმშილობა, ამასთან დაკავშირებით მერსერთა კორპორაციამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ლორდ-მერის, ოლდერმენთა და თემთა საბჭოს გადაწყვეტილებას სახსრების გამოყოფის შესახებ, რათა შეეძინათ პროდუქტები და თავიდან აეცილებინათ მოსახლეობის შიმშილობა. ეს კი მეტყველებს ვაჭართა მზრუნველობაზე, სიტის მცხოვრებლებზე და მათ ქველ-მოქმედებაზე. ამ მხრივ, საინტერესოა, 1520 წლის 16 ოქტომბრის დოკუმენტი, რომლითაც ლორდ-მერის დავალებით ცხადდებოდა: ხორბლის მოუსავლიანობის გამო, რათა სიტიში არ იქნას შიმშილობა, დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები ქალაქის მოსახლეობის პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის.

ამიტომ გადაწყდა, რომ სიტიში დაებეგრათ სხვადასხვა საავაჭრო კორპორაცია და სახელოსნოები 1000 გირვანქა სტერლინგამდე.

მამასახლისების ბრძანებით, მერსერთა კორპორაციის ყოველ წევრს უნდა გადაეხადა ეს ნაბაყოფლობითი გადასახადი, მერის, ოლდერმენისა და თემთა საბჭოს მიერ კორპორაცია უნდა დაბეგრილიყო 180 გირვანქა სტერლინგის თანხით. ამასთანავე, ეს თანხა

უნდა მიეცათ წმინდა ედუარდის მეორე დღეს. ამ თანხის დასაფარავად კომპანიის მამასახლისებს უნდა გადაეხადა 1521 წელს 40 გირვანქა სტერლინგი, ხოლო 1522 წელს კიდევ 40 გირვანქა სტერლინგი წმინდა ედუარდის დღისათვის. მამასახლისთა ასისტენტებს უნდა გადაეხადათ, თითოს 26 შილინგი და 8 პენსი. გილდიის ყოველ წევრს 16 შილინგი და 8 პენსი, ხოლო თავისუფალ ვაჭრებს, თითოს 8 შილინგი და 8 პენსი (1:510).

როგორც ირკვევა, გადასახადის გადახდა შეეხო მერსერთა კორპორაციის ყველა წევრს, მათ შორის მამასახლისებს და მათ ასისტენტებს. კორპორაციის წევრთაგან არავის განუცხადებია უარი სიტის მოსახლეობის დახმარების გაღებაზე, რაც ადასტურებს მათ მაღალ შეგნებასა და ქველმოქმედებას.

ლონდონელი ვაჭრები, ამავე დროს ხარჯავდნენ ფულს ეკლესიების მშენებლობაზე. 1502 წლის 7 დეკემბერს დადგინდა, რომ მერსერთა კომპანიას უნდა გადაეხადა ეკლესიის მშენებლობაზე 66 გირვანქა სტერლინგი 13 შილინგი და 4 პენსი. აქედან 33 გირვანქას, 6 შილინგსა და 8 პენსს ე.ი. ნახევარს, იხდიდა კომპანიის ხაზინა, ხოლო დანარჩენი თანხა უნდა განაწილებულიყო კომპანიის წევრებს შორის. ამ საქმისათვის კომპანიამ გამოყო შემდეგი პირები: როჯერ ბურჩერი, უილიამ ლემბერდი, რობერტ ოკბორნი, უილიამ აშერი, ჯონ ესტონი და ტომას ტანსტელი, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ თანხის შეკრებისათვის (1:257).

ვაჭრები ნებაყოფლობით, თავიანთი სურვილით ანაწილებდნენ კომპანიის წევრებზე ეკლესიის მშენებლობისათვის შესაკრებ თანხებს.

ლონდონის მერსერთა კომპანიის ვაჭრებმა არა მარტო დაარსეს წმინდა პავლეს ტაძართან სკოლა (1512), არამედ მზრუნველობას იჩენდნენ სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაზეც. მათ თვითონ შეადგინეს სკოლის „წესები“. 1512 წელს კომპანიამ დაამტკიცა ორდონანსების წიგნი, რომელიც არეგულირებდა სკოლის წესებს 1523 წლის 16 ივნისს კომპანიამ დაადგინა: წმინდა პავლეს სკოლის წინამძღვარმა გამოაცხადა უკმაყოფილება იმის გამო, რომ სკოლა იყო გადატვირთული მოწაფეებით, განსაკუთრებით

პროვინციიდან ჩამოსულებით. გადაწყდა: მეურვეებს უნდა დაეთხოვათ სკოლიდან ყველა ზედმეტი მოწაფე და მოითხოვეს, რომ წინამძღვარს ზუსტად დაეცვა ორდონანსის მიხედვით მოსწავლეთა ოდენობა (1:568).

როგორც ჩანს, წმინდა პავლეს სკოლაში მოსწავლეთა ოდენობა განსაზღვრული იყო ორდონანსის ძალით. ზედმეტი მოწაფის მიღება იკრძალებოდა.

ლონდონის მერსერთა კორპორაცია იყო, ამავე დროს, რელიგიური ძმობა. კომპანიის წევრებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ დახმარება გაეწიათ გაჭირვებაში მყოფი ამხანაგისათვის, უნდა ეკისრათ დაავადებული წევრის მოვლა, ხოლო კომპანიის წევრის სიკვდილის შემთხვევაში მისი პატივით დაკრძალვა, მისი ქალიშვილების გათხოვება, ვაჟებისათვის მამის ადგილის უზრუნველყოფა, მოხუცებისა და ობლების მიმართ დახმარება. მაგრამ, ამასთანავე, კომპანიის წევრები უმეტესად ეხმარებოდნენ თავიანთი გილდიის წევრებს. იყო ისეთი შემთხვევაც, როცა კომპანია უარს აცხადებდა დახმარებაზე. მაგალითად, ვინმე ჯონ მაუტენმა სთხოვა მერსერთა კომპანიას, მატერიალური დახმარება, მაგრამ რადგან იგი არ იყო კომპანიის წევრი, მას უარი უთხრეს (1:244), უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდებოდა. „ნიუბოლდის წიგნში“ მოხსენებულია მხოლოდ ერთადერთი ასეთი შემთხვევა, იმ შემთხვევაში თუ მერსერთა კომპანიის წევრი დააავადდებოდა, დასუსტდებოდა ან მიიღებდა ტრამვას სამსახურში და ვერ შეძლებდა თავისი სამუშაოს შესრულებას, კომპანია აწესებდა მისთვის ყოველწლიურ დახმარებას.

ამ მხრივ საყურადღებოა 1491 წლის 23 სექტემბრის დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენი კომპანიის ხუროთ რიჩარდ ტორნტონმა ხარგრძლივი და თავდადებული სამსახური გასწია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი კომპანიის აყვავებაში, ამჟამად იგი დასუსტდა და, შეიძლება, ავადაც კი გახდეს. ამიტომ კომპანია აწესებს მისთვის ყოველწლიურ დახმარებას 4 ან 5 მარკას, ხოლო როცა იგი ვეღარ შეძლებს შეასრულოს ის სამუშაო,

რომელსაც ახლა აკეთებს, მაშინ კომპანია, შეძლებისდაგვარად, შეასრულებს მის სათხოვრებს.

კომპანია დათანხმდა და გადაწყდა, რომ თუ იგი ავად გახდება, დასუსტდება ან მიიღებს ტრამვას სამსახურში და ვერ შეძლებს შეასრულოს ჩვენი სამუშაო, მაშინ დაწესდეს მისთვის ყოველწლიური დახმარება 53 შილინგი და 4 პენსი, ამასთანავე, ყოველ კვარტალში უნდა გადაუხადონ მას 13 შილინგი და 4 პენსი, მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში (1:220).

უთუოდ მოსაწონია კომპანიის მიერ ასეთი დიდი მზრუნველობა მისი დამსახურებული წევრის მიმართ, იმხანად, როდესაც სხვა არავითარი სოციალური დაცვა არ არსებობდა;

მერსერთა კომპანიამ სპეციალურად დაავალა ნდობით აღჭურვილ პირებს დახმარება გაეწიათ მოხუცებისა და ავადმყოფებისათვის (1:42). მერსერი რობერტ ჰარვეი დაავადდა და კომპანიისაგან ითხოვა დახმარება. მიიღეს რა მხედველობაში ის, რომ მას ჰქონდა კარგი სახელი, კომპანიამ დაუნიშნა მას ყოველწლიურად 20 პენსი (1:570).

ასევე ეხმარებოდა კომპანია თავის გაღატაკებულ წევრებს. 1524 წელს ტომას რებიტმა მერსერთა კრებას წარუდგინა თხოვნა: რომ მისთვის და მისი ცოლ-შვილისათვის გაეწიათ მატერიალური დახმარება (როგორც ჩანს, იგი კვების ფულს ითხოვდა); რებიტი გამოიძახეს მერსერთა საერთო კრებაზე და მან თვითონ, პირადად, გადასცა თავისი თხოვნა კომპანიას. როცა იგი წავიდა სახლში, კრებამ მიიღო რა მხედველობაში მისი სიღარიბე, გამოუყო მას დახმარება. კვარტალურად 10 შილინგი, დაწყებული მომავალი შობიდან, სანამ ისურვებდნენ და ამას საჭიროდ ჩათვლიდნენ კომპანიის მამასახლისები (1:690).

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მერსერთა კომპანიაში ყოფილან გაღარიბებული ვაჭრებიც, რომელთაც მატერიალურ დახმარებას უწევდნენ კომპანიის შეძლებული წევრები.

მერსეოები მატერიალურ დახმარებას უწევდნენ თავიანთი გარდაცვლილი წევრების ქვრივებს. 1525 წლის 14 დეკემბერს კრებაზე გამოცხადდა, რომ შობის დღეს დახმარება გაუწიეს

მერსერ რიჩარდ ჯონსის ქერივს ალისა ჯონსს 6 შილინგისა და 8 პენსის ოდენობით. ამავე კრებაზე გამოცხადდა, რომ რობერტ ჰარვეი, გარდა ყოველკვირეული 20 პენსის დახმარებისა, ქრისტეშობის დღეს მიიღებს ერთდროულ დახმარებას – 10 შილინგს. რადგან იგი ძალიან ავად არის და, საფიქრებელია დიდხანს ვეღარ იცოცხლებს (1:709);

1526 წლის 12 დეკემბრის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მერსერ უილიამ ბურვილს, რომელიც „ახლა გაღატაკდა", უნდა მიეცეს მატერიალური დახმარება 4 შილინგი კვირეულად, შობის დღიდან. გარდა ამისა, მას მიეცემოდა ყველა ის ფული, რომელსაც მიიღებდა კომპანია ჯარიმებიდან, იმათგან, ვინც დაარღვევდა დისციპლინას, ან არ დაესწრებოდა კრებას, დაჯარიმდებოდა (1:743).

როგორც ჩანს, კომპანია ამით ორ საქმეს აგვარებდა. ერთი მხრივ, ხელს უწყობდა კომპანიის დისციპლინის განმტკიცებას და, მეორე მხრივ, მზრუნველობას იჩენდა გაღარიბებულ ვაჭრებზე.

საყურადღებოა მერსერთა მზრუნველობა ობლებზე. 1519 წელს, როცა მერსერები იხილავდნენ ლორდ-მერისა და ოლდერმენის ბილს, იქ ერთ-ერთ მუხლში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ საქონელი, რომელიც მიეკუთვნებოდა ობლებს, უნდა მიეტანათ სიტის კანტორაში ფულად ან ფაქტურად და მოგება მათი საქონლიდან უნდა მოხმარებოდა ლორდ-მერს და ოლდერმენებს, რომლებიც შეიკრიბებოდნენ საბჭოში. შემდეგ მოგება უნდა მოხმარებოდა მერის, შერიფების და მათი მსახურების ჰოლის მშენებლობას. ამაზე მერსერთა კორპორაციის მამასახლისებმა განაცხადეს, რომ თუ ეს მუხლი განხორციელდებოდა, მაშინ ობლები ჩავარდებოდნენ უარეს მდგომარეობაში, რაც არ იქნებოდა სამართლიანი მოქმედება ობლების მიმართ (1:481); მერსერები აქ გამოვიდნენ ობლების ინტერესების დამცველებად;

ლონდონის მერსერთა კომპანიის ვაჭრები გამოირჩეოდნენ არა მარტო თავიანთი საქველმოქმედო საქმიანობით, არამედ დიპლომატიის უდიდესი უნარითაც. ისინი ყოველთვის ამჯობინებდნენ მეფის ხელისუფლებასთან კარგ დამოკიდებულებას, ვინაიდან ეს იყო გარანტია მათი სავაჭრო უფლებების დაცვისა თემთა პალატაში.

1485 წლის 31 მარტს ლონდონის მერსერთა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია სპეციალურად შეიკრიბა იმისათვის, რათა მკაცრად გაეფრთხილებინა თავისი წევრები, რომ არ აჰყოლოდნენ ჭორებს და ბოროტ ხმებს მეფის წინააღმდეგ, რაც უარყოფით შედეგს მოუტანდა კომპანიას.

აი, რას ვკითხულობთ რიჩარდ III-ის ხანის ერთ დოკუმენტში: „ბოროტი ადამიანების მიერ გავრცელდა ხმა, რომელიც სახელს უტეხს მეფეს, რომ თითქოს მან მოწამლა თავისი ცოლი, რათა დაქორწინებულიყო ლედი ელიზაბეტზე, თავისი ძმის (ედუარდ IV-ის) უფროს ქალიშვილზე. ლორდ-მერის ოლდერმენებისა და სამეფო ლორდების თანდასწრებით გუშინ, გრეიტ ჰოლში, მეფემ უარყო ეს ბინძური ხმები, რომ იგი სრულიადაც არ აპირებდა ასეთნაირად დაქორწინებას, დიდ მწუხარებას განიცდიდა ცოლის გარდაცვალების გამო და გააფრთხილა ყველა, ვინც აერცელებდა მსგავს ხმებს ჩასვამდა ციხეში. გარდა ამისა, მან უბრძანა მერს გამოეძახა კომპანიის მამასახლისები და გადაეცა მათთვის მისი უკმაყოფილება (1:173). როგორც ჩანს, ხმები გავრცელდა კომპანიის ვაჭრებს შორისაც;

უფრო მეტიც, მერსერთა კომპანიის ვაჭართა პატივისცემა იმდენად დიდი იყო მეფის ხელისუფლების მიმართ, რომ მასთან შესახვედრად კომპანია სპეციალურად ემზადებოდა ხოლმე, ხაზინიდან გამოყოფდა სახსრებს ცხენოსანთა ახალი ტანსაცმლის შესაძენად, ასევე განსაზღვრავდა, თუ როგორი ფერის ტანსაცმელი ჩაეცვათ. აღნიშნული საჭიროებისათვის ვაჭრები არ იშურებდნენ სახსრებს და ამ შეხვედრის სწორი ორგანიზებისათვის კრებაზე ღებულობდნენ ორდონანსებს.

1475 წლის 11 სექტემბერს გადაწყდა მერსერთა კომპანიის კრებაზე, რომ მერსერთა მამასახლისებს ასისტენტებთან ერთად უნდა გამოეყოთ კომპანიიდან 40 კაცი, რათა ისინი წასულიყვნენ ლორდ-მერთან ერთად, მეფესთან შესახვედრად. ამისათვის მამასახლისებს უნდა მიეღოთ ორდონანსები და რეკვიზიტი კომპანიიდან. ე.ი. კომპანია მოითხოვდა ვაჭრებისაგან მეფისადმი პატივისცემას.

ვაჭრები ერთსულოვნად დათანხმდნენ შეესრულებინათ მეფის თხოვნა და უზრუნველეყოთ მისთვის განსაკუთრებული დაცვა მაშინ, როცა მასთან ცხადდებოდნენ უცხოელი ელჩები:

1477 წლის 27 ივნისს მერსერთა კრებაზე გადაწყდა, რომ რადგან ინგლისში ჩამოვიდნენ საფრანგეთისა და შოტლანდიის ელჩები, მეფეს სურდა ჰყოლოდა დიდი დაცვა განსაკუთრებით კარგად ჩაცმული მშვილდოსნებისაგან შემდგარი. ლორდ-მერის განკარგულებით კომპანიის მამასახლისები უნდა გამოცხადებულიყვნენ მშვილდოსნებთან ერთად ერთნაირ ცისფერ კამზოლებში გამოწყობილნი, მაგრამ, რადგანაც მკერავებმა მათთვის შეკერეს ვარდისფერი კამზოლები, მათ უნდა ჩაეცვათ იგი, ხოლო დანარჩენებს კი – ცისფერი.

იმავე წელს მიიღეს სპეციალურად შემდეგი ორდონანსები:

1. გილდიის ყველა წევრი, რომელიც დანიშნეს მეფის საპატიო ყარაულში, ანუ დაცვაში, უნდა გამოცხადდეს პრინს უორდროპში საღამოს 8 საათზე 20 შილინგი ჯარიმის გადახდის მუქარით.

2. გილდიის არა წევრი, ვინც დანიშნეს საპატიო დაცვაში, უნდა მივიდეს იქ ზუსტად ამ დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში – ჯარიმმა 20 შილინგი.

3. არავინ არ უნდა გამოცხადდეს თეთრ სამოსელში გამოწყობილი.

4. არავინ არ უნდა გამოირჩეოდეს ჩაცმულობით მამასახლისებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში – ჯარიმა 20 შილინგი.

5. არავინ არ უნდა წაართვას შერიფს თავისი საჭურველიანი კაცი. ჯარიმა – 20 შილინგი.

6. კომპანიის მამასახლისებს უნდა დაეკისრებინათ გადასახადების გადახდა კომპანიის იმ წევრებისათვის, ვინც არ იქნებოდა დაცვაში, ჯარიმა – 20 პენსი.

7. ხოლო კომპანიის არაწევრთაგან, რომლებიც არ გამოცხადდებოდა დაცვაში, გადაიხდიდა ჯარიმას 12 პენსის ოდენობით (1:97);

19 სექტემბრისათვის გამოყვეს ის პირები, რომლებიც უნდა მომზადებულიყვნენ მეფესთან შესახვედრად ყოველგვარი თავის არ-

იდების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებული იყო ჯარიმა – 40 შილინგი ვერცხლი მერსერთა კომპანიის ხაზინის სასარგებლოდ.

მერსერთა საერთო კრებაზე გადაწყდა, რომ ყოველი ცხენოსნის აღჭურვილობისთვის კომპანიის მიერ გამოყოფილიყო 40 შილინგი. ხოლო ეს ფული უნდა შესულიყო მერსერთა ხაზინაში. დაინიშნა ოთხი პირი: რობერტ უესტონი, რიჩარდ ტვიგი, უილიამ უაიტი და რიჩარდ გოული, რომელთაც დაევალათ გადასახადის აკრეფა.

ასევე გადაწყდა, რომ ლივერეის ყოველი წევრი, რომელიც დანიშნული იყო ცხენოსნად მეფესთან შესახვედრად, უნდა ყოფილიყო ჩაცმული ახალ ტანსაცმელში, ისეთში როგორსაც დააწესებდა მათი კომპანია. აღნიშნული წესის დარღვევისათვის უნდა გადაეხადათ ჯარიმა - 13 შილინგი და 4 პენსი.

ორდონანსის მიხედვით, დანიშნულ დღეს, როცა თავს მოიყრიდნენ ქალაქში ცხენოსნები, მათ უფლება არ ჰქონდათ არც ერთ წუთს დაეტოვებინათ მამასახლისები. უნდა დარჩენილიყვნენ მათთან, სანამ მამასახლისები არ დაითხოვდნენ მათ. დარღვევისათვის დაწესებული იყო ჯარიმა – 13 შილინგი და 4 პენსი.

ორდონანსის ძალით, ცხენოსანთა ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო მოწითალო-მოყავისფრო ფერისა, ხოლო ქუდები შავი და უნდა წასულიყვნენ მეფესთან შესახვედრად ორ-ორი კაცის წყობით (i:88);

ამრიგად, კომპანია თავისი ორდონანსების ძალით განსაზღვრავდა მეფესთან შესახვედრად რამდენი კაცი უნდა გამოეყოთ, როგორი უნდა ყოფილიყო მათი აღჭურვილობა, როგორი ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაეცვათ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ დანიშნულ დღეს და რა სახსრებით უნდა მოემზადებინათ ცხენოსნები, რისთვისაც დააწესეს კომპანიის სათანადო გადასახადები. მკაცრად ისჯებოდნენ ჯარიმით ისინი, ვინც თავს არიდებდა გადასახადის გადახდას და მეფესთან შესახვედრად წასვლას.

მეფე ედუარდ IV-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მერსერთა კორპორაციამ ერთსულოვნად გამოყო ცხენოსნები მეფის

ცხედრის გასაცილებლად. ამ მხრივ საინტერესოა 1483 წლის 24 აპრილის დოკუმენტი, რომელშიც ჩაწერილი იყო, რომ ლონდონის ავანტიურისტთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ყოველი კორპორაცია ერთნაირ მუქ-ბორდოსფერ ტანსაცმელში უნდა გამოცხადებულიყო დანიშნულ დროს პარნსეის პარკში, რათა დახვედროდნენ მეფის ცხედარს.

მერსერთა კორპორაციამ გამოყო 30 ცხენოსანი. თითოეულ მათგანზე კომპანიის ხაზინამ გაიღო 13 შილინგი და 4 პენსი.

ასევე გადაწყდა, რომ ცხენოსნებს თან უნდა გაჰყოლოდნენ მსახურები, რომელთა ეკიპირებაზე მერსერთა ხაზინამ გაიღო გარკვეული თანხა.

გადაწყდა, რომ ისინი, ვინც თავის დროზე იყო მამასახლისი და ახლა არ მიდის მეფის ცხედრის შესახვედრად, უნდა გადაიხადოს ჯარიმად ცხენოსანთა აღჭურვილობაზე 8 შილინგი და 4 პენსი, ხოლო დანარჩენები, ვინც კომპანიის წევრთაგან არ მიდიოდა მეფის ცხედრის შესახვედრად, იბეგრებოდა 6 შილინგითა და 8 პენსით. მაღაზიებისა და დუქნების მფლობელი თავისუფალი ვაჭრები იხდიდნენ 2 შილინგს და 7 პენსს. შეგროვილი თანხა უნდა მიეტანათ ორშაბათს მამასახლისებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაიხდიდნენ ორმაგად (1:147);

აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მერსერთა კორპორაცია, ჯარიმის გადახდის მუქარით, მოითხოვდა პატივისცემას და ორგანიზებულ შეხვედრას მიცვალებული მეფის ცხედართან.

მერსერთა კორპორაციას ტრადიციად ჰქონდა უკვე ქცეული მეფესთან შეხვედრა და მისი დიდი პატივით მიცილება სასახლემდე, რასაც ადასტურებს 1492 წლის 19 ნოემბრის დოკუმენტი. აი, რას ვკითხულობთ ამ დოკუმენტში: რადგან მეფე ჰენრი VII ბულონის აღების შემდეგ ბრუნდება ქალაქ კალეში და იგი უნდა ჩავიდეს სამეფო ქალაქში (ლონდონში – ი.ბ.), მერსერთა კორპორაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაჭრები, ცხენზე ამხედრებულნი, ბორდოსფერ ტანსაცმელში უნდა გამოცხადებულიყვნენ ბლეკჰიზში მეფის შესახვედრად, რისთვისაც გამოიყო 30 კაცი.

გადაწყდა, რომ ყოველი ცხენოსნის აღჭურვილობაზე გამოიყოფოდა 13 შილინგი და 4 პენსი. კომპანიამ ეს თანხა თავის წევრებს შორის გაანაწილა. ყოველ წევრს უნდა გადაეხადა 6 შილინგი და 8 პენსი, ხოლო დუქნის მეპატრონე თავისუფალ ვაჭრებს თითოეულს ამის ნახევარი 3 შილინგი და 4 პენსი.

თუ ეს თანხა არ იქნებოდა საკმარისი, მაშინ დანარჩენი უნდა მიეღოთ კომპანიის ხაზინიდან. გადასახადის ამკრეფნი იყვნენ: ჯონ პიერი, ნიკლას შელტონი და რობერტ ოსტლი. თუ ვინმე თავს აარიდებდა გადასახადის გადახდას, მაშინ გადასახადის ამკრეფებს უფლება ჰქონდათ გამოერთმიათ მათთვის ორჯერ მეტი (1:229);

ამრიგად, ლონდონის მერსერთა კომპანიის ვაჭრები დიდძალ ფულს სწირავდნენ კომპანიის ხაზინას, რაც ხმარდებოდა ქალაქის კეთილმოწყობას, სკოლების დაარსებასა და განათლების მფარველობას, კომპანიის გაღატაკებული წევრებისათვის, ქვრივებისა და ობლებისათვის დახმარებას, მეფესთან სათანდო შეხვედრისათვის მომზადებას. ყოველივე ზემო ნათქვამი ადასტურებს მათ, მერსერთა კარგად მოწერსრიგებულ საქველმოქმედო საქმიანობას.

2 მერსერთა მზრუნველობა მოხუცთა და დავრდომილთა თავშესაფარზე

განსაკუთრებით საყურადღებოა ლონდონის ვაჭართა მზრუნველობა უიტინგტონის კოლეჯის დავრდომილთა თავშესაფარზე.

უიტინგტონის კოლეჯი დაარსდა ლონდონის მერსერთა კომპანიის ხელშეწყობით და კომპანია მფარველობას უწევდა მას, თვალყურს ადევნებდა, რათა დაეცვათ იქ წესრიგი, სწორად აეკრიფათ წყალობა. მერსერთა უშუალო მონაწილეობით ხდებოდა დანიშვნა ამა თუ იმ თანამდებობაზე. დავრდომილთა თავშესაფარი თავისი პატრონობის ქვეშ აერთიანებდა უპატრონო, დავრდომილ და მოხუც ადამიანებს, რომელთაც ეძლეოდათ მატერიალური დახმარება.

ეტყობა, უიტინგტონის კოლეჯში, ადგილი ჰქონდა მოწყალების შემკრებთა მიერ თავიანთი თანამდებობის ბოროტად გამოყენებასაც. მერსერები თავიანთ კრებებზე მსჯელობდნენ ასეთი პირების შესახებ, ათავისუფლებდნენ მათ და ნაცვლად სხვებს ნიშნავდნენ. 1481 წლის 18 მარტის მემორანდუმში ნათქვამი იყო, რომ მერსერთა კრების შემდეგ შერიფი ტეიტი, ოლდერმენი ჯონ ფიშერი და მამასახლისები – ნიკლას ოლვინი და ტომას ჰორი გაემართნენ უიტინგტონის კოლეჯში და იქ გამოიძახეს წყალობის შემგროვებელი ნაიტი, რომელსაც დიდი ხანია უჩიოდნენ კოლეჯის წინამძღვარი მეურვე და სხვა წევრები. ნაიტი თავის მოვალეობას ბოროტად იყენებდა, ძმებს შორის აწყობდა კინკლაობას, ხშირად ლოთობდა ისე, რომ იგი გამოუსადეგარი იყო და ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას წესდების შესაბამისად. იგი არა თუ არ გამოსწორდა, არამედ დაადანაშაულა კიდეც კოლეჯის წინამძღვარი ცილისწამებაში. ამიტომ კომპანიის მამასახლისებმა გადაწყვიტეს ამ ნაიტის და წინამძღვრის დაუსწრებლად დაეკითხათ ყველა წყალობის მიმღები და თითოეული მათგანისაგან გაეგოთ რა იცოდნენ მათ ნაიტის შესახებ.

დაკითხულთა შორის პირველსაყემ განაცხადა, რომ ნაიტი ყოველ დღესასწაულზე როგორც ღორი ისე თვრებოდა, აწყობდა ჩხუბს და ტეხდა დებოშს. მას ვერავინ აწყნარებდა. იგივე დაადასტურეს კოლეჯის სხვა ძმებმა.

თავიდან რომ აეცილებინათ უსიამოვნება მამასახლისებმა ნაიტი გაათავისუფლეს და გააძევეს კოლეჯიდან. ნაიტის ადგილზე დანიშნეს მერსერი ჯონ კაპლენდი, რომელსაც მიენიჭა მოწყალების შეგროვების უფლება. წინამძღვარმა ძმების თანდასწრებით მიიღო მისგან ფიცი და, ამის შემდეგ, დანიშნეს იგი ამ თანამდებობაზე (1:286).

1492 წლის 12 დეკემბერს უიტინგტონის კოლეჯის საქმესთან დაკავშირებით შეიკრიბნენ მერსერთა კომპანიის მამასახლისები – ჯონ ტეიტი, ჯონ ჰაუ, უილიამ ესტონი, რიჩარდ ლაკინი და მოიწვიეს ასამბლეა. განიხილეს საკითხი იმის შესახებ, რომ უიტინგტონის კოლეჯის წინამძღვარმა ინდერეუდმა შეირცხვინა თავი

და კეთილსინდისიერად არ შეასრულა თავისი მოვალეობა. კრებაზე გადაწყდა მიეღოთ ის მუხლები, რომელსაც დაამტკიცებდა ლორდ-მერი და მოხუცებულთა სახლის პრიორი, რათა თავიდან აეშორებინათ უხერხულობანი. აი ეს მუხლები:

1. ამ თანამდებობაზე (კოლეჯის მეთაურად – ი.ბ.) უნდა იქნას არჩეული ის პირი, რომელსაც დაასახელებს კომპანიის ორი მამასახლისი: ასევე არჩევნებს უნდა დაესწროს აღნიშნული კოლეჯის ძმობის ოთხი მღვდელი. საერთოდ ყველა მამასახლისი უნდა დასწრებოდა არჩევნებს და უნდა გამოეთქვა თავიანთი შეხედულება დასახელებულ კანდიდატურასთან დაკავშირებით.

2. მამასახლისებს მუდმივად თვალყური უნდა ედევნებინათ კოლეჯის შემოსავლისა და გასავლისათვის. ამისათვის უნდა შემოეღოთ კოლეჯში საინვენტარო წიგნი, რათა ნებისმიერ დროს მამასახლისებს შეძლებოდათ კონტროლის გაწევა. ამასთანავე, საინვენტარო წიგნი უნდა შეენახათ კოლეჯში, ხოლო მისი ასლი კი – წმინდა ტომასის ჰოლის საცავში.

3. ვინაიდან კოლეჯის სალაროს 3 გასაღები ჰქონდა და სამივე ინახებოდა კოლეჯში, უნდა დაემზადებინათ მეოთხე გასაღები, რომელიც უნდა შენახულიყო მამასახლისებთან, წმინდა ტომასის ჰოლის საცავში.

4. მამასახლისთა თანხმობის გარეშე არც კოლეჯის მეთაურს, არც სხვა ვინმეს უფლება არა ჰქონდა ესარგებლა ბეჭდით (დაესვა ბეჭედი რომელიმე დოკუმენტისათვის – ი.ბ.)

5. კოლეჯის მეთაურს უფლება არ ჰქონდა მიეყვანა კოლეჯში ვინმე კლერკის ან კვესტორის თანამდებობაზე.

6. თუ კოლეჯში განთავისუფლდებოდა კლერკის ან კვესტორის ადგილი და ის დარჩებოდა თავისუფალი თვეზე მეტხანს, მაშინ მამასახლისებს შეწირულობა არ უნდა გამოეყენებინათ თავიანთი შეხედულებისამებრ, სანამ აღნიშნულ ადგილზე არ იქნებოდა არჩეული სხვა პირი.

7. არც კოლეჯის მეთაურს და არც სხვა წევრებს უფლება არ ჰქონდათ თავისი ნება-სურვილით გაენთავისუფლებინათ კლერკი ან კვესტორი, სანამ არ მოეთათბირებოდნენ ამ საკითხებზე კომპანიის

მამასახლისებს და არ შეიტყობდნენ მათ აზრს. ეს საკითხი უნდა გადაეჭრათ ერთობლივ მამასახლისებსა და კოლეჯის წევრებს (1:230);

ამრიგად, მოხუცებულთა თავშესაფარი უიტინგტონის კოლეჯი ემსახურებოდა კომპანიის ინტერესებს, ამიტომ ვაჭრები მფარველობდნენ ამ თავშესაფარს, კრებაზე ღებულობდნენ სპეციალურად შემუშავებულ მუხლებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ კოლეჯის შინაგანაწესს, მსჯელობდნენ კოლეჯის წინამძღვრის შესახებ იმ შემთხვევაში თუ იგი არაკეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. 1492 წლის 27 დეკემბერს წმინდა ტომასის ჰოლში შედგა კრება, რომელსაც დაესწრნენ ოლდერმენი ჯონ ტეიტი, მამასახლისები – ჯონ ჰაუ, უილიამ ესტონი და რიჩარდ დავენი, მამასახლისთა ასისტენტები უილიამ ოლბურგი, რიჩარდ ფილდინგი, ტომას რიჩი, ექიმი ტეილონი და კიდევ ოთხი „პატიოსანი წევრი" უიტინგტონის კოლეჯიდან და ამ შეკრებაზე შედგა დაწერილებითი საუბარი კოლეჯის წინამძღვრის შესახებ.

მოხუცებულთა სახლის ხალხმა აცნობა კომპანიას, რომ ბატონი ინდერეუდი არ ეწეოდა სისტემატურად ღვთისმსახურებას, ესწრებოდა მხოლოდ მთავარ საეკლესიო დღესასწაულებს. წირვის დროს იგი მომეტებულად იმყოფებოდა კანტორაში. საერთოდ, არც ერთ მღვდელს არ შეუსრულებია წესიერად თავისი მოვალეობა კოლეჯში. ასევე კვირაობითაც ხშირად არ ტარდებოდა წირვა. იყო შემთხვევები, როცა კოლეჯის წინამძღვარმა ღვთისმსახურების დროს აიყვანა დიაკონად ეკონომი (მეურნეობის გამგე), მათ არავის არ ეშინოდათ და არ ერიდებოდათ. ამიტომ კოლეჯის მსახურნი გულგატეხილნი იყვნენ;

ამავე დროს უწესრიგობას ჰქონდა ადგილი სტიპენდიის და ხელფასის გაცემის მხრივაც. სტიპენდია და ხელფასი, რომელიც მამასახლისების მიერ ეძლეოდა კოლეჯს და განკუთვნილი იყო, რათა გაცემულიყო 4 მღვდელზე, 4 კვესტორზე და 2 კლერკზე, ოთხი კვესტორის ნაცვლად სამი კვარტლის განმავლობაში იყო სამი თუ ორი, ხოლო მათზე გაცემულ ფულს ითვისებდა კოლეჯის წინამძღვარი ინდერეუდი. უფრო მეტიც, იგი ხშირად აიძულებდა

კლერკს მიეცა თავისი ხელფასის ნაწილი (ე.ი. არაკანონიერად ითვისებდა კვესტორისა და კლერკის ხელფასს).

ერთი სიტყვით, „მან ისე შეარცხვინა თავისი სამოსელი, რომ არავინ აღარ ისურვებდა შემდგომში მის ჩაცმას“ (1:231)

საერთოდაც, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, უიტინგტონის კოლეჯში ყველა წინამძღვარი როდი ასრულებდა კეთილსინდისიერად თავის მოვალეობას. ადგილი ჰქონდა უხეშ დარღვევებს, რაც მერსერთა კომპანიის მსჯელობის საგნად ხდებოდა ხოლმე.

მერსერთა კორპორაცია დიდ ყურადღებას უთმობდა ღვთისმსახურებას, რომელსაც ასრულებდნენ კაპელანები წმინდა ტომასის სამლოცველოში. კომპანიამ კაპელანების შესახებ მიიღო სპეციალური ორდონანსები, რომელიც განსაზღვრავდნენ მათ უფლება-მოვალეობას.

1512 წლის 21 მარტს მერსერთა კომპანიის კრებაზე დაამტკიცეს ორდონანსები კაპელანების შესახებ. რომელთა მიხედვით, კომპანიას ყველა სახის ღვთისმსახურებაზე უნდა ჰყოლოდა ორი კაპელანი. ორდონანსში ნათქვამი იყო, რომ ამიერიდან კაპელანებს უნდა სცოდნოდათ რა ევალებოდათ მათ. კომპანიის მამასახლისების წინაშე მათ უნდა დაედოთ ფიცი, რომ დაიცავდნენ ორდონანსის ყველა მუხლს. მომავალში როცა მიიღებდნენ ახალ კაპელანებს, მათაც უნდა დაედოთ ასეთი ფიცი: „ვფიცავ, რომ ვიქნები ერთგული ჩვენი მეფისა, მისი მემკვიდრეებისა და ასევე ჩვენი მერსერთა კომპანიისა“. კომპანიისაგან ვღებულობ სამსახურის გაწევისათვის წყალობას, რისთვისაც მოვალე ვარ შევასრულო შემდეგი მუხლები:

1. ყოველდღე ჩავატარო წირვა მერსერთა კომპანიის სამლოცველოში წმინდა ტომასის ეკლესიაში. ღვთისმსახურების დროს უნდა ვილოცო და შევთხოვო ღმერთს, რათა მან იზრუნოს ჩვენი კორპორაციის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის. ასევე უნდა ვილოცო მეფისა და მერსერთა სულისათვის. განსაკუთრებით რიჩარდ მეორისათვის, რომელმაც პირველმა გამოსცა ქარტია და შექმნა მერსერთა კორპორაცია. ნება მისცა მათ შეეძინათ მიწები კომპანიის ძმებისა და კაპელანების შესანახად. ასევე მოვალე ვარ ვილოცო სულისათვის რიჩარდ უიტინგტონისა, რობერტ კაპასისა და სხვა ძმებისა, რომელთა სახელები დაწერილია პატარა მაგიდა-

ზე, საკურთხეველზე, რობერტმა გამოყო განსაზღვრული მიწები ეკლესიის დასაარსებლად, მღვდლების ჯამაგირით უზრუნველსაყოფად და ასევე კომპანიის მამასახლისებისათვის.

2. ყოველთვის თან უნდა ვახლდე კომპანიის მამასახლისებს ყველა ღვთისმსახურების დროს ლონდონის სიტის ფარგლებში.

3. ყოველ დღესასწაულზე უნდა გამოვცხადდე დილის 6 საათზე. მოვალე ვარ წესიერად მოვიქცე, არ ვილოთო. კვირას და დღესასწაულებზე უნდა დავეხმარო ზიარების ორგანიზაციაში და ღვთისმსახურებაზე“ (1:411).

ამრიგად, კომპანია მკაცრად განსაზღვრავდა კაპელანების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მათ უნდა დაეცვათ, ხოლო თუ დაარღვევდნენ ორდონანსს, მაშინ კომპანია მათ გაანთავისუფლებდა სამსახურიდან. აი, რა დიდ პატივს სცემდნენ მერსერები ღვთისმსახურების წესიერ შესრულებას.

გარდა ამისა, „ნიუბოლდის წიგნიდან“ ჩანს, რომ ისახება ახალი წესი ურთიერთობისა მერსერებსა და ეკლესიას შორის, რომელიც შემდეგ რეფორმაციის ხანაში, დიდ მნიშვნელობას მიიღებს, სახელდობრ, აქ სასულიერო პირები ემორჩილებოდნენ საეროებს. ეს სწორედ ისაა, რასაც მოითხოვდნენ ბიურგერები გერმანიაში 1524-1525 წლებში.

ამრიგად, ლონდონელმა ვაჭრებმა – მერსერებმა შეძლეს გაეღოთ დიდძალი შეწირულობა ქალაქის კეთილმოწყობაზე, ეკლესიების, სკოლების მშენებლობაზე, სიტის ღარიბი მოსახლეობის დახმარებაზე, დავრდომილთა და მოხუცებულთათვის უიტინგტონის კოლეჯის დაარსებასა და მფარველობაზე. ისინი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ უპატრონო მოხუცებს, ავადმყოფებს, დაერდომილებს, რაც მეტყველებს ინგლისის ვაჭართა დიდსულოვნებასა და შეგნებულობაზე.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ლონდონის ვაჭართა შეგნებაში მოხდა ღრმა ფსიქოლოგიური ცვლილებები. ამაღლდა ვაჭართა შეგნება, მათ ხელი მიჰყვეს საქველმოქმედო საქმიანობას, წინდახედულობასა და გონიერებას იჩენდნენ ისინი სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს.

დასკვნა

ამრიგად, ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესწავლა XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე, საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ სავაჭრო კომპანიების – სტაპლერებისა და ვაჭარ-ავანტიურისტების ურთიერთობას მერსერთა კომპანიასთან, ინგლისის სავაჭრო ურთიერთობას ნიდერლანდებთან, ჰანზასთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, ესპანეთთან და ნიუფაუნდლენდთან, სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკას, საზღვაო ფლოტის განვითარების პირობებს, ინგლისელ ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობას, მათ მიერ ფართო სავაჭრო ოპერაციების განხორციელების გზებსა და მეთოდებს, რასაც დიდი როლი უნდა შეესრულებინა ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ქვეყნის დაწინაურებაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. სტაპლერთა კომპანია მოქმედებდა ქალაქ კალეში და ძირითადად ეწეოდა მატყლით ვაჭრობას, ხოლო ვაჭარ-ავანტიურისტები ეწეოდნენ მაუდის საბითუმო ვაჭრობას, ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ქალაქ კალეში მაუდის ქსოვილების გატანა. მერსერთა აქტებიდან („ნიუბოლდის წიგნი“) ჩანს, რომ ეს ორი კომპანია აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან. მაგრამ ზოგჯერ ადგილი ჰქონია მათ შორის შეუთანხმებლობასაც და ამიტომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება (1496 – 1512 წ.წ.) შეთანხმების მისაღწევად. გარდა ამისა, ისიც ირკვევა, რომ მერსერები (ქსოვილით მოვაჭრენი) ერთდროულად გაერთიანებული იყვნენ და საქმიანობდნენ სტაპლერთა და ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიებთან.

2. მერსერთა კორპორაცია ოფიციალურად გაფორმდა 1394 წელს, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს არ გამორიცხავს მის არსებობას უფრო ადრეულ პერიოდში. ჩვენამდე მოაღწია 1190 წლის სიგელმა, რომლის მიხედვით მერსერთა კომპანიის არსებობა დასტურდება უკვე XII საუკუნეში.

მერსერებმა მოიპოვეს გაბატონებული მდგომარეობა ლონდონის კორპორაციებს შორის, ხოლო ლონდონელებმა კი მოიპოვეს უპი-

რატესობა ინგლისის ვაჭარ-ავანტიურისტთა შორის. ჩვენი აზრით, რადგან ლონდონის ჯგუფში მერსერები პირველები იყვნენ, ამდენად, ისინი წამყვანნი არიან ინგლისის ვაჭარ-ავანტიურისტთა შორისაც. ე.ი. ლონდონის მერსერთა კომპანიას წამყვანი პოზიციები გააჩნდა არა მარტო ლონდონის, არამედ საერთოდ ინგლისის ავანტიურისტთა შორის.

მერსერთა კორპორაციის საქმიანობას წარმართავდა საკანონმდებლო ორგანო – აღმასრულებელი ორგანო – ოთხი მამასახლისისაგან შემდგარი „მამასახლისის საბჭო“ „ასისტენტთა საბჭო“, „ბეჩელორების რვის საბჭო“, საარბიტრაჟო სასამართლო, მაკლერები, კლერკები და ბედელები. თანამდებობის პირებს შეადგენდნენ, უმთავრესად, შეძლებული, მდიდარი ვაჭრები, რომელთა დამოკიდებულებაში მოექცა მრავალრიცხოვანი ფენა ვაჭრებისა, რომლებიც თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით სხვაზე დაბლა იდგნენ. ამიტომ კომპანიის საქმიანობას მთლიანად წარმართავდნენ ერთი მუჭა მდიდარი ვაჭრები.

3. ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია, ლონდონის გარდა, მოქმედებდა სხვა ქალაქებში: იორკში, ნორიჯში, ნიუკასლში, მიდლენდში, სოლსბერიში, ეკზეტერში და ჰალეში, რასაც ადასტურებს 1519 და 1522 წლების დოკუმენტები. ამასთანავე, ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა ბირთვი იყო წამყვანი მთელი ინგლისის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია არ წარმოადგენდა ვაჭართა უბრალო გაერთიანებას, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, არამედ იგი წარმოადგენდა მდიდარ, გავლენიან და მნიშვნელოვან სავაჭრო კომპანიას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა და ხელი შეუწყო ინგლისური კაპიტალის განმტკიცებას ინგლისის საშინაო და საგარეო ვაჭრობაში.

4. ინგლისის სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა უცხოელი ვაჭრების მიმართ თავდაპირველად მფარველობით ხასიათს ატარებდა, ხოლო შემდეგ სამეფო ხელისუფლება ცდილობდა უცხოელ ვაჭართა უფლებების შეზღუდვას ინგლისის ტერიტორიაზე და ბოიკოტს უცხადებდა მათ სხვადასხვა ფორმით, მაგრამ

ამავე დროს მეფის ხელისუფლება არ უშვებდა ინგლისელთა უცხოელებზე თავდასხმას, მათთან ურთიერთობის გამწვავებასა და უწესრიგობას თავის სახელმწიფოში.

5. ინგლისელებს საქონელი გაჰქონდათ ზღვის გაღმა ძირითადად ადგილობრივი ინგლისური გემებით, რაც საზღვაო ფლოტის განვითარებას ხელს უწყობდა, მაგრამ ამავე დროს მიმართავდნენ უცხოური – ესპანური, ჰოლანდიური, პორტუგალიური, ჰანზის გემების დაქირავებას, რაც, საფიქრებელია, განპირობებული იყო ორი გარემოებით: პირველი, როცა გემებს ესაჭიროებოდა სამხედრო დაცვა მტრის მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და მეორე, როგორც ჩანს, არ იყო საკმარისი ინგლისური გემები მაუდით ვაჭრობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მაუდის საექსპორტო ვაჭრობის განვითარებას, სანავიგაციო აქტებს (1369, 1381, 1382, 1390, 1489) და თვით სამეფო ხელისუფლების დიდ მხარდაჭერას ხელი უნდა შეეწყო ინგლისის საზღვაო ფლოტისა და გემთმშენებლობის განვითარებისათვის XV-XVI საუკუნეებში.

6. ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის სავაჭრო ურთიერთობაზე დიდად იყო დამოკიდებული მაუდით ვაჭრობის ორგანიზება და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. მაგრამ ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს.

1419-1434 წლებში ვაჭრობა ინგლისსა და ნიდერლანდებს შორის რეგულარული ხასიათისაა. 1434 წელს აიკრძალა ვაჭრობა, ასევე მოხდა 1464-1467 წლებში. სავაჭრო კონტაქტები ამ ორ ქვეყანას შორის არ ჩანს 1485, 1486, 1487 და 1493 წლებში. 1496 წლიდან ინგლისელი ვაჭრები სისტემატურად ჩანან ნიდერლანდების ბაზრებზე – ბეროუში, ბრაბანტში და მიდელბურგში. 1508 წლიდან 1517 წლამდე სავაჭრო კონტაქტები ინტენსიურია. ასევე 1523 და 1525 წლებში. ხოლო 1522 და 1527 წლებში, საერთოდ არ არის სავაჭრო ურთიერთობა ამ ქვეყნებს შორის, რაც დაკავშირებული იყო რომის საღმრთო იმპერატორ კარლ V ჰაბსურგსა და ინგლ-

ისის მეფე ჰენრი VIII-ს შორის გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებასთან.

ინგლისელები ნიდერლანდების ქალაქ ანტვერპენში აწყობდნენ წელიწადში ოთხჯერ ბაზრობას: საზამთრო (Cold mart), საგაზაფხულო (Parch mart), საზაფხულო (Sinxoh mart) და საშემოდგომო (Bamas mart) ბაზრობებს.

7. სავაჭრო კონტაქტები ინგლისსა და ჰანზას შორის ჩანს 1403 წლიდან, როცა მიმდინარეობდა მოლაპარაკება გერმანელ და ინგლისელ ვაჭრებს შორის. ხოლო 1472 წლის უტრეხტის ტრაქტატით ჰანზელებმა მიიღეს სამი ფაქტორია ინგლისში: ე.წ. „ფოლადის ეზოები" (steel yard) ლონდონში, ბოსტონსა და ლინში.

ჰანზელი ვაჭრები ხშირად უხეშად არღვევდნენ ინგლისელებთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების პირობებს, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ ინგლისური გემების დაპატიმრებაში (1473 წ), ინგლისელი ვაჭრების შევიწროებაში (1480 წ), თავიანთი გემების უნებართვოდ საქონლით დატვირთვაში (1493), უსამართლო საბაჟო გადასახადებების დაწესებაში. ამის გამო, ინგლისელი ვაჭრები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას გერმანელი ვაჭრების მიმართ და ადგილი ჰქონდა აჯანყების მოწყობის მცდელობას მათ წინააღმდეგ (1493 წ).

ჰანზელ ვაჭრებს ინგლისში, ძირითადად, შეჰქონდათ თეთრი ბატისტი, ბეწვეული, ხოლო ინგლისიდან გაჰქონდათ მატყლი, მაუდი, ტყვია, კალა, თაფლი. ჰანზის პრივილეგიები შესუსტდა ჰენრი VII-სა და ჰენრი VIII-ის ხანაში, ხოლო დედოფალ ელისაბედის დროს დაიხურა მათი ფაქტორიები.

ინგლისელ ვაჭართა მისწრაფება, რათა თვითონ და არა უცხოელების საშუალებით ეწარმოებინათ ვაჭრობა საშინაო და საგარეო ბაზარზე, XVI საუკუნეში დასრულდა ინგლისიდან ჰანზელების გაძევებით.

8. საფრანგეთ-ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა 1465-1525 წლებში. 1465 წლიდან 1482 წლამდე სავაჭრო ურთიერთობა სისტემატურ ხასიათს ატარებდა, ხოლო 1482 და 1485 წლებში სავაჭრო ურთიერთობა აკრძალული იყო ამ ორ

ქვეყანას შორის, რაც დაკავშირებული იყო გამწვავებულ პოლიტიკურ ვითარებასთან. ასევეა 1488 წელსაც. 1495 წლიდან 1522 წლამდე აღდგა ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა, ხოლო 1522 წლიდან 1525 წლამდე შეწყდა ყოველგვარი სავაჭრო კავშირი, რომელიც 1525 წელს ისევ აღდგა.

ინგლისის ძირითად საექსპორტო საქონელს, რომელიც შეჰქონდა საფრანგეთში, წარმოადგენდა მაუდი, ხოლო ბორდოდან (საფრანგეთიდან) ინგლისში შემოჰქონდათ ყავისფერი და თეთრი ბატისტი, აბრეშუმი, ფრანგული ღვინო და სხვა სასოფლო პროდუქტები.

9. იტალიელი ვაჭრები რეგულარულად ჩადიოდნენ ინგლისში XIV-XV საუკუნეებში. გენუელმა ვაჭრებმა მიიღეს პრივილეგიები ჰენრი V-სა და ჰენრი VI-ის მმართველობის პერიოდში და შეინარჩუნეს იგი XV საუკუნის ბოლომდე. ხოლო ვენეციელებმა რიჩარდ II-ის დროს მოიპოვეს სავაჭრო უფლებები, რასაც დიდი უკმაყოფილებით შეხვდა ლონდონის მოსახლეობა, რაც გამოიხატა ვენეციელ ვაჭრებზე თავდასხმაში (1456, 1457 წწ). იორკთა მმართველობის პერიოდში ნაწილობრივ შეიზღუდა ინგლისში იტალიელი ვაჭრების უფლებები (1484 წ), ხოლო ტიუდორების ხანაში კვლავ აღდგენილ იქნა მათი პრივილეგიები.

ირკვევა, რომ იტალიელებს ინგლისთან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ XVI საუკუნის პირველ ნახევარშიც (1520 წ).

10. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ესპანეთთან ჩანს 1403 წლიდან, მაგრამ ეს ურთიერთობა არ იყო ისეთივე სისტემატური ხასიათის, როგორც ნიდერლანდებთან და სხვა ქვეყნებთან, თუმცა სავაჭრო კონტაქტები ჰქონდათ 1489 და 1526 წლებში.

11. ინგლისი ამყარებს სავაჭრო ურთიერთობას (ახლად აღმოჩენილ მიწასთან) ნიუფაუნდლენდთან 1520 წელს ინგლისის მეფის მოთხოვნის საფუძველზე ლონდონელი ვაჭარ-ავანტიურისტები გაემგზავრნენ ახლად აღმოჩენილ მიწებზე, სადაც 10 წლის მანძილზე უზრუნველყოფილი იყო მონოპოლიურად ინგლისელების ვაჭრობა.

როგორც ირკვევა, მოგზაურობამ ნიუფაუნდლენდზე მოამზადა ნიადაგი ინგლისის შემდგომი კოლონიური დაპყრობებისათვის.

12. XV საუკუნესა და XVI საუკუნის დამდეგს ინგლისის ხელში მოექცა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და მან სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა სხვადასხვა ქვეყნებთან, რამაც შესაძლებლობა მისცა ინგლისელ ვაჭრებს გასცნობოდნენ უცხოეთის ქვეყნებს და გადმოეტანათ ბევრი რამ ამ ქვეყნებიდან.

13. ინგლისელ ვაჭართა საქველმოქმედო საქმიანობა დაკავშირებული იყო მათ შეგნებაში მომხდარ ღრმა სოციალურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებთან. ლონდონის მერსერთა კომპანიის ვაჭრების დიდძალი შეწირულობანი შედიოდა კომპანიის ხაზინაში, რომლის ნაწილი ხმარდებოდა ქალაქის კეთილმოწყობას, სკოლების დაარსებასა და მათ მფარველობას, კომპანიის დაავადებული, გაღატაკებული წევრების, ქვრივ-ობლების დახმარებას, მეფესთან შეხვედრებისათვის მომზადებას.

14. მერსერთა კომპანიის ხელშეწყობით დაარსდა უიტინგტონის კოლეჯი. კომპანია თვალყურს ადევნებდა, რათა დაეცვათ იქ წესრიგი, ეკლესიის მსახურებს დროულად უნდა ჩაეტარებინათ წირვა-ლოცა, სამართლიანად გაეცათ წყალობა. დავრდომილთა თავშესაფარი თავისი პატრონობის ქვეშ აერთიანებდა უპატრონო, დავრდომილ და მოხუც ადამიანებს, რომელთაც ეძლეოდათ მატერიალური დახმარება.

ლონდონელთა ვაჭრები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ გაჭირვებულ და შრომის უნარს მოკლებულ ადამიანებს, განსაკუთრებით ზრუნავდნენ თავიანთი კორპორაციის წევრებზე, რაც, უდავოდ, ვაჭართა მაღალ შეგნებასა და ქველმოქმედებაზე მეტყველებს.

როგორც ჩანს, ამაღლდა ვაჭართა საერთო შეგნება, მათ ხელი მიჰყვეს საქველმოქმედო საქმიანობას, წინდახედულებას და გონიერებას იჩენდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს. და ბოლოს გამოირჩეოდნენ დიპლომატიის უნარით, რაც გამოიხატა მეფესთან, ლორდ-კანცლერთან, ლორდებთან და სხვა მაღალი მდგომარეობის პირებთან ურთიერთობაში. მათთან სადავო საკითხების გადაწყვეტისას მიდიოდნენ

დათმობაზე და მშვიდობიანად აგვარებდნენ საქმეს, მათ არ აწყობდათ მეფესთან და არისტოკრატიასთან ურთიერთობის გამწვავება, ვინაიდან ეს ზიანს მოუტანდა მათ სავაჭრო საქმიანობას.

ამრიგად, XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე იქმნება საგარეო ვაჭრობის განვითარების, სავაჭრო ფლოტის გაძლიერებისა და ვაჭართა საქმიანობის გაფართოების პირობები. დასავლეთ ევროპასთან ვაჭრობაში განამტკიცა თავისი პოზიციები ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ, რომელსაც, ძირითადად, გაჰქონდა მაუდი, ხოლო მოგვიანებით შექმნილი საპაიო კომპანიები – მოსკოვის (1554 წ), მაროკოს (1575 წ), აღმოსავლეთის (1579 წ), ლევანტის (1581 წ), გვინეის (1588 წ), ოსტ-ინდოეთის (1600 წ) და სხვანი, დააკავშირებენ ინგლისს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან. ვაჭრობა და ზღვაოსნობა კი, საერთო ჯამში, ხელს უწყობდა კაპიტალისტური ურთიერთობისა და ინგლისის ეკონომიკურ განვითარებას.

Белтадзе Изольда Владимировна

Очерк из истории экономического развития Англии (XV-XVI вв.)

Резюме

Настоящая работа представляет собой обширный монографический обзор одного из этапов истории экономического развития Англии.

Цель автора, разъяснить как началось развитие суконной промышленности и торговли в Англии, какую роль сыграли торговые компании в эпоху т. н. „первоначального накопления капитала", каковы были формы организации торговли, методы накопления капитала, условия развития морского флота, как сложились торговые отношения с другими странами и, наконец, благотворительная деятельность английских купцов.

Компания торговцев-авантюристов не было простым объединением торговцев, как утверждают некоторые историки, она являлась богатой, влиятельной и значительной компанией, сыгравшей большую роль в упрочении позиции английского капитала во внутренней и внешней торговле Англии.

Торговая политика английского правительства по отношению к иноземным торговцам первоначально носила покровительственный характер, впоследствии же королевская власть старалась ограничить их права на территории Англии, объявляла им бойкот в разных формах. Но она не допускала нападения англичан на иноземцев, обострения отношений с ними.

Свой товар англичане вывозили за море в основном на местных английских судах, что способствовало развитию морского флота. Но в то же время нанимались испанские, голландские, португальские, ганзейские коробли. Думается, что

это было обусловлено двумя обстоятельствами: первое, когда суда нуждались в военной защите во избежании нападения со стороны вероятного противника, и второе, когда видимо нехватало английских судов для удовлетворения все растущих потребностей в вывозе сукна.

Развитие экспорта сукна, навигационные акты (1369, 1381, 1382, 1390, 1489) и большая поддержка самого королевского правительства должны были способствовать развитию английского морского флота и судостроения в XV-XVI вв.

Англия имела торговые отношения с Нидерландами, Ганзейцами, Францией, Италией, Испанией и Ньюфаундлендом.

В XV и начале XVI вв. монополия внешней торговли оказалась в руках Англ и, которая установила торговые контакты с разными странами, что дало возможность английским торгавцам ознакомиться с зарубежными странами, переняли многое хорошее от них.

Благотворительная деятельность английских торгорвцев была связана с глубокими социальными и психологическими сдвигами, происшедшими в их сознании. Огромные пожертвования торговцев компании лондонских мерсеров поступали в казну компании, часть из них шла на благоустроиство города, открытие школ и покровительство им, на помощь больным, обнищавшим членам компании, вдовам и сиротам, подготовку встреч с королем.

Таким образом, на рубеже XV-XVI вв. создаются условия для развития внешней торговли, усиления торгового флота и расширения деятельности торговцев. В торговле с Западной Европой свои позиции укрепила компания торговцев-авантюристов, вывозившая в основном сукно, а созданные позже паевые компании _ Московская (1554 г.), Марокканская (1575 г.), Восточная (1579 г.), Левантинская (1581 г.), Гвинейская (1588 г.), Ост-Индийская (1600 г.) и другие свяжут Англию с различными странами мира. Торговля и мореходство в общем итоге способствовали дальнейшему развитию капиталистических отношений.

შენიშვნები:

ამალგამაცია – სხვადასხვა რისამე შეერთება. სხვადასხვა კორპორაციის შერწყმა.

ბარჟა (კარჭაპი) – სატვირთო გემი, რომელიც ბუქსირით მოძრაობს.

ბარკა (ორჩხომელი) – დიდი საზღვაო იალქნიანი გემი, აქვს 3-5 ანძა. არათვითმავალი ხის ბრტყელძირიანი გემი. იყენებდნენ შიგაწყალსავალ გზებზე ტვირთის გადასაზიდად. აგებდნენ ერთი ნაიგაციისათვის.

ბენევოლენცია (Benevolentia) – ერთ დროს მეფისადმი ნებაყოფლობითი შეწირულობა, რომელიც ტიუდორებმა იძულებით გადასახადად აქციეს.

ბეჩელორი – ლივრეის გარეშე მყოფი (Out of the livery) ახალგაზრდობა, რომელთაც ახალი დამთავრებული ჰქონდათ შეგირდობა ვაჭრებთან.

ბერგენ-ოპ-ზომ – სხვანაირად ბაროუ.

ბრიუგე – დასავლეთი ფლანდრიის ქალაქი. ამჟამად ბელგიის ერთერთი ქალაქი.

ბოსტონი – ლინკოლნის ნავსადგური.

გულდენი – ოქროს ფული გერმანიასა და მეზობელ ქვეყნებში.

გალეონი – ძველებური იალქნიანი გემი.

გალონი – სასმელების საწყაო, რომელიც იტევდა 3,5 ლიტრიდან 4,5 ლიტრამდე.

დიუნკერკი – ფლანდრიის ქალაქი.

ემბარგო – საქონლის შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში.

ეკონომი – მეურნეობის გამგე.

ექსპორტიორი – ექსპორტის მწარმოებელი, საზღვარგარეთ საქონლის გამტანი პირი ან ორგანიზაცია.

ესკადრა – სამხედრო-საზღვაო ფლოტის, გემების დიდი შენაერთი.

ერთი ელსი – 113 სმ.

ისტერლინგები – ჰანზელები.

ინსტრუქციები - სახელმძღვანელო მითითებანი.

იარდი – ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა 91,44 სმ.

კამერიკი (Cameryk) ზელანდიის პატარა ქალაქი.

კონდუიტი – ჟურნალი, რომელიც აღრიცხავდა ყოველგვარ დანაშაულს, საბაჟო ანგარიშსწორების წიგნი.

კამზოლი – მამაკაცის ძველებური სამოსი, ზედა ჩასაცმელი, უსახელო, იცვამდნენ როგორც ჟილეტს.

კომონერები – ინგლისის თემთა პალატის წევრები.

კლერკი – მოხელე, რომელსაც ევალებოდა საბჭოს აქტების წერილობითი გაფორმება, იგი ადგენდა კომპანიის წერილებს, საჩივრებს, პეტიციებს.

კოსვოლდი – გლოსტერშირში ადგილის სახელწოდება, სადაც იყო გაერცელებული მაღალი ხარისხის მატყლი.

კინგსტონი – იორკის ნავსადგური.

კრეისერი – დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი, რომელიც შეიარაღებულია მძლავრი არტილერიით, ნაღმებით.

კვესტორი – ხაზინადარი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის გამგე.

კილექტორი – გემი, რომელზეც აღმართულია ტვირთის ასაწევი მძლავრი მოწყობილობა. იყენებენ ჩაძირული ღუზების ამოსაზიდად.

კაპელანი – კათოლიკებში სამეფო კარის მღვდელი.

ლივრეად – იწოდებოდა ის ხალხი, რომლებსაც უფლება ჰქონდათ ეტარებინათ გილდიის ფორმა (ლივრეა), რაც იყო გარეგნული ნიშანი მათი პრივილეგირებული მდგომარეობისა, გილდიის სხვა წევრებთან შედარებით.

მემორანდუმი – დიპლომატიური დოკუმენტი, რომლითაც გადმოცემულია მთავრობის თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე, რაიმე დაწესებულების მოხსენებითი ბარათი, ან ახსნა-განმარტება.

მერსერთა (mercer) – ქსოვილით მოვაჭრეთა კომპანია, რომელიც ოფიციალურად გაფორმდა 1394 წელს, თუმცა შესაძლებელია წარმოიშვა უფრო ადრე (XII საუკუნეში).

პიკარდია – ჩრდილო საფრანგეთის პროვინცია, კალეს სამხრეთით.

რეკომპენსაცია – კომპენსაცია, თანხა, რომელსაც უხდიან რისიმე ასანაზღაურებლად, განმეორებით მოთხოვნა თანხის გადახდის.

რეკვიზიტი – დოკუმენტის აუცილებელი ელემენტი. სახელწოდება, გაცემის ადგილი და თარიღი.

რეზიდენტი – უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა მოცემულ ქვეყანაში.

სტაპლერთა (Stapler) – ვაჭარ მესაწყობეების კომპანია არეგულირებდა და შალით ვაჭრობას ცენტრალურ ბაზარზე ქალაქ კალეში.

სტილიარდი (Steel yard) „ფოლადის ეზო“ ჰანზელების ფაქტორია ლონდონში.

ტაქსაცია – რისამე ზომების და ხარისხის დადგენა, ფასების განსაზღვრა, შეფასება.

უორსედი – ნორფოლკში გავრცელებული მძიმე მაუდი.

ფრახტი – გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური. დაქირავებული გემით გადაზიდული ტვირთი.

ფრიმენი – (Frimen) კომპანიის თავისუფალი ვაჭარი, რომელიც სარგებლობდა პრივილეგიებით სხვა წევრებთან შედარებით.

შილინგი – გირვანქა სტერლინგის 1/20.

ჰოლი – (Hall) – კომპანიის დარბაზი, სადაც იმართებოდა კრებები.

1. „The Acts of Court of the Mercer's Company (1453-1528)"-w.th. an introduction by L. Lyell assisted by F.D. Watney, Cambridge, 1936.

2. „Calendar of the Select Pleas and Memoranda Rolls of the City of London (1381-1412)", Ed. A.H. Thomas, Cambridge, 1939.

3. „Calendar of the Pleas and Memoranda Rolls of the City of London (1413-1437), Ed. A.H. Thomas, Cambridge, 1943.

4. „Calendar of the Pleas and Memoranda Rolls, preserved among the Archives of the corporation of the City of London, (1437-1457). Ed. Ph. E. Tones, London, 1954.

5. Calendar of the Select Pleas and Memoranda Rolls, preserved among the Archives of the corporation of the City of London at the Gildhall (1458-1482)". Ed. Jones, Cambridge, 1961.

6. Statues of the Realm of Edward. Ed. By Luders A. Tomlins T. vol. I., London, 1810.

7. Statues of the Realm from original records and authentic manuscripts, vol. II, London, 1816.

8. **Wheeler J.**, The Treatise of commerse. Middelburg, 1601.

9. **Ashley W.** An introduction to English Economic History, London, 1890.

10. **Brabrook E. W.**, The Worshipful Company of Mercer's of the City of London and some of its eniment members, L. 1889.

11. **Bridbary A.R.**, Economic Growth England in the Later Middle ages L. 1975. პირველი გამოცემა ამ წიგნისა მიეკუთვნება 1962 წელს.

12. **Bird. R.**, The Turbulent London of Richard II, L. 1949.

13. **Bowden P. J.**, The wool trade in Tudor and stuart England L. 1962.

14. **Carus-Wilson E.M.**, The Origin and Early Development of the Merchant-Adventurers organization in London EC. H.R. vol. IV. N2,1933.

15. **Carus-Wilson E.M.**, The Medieval Merchant Adventurers, London, 1954.

16. **Carus-Wilson E.M.**, The Merchant Adventurers of Bristol in the XV century, T.R.H.S. IV-th. ser. Vol. XI. 1928.

17. **Carus-Wilson E.M.** The Merchant Adventurers of Bristol in the XV century, Bristol. 1968.

18. **Carus-Wilson E.M.** and Coleman O., England's export trade 1257-1547, Oxford, 1962.

19. **Charters J.A.,** Internal Trade in English 1500-1700 London, 1977.

20. **Dale M.,** The London Silkwomen in the XV century, H.R. IV. 1933.

21. **Davis R.,** The Rise of the English shipping Industry in the XVII th and XVIII th centuries, London, 1962.

22. **Dobb M.A.,** Studies in the development of Capitalism, London, 1954.

23. Documents Illustrating the History of Civilization in Medieval England (1066-1500). Ed. By Travor. Devies N.A. London, 1969.

24. **Daitz F.C.,** The Post and Trade of Early Elizabethen London. London Record Society, 1972, VIII, N5.

25. **Fabyan R.,** The new Chronicles of England and France, London, 1811.

26. **Fisher F.J.,** Commercial Trends and Policies in the XVI century, - In: Eassayes in Economic History. Reprints ed for the Economic History society by E.M. Carus-Wilson. London, 1954.

27. **Fisher H.,** The Political History of England, vol. V. London, 1906.

28. **Froude J.,** History of England from the Fall of Wolsay to the defest of the spenish Armada, vol. IV, London, 1870.

29. **Flenly.,** London and Foreign Merchants in the Regn of Henry VI, E.H.R. XXV, 1910.

30. **Gross Ch.,** The Gild merchant, vol. II, Oxford, 1890.

31. **Gray E.,** The English Foreign trade from 1446 to 1482. Studies in English trade in the XV century. ED. By E. Power and M.M. Postan. New-York, 1966.

32. **Green G.,** The Town Life in the XV-th century, vol I, London, 1894, vol. II, 1896.

33. **Herbert W.,** The Histoty of twelwe Great Livery companies of London, vol.1, London, 1936.

34. **Hinton R.W.K.**, The Estland Trade and the common weal Cambridge, 1959.

35. **Growson P.**, Tudor Foreign Policy, London, 1973.

36. **Jacob E.F.**, The fifteenth century (1399-1485) in the Oxford history of England, ed. G. Clark, Oxford, 1961.

37. **Kerling N.J.M.**, Commercial Relations of Holland and Zeeland with England from the Late 13-th century to the close of the Middle ages. Leiden, 1954.

38. **Lipson E.**, The Economic History of England, vol. I, London, 1937.

39. **Lipson E.**, The Growth of English Society. A short Economic History, London, 1949.

40. **Lipson E.A.**, A short history of wool and manufacture, London, 1955.

41. **Lingelbach W.** The Merchant Adventurers of England, Philadelphia, 1902.

42. **Mattingly G.**, Renaissance Diplomacy, London, 1955.

43. **M. Mak-Kuzack.**, The Fourtheenth century 1307-1399. The Oxford History of England, Oxford, 1959.

44. New English Dictionary, ed, J.A. Murray, vol. VI, London, 1908.

45. **Poland A.**, Henry VIII, London, 1951.

46. **Polard A.**, The History of England from the accession of Edward VI to the death of Elizabeth (1547-1609). London, 1911.

47. Political Poems and songs relating to English constitutional history composed during the period from the accesion of Edward III, to that of Richard III, by Thomas Wright, vol. II, London, 1863.

48. **Pooley E.**, The Gilds of the city of London. London, 1945.

49. **Postan M.M.**, The Merchant Class of Medieval London, Chicago, 1948.

50. **Postan M.M.** and **Rich E.**, The Cambridge Economic history vol. II, Cambridge, 1952.

51. **Postan M.M.**, Medieval trade and Finance, Cambridge, 1973.

52. **Postan M.M.**, The Economic and Political Relations of England and Hance from 1400 to 1475. Studies in English trade in the fiiftheenth century, New- York, 1933.

53. **Postan M.M.**, Credit in Medieval Trade. - Essayes in the Economic history, ed. E.M. Caws-Wilson. London, 1954.

54. **Power E.E.**, The English wool trade in the Regn of Edward IV, Cambridge Historical Journal, I, 1926.

55. **Power E.E.**, The wool trade in the Fifteenth century - in: Studies in English trade in the Fifteenth century. New- York, 1933, VIII.

56. **Power E.E** and Postan M.M. Studies in English trade in the Fifteenth century. New- York, 1966.

57. **Rich E.E.**, The Ordinance book of Merchants of the Stapler with an introduction by E.E. Rich. New- York, 1937, VIII.

58. **Ramsay G.D.**, English overseas trade during the centuries of Emergence. London, 1957.

59. **Ramsay P.**, Tudor Economic Problems. London, 1966.

60. **Ranke L.**, Deutsche Geshichte in Zeitalter Reformaruin, Bd. II-Wien, Humburg, Zurich, 1947.

61. **Rabb T.K.**, Enterprise and Empire. Cambridge, 1967.

62. Schanz G/. English Handelspolitik gagen Ende des Mittelalters, Leipzig, 1881.

63. Studies in English Trade in the Fifteenth century, Ed. E. Power and M.M. Postan, Cambridge, 1933.

64. **Stusrt D.M.**, London Though rhe Ages, The Story of a City and its Citizens, Cambridge, 1956.

65. **Steel A.**, The receipt of Excheguer, 1377-1485, Cambridge, 1959.

66. **Thrupp S.**, The Grocers of London. A Study of distributive trade. Studies in English trade in the fifteenth century. Ed. E. Power and M.M. Postan. New- York, 1933.

67. **Thrupp S.**, The Merchant Class of Medieval London, Chicago, 1948.

68. **Unvin G.**, The Gilds and companies of London. London, 1925.

69. **Willan T.S.**, The Muscovy Merchants of 1555. Manchester, 1953.

7O.Willan T.S., Studies in Elizabethan Foreign trade. Manchester, 1959.

71.Who's who in history. Gen. Ed. C.R.N. Routh, vol. 2, England 1485 to 1603, New-York, 1964.

72. **Wernham J.**, Before the Armada. The growth of English foreign Policy, 1484-1588, L., 1966.

73. **Worth R.N.**, A History of Devinshire, London, 1886.

74. **Ãèááèíñ Ã.** Ïðîùøåííàÿ èñòîðèÿ Àíãëèè. ÑÏ. 1898.

75. **Ãðèí Ä æ..** Èñòîðèÿ àíãëèéñêîãî íàðîäà, ò. I, M., 1892.

76. **Завьялов И.В.**, Внешняя политика Англии в конце XV начале XVI века. Одесса, 1947.

77. **Кенингем У.**, Рост английской промышленности и торговли в ранний период и средние века, М., 1909.

78. **Трайл Г.О.** Общественная жизнь Англии, т.I., М., 1897.

79. **Тревелян Дж. М.** Социальная история Англии, М., 1959.

80. **Эшли Дж. М.** Экономическая история Англии в связи с экономической теорией. М., 1987.

81. **Авдеева К.Д.**, Внутренная колонизация и развитие феодализма в Англии в XI-XIII вв. Л., 1973.

82. **Быкова А.**, Рассказы из истории Англии. СПБ. 1902.

83. **Бааш Э.**, История экономического развития Голандии в XVI-XVII вв. М., 1962.

84. **Барг М.А.**, Исследования по истории английского феодализма в XI-XIII вв. М., 1962.

85. **Бекон Ф.**, История правления короля Генриха VII. М., 1890.

86. **Белтадзе И. В.**, Лондонская компания мерсеров и купцы-авантюристы в конце XV и начале XVI в. дисс. на соиск. учен. Степ. К.И.Н. Тбилиси, 1988.

87. **Болтон Дж.**, Англо-Балтийская торговля XVI в., в кн. «Проблемы Британской истории», М., 1984.

88. **Гунтова Е.В.**, Возникновение английского парламента. М., 1960.

89. **Гунтова Е.В.**, Политика королевской власти по отношению к городам и городскому сословию в Англии XIII начале XIV века. М., 1972.

90. **Дживилегов А.К.**, Средневековые города в Западной Европе, СПБ., 1902.

91. **Дживилегов А.К.**, Торговля на западе в средние века. СПб., 1904.

92. **Демин О.Б.**, Англо-Нидерландские отношения второй половины XV начала XVII века, автореферат на соиск. уч. степ. К.И.Н.М., 1984.

93. **Демин О.Б.**, Из предистории внешней политики Англии нового времени. В сб: « Проблемы новой и новейшей истории». М., 1979.

94. **Евсеев В.А.**, Компания купцов-авантюристов Ньюкасла на Тайне в XVI начале XVII вв. В кн. «Проблемы разложения феодализма в Англии». Горький, 1976.

95. **Евсеев В.А.**, Компания торговцев углем Ньюкасла на Тайне в XVI начале XVII в. В кн. «Средневековый город», Сб. вып. 5, Саратов, 1978.

96. **Евсеев В.А.**, Торговое колониальное соперничество Англии с Португалией в Гвинее в 50-70-е годы XVII в. В кн. «Генезис капитализма в позднее средневековье в Англии и Германии», М., 1979.

97. **Ивонии Ю.Е.**, Англия и Священная Римская империя в системе международных отношений конца XV первой половины XVI в. автореф. на соиск. уч. степк (И.Н.Л., 1984.

98. **Ивонии Ю.Е.**, У истоков европейской дипломатии нового времени. Минск, 1984.

99. **Исаенко А.В.**, Английская королевская реформация XV века, Орджоникидзе, 1982.

100. **Казакова Н.А.**, Из истории сношений Новгорода с Ганзой в XV веке. В кн: «Исторические записки», вып. 28, 1949.

101. **Карпов С.П.**, Торговля итальянских морских республик ХШ-XV вв.

102. Книга для чтения по истории средних веков под ред. П.Г. Виноградова, Вып. 4, М., 1910.

103. **Кириллова А.А.**, Из социальной истории городов Англии XV в. Сб: «Средние века», вып. 4, М., 1958.

104. **Кириллова А.А.**, Классовая борьба Восточной Англии в XIV в. В кн. »Вопросы социальной и классовой борьбы в английских городах XIV-XVII вв. М., 1969.

105. **Кириллова А.А.**, Организация внецехового ремесла в английских городах XVI в. В кн: «Проблемы экономического и политического развития стран Европы в античную эпоху и средние века. М., 1975.

106. **Кириллова А.А.**, Социально-психологическая характеристика английского купечества в XV-XVI вв. В кн. «Генезис капитализма в позднее средневековье в Англии и Германии. М. 1979.

107. **Кертман А.Е.**, География, история и культура Англии. М., 1968.

108. **Ковалевский М.М.**, Общественный строй Англии в конце средних веков., М., 1880.

109. **Ковалевский М.М.**, История Великобритании. СПБ., 1912.

110. **Ковалевский М. М.**, От прямого народоправства к представительному и от патриархальной монархии к парламентаризму. М., 1966.

111. **Косминский Е.А.**, Исследования по аграрной истории Англии XIII в. М., 1947.

112. **Косминский Е.А.**, Вопросы аграрной истории Англии XV века. «Вопросы истории», 1948, № 1.

113. **Косминский Е.А**., Эволюция форм феодальной ренты в Англии X1-XУ вв. « Вопросы истории», 1955, №2 2.

114. **Кузнецов Е.В.**, Некоторые вопросы экономической политики королевской власти в Англии 1461-1485 гг. сб. «Средние века», вып. 21, М., 1962

115. **Кузнецов Е.В.**, Лондонское восстание 1456 года. Тезисы докладов ко второй научной региональной сессии совета по координации наукам Вольго-Вятского экономического района, Горький, 1965.

116. **Кузнецов Е.В.**, Лондонская Гильдия торговцев тканями в XV начале XVI вв. Сб. «Средние века», вып. 31, М., 1968.

117. **Кузнецов Е.В.**, Купцы-авантюристы Лондона. В кн: «Проблемы разложения феодализма и генезиса капитализма в Англии». Горький, 1980.

118. **Лавровский В.М.**, Проблемы экономической истории Англии XV-XVII вв. «Историк Марксист», 1936, №4.

119. **Левицкий Я.А.**, К вопросу о характере так называемой «Gilda Mercatoria» в Англии X1-ХШ вв. Сб. «Средние века», вып. 30, М., 1967.

120. **Левицкий Я.А.**, Города и городское ремесло в Англии в X-ХП вв. М., 1960.

121. **Левицкий Я. А.**, Ранний этап развития сукноделия в английских городах (ХП-ХП1 вв.). В кн. Европа в средние зека. М., 1972.

122. **Левицкий Я.А.**, Некоторые проблемы западноевропейского города периода развитого феодализма. В кн. «Вопросы истории». 1969, №9.

123. **Левицкий Я.А.**, Ремесленные гильдии в Англии в ранний период их истории. Сб. « Средние века», вып. VIII, 1948.

124. **Лесников М. П.**, Ганзейская торговля пушниной в начале XV века. В кн. «Ученые записки Московского пед. института им. В.П. Потемкина", т. VIII. Вып. I., под. ред. А.А. Фортунатова, М., 1948.

125. **Лесников М.П.**, Некоторые вопросы Балтийско-Нидерландской торговли хлебом в конце XIV начале XV века. В кн: «Средние века», вып. 7,М., 1955.

126. **Мортон А.А.**, История Англии, М., 1950.

127. **Мещерякова Н.М.**, О промышленном развитии Англии накануне Буржуазной революции XVII в. В кн. «Средние века», вып. 7. М., 1955.

128. **Мещерякова Н.М.**, Основные черти генезиса капитализма в промышленности Англии XVI первой половины XVII века. В кн: Проблемы генезиса капитализма. М., 1978.

129. **Ментешашвили И.Ш.**, Соприкосновение цивилизации Запада и Востока в период деятельности в Индии Английской Ост-Индийской компании. Тб., 1998.

130. **Олтаржевский В.П.**, Английская Ост-Индсийкая компания в XVIII веке. Иркутск. 1998.

131. **Осиновский И.М.**, « Жизнь и творчество Томаса Мора». Томас Мор, Эпиграммы. История Ричарда III. М., 1973.

132. **Осиновский И.М.**, «История Ричарда III. Томаса Мора». В кн. Англия XIV-XVII вв. Горький, 1974.

133. **Осиновский И.М.**, Томас Мор. М., 1978.

134. **Осокин М.Г.**, Торговля Англии с Левантом в период кризиса английского абсолютизма (1600-1640). М., 1982.

135. **Петрушевский Д.М.**, Очерки из истории английского государства и общества в средние века. М-Л., 1930.

136. **Петрушевский Д.М.**, Очерки из экономеческой истории средневековой Европы. М-Л., 1930.

137. **Петрушевский Д.М.**, Восстание Уота Тайлера. М., 1937.

138. **Петрова-Маркова С.П.**, Йоркская компания мерсеров и купцов-авантюристов в XIV начале XVII вв. Автореф. На соиск. учен. Степ. К.И.Н.Л., 1973. ამ საკითხზე მუშაობას აგრძელებს დღემდე.

139. **Петрова-Маркова С.П.**, К вопросу о происхождении и составе Йоркской компании мерсеров и купцов-авантюристов. В кн: «Вопросы всеобщей истории», Красноярск, 1973. № 7.

140. **Петрова-Маркова С.П.**, Социальный состав магистрата Йорка в XIV-XVI вв. Сб. «Средневековый город», вып. 3. Саратов, 1975.

141. **Петрова-Маркова С.П.**, Йоркская компания купцов-авантюристов и купцы-авантюристы Лондона в XV-XVI вв.В кн: «Проблемы разложения феодализма и генезиса капитализма в Англии. Горький, 1980.

142. **Петрова-Маркова С.П.**, Йоркская компания мерсеров и купцов-авантюристов в XV-XVI вв. Сб. «Средние века», вып. 44, М., 1981.

143. **Петров И.**, Английский капитализм на заре своего развития. М-Л., 1925.

144. **Полянский Ф.Я.**, Очерки социально-политической политики цехов в городах Западной Европы XIII-XV вв. М., 1952.

145. **Полянский Ф.Я.**, Экономическая история зарубежных стран. Эпоха феодализма. М., 1954.

146. **Полянский Ф.Я.**, Товарное производство в условиях феодализма. М., 1969.

147. **Рафиенко Л.С.**, Роль Лондона в политической борьбе в Англии начале XIV века. В кн. «Ученые зап. Иркутского пед. ин-та», Благовещенск, 1958. Вып. 16.

148. **Репина Л.П.**, К вопросу о профессиальной, имущественной и социальной диферренциации городского сословия в Англии XIV в. Сб. «Средние века», вып.38, М., 1975.

149. **Репина Л.П.**, История средневековой Англии на страницах международного журнала «Journal of Medieval History». В кн. «Проблемы Британской истории». М., 1982.

150. **Савин А.Н.**, Английская деревня в эпоху Тюдоров. М., 1903.

151. **Савин А.Н.**, Английская секуляризация. М., 1906.

152. **Савин А.Н.**, Социальная история Англии XV-XVI вв. В новейшей историографии. Журнал Министерства Народного Просвещения, 1906. № 6.

153. **Сапрыкин Ю.М.**, Народные движения в Англии и Ирландии в XVI в. М., 1963.

154. **Сапрыкин Ю.М.**, Антифеодальные идеи английского крестьянства в XIV веке. Вестник Московского государственного университета, 1967. № 3.

155. **Сапрыкин Ю.М.**,Восстание Джека Кэда и социально-политические взгляды английского крестьянства. Вестник Московского государственного университета. 1968. № 6.

156. **Семенов В.Ф.**, Огораживание и крестьянские движения в Англии XVI в .М-Л., 1949.

157. **Семенов В.Ф.**, Абсолютизм Тюдоров в новейшей английской историографии. Ученые записки Московского государственного педагогического института им. В.И.Ленина. М., 1957.

158. **Семенов В.Ф.**, «Дискуссия о характере тюдоровского абсолютизма». Вопросы истории, 1962.

159. **Сванидзе А.А.**, Налоговые описи Колчестера как источник по истории английского средневекового города. Сб. «Средние века». Вып. 19, М., 1961.

160. **Сказкин С.Д., Чистозвонов А.Н.**, Задачи изучения генезиса капитализма, «Вопросы истории», 1959, № 6.

161. **Сказкин С.Д.**, Международные отношения в Европе в конце XV и первой половине XVI в. В кн. Сказкин С.Д. Из истории социально-политической и духовной жизни Западной Европы в средние века. М., 1981.

162. **Сливко С.А.**, Социально-политические итоги войны роз, -Ученые записки Омского педагогического института. Вып. II. 1958.

163. **Сливко С.А.**, Социальная борьба в Англии в конце XV и формирование английского абсолютизма, автореферат, канд. Дисертации, М., 1965.

164. **Соболев М.Н.**, Очерки из истории всемирной торговли в связи с развитием экономической жизни. М., 1902.

165. **Стоклицкая-Терешкович В.В.**, Страницы из истории торговой компании Merchant-Adventurers». «Ученые записки института истории». № 2, М., 1927.

166. **Стоклицкая-Терешкович В .В.**, Проблема многообразия средневекового цеха на Западе и на Руси. Сб. «Средние века». Вып. III. М., 1951.

167. **Стоклицкая-Терешкович В.В.**, Основные проблемы истории средневекового города X-XVвв. М., 1960.

168. **Фионова Н.А.**, Венецианские купцы на английском рынке в XV веке. В кн. «Англия XV-XVII вв». Горький, 1981.

169. **Фришина И.Н.**, Борьба Англии за проникновение в испанские колонии нового света в XVI в. Автореферат дис. на соиск. учен. Степ. К.И.Н.Л.,, 1981.

170. **Хорошкевич А.Л.**, Из истории средневековой Европы (X-XVII вв). М., 1957.

171. **Чистозвонов А.Н.**, Английская политика по отношению к революционным Нидерландам, в кн. «Средние века». Вып. 5, М., 1954.

172. **Чистозвонов А.Н.**, Гентское восстание 1539-1540 гг. М., 1957.

173. **Чистозвонов А.Н.**, Нидерландская буржуазная революция XVI века. М., 1958.

174. **Чистозвонов А.Н.**, Некоторые основные теоретические вопросы, проблемы генезиса капитализма в европейских странах. Теоретические и историографические проблемы генезиса капитализма. М., 1962.

175. **Чистозвонов А.Н.**, Барг М.А., Итоги исторического процесса в Западной Европе XIV-XV веков. В кн. «Проблемы генезиса капитализма». М., 1978.

176. **Чистозвонов А.Н.**, Генезис капитализма в Нидерландах. В кн: «Проблемы генезиса капитализма». М. 1957.

177. **Чурсина А.Н.**, Генуэзская торговля сукном в конце XII начале XIII вв. В кн. «История средних веков. Ученические Записки»., М., 1965.

178. **Чхартишвили Г.Е.**, Английский город с конца XI до конца XIII веков (социальнс политическое положение). Труды Горийского пединститута, Т.8. 1963.

179. **Чхартишвили Г.Е.**, Английский город XI- XIII вв. Автореф. на соиск. учен. Степ. К.И.Н., Тб. 1963.

180. **Чхартишвили Г.Е.**, Некоторые вопросы истории городов Англии XII-XIIIвв. Тб.,1967.

181. **Штокмар В.В.**, Очерки по истории Англии XVI века. Л., 1957.

182. **Штокмар В.В.**, Экономическая политика английского абсолютизма в эпоху его расцвета. Л., 1962.

183. **Штокмар В.В.**, Социальная и Экономическая политика английской абсолютной монархии второй половины XVI в. Автореферат диссертации на соискание учен. Степ, доктора ист. наук. Л., 1963.

184. **Штокмар В.В.**, История Англии в средние века. Л., 1973.

185. **Штокмар В.В.**, Некоторые данные тюдоровского законодательства об упадке английских провинциальных городов в XVI веке. В кн: «Средневековый город». Вып. 2. Саратов, 1974.

186. **Щеголев П.П.**, Очерки из истории Западной Европы XVI-XVII вв. М., 1938.

187. **Щербан П.Н.**, К вопросу о разложении ремесленного производства в Английских городах во второй половине XVI в. В кн: «Проблемы всеобщей истории». М., 1977.

188. **Цыпурина Г.И.**, Торговля Англии с Левантомво второй половине XVI в. в кн: «Англия XV-XVII вв. Проблемы генезиса капитализма». Горький, 1976.

189. **Цыпурина Г.И.**, Торгово-колониальное соперничество Англии с Португалией в Гвинее в 50-70 годы XVI в. В кн: «Генезис капитализма в позднее средневековье в Англии и Германии». М., 1979.

190. **Яброва М.М.**, Очерки истории колониальной экспансии Англии в эпоху первоначального накопления. Саратов, 1966.

191. **Яброва М.М.**, Лондонские ливрейные компании и так называемый процесс амальгации, в кн: «Средневековый город». Вып. 2, Саратов, 1974.

192. **Яброва М.М.**, Лондонские ливрейные компании и внешняя торговля. Сб. «Средневековый город». Вып. 3, Саратов, 1975.

193. **Яброва М.М.**, Развитие коммерческого кредита в Англии XIV-XV вв. В кн: „Средневековый город», вып. 5, Саратов, 1978.

194. **Яброва М.М.**, Особенности средневекового кредита и его развитие в Англии XIV-XV вв. В кн: «Средневековый город», вып. 4, Саратов, 1978.

195. **Яброва М.М.**, Зарождение раннекапиталистических отношений в английском городе (Лондон XIV-начало XVI века). Автореферат дисс. на соис. учен. степ. доктора ист. наук. Саратов, 1983.

196. **Яковенко В.И.**, Томас Мор, его жизнь, общественная деятельность. СПБ., 1891.

197. შუა საუკუნეების სამართალი. განვითარებული ფეოდალიზმის ხანა XI-XIV სს. ტ. II. ი. დოლიძის გამოცემა. თბ., 1962.

198. **ბელთაძე-ხინიკაძე ი.**, ლონდონის მერსერთა და ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, ბათუმი, 1997.

199. ბელთაძე-ხინიკაძე ი., ტომას მორი, ბათუმი., 1998.

200. **გომართელი ნ.**, ტომას მორი, როგორც მემატიანე და ისტორიული პროცესების ასახვა რიჩარდ III-ის ისტორიაში, თბ., 1994.

201. **გომართელი ნ.**, ისტორიული მოვლენების ასახვა და პოლიტიკური პორტრეტები ტომას მორის პოეზიაში, თბ., 1994.

202. ტომას მორის „უტოპია", ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ.გომართელმა, თბ., 1983.

203. **ჯაჭვაძე ე.**, ინგლისის სოფელი XVI საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1977.

204. **ჯაჭვაძე ე.**, ინგლისური სეკულარიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს სსრ პედინსტიტუტთა შრომები, ისტორია-ფილოლოგიის სერიე, IV, 1978.

205. **ჯაჭვაძე ე.**, რეფორმაციული მოძრაობის ისტორიიდან ინგლისში, იხ. „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები". ნაწ. I, თბ., 1999.

სარჩევი

შესავალი 3
ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია 5

თავი I. ინგლისის სავაჭრო კომპანიები
1. ინგლისელების სტაპლერთა კომპანია 23
2. ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიები 37
3. ლონდონის სავაჭრო გილდიები 55

თავი II. მერსერთა სავაჭრო გილდია
1. მერსერთა საქმიანობა 60
2. მერსერთა გილდიის ადგილი ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიაში 100

თავი III. ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარება XV-XVI საუკუნეებში
1. ინგლისის სამეფო ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკა 111
2. ბოიკოტი უცხოელი ვაჭრების მიმართ 119
3. საზღვაო ფლოტის განვითარების პირობები 126
4. სავაჭრო ურთიერთობანი ნიდერლანდებთან 133
5. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ჰანზასთან 170
6. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან 187
7. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა იტალიასთან 197
8. ინგლისის სავაჭრო ურთიერთობა ესპანეთთან და ახლად აღმოჩენილ მიწებთან 203

თავი IV. ინგლისელ ვაჭართა ქველმოქმედებანი
1. კომპანიისათვის ანდერძით ქონების გადაცემა და შეწირულობანი 209
2. მერსერთა მზრუნველობა მოხუცთა და დავრდომილთა თავშესაფარზე 228

დასკვნა 234
რეზიუმე (რუს.ენაზე) 241
შენიშვნები 243
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 246

გამომც. რედაქტორი ჯემალ ხოფერია
მხატვრული რედაქტორი გურამ გუჯაბიძე
ტექნიკური რედაქტორი რობერტ ლომაძე
უფროსი კორექტორი ნანული წილოსანი
კორექტორი გულნაზ სამნიძე
დამკაბადონებელი ნატო ოსანაძე
ოპერატორი რუსუდან მეგრელიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 04. 01. 2002
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,44
ფიზიკური თაბახი 16,25
შეკვ. №2
ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

ს. ს. „გამომცემლობა აჭარა", ბათუმი, გოგებაშვილის, 24
ს. ს. „გამომცემლობა აჭარის" პოლიგრაფიული ცენტრი, კოსტავას, 5